# ეთიკის კომისიის საქმიანობა

## პრეცედენტები, რეკომენდაციები

2010-2013 წწ.

თბილისი
2013

## ავტორები

***ეკატერინე გასიტაშვილი*** – *ადვოკატი, ეთიკის კომისიის თავმჯდომარე 2012-2013 წწ.*
*ეთიკის კოდექსის პირველი, მე-2, მე-3, მე-4 მუხლები, მე-8 მუხლის პუნქტები 4,7,8, 9,10,11,12, 13,14,15, მე-8 პრიმა მუხლი*

***თამარ ხუბულური*** – *ადვოკატი, ეთიკის კომისიის იურისტი*
*ეთიკის კოდექსის მე-5, მე-6 მუხლები*

***კობა ბოჭორიშვილი*** – *ადვოკატი, ეთიკის კომისიის წევრი, სადისციპლინო კოლეგიის თავმჯდომარე*
*ეთიკის კოდექსის მე-7, მე-9, მე-10, მე-11 მუხლები*

**დავით კვაჭანტირაძე** – *ადვოკატი, ეთიკის კომისიის წევრი*
*ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პუნქტები 1,2,3,5,6*

*გამოცემის იდეის ავტორი და რედაქტორი:*
***ეკატერინე გასიტაშვილი***

*კორექტორი:*
***ნინო საითიძე***



*პუბლიკაცია მომზადებულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ ფინანსური დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელნი არიან პუბლიკაციის ავტორები და გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.*

# რედაქტორის წინათქმა

წინამდებარე გამოცემა წარმოადგენს 2009-2013 წლების მანდატის ეთიკის კომისიის საინტერესო გადაწყვეტილებათა ანალიზს, ეთიკის კოდექსის ცალკეული ნორმის, მისი პუნქტის, ქვეპუნქტის შესახებ გაკეთებულ განმარტებებს, სადაც უკვე დაგროვდა გარკვეული გამოცდილება ან თუნდაც არსებობს ერთი გადაწყვეტილება, ასევე, პრაქტიკულ რეკომენდაციებს ეთიკის საკითხებზე.

ავტორებმა წინამდებარე გამოცემით მიზნად დაისახეს, გადმოეცათ ეთიკის კომისიის, როგორც სასამართლოს მსგავსი ფუნქციის მქონე ორგანოს, მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით დამკვიდრებული მაღალი მორალურ-ზნეობრივი სტანდარტები, განხილულ საქმეთაგან საყურადღებო სამართლებრივი ხასიათის განმარტებების სახით.

ეთიკის კოდექსის პირველი კომენტარები, ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე დაყრდნობითა და საერთაშორისო ინსტრუმენტებში ჩამოყალიბებული ნორმების მიხედვით, გამოქვეყნდა 2011 წელს, რომელშიც შევიდა 2010-2011 წლების გადაწყვეტილებათა ანალიზი. ეს პროექტი განხორციელდა „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა“ ევროკავშირის პროექტის „Human Dynamics“ ფინანსური მხარდაჭერით.

მადლიერება გვსურს გამოვხატოთ, რომ კვლავაც ევროკავშირის „Human Dynamics“ პროექტის მეშვეობით „სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“, გახდა შესაძლებელი, 2009-2013 წლების მანდატის ეთიკის კომისიის პრაქტიკა, ადვოკატთა ეთიკურ ვალდებულებებზე არსებული რეკომენდაციები ორგანიზებული სახით მივაწოდოთ ადვოკატთა ასოციაციის წევრებს, იურიდიული პროფესიის სხვა წარმომადგენლებს, უმაღლეს საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სადაც უკვე დაწყებულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კურსის სწავლება სტუდენტებისათვის.

მადლობა ეკუთვნის ეთიკის კომისიის თითოეულ წევრს, კომისიის თავმჯდომარეს ირაკლი კორძახიას (2010-2012 წწ.), იურისტებს, რომელთა თავდაუზოგავი და დაუღალავი შრომის, ხშირად ხანგრძლივი კამათისა და დისკუსიის შედეგად, მდიდარი და მრავალფეროვანი გამოცდილება დაგროვდა კომისიის გადაწყვეტილებათა სახით და 2013 წელს ახლადდანერგილი რეკომენდაციების სისტემის თვალსაზრისით. რეკომენდაციების გაცემა აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის /USAID-EWMI-JILEP/ ხელშეწყობითა და მხარდაჭერით განხორციელდა.

გამოცემა ეთიკის კომისიის პრეცედენტების საფუძველზე, ცალკეულ ნორმათა განმარტებებს გააცნობს იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებს, რადგან მართლმსაჯულების სისტემაში დამოუკიდებელი და ძლიერი ადვოკატთა პროფესიული გაერთიანების არსებობის ხელშეწყობა არა მხოლოდ სახელმწიფოს ვალდებულებაა, არამედ თავისუფალი პროფესიის თვითრეგულირების სტანდარტები დიდ გავლენას ახდენს ადვოკატთა საქმიანობაზე და მრავლისმთქმელია თავად ადვოკატთა მიერ დანახული პროფესიული კორპორაციული მიზნიდან გამომდინარე.

***ეკატერინე გასიტაშვილი***

***01 ნოემბერი, 2013 წელი***

# სარჩევი

რედაქტორის წინათქმა ........ 3

სარჩევი ........ 4

1. პროფესიული საქმიანობის ძირითადი პრინციპები ........ 8
2. დამოუკიდებლობის პრინციპი ........ 10
   2.1. დამოუკიდებლობის პრინციპი და პროფესიის კორპორაციული მიზანი ........ 11
   2.2. კანონიერება და დამოუკიდებლობის პრინციპი ........ 12
   2.3. კლიენტის ინტერესები და დამოუკიდებლობის პრინციპი ........ 14
   2.4. კლიენტისაგან „სესხის" აღების მიზანშეუწონლობა ........ 15
   2.5. კლიენტის „არაეფექტური" დაცვა ........ 16

3. ნდობის პრინციპი ........ 19
   3.1. კლიენტის ინტერესები და პროფესიის პრესტიჟი ........ 20
   3.2. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობის „დეფიციტი" ........ 21

4. კონფიდენციალობის პრინციპი ........ 23
   4.1. კონფიდენციალურობის ვალდებულება დროის საზომით არ შემოიფარგლება ........ 24
   4.2. ადვოკატის ვალდებულება გაამართლოს კლიენტის ნდობა ........ 25
   4.3. კლიენტის წინააღმდეგ კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენების დაუშვებლობა ........ 26

5. კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი ........ 29
   5.1. კლიენტის ინტერესების მიმართება ადვოკატის პირად ინტერესებთან ........ 29
      *5.1.1. მოწინააღმდეგე მხარესთან საქმიანი ურთიერთობა ........ 29*
      *5.1.2. რამდენიმე საქმის ერთდროულად წარმოება ........ 31*
      *5.1.3. ფინანსური ინტერესი ........ 32*
      *5.1.4. საქმის მწარმოებელ ორგანოში საკუთარი თავის დაცვა ........ 34*
   5.2. კლიენტის ინტერესები და კანონიერების პრინციპის ფარგლებში მოქმედების ვალდებულება ........ 35
   5.3. კლიენტის „ნება" ........ 36
   5.4. კლიენტის ინტერესისა და პროფესიის ინტერესის ურთიერთმიმართება ........ 37

6. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი ........ 39
   6.1. „არსებითად დაკავშირებული საქმეები" ეთიკის კომისიის პრაქტიკის მიხედვით ........ 41
   6.2. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპის მიმართება ადვოკატის პროფესიული ეთიკის სხვა პრინციპებთან ........ 46
   6.3. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი და დამოუკიდებლობა ........ 46
   6.4. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი და ნდობა ........ 47
   6.5. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი და პროფესიული საიდუმლოება ........ 48
   6.6. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა ........ 48
   6.7. ინტერესთა კონფლიქტის მქონე სიტუაციები ........ 50
   6.8. არსებულ კლიენტთა შორის ინტერესთა კონფლიქტი ........ 50

6.9. ვინ არის კლიენტი? 51
6.10. ინტერესთა კონფლიქტი არსებულ და ყოფილ კლიენტებს შორის 55
6.11. პირადი ინტერესთა კონფლიქტი 55
6.12. ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის საფრთხე 56
6.13. ინტერესთა კონფლიქტი და არაკვალიფიციური მომსახურების ალბათობა 58
6.14. ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულების შეზღუდვა 60
6.15. „გავრცელებული“ ინტერესთა კონფლიქტი 61
6.16. ადვოკატის მოვალეობანი ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპის დასაცავად 62
6.17. კლიენტის ინფორმირების მოვალეობა 62
6.18. ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში წარმომადგენლობის შეწყვეტა 63

**7. კოლეგიალობის პრინციპი** 65

**8. ურთიერთობა ადვოკატსა და კლიენტს შორის** 67
1. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყება 68
*1.1. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყება ურთიერთშეთანხმებით 69*
*1.2. შეთანხმების ფორმა და შეთანხმების დადებაზე უფლებამოსილი პირი 69*
*1.3. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყება სავალდებულო დაცვის შემთხვევებში 71*
2. ადვოკატის მიერ საქმის წარმოების თავისებურებანი – კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს კომპეტენტური პირის მითითებები 73
3. გარანტიის მიცემის დაუშვებლობა 74
4. ადვოკატის პასუხისმგებლობის შეზღუდვა 75
5. კეთილსინდისიერების და კვალიფიციურობის ვალდებულება 76
*5.1. კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის არსი 77*
*5.2. ადვოკატის მიერ მტკიცებულებათა გაცვლის წესების დარღვევა 77*
*5.3. ადვოკატის მიერ მოწმეების ხელთ არსებული ინფორმაციის შეუფასებლობა 78*
*5.4. საზოგადოებრივი ადვოკატის განსაკუთრებული გულისხმიერების ვალდებულება 78*
*5.5. კვალიფიციური და კეთილსინდისიერი მომსახურების კომპონენტები ეთიკის კომისიის პრაქტიკის თანახმად 79*
*5.6. კლიენტის კანონიერი მითითებების მიხედვით მოქმედება 79*
*5.7. რწმუნებულების მიუხედავად ინფორმირებული თანხმობის ვალდებულება 80*
*5.8. კლიენტის მოთხოვნის მიუხედავად სსსკ-ით გათვალისწინებულ მოქმედებათა შეუსრულებლობა 80*
*5.9. ადვოკატის მიერ შერჩეული ტაქტიკის და სტრატეგიის, ასევე საპროცესო მოქმედებათა ხარისხის არსებითი შეფასება 81*
*5.10. მომსახურების ხარისხის „კონტროლი" სავალდებულო დაცვის შემთხვევებში 82*
*5.11. ადვოკატის მიერ მომსახურების გაწევა იმ სფეროში, რომელშიც მას სპეციალიზაცია არ აქვს 82*
6. კლიენტის ინფორმირების ვალდებულება 82
*6.1. საადვოკატო მომსახურების შესახებ წერილობითი ხელშეკრულების კლიენტისთვის გადაცემის ვალდებულება 83*
*6.2. სარჩელის შინაარსის და საქმის მსვლელობის გაცნობის ვალდებულება 83*
*6.3. ინფორმაციის „სათანადოდ" მიწოდების ვალდებულება 84*

*6.4. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება რწმუნებულების ვადის ამოწურვისას ................ 85*

*6.5. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების მხარისთვის (რომელიც არ არის კლიენტი) ............................................ 85*

*6.6. ადვოკატის მონაწილეობა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებაში და კლიენტის ინფორმირების ვალდებულება ............................................................................ 86*

*6.7. კლიენტის ინფორმირება საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ ხარჯებზე ....................... 87*

7. ადვოკატის მიერ საქმის წარმოებაზე უარის თქმა და კლიენტის ინტერესები .............. 87

8. ადვოკატის ჰონორარი ........................................................................................ 89

9. საქმის წარმოებაზე უარი........................................................................................ 92

10. ადვოკატის რეკომენდირებისათვის კომპენსაციის მიღება .......................................... 93

11. დავის მინიმალური დანახარჯებით წარმოება........................................................... 94

12. კლიენტის ფინანსური სახსრების ჩანაწერი................................................................. 95

13. კლიენტის სახსრებისა და ქონების შენახვა და განკარგვა ........................................... 95

14. კლიენტის ინტერესების დაცვა................................................................................ 96

15. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტისას ადვოკატის ვალდებულებები და უფლება ჰონორარზე ........................................................................................ 97

**9. პრიმა. საადვოკატო საქმიანობის რეკლამირება**................................................. 100

*9.1.1. რეკლამირების პირობა:*

*რეკლამაში გადმოცემული ინფორმაცია სწორია*

*რეკლამაში გადმოცემული ინფორმაცია არ არის შეცდომაში შემყვანი ............................ 100*

*9.1.2. რეკლამაში გადმოცემული ინფორმაცია არ არის შეცდომაში შემყვანი და არ არღვევს პროფესიის ძირეულ ფასეულობებს.......................................... 102*

*9.1.3. თვითრეკლამა თუ პირდაპირი ან ირიბი მითითება კონკურენტზე ან მის მომსახურებაზე?................................................................................ 102*

*9.1.4. შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი და ადვოკატი, რომელმაც იცის რეკლამის არაეთიკურობის შესახებ ...................................... 103*

**10. ადვოკატის ურთიერთობა სასამართლოსთან**.................................................... 105

10.1. სასამართლოსთან კომუნიკაციის ზოგადი სტანდარტი ............................................ 105

10.2. პროფესიული კრიტიკის ფარგლები........................................................................ 107

10.3. სასამართლოსადმი უპატივცემულობა და მოქმედი წესების დარღვევა ................... 109

10. 4. გამოხატვის თავისუფლება თუ სასამართლოს შეურაცხყოფა ................................. 112

10.5. სასამართლოსადმი გამოთქმული კრიტიკის დასაშვები ფარგლები .......................... 116

10.6. სასამართლო შენობის გარეთ ადვოკატის ქცევა ....................................................... 118

10.7. EX PARTE – კომუნიკაციის სტანდარტი ................................................................. 118

10.8. სასამართლოსათვის ყალბი მტკიცებულებების წარდგენის აკრძალვა ..................... 119

10.9. კომუნიკაციის სტანდარტი სასამართლო პროცესის სხვა მონაწილეებთან ............. 120

**11. ურთიერთობა ადვოკატსა და სხვა ადვოკატს შორის** ..................... 121

11.1. კოლეგიალობის პრინციპის არსი და მისი მნიშვნელობა ..................... 121

*11.1.1. კოლეგიალობის პრინციპის დაცვის ფარგლები* ..................... *122*

11.2. კლიენტის ინტერესების უპირატესობისა და კოლეგიალობის პრინციპების თანხვედრა ..................... 122

*11.2.1. კოლეგიალობის პრინციპი და პროფესიის კორპორაციული მიზანი* ..................... *124*

11.3. კომპენსაციის მიღების აკრძალვა რეკომენდირებისას ..................... 125

11.4. ადვოკატით წარმოდგენილ პირთან კომუნიკაციის წესი ..................... 126

*11.4.1. შეტყობინების ვალდებულება* ..................... 127

11.5. კოლეგიალობის პრინციპი და პროფესიული კრიტიკის ფარგლები ..................... 128

*11.5.1. ადვოკატის მიერ სატელევიზიო გადაცემაში კოლეგების მიმართ გაკეთებული შეფასება* ..................... 128

**12. კოდექსის მოქმედების ფარგლები** ..................... 133

**დანართები** ..................... 135

## 1. პროფესიული საქმიანობის ძირითადი პრინციპები

***ადვოკატი ვალდებულია, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, იხელმძღვანელოს შემდეგი ძირითადი პრინციპებით: დამოუკიდებლობა, ნდობა, კონფიდენციალობა, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა, კოლეგიალობა.***

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ 2006 წლის 15 აპრილს საერთო კრებაზე დაამტკიცა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი (შემდგომ ტექსტში მოხსენიებულია „აპეკ"-ი ან ეთიკის კოდექსი).

საქართველოში საადვოკატო საქმიანობის ხანგრძლივი საუკეთესო ტრადიციების და თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელთა მორალურ-ზნეობრივი ღირებულებების გათვალისწინებით, ეთიკის კოდექსმა ასახა ადვოკატთა ასოციაციის თითოეული წევრის პროფესიული ღირებულება, კანონიერების პრინციპზე დაყრდნობით ემსახუროს კლიენტის საუკეთესო ინტერესებს, ღირსეულად განახორციელოს საქმიანობა, როგორც მართლმსაჯულების მონაწილე პირმა და წარმოაჩინოს პროფესიული სახე იმგვარად, რომ საზოგადოების მხრიდან მოიპოვოს ნდობა ადვოკატის პროფესიისადმი.

„თითოეული ადვოკატურის ან იურიდიული საზოგადოების ცალკეული წესები წარმოიქმნება მისი ტრადიციებიდან"[1], საქართველოს ადვოკატებმა ეთიკის კოდექსის მიღებით დაადასტურეს ისეთი ღირებულებებისადმი პატივისცემისა და შესრულების ვალდებულებები, როგორიცაა საადვოკატო საქმიანობაში კანონით დადგენილი შემდეგი პრინციპები[2]:

ა) კანონიერება;

ბ) საადვოკატო საქმიანობის დამოუკიდებლობა და თავისუფლება;

გ) ადვოკატთა თანასწორობა და მათი დისკრიმინაციის დაუშვებლობა;

დ) საადვოკატო საქმიანობაში ჩაურევლობა;

ე) ადვოკატის მიერ კლიენტის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა და დაცვა;

ვ) ადვოკატის მიერ დაცვის უფლების განხორციელებაზე უარის თქმის დაუშვებლობა, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ზ) ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვა;

თ) ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა.

„ადვოკატთა შესახებ" კანონიდან გამომდინარე, ეთიკის კოდექსი პროფესიული საქმიანობის ძირითადი პრინციპების ამომწურავ ჩამონათვალს ასახავს პირველივე მუხლში და ადვოკატის ვალდებულებად განიხილავს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებლობის, ნდობის, კონფიდენციალურო-

---

[1] ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი (CCBE), მუხ.1.2.2. – ქართული თარგმანი ხელმისაწვდომია ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდზე www.gba.ge www.gba.ge

[2] „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 3.

ბის, კლიენტის ინტერესთა პრიორიტეტულობის, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის, კოლეგიალობის პრინციპებით ხელმძღვანელობას[3].

კანონი ადვოკატის მოვალეობად განიხილავს პროფესიული ფუნქციების კეთილსინდისიერად შესრულებასა და პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვას[4].

ეთიკის კოდექსის თითოეული პრინციპის, როგორც საადვოკატო საქმიანობისას სახელმძღვანელო ღირებულების მნიშვნელობა საინტერესოდ წარმოჩნდა ეთიკის კომისიის, როგორც სასამართლოს მსგავსი ფუნქციის მქონე ორგანოს პრაქტიკაში.

[3] აპეკ-ი, მუხლი 1, პროფესიული საქმიანობის ძირითადი პრინციპები.

[4] „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5.

## 2. დამოუკიდებლობის პრინციპი

***1. ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გავლენის ან ზეწოლისაგან, მათ შორის მისი პირადი ინტერესებიდან და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის და პროფესიული ეთიკის ნორმებს (08.12.2012)***

***2. ადვოკატი ვალდებულია არ დაუშვას კომპრომისი საკუთარი პროფესიული ვალდებულებების შესრულებისას კლიენტის, სასამართლოს ან სახელმწიფოს სხვა ორგანოს ან სხვა პირის ინტერესების სასარგებლოდ (08.12.2012).***

საადვოკატო საქმიანობაში დამოუკიდებლობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახელმძღვანელო პრინციპია, რომელიც ადვოკატს, როგორც თავისუფალი პროფესიის პირს, იცავს ყოველგვარი შინაგანი თუ გარეშე ზემოქმედების ფაქტორებისაგან.

აპეკ-ის დამტკიცებიდან (2006 წლის 15 აპრილი) დამოუკიდებლობის პრინციპმა გარკვეული ცვლილება განიცადა; ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებაზე 2012 წლის 08 დეკემბერს მიღებული ცვლილებებითა და დამატებებით, მეორე მუხლის მეორე პუნქტში ჩაიწერა, რომ ადვოკატს ევალება „დამოუკიდებლობის პრინციპის ეთიკური ვალდებულების შესრულებისას არ დაუშვას დამოუკიდებლობის პრინციპიდან გადახვევა, რაც წინააღმდეგობაში მოვა ადვოკატის პროფესიული ვალდებულების შესრულებასთან, კანონიერების პრინციპზე დაყრდნობით, თუნდაც, კლიენტის, სასამართლოს ან სახელმწიფოს სხვა ორგანოს ან სხვა პირის ინტერესების სასიკეთოდ“[1].

დამოუკიდებლობის პრინციპთან დაკავშირებულ ნორმაში 2012 წელს განხორციელებული ცვლილება არის იმ რეალური ვითარებისა და გარემოს დაფიქსირება, რომ ადვოკატის პროფესიულ საქმიანობაზე ზეგავლენის მქონე ფაქტორებს შორის იყო სახელმწიფოს მხრიდან ზეწოლა და ამას ეთიკის კომისიის პრაქტიკაც ადასტურებს, რაზედაც ქვემოთ ვისაუბრებთ.

ეთიკის კოდექსის მე-2 მუხლში ცვლილების შეტანას, შეიძლება ითქვას, დასაბამი დაუდო ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებამ, რომელშიც მითითებულია ადვოკატის დამოუკიდებლობაზე ზეგავლენის მომხდენი ფაქტორები, რომლებიც პირობითად ოთხ კატეგორიად იყოფა:

- სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობა, მათ შორის, სასამართლოსა და პროკურატურისაგან;
- დამოუკიდებლობა მესამე პირთა ზეგავლენისაგან, მათ შორის, სხვა კლიენტებისა და კოლეგებისაგან;
- დამოუკიდებლობა კლიენტისაგან;
- დამოუკიდებლობა ადვოკატის პირადი მოსაზრებისაგან პოლიტიკის, მორალისა და საზოგადოებრივი საკითხების თაობაზე“[2].

---

[1] ჟურნალი „ადვოკატი“ 1 - ეთიკის კოდექსის კომენტარები, გვ. 28.

[2] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 057/10, 07 მარტი, 2010 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/07.03.2011.pdf

## 2.1. დამოუკიდებლობის პრინციპი და პროფესიის კორპორაციული მიზანი

ეთიკის კომისიის 057/10 გადაწყვეტილება საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ ეთიკის კომისიაში ადვოკატის მიმართ საჩივარი წარადგინა ადვოკატთა ჯგუფმა და არა ადვოკატის კლიენტმა. საჩივრის ავტორთა პრეტენზია ეხებოდა იმას, რომ საჩივარში მითითებული ადვოკატის ქმედებებით შეილახა არა მხოლოდ მისი კლიენტის ინტერესები, არამედ ადვოკატთა ღირსება და ჩრდილი მიადგა პროფესიას, ამასთან, საზოგადოებას ასეთი ადვოკატების ქმედების შედეგად რწმენა ეკარგება ადვოკატისადმი, ამ პროფესიის წარმომადგენლებისადმი და უნდობლობას წარმოშობს პროფესიისადმი.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსში გაცხადებული მიზანი ასახავს პროფესიის დამოკიდებულებას საადვოკატო საქმიანობისადმი, რომელიც საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, მოუწოდებს თითოეულ ადვოკატს, დაამკვიდროს ადვოკატის ვალდებულება შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისათვის[3].

ეთიკის კომისიის მიერ განხილული ერთ-ერთი საქმე ეხებოდა ადვოკატის მიერ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებაში მონაწილეობას, კლიენტისათვის ამის თაობაზე ინფორმაციის მიუწოდებლობას, რამაც ეთიკის კომისიის შეფასებით, იმგვარ მდგომარეობაში აღმოაჩინა ადვოკატი, როდესაც მან „თავი ჩაიყენა კანონმდებლობის ურთიერთგამომრიცხავი რეალობის წინაშე", კერძოდ, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში ჩართვის შემდეგ, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონით, ადვოკატს ევალებოდა ასეთ მოქმედებაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვა, იმავდროულად კი, ის აგრძელებდა ერთ-ერთი კლიენტის წარმომადგენლობას, რომლის საქმეზეც თანამშრომლობდა პროკურატურასთან (ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ფარგლებში ადვოკატმა პროკურორს ქრთამის სახით ფულადი თანხა გადასცა); ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებაში მონაწილეობის შესახებ ადვოკატს ინფორმაცია არ მიუწოდებია საკუთარი კლიენტისათვის. ამ საქმეზე ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედების შეფასებისას, ეთიკის კომისიამ ყურადღება გაამახვილა და შეაფასა ის გარემოება, რომ „ადვოკატი მოქმედებდა სუბიექტური ფაქტორის, შიშის გათვალისწინებით და არა კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე"[4].

ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა ადვოკატს ავალდებულებს მიაწოდოს ინფორმაცია კლიენტს საქმესთან, მის სამართლებრივ პერსპექტივასთან, შესაძლო შედეგებთან დაკავშირებით. დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვას არა მხოლოდ არსებითი მნიშვნელობა და უშუალო ზეგავლენა აქვს კლიენტის ინტერესზე, არამედ ადვოკატის პროფესიულ იმიჯს ემსახურება, რომელსაც საზოგადოება კეთილსინდისიერი და პატიოსანი, ღირსეული თვისებებით შემკულს

[3] აპეკ-ი - პრეამბულა.

[4] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 057/10, 07 მარტი, 2010 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/07.03.2011.pdf

უნდა ხედავდეს. ზემოხსენებულ გადაწყვეტილებაში ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ: „მხედველობაში ილებს არა მარტო კლიენტისათვის ზიანის მიყენების რეალურ შემთხვევას, არამედ ასევე ასეთი ზიანის მიყენების რისკს, რომელიც არა მარტო კონკრეტული კლიენტის ინტერესებს შეეხება, არამედ საფრთხე ექმნება ადვოკატის, როგორც მართლმსაჯულების სისტემის არსებითი შემადგენელი ნაწილის მიმართ კლიენტებისა და საზოგადოების სხვა წევრთა ნდობას, რადგან საზოგადოებას ასეთ შემთხვევებში ექმნება წარმოდგენა ადვოკატთა მიმართ, რომლებიც კანონსაწინააღმდეგო საშუალებებით ცდილობენ კლიენტისათვის წარმომადგენლობის განხორციელებას“[5].

ადვოკატი, როგორც თავისუფალი პროფესიის პირი, ბუნებრივია, შებოჭილია პროფესიულ საქმიანობაში და ამგვარი ბოჭვა გამომდინარეობს კანონმდებლის ნებიდან: ადვოკატი ემორჩილება მხოლოდ კანონს და პროფესიული ეთიკის კოდექსს, კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატს უფლება აქვს გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც არ არის აკრძალული კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით[6]. ადვოკატის პროფესიული დამოუკიდებლობა თვით კლიენტის უკანონო მოთხოვნის შესრულების არიდების ვალდებულებას მოიცავს, რაც საბოლოოდ ემსახურება თვით კლიენტის საუკეთესო ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ თავისუფლებას და ადვოკატთა კორპორაციულ მიზანს – ყოველგვარი ზეგავლენისაგან თავისუფალ გარემოში განახორციელონ კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვისას პროფესიული საქმიანობა და გაამართლონ საზოგადოების მოლოდინი პროფესიისადმი ნდობის თვალსაზრისით.

## 2.2. კანონიერება და დამოუკიდებლობის პრინციპი

კანონიერების პრინციპისადმი ერთგულება, ადვოკატის, როგორც კლიენტის საუკეთესო ინტერესების დამცველის, მართლმსაჯულების მონაწილე პირისა და თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლის „ოქროს“ პრინციპია. კანონიერების პრინციპის საპირწონედ არ შეიძლება კლიენტის ინტერესების უპირატესობის, დამოუკიდებლობის პრინციპის, ნებისმიერი სხვა ეთიკური ვალდებულების განხილვა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე X v. Switzerland (განაცხადი 9/27/80, 22.09.1992 გადაწყვეტილება) და საქმეზე X v. The UK (განაცხადი 7215/72, 05.11.1981 გადაწყვეტილება) დაადგინა ადვოკატის ვალდებულება, დაიცვას პროფესიული საქმიანობის პრინციპები, კერძოდ: „დაცვის უფლება არ ავალდებულებს ადვოკატს იმოქმედოს თავისი პროფესიული პრინციპებისა და შეხედულებების წინააღმდეგ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ აღჭურავს ბრალდებულს უფლებით მოსთხოვოს თავის ადვოკატს ისეთი დაცვის სტრატეგიის შემუშავება, რომელიც წინააღმდეგობაში მოვა მის პროფესიულ პრინციპებთან და, შესაბამისად, არც ადვოკატს არ აქვს უფლება ამგვარად

---

[5] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 057/10, 07 მარტი, 2010 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/07.03.2011.pdf

[6] „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლები 1, 6.

იმოქმედოს დაცვის განხორციელების პროცესში“. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 057/10 ასახავს ადვოკატის მიერ კლიენტისათვის ინფორმაციის მიუწოდებლობით განხორციელებულ უკანონო ქმედებას იმ ვითარებაში, როდესაც ადვოკატმა კლიენტის საქმეზე უკანონო საშუალებები გამოიყენა და პროკურორს ქრთამი გადასცა, რითაც საფრთხე შეუქმნა კლიენტის ინტერესებს – კლიენტი დააყენა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის რისკის წინაშე, როდესაც მისთვის სასურველი შედეგის მისაღწევად უკანონო საშუალებები გამოიყენა[7].

ამავე გადაწყვეტილებაში ეთიკის კომისიამ აღნიშნა: „მართალია, ადვოკატის მიზანი კლიენტის ინტერესების დაცვაა, მაგრამ აღნიშნული ვალდებულება ადვოკატს არ აძლევს უფლებას გამოიყენოს კანონით გაუთვალისწინებელი, კანონსაწინააღმდეგო საშუალებები, თუნდაც ამის თაობაზე მას კლიენტმა სთხოვოს და კლიენტს საჭიროდ მიაჩნდეს დაცვის ამგვარი გზით განხორციელება. ადვოკატი ვალდებულია კანონით გათვალისწინებული საშუალებებითა და პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტებით იმოქმედოს“.

ეთიკის კომისიამ დაცვის კანონიერი საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით განმარტა: „კლიენტის ინტერესებში ობიექტურად შედის საქმის მიუკერძოებლად და სამართლიანად გადაწყვეტა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საპროცესო წესების დაცვით. კლიენტის ინტერესების დაცვა ადვოკატმა უნდა განახორციელოს კანონით დადგენილი წესების შესაბამისად“[8].

ეთიკის კოდექსში 2012 წლის 08 დეკემბერს შეტანილი ცვლილება-დამატებებით დამოუკიდებლობის პრინციპში ადვოკატის დამოუკიდებელი პროფესიული განსჯის ვალდებულებაზე გაკეთდა ხაზგასმა და სასამართლოსაგან, სხვა პირთა ინტერესების ზეგავლენისაგან დამოუკიდებლობის გარდა, საინტერესოდ ჩამოყალიბდა პრინციპის კონკრეტული ჩანაწერი იმის შესახებ, რომ ადვოკატი ვალდებულია არ დაუშვას კომპრომისი თვით საკუთარი კლიენტის ინტერესების სასარგებლოდაც. მოცემულ შემთხვევაში, სწორედ კანონიერების პრინციპზე გაკეთდა აქცენტი და ადვოკატს პროფესიულ ვალდებულებად შეერაცხა შეინარჩუნოს პროფესიული დამოუკიდებლობა, არ დაუშვას კომპრომისი კანონიერების პრინციპთან მიმართებით, თუნდაც კლიენტის ინტერესების გამო, შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა საადვოკატო საქმიანობაში, რათა არ გახდეს დაქირავებული „იარაღი“ კლიენტის ხელში[9]. იგივე შეიძლება ითქვას კლიენტის ინტერესების უპირატესობასა და კანონიერების პრინციპისადმი ერთგულებაზე, როდესაც კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა არ იქნება გამართლებული კანონისადმი პატივისცემისა და მორჩილების გარეშე.



[7] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 057/10, 07 მარტი, 2010 წელი.

[8] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 010/10, 22 ივნისი, 2010 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/22.07.2010.pdf

[9] ჟურნალი „ადვოკატი“  1- ეთიკის კოდექსის კომენტარები, გვ. 28.

## 2.3. კლიენტის ინტერესები და დამოუკიდებლობის პრინციპი

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევა დადგინდა ადვოკატის მიერ დაცვის უფლების განხორციელებისას, როდესაც ადვოკატი არ იყო დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებისას საგამოძიებო მოქმედებაში ჩართვაზე, იგი პროკურორის თხოვნით მივიდა შემთხვევის ადგილზე იმ პირობებში, როდესაც არ იყო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო დაცვის შემთხვევა, კლიენტს არც კი იცნობდა, არ იცოდა მისი პოზიცია წარდგენილ ბრალდებასთან დაკავშირებით, ადვოკატს არ ჰქონდა ხელთ არავითარი მასალა სისხლის სამართლის საქმიდან; ეთიკის კომისიამ გადაწყვეტილებაში განმარტა: „ადვოკატი საქმეში ჩაერთო ბრალდების მხარის მოწვევით, რითაც ამ უკანასკნელმა გავლენა მოახდინა ადვოკატის დამოუკიდებლობაზე. ადვოკატი საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობის მიღებისას დამოუკიდებელი არ იყო“, რაც ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი დამოუკიდებლობის პრინციპის ხელყოფაა, ადვოკატი საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე დასასწრებად მივიდა ბრალდების მხარის თხოვნით და არა პროფესიული მოვალეობის განსახორციელებლად – კლიენტის ინტერესების დასაცავად[10].

ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვა უნდა უზრუნველყოს დამოუკიდებელი პროფესიული მომსახურებით, რაც გულისხმობს, რომ ადვოკატი ვალდებულია დამოუკიდებელი იყოს გარეშე გავლენისაგან, მათ შორის, მისი პირადი ინტერესებისაგან. ადვოკატმა კლიენტის ინტერესები ყოველთვის უნდა დააყენოს უპირატესად სხვა პირთა ან მესამე პირთა ინტერესებთან შედარებით, რათა დაცული იყოს კლიენტისადმი ერთგულების ვალდებულება წარმომადგენლობის განხორციელების განმავლობაში. შესაბამისად, დამოუკიდებლობის პრინციპს მჭიდრო კავშირი აქვს კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპთან“[11].

„ადვოკატის პროფესიის განხორციელების თავისუფლების შესახებ“ ევროპის საბჭოს რეკომენდაციის მიხედვით, ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს „დამოუკიდებლად, გულდასმით და სამართლიანად“ და ეყრდნობოდეს პროფესიული გაერთიანებების მიერ მიღებულ სტანდარტებსა და ქცევის კოდექსს[12]. მართლმსაჯულების სისტემის სამართლიანად განხორციელებისათვის, გაცნობიერებულია ადვოკატის დამოუკიდებლად საქმიანობის მნიშვნელობა ნებისმიერი პირისაგან, ნებისმიერი მიზეზით, პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვის, გავლენის, წაქეზების, ზეწოლის, მუქარის ან ჩარევის გარეშე[13].

---

[10] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 112/11, 25 მაისი, 2012 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2012/25.05.12_112_11.pdf

[11] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 094/11, 10 აპრილი, 2012 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2012/10.04.2012_09411.pdf

[12] ევროპის საბჭოს რეკომენდაცია REC. (2000) 21. პრინციპი III, პუნქტი 1, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/regulaciebi/evropis%20sabwo,%20ministrTa%20komitetis%20rekomendacia.pdf

[13] იქვე, შესავალი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/regulaciebi/evropis%20sabwo,%20ministrTa%20komitetis%20rekomendacia.pdf

სამოადვოკატო საქმიანობაში დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად სახელმწიფოს ვალდებულებად მოიაზრება, პროფესიულ საქმიანობაში ადვოკატებს შეუქმნან ისეთი პირობები, რომ ადვოკატებმა:

„ა) შეძლონ თავიანთი პროფესიული ფუნქციების შესრულება, დაშინების, დაბრკოლების, ღირსების შელახვისა და არასათანადო ჩარევის გარეშე;

ბ) შეძლონ თავისუფლად გადაადგილდნენ და კონსულტაცია გაუწიონ კლიენტს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ;

გ) თავიანთი პროფესიული მოვალეობების, წესებისა და ეთიკის შესაბამისად განხორციელებული რაიმე ქმედების გამო, არ განიცადონ გაკიცხვა ან დევნა ადმინისტრაციული, ეკონომიკური, სოციალური ან სხვა სანქციების მიხედვით“[14].

ადვოკატი თავის საქმიანობაში უნდა ხელმძღვანელობდეს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმებით, რათა „იმოქმედოს თავისუფლად და ღირსეულად, კანონისა და პროფესიული მოვალეობების, სტანდარტებისა და ეთიკის წესების შესაბამისად“.

აპეკ-ი კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვაზეა ორიენტირებული და საადვოკატო საქმიანობა სწორედ კლიენტისადმი ერთგულ დამოკიდებულებას მოითხოვს.

ეთიკის კომისიამ დისციპლინურ საქმეზე 057/10 2011 წლის 08 მარტის გადაწყვეტილებით დაადგინა: „ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა უნდა იყოს კლიენტზე ორიენტირებული, რაც გულისხმობს, რომ ადვოკატმა და კლიენტმა თანაბრად უნდა გაინაწილონ გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობა და თანაბრად უნდა იყვნენ ჩართულნი კლიენტის საქმესთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებაში. ყველა სახის გადაწყვეტილება, რომელმაც შესაძლოა მოახდინოს ან არ მოახდინოს კლიენტის ინტერესებზე ზეგავლენა, უნდა იქნეს მოწონებული კლიენტის მიერ“. ამავე გადაწყვეტილებაში ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ „ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ მიღებულმა გადაწყვეტილებამ შესაძლებელია გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს კლიენტს, რადგან ადვოკატის მიერ კლიენტის სახელით განხორციელებული მოქმედებები მესამე პირების მიერ განიხილება, როგორც კლიენტის ნების გამოხატულება და, როგორც წესი, ეჭვქვეშ არ დგება ადვოკატის საიმედოობა და კეთილსინდისიერება“.

## 2.4. კლიენტისაგან „სესხის“ აღების მიზანშეუწონლობა

საგულისხმოა ეთიკის კომისიის პრეცედენტები, კერძოდ, კომისიამ იმსჯელა საქმეზე, სადაც დადგინდა, რომ ადვოკატმა კლიენტისაგან ისესხა ფული მაშინ, როდესაც კლიენტისაგან ადვოკატისათვის სანოტარო აქტით მინიჭებულ მინდობილობას იურიდიული ძალა კვლავ ჰქონდა არა მხოლოდ ფორმალურ-იური-

[14] გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატის როლის შესახებ, პუნქტი 16, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/regulaciebi/gaeros%20ZiriTadi%20principebi%20advokatTa%20rolis%20Sesaxeb.pdf

დიული თვალსაზრისით, არამედ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა სახეზე იყო. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობაში ადვოკატის პროფესიულ დამოუკიდებლობაზე ზეგავლენის ერთ-ერთი ფაქტორია ადვოკატის პირადი ინტერესი, მოცემულ შემთხვევაში ადვოკატი ფინანსურად გახდა დამოკიდებული კლიენტზე. ეთიკის კომისიამ განმარტა: „ასეთ შემთხვევაში იქმნება დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევის საფრთხე, რადგან შესაძლებელია, რომ ადვოკატისა (მოვალე) და კლიენტის (კრედიტორი) ინტერესები ერთმანეთს დაუპირისპირდეს, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ადვოკატის დამოუკიდებლობაზე მისი პირადი ინტერესებისაგან, რაც სავარაუდოდ ხელისშემშლელი ფაქტორი იქნება საიმისოდ, რომ ადვოკატმა დამოუკიდებელი პროფესიული განსჯა განახორციელოს. ადვოკატმა უნდა აირიდოს ყოველგვარი ზეგავლენის, მათ შორის, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე ზემოქმედების ფაქტორი“[15].

ეთიკის კომისიამ ერთ-ერთი საქმის შესწავლისას ვერ დაადგინა ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი, რადგან ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობის დაწყებამდე, სანოტარო წესით დამოწმდა კერძოსამართლებრივი ურთიერთობა ორ სუბიექტს შორის, რომელიც ეხებოდა სესხის გაცემას და უძრავ ქონებაზე იპოთეკის რეგისტრაციას. ეთიკის კომისიამ გადაწყვეტილების მიღებისას ყურადღება მიაქცია იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ურთიერთობა დაიწყო „გამსესხებელსა“ და „მსესხებელს“ შორის, რომელიც მხარეთა ნების თავისუფლად გამოვლენას ემყარებოდა, აქედან გამომდინარე კი წარმოიშვა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, რადგან „გამსესხებელმა“ მოგვიანებით შეიტყო, რომ „მსესხებელი“ პროფესიით ადვოკატი იყო, ამ დროისათვის მხარეებს შორის გაუქმებული იყო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, გაუქმებული ხელშეკრულების მხარემ – „გამსესხებელმა“ იურიდიული დახმარება სთხოვა ადვოკატს და მიიღო კიდეც; ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობიდან გამომდნარე მომსახურების ფარგლებში კლიენტმა გარკვეული საზღაური გადაუხადა ადვოკატს, რაც მხარეებს შორის სადავო არ გამხდარა, ასევე, არ ყოფილა წამოყენებული სხვა პრეტენზია ადვოკატის წინააღმდეგ. შესაბამისად, ეთიკის კომისიამ არ დაადგინა ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი ეთიკის ნორმების შესაბამისად[16].

## 2.5. კლიენტის „არაეფექტური“ დაცვა

ეთიკის კომისიამ განიხილა და შეაფასა ადვოკატის პროფესიული საქმიანობისას დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევა იმ პირობებში, როდესაც ადვოკატმა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ოქმს ხელი მოაწერა პროკურორის მიერ

---

[15] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრაზე, საქმე 020/13, ამ საქმეზე ჯერჯერობით არ არის მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება, დისციპლინური სამართალწარმოების დებულებით დადგენილი წესით განსახილველად გადაეცა ეთიკის კომისიას სრული შემადგენლობით.

[16] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 045/11, 10 მაისი, 2011 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/saproceso_kolegia/10.06.2011.pdf

„მკაცრი ტონით“ გაცხადებული მითითების შემდეგ. „მოცემულ შემთხვევაში ადვოკატის პოზიცია იყო მოკრძალებული და არაეფექტური, იგი გარკვეულწილად მოქცეული იყო პროკურორის გავლენის ქვეშ, კლიენტის ... თანხმობაც ადვოკატისადმი – მოეწერა ხელი ოქმზე – იმით იყო გამოწვეული, რომ ადვოკატს პრობლემები არ შექმნოდა“[17]. ეთიკის კომისიამ ადვოკატის აღნიშნული ქმედება პროფესიული მოვალეობების სუსტ შესრულებად მიიჩნია და აღნიშნა, რომ ამის მიზეზი შესაძლებელია ყოფილიყო, ერთი მხრივ, ადვოკატის არასაკმარისი პროფესიული მომზადება და, მეორე მხრივ, ადვოკატურის დამოუკიდებლობის ხარისხის ასამაღლებლად, ქმედითი ღონისძიებების გატარების საჭიროება[18].

ამავე საქმეზე ეთიკის კომისია საინტერესოდ მსჯელობს ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებებზე არასრულწლოვანი პირის ინტერესების დაცვისას. ეთიკის კომისია გადაწყვეტილებაში განავითარებს მოსაზრებას, რომ პროკურორის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას განხორციელებული ქმედება – ადვოკატისათვის მკაცრად მითითება საპროცესო დოკუმენტზე ხელმოწერისაკენ, ადვოკატს ავალდებულებს, მის ხელთ არსებული ყველა კანონიერი საშუალება გამოიყენოს, ისეთი სამართლებრივი რჩევა მისცეს კლიენტს, რაც კლიენტის ინტერესებს ემსახურება და კანონს ეფუძნება. ეთიკის კომისია თავის გადაწყვეტილებაში ამახვილებს ყურადღებას ადამიანზე, რომელიც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იმყოფება და თავისუფლების შეზღუდვის გამო, „ბუნებრივად განიცდის თრგუნვას და თუ მას ემატება ბრალდების მხარის წარმომადგენლის მიერ გამოვლენილი ფსიქოლოგიური ზეწოლაც, ეს კიდევ უფრო აუარესებს პირის ფსიქიკურ მდგომარეობას“[19].

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით დამოუკიდებლობის პრინციპიდან გადახრა უშუალოდ ქმნის საფრთხეს კლიენტის ინტერესების ერთგულად დაცვის დროს და ადვოკატის პროფესიულ დამოუკიდებლობაზე შესაძლო ზეგავლენის შიდა თუ გარეშე ფაქტორები არა მხოლოდ აკნინებს ადვოკატის, როგორც მართლმსაჯულების მონაწილე პირის როლსა და ფუნქციას, არამედ კონკრეტული პირის (კლიენტის) ინტერესების პრიორიტეტულად დაცვისა და კლიენტის ამგვარი უპირატესობის ინტერესს ზიანს აყენებს.

„წარმომადგენლობის განხორციელებისას მნიშვნელოვანი ფაქტორია, ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვა უზრუნველყოს დამოუკიდებელი პროფესიული მომსახურებით, რაც გულისხმობს, რომ ადვოკატი ვალდებულია დამოუკიდებელი იყოს გარეშე გავლენისაგან, მათ შორის, მისი პირადი ინტერესებისაგან. ადვოკატმა კლიენტის ინტერესები ყოველთვის უნდა დააყენოს უპირატესად სხვა პირთა ან მესამე პირთა ინტერესებთან შედარებით, რათა დაცული იყოს კლიენტისადმი ერთგულების ვალდებულება წარმომადგენლობის განხორ-

---

17 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 001/10, 11 აპრილი, 2010 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/11.04.2010.pdf

18 იქვე.

19 იქვე.

ციელების განმავლობაში. შესაბამისად, დამოუკიდებლობის პრინციპს მჭიდრო კავშირი აქვს კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპთან"[20].

დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვა ხელს უწყობს ადვოკატის, როგორც თავისუფალი პროფესიის პირის, საქმიანობას იმ პროფესიული ვალდებულებების დაცვით, რაც ნდობის პრინციპშია განმტკიცებული.

[20] კომისიის გადაწყვეტილება 094/11, 10 აპრილი, 2012 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2012/10.04.2012_09411.pdf

# 3. ნდობის პრინციპი

***კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას, კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა. (08.12.2012)***

ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა ნდობის პრინციპს ემყარება. კლიენტის მოლოდინი ადვოკატისადმი, როგორც თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლისადმი, იმაში გამოიხატება, რომ ადვოკატის მიერ საზოგადოების წინაშე ნაკისრი მორალურ-ზნეობრივი ვალდებულება ამგვარ ურთიერთობას აღმოაცენებს არა მხოლოდ ისეთ ფორმალურ-სამართლებრივ საფუძველზე, როგორიცაა ხელშეკრულების ხელმოწერა, კლიენტის მიერ ადვოკატისათვის წარმომადგენლობაზე მინდობილობის მინიჭება, არამედ სწორედ ეთიკური ნორმების საფუძველზე. ადვოკატს, რომელსაც საკუთარი ნებით ირჩევს კლიენტი, ნდობას უცხადებს ისეთი პროფესიული თვისებების გამო, როგორიცაა ადვოკატის პირადი ღირსება, პატიოსნება, შეუვალობა, კომპეტენტურობა და დამოუკიდებლობა. ეს თვისებები იმავდროულად ვალდებულებაა და „ამ ვალდებულებათა შორის უდავოდ უნდა იგულისხმებოდეს ყველა ის თვისება, რაც კონკრეტული ადვოკატისადმი და ზოგადად პროფესიისადმი ნდობას ბადებს საზოგადოებაში“[1].

ნდობის პრინციპში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად მოიაზრება ადვოკატის დამოუკიდებლობა, რომელზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ და ეთიკის კომისიის პრეცედენტებიც მოვიშველიეთ. „ეთიკის კოდექსი სწორედ ადვოკატის მიმართ ადგენს, რომ ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა ამ უკანასკნელის მიერ საკუთარი პრობლემის განდობით იწყება და ყოველი შემდგომი ნაბიჯი კლიენტის დაცვისათვის, სათანადოდ განმარტებული და შეთანხმებული უნდა იყოს კლიენტთან“[2].

ადვოკატისადმი კლიენტის ნდობისა და ადვოკატის პროფესიული დამოუკიდებლობის პრინციპები ერთგვარად თანაარსებობენ, რადგან ნდობის მოლოდინის გარეშე, იურიდიული რჩევის მისაღებად კლიენტს გაუჭირდება მისთვის ზოგჯერ რთული, მოსარიდებელი, მგრძნობიარე საკითხების განდობა იმ პირისათვის, რომლის პროფესიული დამოუკიდებლობა, პირადი პატიოსნება, შეუვალობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. სწორედ ადვოკატის პირადი ღირსებისა და პატიოსნების საქმეა, არ დაექვემდებაროს შესაძლო ზეგავლენის ფაქტორებს, იქნება პირადი ინტერესებით ნაკარნახევი, თუ გარეშე ფაქტორებით განპირობებული.

[1] მარინე კვაჭაძე, ეკატერინე გასიტაშვილი, კობა ბოჭორიშვილი, ირაკლი კორძახია, „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის კომენტარები ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე დაყრდნობით“, ევროკავშირის პროექტი კანონის უზენაესობის მხარდაჭერა, 2011, გვ. 8.

[2] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 034/11, 27 აგვისტო, 2011 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/27.08.2011_03411.pdf

„დასაცავი პირი, მისი ნების გათვალისწინებით, ირჩევს ადვოკატს, რომელსაც მიანდობს მისი უფლებების დაცვას სს საქმეზე. ადვოკატსა და კლიენტს შორის ნდობის პრინციპის არსებობა, ასევე ხელს უწყობს კომუნიკაციის ეფექტურად განხორციელებას. კლიენტსა და ადვოკატს შორის ნდობის არსებობის შემთხვევაში, კლიენტი ადვოკატს უმხელს კონფიდენციალურ ინფორმაციას, რასაც ადვოკატი კლიენტის თანხმობით იყენებს სისხლის სამართლის საქმეზე კლიენტის ინტერესების დასაცავად. გასათვალისწინებელია, რომ შესაძლოა სისხლის სამართლის საქმის მასალებში დაცვის მხარის სასარგებლო ინფორმაცია და საყურადღებო დეტალი არ იყოს ცნობილი და ხშირ შემთხვევაში ადვოკატი კლიენტისაგან მოიპოვებს განსაკუთრებით მნიშვნელოვან ინფორმაციას, შესაბამისად, კლიენტის სრული ნდობა ადვოკატისადმი და განდობილი კონფიდენციალური ინფორმაცია ადვოკატს აძლევს შესაძლებლობას, სათანადოდ განახორციელოს ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვა“[3].

## 3.1. კლიენტის ინტერესები და პროფესიის პრესტიჟი

აპეკ-ის მიღებიდან (15 აპრილი, 2006 წელი) ერთი წლის თავზე, „ახალგაზრდა“ კოდექსის მოქმედების პირობებში, ეთიკის კომისიამ (ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ 2006 წელს არჩეული შემადგენლობა) თავის გადაწყვეტილებაში მაღალი პროფესიული სტანდარტით განმარტა, რომ ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და „არ განახორციელოს მოქმედება, რითაც შესაძლებელია ავნოს როგორც კლიენტის, ისე პროფესიის პრესტიჟს. დაუშვებელია ადვოკატმა გამოიყენოს მის მიმართ გამოხატული ნდობა და მორიგება გააფორმოს მისი კლიენტის ნების საწინააღმდეგოდ, თუნდაც მორიგების უფლების შესახებ აღნიშნული იყოს მის მოქმედ რწმუნებაში“. ეთიკის კომისიამ აქვე განმარტა, რომ „თუმცა მორიგება ძალაში რჩება მესამე მხარეების მიმართ (თუკი არ გაუქმდება სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებით), ადვოკატი პასუხს აგებს მისი კლიენტების წინაშე მორიგების პირობებიდან და შედეგებიდან გამომდინარე... რწმუნებაზე ხელის მოწერით კლიენტი გამოხატავს ნდობას არა მხოლოდ ადვოკატის, არამედ მისი პროფესიის მიმართ“. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატმა თავისი საქციელით – კლიენტთან შეუთანხმებლად მორიგების საკითხის გადაწყვეტისას – დაარღვია მისდამი კლიენტის ნდობა[4].

პირადი ღირსებისა და პატიოსნების, როგორც ადვოკატის პროფესიული ღირებულების შესახებ, საგულისხმოა ეთიკის კომისიის განმარტება.

---

[3] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 112/11, 25 მაისი, 2012 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2012/25.05.12_112_11.pdf

[4] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 3091/11/07, 29 ნოემბერი, 2007 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/29.11.2007.pdf

საკითხი ეხებოდა იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გამომძიებლის საჩივარს ადვოკატის ქმედებაზე, როდესაც ამ უკანასკნელმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტში კლიენტთან შეხვედრისას გადაყლაპა გაურკვეველი საგანი, სავარაუდოდ, ნარკოტიკული ნივთიერება; იმავე დღეს ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დადგინდა, რომ ადვოკატი იმყოფებოდა ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ. ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, ადვოკატის მხრიდან ადგილი ჰქონდა ადვოკატისათვის შეუფერებელ ქმედებასა და პროფესიული ღირსების შელახვას, რაც საკმარისი საფუძველი გახდა საჩივრის განხილვის საპროცესო ეტაპზე საქმის აღძვრისათვის. საბოლოოდ, ეთიკის კომისიამ თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა: „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი ავალდებულებს ადვოკატს შეინარჩუნოს პირადი ღირსება და პატიოსნება, ადვოკატის ვალდებულებაა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება და პატივი სცეს თავის საქმიანობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს იმგვარად, რომ ეჭვქვეშ დააყენოს ადვოკატის პროფესიის ავტორიტეტი...“ კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის ქმედება პროფესიისათვის შეურაცხმყოფელი ფაქტია.

ამრიგად, ეთიკის კომისიის ამ გადაწყვეტილებით, ადვოკატის პირადი ღირსება და პატიოსნება არა მხოლოდ კონკრეტული ადვოკატის, როგორც ინდივიდის პიროვნული თვისებებია, არამედ თავისი მნიშვნელობით უფრო ვრცელი მასშტაბისაა და აპეკ-ის მე-3 მუხლში (ნდობის პრინციპი) ყველა ის პირადი თვისება, რომელიც ადვოკატს პიროვნულად უნდა ახასიათებდეს, იმავდროულად, ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებებად განიხილება. ყოველი კონკრეტული ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა, იმავდროულად, ხელს უწყობს აპეკ-ში გაცხადებული მიზნის – ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებას[5].

## 3.2. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობის „დეფიციტი“

სავალდებულო დაცვის შემთხვევაში, როდესაც სახეზეა დაცვის უფლების უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფოს მიერ ვალდებულების შესრულება, სახელმწიფოს ხარჯზე იქნეს კონკრეტული პირის უფლება დაცული, როგორც წესი, ივარაუდება ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობაში ნდობის დეფიციტი.

დაცვა „შეთანხმებით“ კლიენტის არჩევანს და ნების თავისუფალ გამოვლენას ემყარება კონკრეტული ადვოკატის მიმართ, ხოლო დაცვა „დანიშვნით“ კლასიკური ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის ფარგლებს სცილდება, რადგან ამ შემთხვევაში სახეზეა არა კლიენტის ნების საფუძველზე და მისი არჩევით ადვოკატის ჩართვა საქმეში, არამედ სავალდებულო წესით, სახელმწიფოს მიერ პირის კანონით დაცული უფლებების უზრუნველყოფის მიზნით ადვოკატის დანიშვნა. სწორედ ეს არის საფუძველი იმ ვარაუდისა, რომ საწყის ეტაპზე მაინც არ არსებობს ან ძალზედ ფორმალურია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა და კლიენტის



---

[5] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 3030/07, 10 ოქტომბერი, 2007, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/10.10.2007.pdf

ადვოკატისადმი ნდობა. ეს არის ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობის ნაწილი, იმოქმედოს იმგვარად, რომ მოიპოვოს მისდამი კლიენტის ნდობა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადვოკატ-კლიენტის კომუნიკაცია, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ურთიერთობის ნდობით განმსჭვალვას და საზოგადოებრივი ადვოკატის განსაკუთრებული პასუხისმგებლობა გამოიხატება მის გულისხმიერ დამოკიდებულებაში კლიენტის პიროვნებასთან, მის საქმესთან[6].

„თუ არ არსებობს გონივრული საფუძვლები სახელმწიფოს მიერ დანიშნული ადვოკატის მხრიდან დაუდევრობის ან თვითნებობის განხორციელების თაობაზე, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ სახელმწიფომ შეასრულა ვალდებულება ეფექტური იურიდიული დახმარების შესახებ“[7].

[6] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 096/11, 25 ივლისი, 2012 წელი.

[7] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Kulikowski v. Poland, განაცხადის 18353/03, 09 მაისი, 2009 წელი.

# 4. კონფიდენციალობის პრინციპი

1. *ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით. (08.12.2012)*

2. *კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში.*

3. *ადვოკატმა განზრახ არ უნდა გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია:*

   *ა) კლიენტის წინააღმდეგ;*

   *ბ) საკუთარი ან მესამე პირის მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი შესაბამის თანხმობას განაცხადებს. (08.12.2012)*

4. *ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია:*

   *ა) კლიენტის თანხმობის საფუძველზე;*

   *ბ) თუ ინფორმაციის ამგვარი გამოყენება წარმომადგენლობის ან დაცვის პროცესში გამართლებულია და აუცილებელია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე იმ პირობით, რომ ასეთი ინფორმაციის გაცემა კლიენტს ადვოკატისთვის წინასწარ არ აუკრძალავს;*

   *გ) თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მის მიმართ წაყენებული ბრალდებისაგან ან მოთხოვნისგან თავის დასაცავად ან საკუთარი ჰონორარის მიღებისათვის. (08.12.2012)*

5. *ადვოკატმა მის პარტნიორებს, თანამშრომლებს და სხვა პირებს, რომლებიც მის მიერ მოწვეულნი არიან პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, უნდა მოსთხოვოს კონფიდენციალობის დაცვა. (08.12.2012)*

ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა ეფუძნება განსაკუთრებულ ნდობას, რომლის ძირითადი საყრდენია ადვოკატის მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას კონფიდენციალურობის ვალდებულების დაცვა. კონფიდენციალურობის ვალდებულებას „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი პროფესიულ საიდუმლოებად განიხილავს და ადგენს, რომ ადვოკატის მოვალეობაა დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად, კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაავრცელოს კონფიდენციალური ინფორმაცია და პროფესიული

საიდუმლოების დარღვევის შემთხვევაში, ადვოკატს დაეკისრება პასუხისმგებლობა კანონითა და აპეკ-ით დადგენილი წესით[1].

ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიასაც უწოდებენ, რაც ადვოკატის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციისადმი მოპყრობისა და დაცვის მაღალ სტანდარტს მოითხოვს. კლიენტის საუკეთესო ინტერესებისათვის ადვოკატს ევალება პროფესიული საიდუმლოების დაცვა, ინფორმაციისა, რომელიც მის ხელთ სწორედ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის ფარგლებში აღმოჩნდა. ადვოკატს ევალება გაამართლოს მისდამი კლიენტის ნდობა, რაც უპირველესად კლიენტისაგან უშუალოდ მიღებული ინფორმაციის, კლიენტის საქმეზე ნებისმიერი სხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციისადმი პროფესიულ მიდგომას მოითხოვს. პროფესიული მიდგომა კი რამდენიმე კომპონენტს შეიცავს და საადვოკატო საქმიანობაში კლიენტის ინტერესების უპირატესობას, ადვოკატის პირადი და სხვა პირების ინტერესების არიდებას, ამ უკანასკნელთა კლიენტის ინტერესებში აღრევის დაუშვებლობას მოითხოვს; დამოუკიდებელი პროფესიული განსჯით კლიენტთან მუდმივ კომუნიკაციას ნიშნავს და კლიენტის ინტერესების ერთგულად დასაცავად, მის ინფორმირებას, კონკრეტული ინფორმაციის (მ.შ. მტკიცებულების) გამოყენებისათვის კლიენტისაგან თანხმობას მოითხოვს. პროფესიული მიდგომა ადვოკატს ავალდებულებს კლიენტის იურიდიულ დახმარებას მისთვის მისაღები გადაწყვეტილების მიღებაში, კლიენტისათვის სასურველი იურიდიული ინტერესის დასაცავად და შედეგის მისაღწევად კანონიერების პრინციპზე დაყრდნობით განხორციელებულ საქმიანობას. ეს ვალდებულებებით დატვირთული სამართლებრივი ურთიერთობა მორალურ-ზნეობრივ პასუხისმგებლობას აკისრებს ადვოკატს და კონფიდენციალური ინფორმაციისადმი მოპყრობას რამდენიმე თვალსაზრისით ასახავს აპეკ-ში.

კონფიდენციალურობის ვალდებულება ადვოკატის პროფესიულ საქმიანობაში საინტერესოდ წარმოჩნდა ეთიკის კომისიის, როგორც სასამართლოს მსგავსი ფუნქციის მქონე ორგანოს საქმიანობაში.

## 4.1. კონფიდენციალურობის ვალდებულება დროის საზომით არ შემოიფარგლება

„კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში და ადვოკატს ეკისრება ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის ვალდებულება კლიენტის საქმესთან დაკავშირებით საადვოკატო მომსახურების დასრულების შემდეგ, გარდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა“[2]. საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაში კლიენტისაგან მიღებული ან მის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის ნებისმიერი ფორმით გათქმა, მისი გაუმჟღავნებლობის დაუცველობა, თუნდაც კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტის (კლიენტის ან ადვოკატის ინიციატივით), მომსახურე-

[1] „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5, მუხლი 7.

[2] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 134/12, 27 მაისი, 2013 წელი.

ბის დასრულების (ხელშეკრულების ვადის გამო) შემდეგ, არ აძლევს ადვოკატს იმის საფუძველს, რომ დასრულებულად ჩათვალოს, ამოწურულად მიიჩნიოს ის ვალდებულება, რომელიც კონფიდენციალურობის პრინციპს უკავშირდება. ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ „ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულებით კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულების გარკვეული ვადით შეზღუდვა ეწინააღმდეგება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულებას იმის მიუხედავად, რომ კლიენტმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებაზე და, შესაბამისად, დაეთანხმა მასში მითითებულ პირობებს“[3]. ეს გადაწყვეტილება იმითაც არის საინტერესო, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ადვოკატს არ გაუხმაურებია კონფიდენციალური ინფორმაცია, თუმცა, პროფესიული კორპორაციული მიზნიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ გადაწყვეტილებაში მიუთითა, „დაუშვებელია, ადვოკატმა საკუთარ თავს კლიენტთან დადებული ხელშეკრულებით მიანიჭოს ისეთი ქმედების განხორციელების უფლება, რასაც უკრძალავს პროფესიული ეთიკის ნორმები“. განსახილველ შემთხვევაში, კომისიამ აღნიშნა, რომ ხელშეკრულებაში მსგავსი ჩანაწერის არსებობა კლიენტს ფაქტობრივად უზღუდავს უფლებას, მისი საქმის შესახებ ადვოკატისათვის განდობილი ან თუნდაც სხვა წყაროდან მოპოვებული ინფორმაცია განუსაზღვრელი ვადით დარჩეს კონფიდენციალური, გარდა აპეკ-ით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა.

## 4.2. ადვოკატის ვალდებულება გაამართლოს კლიენტის ნდობა

„ადვოკატის ძირეული ფუნქციაა კლიენტისაგან მიიღოს ინფორმაცია, რომელსაც ეს უკანასკნელი სხვა პირს არ გაანდობდა და ნდობის საფუძველზე იყოს ამ ინფორმაციის მიმღები, კონფიდენციალურობის უეჭველობის გარეშე, შეუძლებელია ნდობის არსებობა“. ამდენად, კონფიდენციალურობა ადვოკატის ერთ-ერთი ფუნდამენტური მოვალეობაა[4]. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კონფიდენციალურობის პატივისცემა[5]. ადვოკატის მოვალეობაა პატივი სცეს პროფესიულ საიდუმლოებას ეროვნული კანონმდებლობის, დებულებებისა და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად. პროფესიული საიდუმლოების ნებისმიერი სახის დარღვევა კლიენტის თანხმობის გარეშე, უნდა ექვემდებარებოდეს შესაბამის სანქციებს[6].

ერთ-ერთ საქმეზე ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ კომისიისათვის კლიენტის თაობაზე ადვოკატის მიერ მიცემულ ახსნა-განმარტებებში „გაკეთებულია ისეთი

---

[3] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 134/12, 27 მაისი, 2013 წელი.

[4] ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი (CCBE) -2.3-2.3.1http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/regulaciebi/evrogaertianebis%20advokatTa%20qcevis%20kodeqsi.pdf

[5] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2000)21- პრინციპი I, პუნქტი 6, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/regulaciebi/evropis%20sabwo,%20ministrTa%20komitetis%20rekomendacia.pdf

[6] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2000)21- პრინციპი III, პუნქტი 2, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/regulaciebi/evropis%20sabwo,%20ministrTa%20komitetis%20rekomendacia.pdf

შეფასებები, რომლებიც არღვევს კონფიდენციალობის პრინციპს, ვინაიდან იგი მოიცავს კლიენტისგან პროფესიული საქმიანობის დროს მიღებულ ინფორმაციას, რომლის დაცვის ვალდებულება ადვოკატს უნარჩუნდება კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგაც“[7].

ადვოკატმა უნდა გაამართლოს მისდამი კლიენტის ნდობა, რაც კლიენტისაგან ან მის საქმეზე მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ვალდებულებას ეხება, ანუ ეს არის სრულიად გონივრული მოლოდინი კლიენტის მხრიდან, რომელიც ადვოკატს სწორედ იმიტომ უმხელს მისთვის ყველაზე სათუთ, შესაძლოა მტკივნეულ, მორალურად მძიმე, საზოგადოების მხრიდან გასაკიცხ ინფორმაციას, რომ ადვოკატისაგან ელოდება დახმარებას, სამართლებრივი გამოსავლის მოძებნას, მოსალოდნელი შედეგიდან, კანონიერების პრინციპის დაცვით, მისთვის ყველაზე უფრო მისაღები მიზნის მისაღწევად პროფესიულ თანადგომას.

## 4.3. კლიენტის წინააღმდეგ კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენების დაუშვებლობა

ეთიკის კოდექსის მეოთხე მუხლი 2012 წლის 08 დეკემბრის ცვლილება-დამატებებამდე (ძველი რედაქციით 15.04.2006.) არ შეიცავდა ჩანაწერს კონფიდენციალური ინფორმაციის კლიენტის წინააღმდეგ გამოყენების აკრძალვის შესახებ. ამის საჭიროება ეთიკის კომისიის პრაქტიკამ წარმოაჩინა. ეთიკის კომისიამ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტა: „კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა არ გულისხმობს მხოლოდ ინფორმაციის განსაჯაროების აკრძალვას. ინფორმაციის დაცვა მოიცავს ასევე ადვოკატის ვალდებულებას, არ გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ“[8]. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატმა კლიენტის საქმის წარმოების პროცესში ამ უკანასკნელისაგან მიღებული ინფორმაცია მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ, მისსავე საზიანოდ გამოიყენა და საკუთარი ინტერესი დაიკმაყოფილა; საკუთარი კლიენტის წინააღმდეგ ადვოკატმა მოთხოვნა წარადგინა სასამართლოში და კლიენტის პირად ანგარიშს უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ყადაღა დაედო.

კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპის დარღვევით იმოქმედა ადვოკატმა იმ შემთხვევაშიც, როდესაც ეთიკის კომისიაში მის წინააღმდეგ კლიენტის შესულ საჩივარს, უპასუხა კლიენტის წინააღმდეგ მისი პირადი სახის ინფორმაციის მოპოვებითა და წარდგენით კომისიაში.

ეთიკის კომისიამ აღნიშნა: „ადვოკატის მიერ ყოფილი კლიენტის ჯანმრთელობის შესახებ ადვოკატის მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას, ვინაიდან კონფიდენციალურად მიიჩნევა ადვოკატის მიერ პროფესიული საქმიანობისას, როგორც უშუალოდ კლიენტისაგან, ასე-

---

7 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 092/10, 14 ივნისი, 2011 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/14.06.2011.pdf

8 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 094/11, 10 აპრილი, 2012 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2012/10.04.2012_09411.pdf

ვე ადვოკატის მიერ სხვა წყაროდან მიღებული ინფორმაცია. მართალია, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, ადვოკატი უფლებამოსილია გაამჟღავნოს ის კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ეთიკის კომისიაში ყოფილი კლიენტის მიერ წაყენებული ბრალდებისაგან თავის დასაცავად, მაგრამ ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატმა თავი უნდა დაიცვას კანონის დაცვით მოპოვებული მტკიცებულებებით.

კლიენტი ადვოკატს მინდობილობას/ორდერს გადასცემს მისი ინტერესების დაცვის მიზნით და იგი უფლებამოსილი არ არის აღნიშნული დოკუმენტები გამოიყენოს კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ, მათ შორის, საკუთარი ინტერესების დასაცავად, მოცემულ შემთხვევაში კი, ისარგებლოს რა კლიენტის მინდობილობით/ორდერით და ეთიკის კომისიაში კლიენტის ბრალდებისაგან თავის დასაცავად წარსადგენი ინფორმაცია გამოითხოვოს მისი სახელით. ეთიკის კომისია თვლის, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ ყოფილი კლიენტის მიერ გაცემული დოკუმენტაციით სარგებლობის აკრძალვას, ვინაიდან ადვოკატის მიერ კლიენტის სახელით განხორციელებული ქმედებები მესამე პირების მიერ განიხილება, როგორც კლიენტის ნების გამოხატულება და, როგორც წესი, ეჭვქვეშ არ დგება ადვოკატის საიმედოობა და კეთილსინდისიერება“[9].

კლიენტთან საადვოკატო მომსახურების დასრულების შემდეგაც კი, დაუშვებელია კლიენტის პიროვნების სუბიექტური შეფასებისას ან მის საქმეზე პროფესიული საქმიანობის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის გამოყენება კლიენტის წინააღმდეგ. ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ ადვოკატის მიერ კლიენტის მიმართ გაკეთდა შეფასებები: „მე პირადად დავრწმუნდი იმაში, რომ X არის უარყოფითი პიროვნება, მას წინასწარ განზრახ ჰქონდა ჩადენილი დანაშაული მრავალგზის, რასაც ახორციელებდა სხვადასხვა გზებითა და მეთოდებით“, „ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს 80 000 (ოთხმოცი ათასი) აშშ დოლარი ჰქონდა თაღლითურად თურქეთის მოქალაქისგან მითვისებული, საქმე მქონდა კლასიკურ თაღლითთან და მისივე ჯგუფის წევრებთან, რომლებიც მიიმალნენ სასამართლო მსვლელობის დროს. მე ნამდვილად ველარ გავაგრძელებდი N-ის დაცვას“.

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა კლიენტის ასეთი შეფასებებით დაარღვია კონფიდენციალურობის პრინციპი, რადგან ადვოკატის განმარტება ეთიკის კომისიის წინაშე შეიცავდა კლიენტისაგან პროფესიული საქმიანობის დროს მიღებულ ინფორმაციას, რომლის დაცვის ვალდებულება ადვოკატს უნარჩუნდება კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგაც. ამასთან, ეთიკის კომისიამ ყურადღება გაამახვილა, რომ კლიენტის შესახებ მსგავსი განცხადებების გაკეთება არ იყო განპირობებული ადვოკატის მიმართ კომისიაში წაყენებული ბრალდებიდან თავის დაცვის აუცილებლობით. „კლიენტის „კლასიკურ თაღლითად“ მოხსენიება, ასევე მასთან დაკავშირებული პირებისთვის დანაშაულში ბრალის დადება, არ არის კავშირში ადვოკატის მიერ დაცვის განხორციელების

[9] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 001/12, 27 ივნისი, 2012 წელი.

შეწყვეტის თაობაზე კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობის გამო თავის მართლებასთან“[10].

ეთიკის კომისიამ ახლადდანერგილი რეკომენდაციების პროექტის ფარგლებში წერილობითი მოსაზრება გასცა ჰიპოთეტურ შეკითხვაზე, რომელიც ადვოკატის მიერ საჯაროდ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით, კლიენტის შესახებ გაკეთებული განცხადების შეფასებას ეხებოდა. ჰიპოთეტური შეკითხვა ადვოკატის შემდეგ კომენტარს ეხებოდა: „ჩემმა დაცვის ქვეშ მყოფმა ჩაიდინა საშინელი დანაშაული, უდანაშაულო ადამიანს ყალბი საბუთების საფუძველზე მოუხდა ერთი წელი ყველასთვის ცნობილ პირობებში – ციხეში ყოფნა. მიუხედავად ამისა, როგორც ქრისტიანმა – დაზარალებულმა მათ შეუნდო დანაშაული...“ ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ საკუთარი კლიენტის მიმართ ამგვარი შეფასებები შესაძლოა არღვევდეს კონფიდენციალურობის პრინციპს, „ვინაიდან მოცემული განცხადება წარმოადგენს პროფესიული საქმიანობის დროს მიღებულ ინფორმაციას და ადვოკატს ეკისრება მისი დაცვის ვალდებულება... კლიენტის თანხმობის გარეშე, ადვოკატს არ აქვს უფლება გაავრცელოს პროფესიული საქმიანობისას მიღებული ინფორმაცია“[11]. ეთიკის კომისიის რეკომენდაცია ამით არ შემოფარგლულა, კომისიამ იმ შემთხვევაზეც იმსჯელა, თუ ზემოხსენებული ფორმულირებით, კლიენტის თანხმობით, გაავრცელებდა ადვოკატი იმავე ინფორმაციას. ცხადია, კლიენტის ინტერესების უპირატესობის არსიდან გამომდინარე, ასეთი ქმედება შეფასდება კლიენტთან შეთანხმებით და მისივე ინტერესებით მოქმედების ვალდებულების დაცვად და თუნდაც ზემოხსენებული შინაარსის სიტყვები, რომ კლიენტმა ჩაიდინა „საშინელი დანაშაული“, არ იქნება მიჩნეული კონფიდენციალურობის ვალდებულების დარღვევად.

ეთიკის კომისია ხსენებული რეკომენდაციით ადვოკატთა ყურადღებას მიაქცევს იმ მნიშვნელოვან საკითხზე, რომ თუნდაც ობიექტურად არსებული ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც ადვოკატმა პროფესიული საქმიანობისას მოიპოვა, უკავშირდება კლიენტს და/ან მის საქმეს, არ უნდა იქნეს გამოყენებული ადვოკატის სუბიექტური შეხედულების მიხედვით, მხოლოდ კლიენტის გადასაწყვეტია, თუ რომელი ინფორმაცია და რა მოცულობით იქნება მისივე მიზნებიდან გამომდინარე გამოყენებული; შესაბამისად, აპეკ-ით განმტკიცებული კლიენტის ინტერესების უპირატესობისა და კონფიდენციალურობის პრინციპების კეთილსინდისიერად დაცვის ვალდებულება მოქმედებს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობაზე. კონფიდენციალურობის იგივე ვალდებულება, რომელიც დროში შეუზღუდავია, აქტუალურია და კვლავაც მოქმედებს კლიენტთან ურთიერთობის დასრულების შემდეგაც.

ადვოკატ-კლიენტის პრივილეგია ემყარება კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპის საფუძველზე ნდობაზე დამყარებულ ურთიერთობას, რომელსაც იცავს ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების ანუ კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება.

---

[10] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 029/11, 17 მარტი, 2011 წელი.

[11] ეთიკის კომისიის წერილობითი რეკომენდაცია 017/13, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/rekomendaciebi/cerilobiti/27.09.2013-017.13.pdf

# 5. კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი

***ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს. (08.12.2012)***

კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი ადვოკატის ერთ-ერთი მთავარი სახელმძღვანელო პრინციპია, ვინაიდან ადვოკატი, როგორც კლიენტის საუკეთესო ინტერესების დამცველი, კლიენტის ინტერესებს პირად და სხვა პირთა ინტერესებზე მაღლა უნდა აყენებდეს.

აპეკ-ის მე-5 მუხლს, დამატებათა და ცვლილებათა განხორციელების შედეგად, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის ნაცვლად დაერქვა კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი და დაემატა მეორე წინადადება, სადაც კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი იმას, რომ მიუხედავად ადვოკატისათვის კლიენტის ინტერესების უპირატესობისა, მის დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და აპეკ-ით დადგენილ სხვა პრინციპებს.

კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპზე კიდევ ერთხელ გვხვდება მითითება აპეკ-ის მე-10 მუხლის პირველ ნაწილში, რომელიც ადვოკატებს შორის ურთიერთობის მოწესრიგებასთან ერთად, ადგენს, რომ „დაუშვებელია კლიენტის ინტერესებზე წინ პროფესიის ინტერესების დაყენება“.

## 5.1. კლიენტის ინტერესების მიმართება ადვოკატის პირად ინტერესებთან

### *5.1.1. მოწინააღმდეგე მხარესთან საქმიანი ურთიერთობა*

ეთიკის კომისიამ ინტერესთა უპირატესობის პრინციპის დარღვევა დაადგინა იმის გამო, რომ ადვოკატი კლიენტის ინტერესებს წარმოადგენდა იმ პირის წინააღმდეგ, ვისთანაც აკავშირებდა საქმიანი ურთიერთობა. კერძოდ, ადვოკატმა კლიენტის სახელით განცხადება სარჩელზე უარის თქმისა, ყადაღის გაუქმებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე, გააკეთა კლიენტთან შეთანხმების გარეშე და მისი ინტერესების საზიანოდ; აღნიშნული განცხადება, სარჩელზე უარის თქმისა და წარმოების შეწყვეტის თაობაზე, სასამართლოს მიერ არ იქნა დაკმაყოფილებული; ადვოკატსა და კლიენტის მოწინააღმდეგე მხარეს შორის არსებობდა საქმიანი ურთიერთობა; ადვოკატმა კლიენტთან შეუთანხმებლად მიმართა სასამართლოს უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების მოთხოვნით; აღნიშნული მოთხოვნა უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ, სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა. ამ საქმეში არ არსებობდა სადავო ფაქტობრივი გარემოება[1].

[1] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 022/11, 03 ივნისი, 2011 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/30.06.2011.pdf

ეთიკის კომისიამ განმარტა: „ადვოკატის მიერ საქმის წარმოებისას კლიენტი უნდა იღებდეს მის საქმესთან დაკავშირებით არსებით გადაწყვეტილებებს, როგორიცაა: სასამართლოში სარჩელის შეტანა ან მასზე უარის თქმა, სარჩელის ცნობა და ა.შ., ხოლო ადვოკატი უნდა იყოს მისი მრჩეველი და წარმომადგენელი. ...ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მიცემული რჩევა და განხორციელებული წარმომადგენლობა შესაბამისობაში უნდა იყოს კლიენტის ინტერესებთან და მიზნად უნდა ისახავდეს კლიენტის ინტერესების დაცვას. ეთიკის კომისია თვლის, რომ კლიენტის მიერ ადვოკატისათვის გაცემული მინდობილობის მიუხედავად, კლიენტის ინტერესებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ადვოკატის მიერ უნდა განხორციელდეს კლიენტთან შეთანხმებით და არა ადვოკატის მიერ ერთპიროვნულად“[2].

ეთიკის კომისიამ თბილისის საქალაქო სასამართლოში ადვოკატის წარდგენილი განცხადება საქმის წარმოების შეწყვეტისა და ყადაღის გაუქმების თაობაზე, შეაფასა, როგორც კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედება, რადგან აღნიშნული განცხადება არ იყო კლიენტის მიერ მოწონებული და კლიენტის ინტერესს წარმოადგენდა საქმის განხილვა და სასამართლოში წარდგენილი მოთხოვნის დაკმაყოფილება. ეთიკის კომისიამ მიუთითა: „კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა შესაძლებელია გამოუსწორებელი ზიანი მიაყენონ კლიენტს, რადგან ადვოკატის მიერ კლიენტის სახელით გაკეთებული განცხადებები მესამე პირების მიერ განიხილება, როგორც კლიენტის ნების გამოხატულება და, როგორც წესი, ეჭვქვეშ არ დგება ადვოკატის საიმედოობა და კეთილსინდისიერება. განსახილველ შემთხვევაში ადვოკატის განცხადება უზრუნველყოფის საშუალების ღონისძიების გაუქმების თაობაზე დაკმაყოფილდა, რადგან იგი სასამართლოს მიერ მიჩნეული იქნა, როგორც კლიენტის სურვილი და ამ გზით მიადგა ზიანი კლიენტის ინტერესებს“[3].

ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ „ადვოკატსა და კლიენტის მოწინააღმდეგე მხარეს შორის საქმიანი ურთიერთობისა და ვალდებულებების არსებობა წარმოშობს საფრთხეს, რომ ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესებზე მაღლა დაყენებული იქნეს ადვოკატის პირადი ან კლიენტის მოწინააღმდეგე მხარის ინტერესი. ადვოკატმა კლიენტის ინტერესებზე მაღლა დააყენა მოწინააღმდეგე მხარის ინტერესი და კლიენტის თანხმობის გარეშე მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა და ყადაღის გაუქმება, რაც უშუალოდ მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებში შედიოდა“[4].

[2] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 022/11, 03 ივნისი, 2011 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/30.06.2011.pdf

[3] იქვე.

[4] იქვე.

### *5.1.2. რამდენიმე საქმის ერთდროულად წარმოება*

კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის დარღვევის კუთხით მნიშვნელოვანია გადაწყვეტილება, რომელშიც ადვოკატი არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე, რის გამოც საჩივრის ავტორის ინტერესების საწინააღმდეგოდ, სასამართლომ საპროცესო კანონით დადგენილი წესით გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ადვოკატის განმარტებით, იგი აუცილებლად უნდა წასულიყო სამსახურებრივ მივლინებაში რაიონში და წაეღო მნიშვნელოვანი საბუთები. ადვოკატმა სასამართლო სხდომამდე მცირე ხნით ადრე შეიტანა განცხადება პროცესზე გამოუცხადებლობის შესახებ. ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატმა კლიენტის ინტერესებზე მაღლა სამსახურებრივი ინტერესი დააყენა[5].

„იმისგან დამოუკიდებლად, იცოდა თუ არა კლიენტმა სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები, ადვოკატი პასუხისმგებელია კლიენტის წინაშე საქმისწარმოების ყველა ეტაპზე. ... მნიშვნელოვანია საქმეთა პარალელურად წარმოებისას, ორ და მეტ სამუშაო ადგილზე საქმიანობისას, ადვოკატმა საკუთარ თავზე აიღოს ის ტვირთი, რომელიც რამდენიმე ადგილას მუშაობას უკავშირდება, რადგან იურისტის მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელების შედეგი კონკრეტულ პირთა ინტერესებს ეხება. ... მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატი საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, უსაფუძვლოდ იყო დარწმუნებული, რომ სასამართლო საქმის მისი კლიენტის ინტერესისათვის ყველაზე ცუდი შედეგით დამთავრების შემთხვევაშიც კი, პროცესუალური კანონით დაიცავდა კლიენტის ინტერესებს და უარყოფითი შედეგის გაუქმებას შეძლებდა“[6].

კომისიის მოსაზრებით, „ადვოკატს, საადვოკატო საქმიანობის რამდენად დიდი გამოცდილებაც არ უნდა ჰქონდეს, მოეთხოვება საქმის გარემოებათა შეფასება იმის გათვალისწინებით, რომ ყოველი საქმე თავისი სპეციფიკურობით ხასიათდება, საქმეში არსებული არცერთი მტკიცებულება კანონის ძალით არ არის სასამართლოსათვის დადგენილი იურიდიული ძალის მქონე და, შესაბამისად, ადვოკატმა ყოველთვის უნდა შეძლოს იმ საფრთხეების განჭვრეტა, რაც გონივრულ ფარგლებში შეიძლება შეფასდეს, როგორც რისკის შემცველი კლიენტის ინტერესებისათვის. ადვოკატის თვითიმედოვნება მძიმე შედეგით დაუბრუნდა კლიენტს, რითაც დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლის მოთხოვნა კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის შესახებ ყველა სხვა პირის, თვით ადვოკატის ინტერესებთან შედარებითაც კი“[7].

---

[5] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 034/11, 27 აგვისტო, 2011 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/27.08.2011_03411.pdf

[6] იქვე.

[7] იქვე.

### *5.1.3. ფინანსური ინტერესი*

კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ ადვოკატს, რომელიც კლიენტის შესახებ კონფიდენციალურ ინფორმაციას ფლობს, უზღუდავს საკუთარი ინტერესების მიხედვით მოქმედებას.

ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ კლიენტის წარმომადგენლობისას მოწინააღმდეგე მხარესთან სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლისა და კლიენტისაგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენების თაობაზე[8]. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში, ადვოკატი წარმოადგენდა კლიენტის ინტერესებს სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, რა დროსაც კლიენტის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და მევალე A-ს დაეკისრა კლიენტისათვის თანხის გადახდა, მაგრამ ადვოკატი კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ შევიდა გარიგებაში იპოთეკარ B-სთან. იპოთეკარი B, ადვოკატის კლიენტის მსგავსად, A-ს კრედიტორს წარმოადგენდა, თუმცა, კლიენტისაგან განსხვავებით, მისი მოთხოვნა უზრუნველყოფილი იყო. ადვოკატმა, იპოთეკარ B-სთან შეთანხმებისა და კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების გარეშე, გააფორმა მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება და გადაუხადა 10 000 აშშ დოლარი, რის შედეგად თავად გახდა მევალე A-ს კრედიტორი. ადვოკატმა კონკურენცია გაუწია კლიენტს და მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ იმოქმედა. დამატებით, ადვოკატმა კლიენტისაგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ გამოიყენა, კერძოდ, მას გააჩნდა ინფორმაცია კლიენტის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, საბანკო ანგარიშების თაობაზე. აღნიშნული ინფორმაციის გამოყენებით ადვოკატმა ყადაღა დაადო კლიენტის ქონებას და მის საწინააღმდეგოდ დაიწყო მოქმედება[9].

ეთიკის კომისიამ ადვოკატის მოქმედება დაუკავშირა საადვოკატო საქმიანობის დამოუკიდებლად განხორციელების მოვალეობას და განმარტა, რომ „წარმომადგენლობის განხორციელებისას მნიშვნელოვანი ფაქტორია, ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვა უზრუნველყოს დამოუკიდებელი პროფესიული მომსახურებით, რაც გულისხმობს, რომ ადვოკატი ვალდებულია დამოუკიდებელი იყოს გარეშე გავლენისაგან, მათ შორის, მისი პირადი ინტერესებისაგან. ადვოკატმა კლიენტის ინტერესები ყოველთვის უნდა დააყენოს უპირატესად სხვა პირთა ან მის პირად ინტერესებთან შედარებით, რათა დაცული იყოს კლიენტისადმი ერთგულების ვალდებულება წარმომადგენლობის განხორციელების განმავლობაში“.

ადვოკატმა, კლიენტსა და A-ს შორის მოლაპარაკებების საწყისი ეტაპიდანვე, კლიენტს მისი ინტერესების საწინააღმდეგო წინადადება შესთავაზა. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ადვოკატის პირადი ინტერესი კლიენტის ინტერესთან მოვიდა წინააღმდეგობაში. კლიენტის, როგორც A-ს კრედიტორის, ინტერესს წარმოადგენდა, რომ A-სთვის გადაცემული თანხა დაებრუნებინა. ად-

---

[8] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 094/11, 10 აპრილი, 2012 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2012/10.04.2012_09411.pdf

[9] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 096/11, 25 ივლისი, 2012 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis _komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2012/25.07.2012_096_11.pdf

ვოკატიც იყო A-ს კრედიტორი და, კლიენტის მსგავსად, მის ინტერესებში იყო, რომ A-სთვის მოეთხოვა ვალდებულების შესრულება. ადვოკატს ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ გაუჩნდა პირადი დაინტერესება, თავად მიეღო A-სთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა და დარიცხული პროცენტები. მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებით, ადვოკატს დამატებითი უპირატესობა გაუჩნდა კლიენტთან შედარებით, რადგან კლიენტის მიერ A-სთვის სესხის სახით გადაცემული თანხა არ იყო უზრუნველყოფილი უძრავი ქონებით, B-ს სესხი კი უზრუნველყოფილი იყო. შესაბამისად, ადვოკატს წარმოეშვა უფლება, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მიემართა აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის და ქონება აუქციონის წესით გასხვისდებოდა. შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ადვოკატს წარმოეშვა შესაძლებლობა, რომ A-ს ქონებაზე მიექცია აღსრულება[10].

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ „ადვოკატი მხოლოდ კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით უნდა მოქმედებდეს, რაც გულისხმობს, რომ კლიენტის ინტერესები ადვოკატის პირად ინტერესებზე ან სხვა პირთა ინტერესებზე მაღლა უნდა განიხილებოდეს, ინტერესთა კონფლიქტი სხვა პირთა ინტერესებსა და კლიენტის ინტერესებს შორის წარმოადგენს კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის დარღვევას“.

მოცემულ შემთხვევაში, ინტერესთა კონფლიქტი ადვოკატის პირად ინტერესსა და კლიენტის ინტერესს შორის, ადვოკატის მიერ იპოთეკართან ხელშეკრულების გაფორმებისა და 10 000 აშშ დოლარის გადაცემის მომენტიდან წარმოიშვა, მაგრამ ადვოკატმა ამავე დღეს მეორე ხელშეკრულება გააფორმა იპოთეკართან, კერძოდ, რწმუნებულება, რომლის მიხედვით, ადვოკატს უნდა დაეცვა მისი ინტერესები სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას. შესაბამისად, ადვოკატს წარმოეშვა ვალდებულება, იპოთეკართან და კლიენტთან გაფორმებული რწმუნებულებების მიხედვით, ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების მქონე კლიენტის ინტერესები დაეცვა.

ეთიკის კომისია აღნიშნულ გადაწყვეტილებაში დაეყრდნო ეთიკის კომისიის პრაქტიკას, რომლის თანახმად, „ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვისას თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს და კლიენტის წარმომადგენლობა უნდა განახორციელოს იმგვარად, როგორც კლიენტი იმოქმედებდა საკუთარი ინტერესებისათვის შესაბამისი ცოდნის, უნარისა და დროის არსებობის შემთხვევაში. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა, თუ ადვოკატის მიერ განხორციელებულ წარმომადგენლობაზე არსებით და უარყოფით გავლენას ახდენს ადვოკატის პირადი ინტერესი ან ვალდებულება კლიენტის, ყოფილი კლიენტის ან მესამე პირის მიმართ“. ... „ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტე-

[10] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 096/11, 25 ივლისი, 2012 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis _komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2012/25.07.2012_096_11.pdf.

რესთა კონფლიქტი მოცემულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე“[11].

ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატს არ გააჩნდა უფლებამოსილება, გაეფორმებინა რწმუნებულება იპოთეკართან, ისევე, როგორც არ უნდა ემოქმედა კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ A-სთან ხელშეკრულების გაფორმებისას. ადვოკატმა კლიენტის საქმესთან დაკავშირებით მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია თავისი ინტერესების სასარგებლოდ გამოიყენა, რითაც დაარღვია პროფესიული ეთიკის კოდექსით და „ადვოკატთა შესახებ“ კანონით დადგენილი კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულება. ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა არ გულისხმობს მხოლოდ ინფორმაციის განსაჯაროების აკრძალვას, ინფორმაციის დაცვა ასევე მოიცავს ადვოკატის ვალდებულებას, არ გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ, რაც მოცემულ შემთხვევაში ადვოკატმა არ შეასრულა და კლიენტის საქმის წარმოების პროცესში მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ და კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ გამოიყენა.

### *5.1.4. საქმის მწარმოებელ ორგანოში საკუთარი თავის დაცვა*

ადვოკატის ინტერესი შეიძლება დაუპირისპირდეს კლიენტის ინტერესს, მას შემდეგ რაც ეს უკანასკნელი ეთიკის კომისიას მომართავს ადვოკატის წინააღმდეგ საჩივრით, მაგრამ ადვოკატი ვალდებულია თავი დაიცვას საჩივარში ჩამოყალიბებული პრეტენზიების ფარგლებში და თავიდან აირიდოს კლიენტის ინტერესების უპირატესობის დარღვევა.

ამ მხრივ საინტერესოა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, რომელშიც ადვოკატმა ნარკოლოგიური ცენტრიდან გამოითხოვა ინფორმაცია საჩივრის ავტორის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მინდობილობის საფუძველზე, მაშინ როდესაც ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ განცხადების წარდგენის დროისათვის, კლიენტთან უკვე შეწყვეტილი ჰქონდა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება[12].

ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ „კლიენტი ადვოკატს მინდობილობას/ორდერს გადასცემს მისი ინტერესების დაცვის მიზნით და იგი უფლებამოსილი არ არის აღნიშნული დოკუმენტები გამოიყენოს კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ, მათ შორის, საკუთარი ინტერესების დასაცავად, მოცემულ შემთხვევაში კი, ისარგებლოს კლიენტის მინდობილობით/ორდერით და ეთიკის კომისიაში კლიენტის ბრალდებისაგან თავის დასაცავად წარსადგენი ინფორმაცია გამოითხოვოს მისი სახელით. ეთიკის კომისია თვლის, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების

[11] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 015/10, 20 აპრილი, 2011 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/20.04.2011.pdf

[12] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 001/12, 27 ივნისი, 2012 წელი.

შეწყვეტის შემდეგ, ყოფილი კლიენტის მიერ გაცემული დოკუმენტაციით სარგებლობის აკრძალვას, ვინაიდან ადვოკატის მიერ კლიენტის სახელით განხორციელებული ქმედებები მესამე პირების მიერ განიხილება, როგორც კლიენტის ნების გამოხატულება და, როგორც წესი, ეჭვქვეშ არ დგება ადვოკატის საიმედოობა და კეთილსინდისიერება“[13].

ადვოკატმა დაადასტურა, რომ ნარკოლოგიური ცენტრიდან საჩივრის ავტორის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მინდობილობის საფუძველზე გამოითხოვა, მაშინ, როდესაც იმ დროისათვის ადვოკატსა და კლიენტს შორის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება შეწყვეტილი იყო კლიენტის ინიციატივით. მართალია, ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ მინდობილობა ისევ ძალაში იყო, თუმცა ადვოკატმა იცოდა, რომ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულებული იყო და მას კლიენტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება აღარ ჰქონდა[14].

ეთიკის კომისიამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ადვოკატის მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია მიეკუთვნება ადამიანის კერძო სფეროს, წარმოადგენს პირად მონაცემებს, რომლის განსაიდუმლოებისთვის დაცული უნდა იყოს კანონით განსაზღვრული წესი. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა, როგორც კლიენტის წარმომადგენელმა, ისე გამოითხოვა ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რომ ამ უკანასკნელის თანხმობა არ ჰქონია, რაც არღვევს კანონიერებისა და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპებს[15].

## 5.2. კლიენტის ინტერესები და კანონიერების პრინციპის ფარგლებში მოქმედების ვალდებულება

საადვოკატო საქმიანობა ეფუძნება კანონიერების პრინციპს, რაც გულისხმობს ადვოკატის მოქმედების ვალდებულებას კანონის ფარგლებში. კანონიერების პრინციპის დაცვას ემსახურება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლიც, რომელიც ადვოკატს, კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, ანიჭებს უფლებას გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით. აღნიშნული მუხლი ადვოკატის მიერ კანონიერების პრინციპისა და ადვოკატის პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვის ვალდებულებას უფრო მაღლა განიხილავს, ვიდრე კლიენტის ინტერესების უპირატესობის დაცვის მოვალეობას.

ერთ-ერთ საქმეზე, სადაც დაფიქსირდა ადვოკატის მიერ ქრთამის მიცემის ფაქტი, ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ „...მართალია, ადვოკატის მიზანი კლიენტის ინტერესების დაცვაა, მაგრამ აღნიშნული ვალდებულება ადვოკატს არ აძ-

[13] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 001/12, 27 ივნისი, 2012 წელი.

[14] იქვე.

[15] იქვე.

ლევს უფლებას, გამოიყენოს კანონსაწინააღმდეგო საშუალებები, თუნდაც ამას კლიენტი ითხოვდეს და კლიენტს საჭიროდ მიაჩნდეს დაცვის ამგვარი გზით განხორციელება. ადვოკატი ვალდებულია, კანონით გათვალისწინებული საშუალებებითა და პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტებით იმოქმედოს“[16].

კომისიამ აღნიშნა, რომ „ადვოკატი მისი მოქმედებით ორიენტირებული იყო არა სამართლებრივი გზით კლიენტისათვის დახმარების აღმოჩენაზე, არამედ უკანონო გზით შედეგის მიღწევაზე. ადვოკატის მიერ ქრთამის მიცემის ფაქტმა, საფრთხე შეუქმნა კლიენტის ინტერესების დაცვას და პირადად კლიენტი დააყენა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის რისკის ქვეშ“[17].

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ „ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედების შეფასებისას, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ადვოკატი მოქმედებდა სუბიექტური ფაქტორის, შიშის გათვალისწინებით და არა კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე“[18].

## 5.3. კლიენტის „ნება“

კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი იმთავითვე გულისხმობს ადვოკატის მოქმედებას კლიენტის ნებისა და მასთან შეთანხმების გათვალისწინებით.

საინტერესოა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, რომელშიც დადგინდა, რომ კლიენტის (ბრალდებულის) ინტერესების პრიორიტეტულობის გვერდის ავლით და მისივე ინტერესის საწინააღმდეგოდ, ადვოკატმა სისხლის სამართლის საქმეზე განახორციელა კლიენტის დაცვა იმ პირობებში, როდესაც ადვოკატმა დასაცავი პირისაგან პირადად შეიტყო, რომ მას არ სურდა ამ ადვოკატის წარმომადგენლობა, მას უკვე ჰყავდა სხვა დამცველები. კერძოდ, ადვოკატის მიერ პროფესიული საქმიანობისას დარღვევად იქნა მიჩნეული „...ის ფაქტი, რომ ადვოკატმა არ დააყენა თვითაცილება, მაშინ როდესაც ბრალდებული წინააღმდეგი იყო, დაეცვა მისი ინტერესები“[19].

კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი ასევე დარღვეულად იქნა მიჩნეული ადვოკატის მოქმედებით, როდესაც მან მიიღო საპროცესო ღონისძიებაში მონაწილეობა იმის მიუხედავად, რომ ერთ-ერთმა სრულწლოვანმა ეჭვმიტანილმა უარი განაცხადა მის მომსახურებაზე. სსსკ-ის 73-ე და 76-ე მუხლების შესაბამისად (ეთიკის კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას არსებული

---

[16] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 057/10, 07 მარტი, 2011 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/07.03.2011.pdf

[17] იქვე.

[18] იქვე.

[19] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 3083/12/07, 05 დეკემბერი, 2007 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/05.12.2007-gadawyvetileba.pdf

რედაქციით), „ექვმიტანილსა და ბრალდებულს უფლება აქვთ, თავად შეარჩიონ დამცველი და უარი თქვან შერჩეულ დამცველზე“. შესაბამისად, ადვოკატმა სრულწლოვანი პირის – ბრალდებულის ნების გარეშე დაცვით, როდესაც არ არსებობდა საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული იძულებითი დაცვის სავალდებულობა, მისი ინტერესების შესაბამისად არ იმოქმედა[20].

## 5.4. კლიენტის ინტერესისა და პროფესიის ინტერესის ურთიერთმიმართება

კლიენტის ინტერესების უპირატესობის შესახებ, კოლეგებისა და პროფესიის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებთან შედარებით, ეთიკის კომისიამ იმსჯელა გადაწყვეტილებაში, სადაც ადვოკატის მიერ, სხვა პრინციპებთან ერთად, დარღვეულად მიიჩნია კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი. კერძოდ, ადვოკატმა ორდერი გამოწერა არა საკუთარი კლიენტის, არამედ სხვა ადვოკატის კლიენტის სახელზე და საპატიმრო დაწესებულებაში შეხვდა სხვის კლიენტს იმ მოტივით, რომ მისგან მიეღო გარკვეული ინფორმაცია, რასაც საკუთარი კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენებდა.

ეთიკის კომისიას პრეტენზიით მიმართა საპატიმრო დაწესებულებაში მყოფი პატიმრის ადვოკატმა. ეთიკის კომისიის განმარტებით: „ადვოკატის სახელზე ორდერის გამოწერა უნდა განხორციელდეს ორდერის საფუძველზე განსაზღვრული პირის ინტერესების დასაცავად და არა სხვა პირის, თუნდაც ის ადვოკატის კლიენტი იყოს, დავალების შესასრულებლად. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის სახელზე გამოწერილი ორდერი მიზნად ისახავდა არა მსჯავრდებულის (ვის დასაცავადაც იქნა ხელშეკრულება გაფორმებული და ორდერი გამოწერილი), არამედ ამავე ადვოკატის სხვა კლიენტის ინტერესების დაცვას. ამ შემთხვევაში ადვოკატმა იმოქმედა თავისი კლიენტის დავალების საფუძველზე და მსჯავრდებულს შეხვდა მხოლოდ იმ მიზნით, რომ მიეღო თავისი კლიენტის დასაცავად საჭირო ინფორმაცია, რომელიც ადვოკატს დაეხმარებოდა თავისი კლიენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანაში“[21].

კომისიამ აპეკ-ის მე-5 მუხლიდან გამომდინარე დასაბუთებულად მიიჩნია საპატიმრო დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის ადვოკატის განცხადება (პრეტენზია) და განმარტა: „კლიენტის შესახებ არსებული ინფორმაციის დაცვის ვალდებულება, ყოველთვის უპირატესია ადვოკატებს შორის ურთიერთთანამშრომლობიდან გამომდინარე ვალდებულებებზე. ეს დასკვნა გამომდინარეობს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის მეორე

[20] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 001/10, 11 აპრილი, 2010 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/11.04.2010.pdf

[21] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 044/10, 22 ნოემბერი, 2010 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/22.11.2011_044_10.pdf

წინადადებიდან, რომლის თანახმადაც, დაუშვებელია კლიენტის ინტერესებზე წინ პროფესიის ინტერესების დაყენება“[22].

ეთიკის კომისიამ საქმეზე 032/11 მიიჩნია, რომ ადვოკატს არ დაურღვევია პროფესიული ეთიკის კოდექსი და საკუთარი კლიენტის ინტერესების დაცვისა და განხორციელებისათვის მოქმედებდა. ამ საქმეზე განმცხადებლის პრეტენზია ეხებოდა იმას, რომ მისი პროცესუალური მოწინააღმდეგის – ყოფილი მეუღლის ადვოკატი, შეიჭრა მის სახლში ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, მიიყვანა ექსპერტი იმ მიზნით, რომ შეფასებულიყო ბინა. საქმის მასალებიდან გამომდინარე, მეუღლეებს შორის სასამართლოში მიმდინარეობდა დავა თანასაკუთრებიდან კუთვნილი წილის გამოყოფაზე და პროცესუალური მოწინააღმდეგის სახლში ადვოკატმა მიიყვანა ექსპერტი, რათა შეფასებულიყო მისი კლიენტის მიერ სადავოდ ქცეული ქონება[23].

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატი იცავდა თავისი კლიენტის ინტერესებს და მოქმედებდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. განმცხადებლის პრეტენზია მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატისადმი იმის გამო, რომ იგი კლიენტის ინტერესების დასაცავად, კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებდა საპროცესო მოქმედებებს, ვერ გახდებოდა მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი[24].

---

[22] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 044/10, 22 ნოემბერი, 2010 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/22.11.2011_044_10.pdf

[23] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 032/11, 02 მაისი, 2011 წელი.

[24] იქვე.

## 6. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი

*1. ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე. (08.12.2012)*

*2. ინტერესთა კონფლიქტი არსებობს იმ შემთხვევებშიც, როდესაც:*

*ა) ადვოკატის ვალდებულებები ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთსაწინააღმდეგოა ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე.*

*ბ) კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება ეწინააღმდეგება, ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე ამ ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან. (08.12.2012)*

*3. ერთ საადვოკატო ბიუროში (ოფისში, კანტორაში, იურიდიულ ფორმაში და ა.შ.) მომუშავე ადვოკატებს უფლება არა აქვთ მისცენ პროფესიული რჩევა ან წარმოადგინონ რამდენიმე პირი (კლიენტი) ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნულ კლიენტებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე. (08.12.2012)*

*4. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის საფრთხე წარმოიშობა საქმის წარმოების პროცესში. (08.12.2012)*

*5. ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე. (08.12.2012)*

კლიენტთა, ისევე როგორც ადვოკატთა ინტერესები, საადვოკატო საქმიანობისას მრავალფეროვანია. ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებას წარმოადგენს, ისე წარმართოს საადვოკატო საქმიანობა, რომ თავიდან აირიდოს ინტერესთა კონფლიქტი. აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს ადვოკატის როლიდან, რომელიც, ერთი მხრივ, კლიენტის წარმომადგენელია, ხოლო მეორე მხრივ, სამართლის სისტემის ნაწილი, რაც მას კლიენტთა, მართლმსაჯულების, პროფესიისა და საზოგადოების წინაშე ავალდებულებს, რომ საადვოკატო საქმიანობისას პროფესიული ეთიკის ნორმები დაიცვას.

ეთიკის კომისია გადაწყვეტილებაში საქმეზე 092/10 შეეცადა, ინტერესთა კონფლიქტის ცნება ჩამოეყალიბებინა. აღნიშნული განმარტების თანახმად, „ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა, თუ ადვოკატის მიერ განხორციელებულ წარმომად-

გენლობაზე არსებით და უარყოფით გავლენას ახდენს ადვოკატის პირადი ინტერესი ან ვალდებულება კლიენტის, ყოფილი კლიენტის ან მესამე პირის მიმართ“[1].

ინტერესთა კონფლიქტმა შესაძლებელია თავი იჩინოს როგორც საადვოკატო მომსახურების დაწყებამდე, ისე მისი განხორციელებისას ან დასრულების შემდეგ, ვინაიდან ადვოკატს პროფესიული ეთიკის კოდექსით მთელი რიგი ვალდებულებები აკისრია როგორც არსებული, ისე ყოფილი კლიენტების მიმართ[2]; ინტერესთა კონფლიქტი შეიძლება წარმოიშვას კლიენტებს შორის, როდესაც ადვოკატი ახორციელებს ერთდროულად რამდენიმე კლიენტის წარმომადგენლობას, რომელთა ინტერესებიც ერთმანეთს უპირისპირდება[3]; როდესაც ადვოკატი წარმოადგენს ახალ კლიენტს ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ წარმოებულ ერთი და იმავე დავაში[4]; ასევე, თავს იჩენს ადვოკატსა და კლიენტს შორის სხვა კლიენტების ან მესამე პირთა მიმართ არსებული ადვოკატის პირადი, ფინანსური, პროფესიული ან სხვა ინტერესების გამო[5].

ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპთან დაკავშირებით ეთიკის კომისიის პრაქტიკაში წამოჭრილმა შემთხვევებმა ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის ცვლილება და დამატება განაპირობა, რასაც საფუძვლად დაედო ამერიკის იურისტთა ასოციაციის პროფესიული პასუხისმგებლობის მოდელური კოდექსის ინტერესთა კონფლიქტის მომწესრიგებელი წესები. სამუშაო ჯგუფი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის ცვლილებებისა და დამატებების პროექტზე მუშაობისას[6] მუხლის ფორმულირებისას, შეეცადა ყველა იმ მნიშვნელოვანი საკითხის გათვალისწინებას, რომელიც ეთიკის კომისიის პრაქტიკის მიხედვით გამოვლინდა.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლში ცვლილება და დამატება გამოიხატა შემდეგში: ეთიკის კოდექსის 2006 წლის 15 აპრილის რედაქციის თანახმად, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი ვრცელდებოდა მხოლოდ ერთი და იმავე საქმეზე საადვოკატო მომსახურების გაწევისას, კოდექსის ახალი რედაქციით ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი მოიცავს ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეებზე წარმომადგენლობის აკრძალვასაც.

ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპის გავრცელება ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეებზე, გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ეთიკის კო-

---

[1] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 092/10, 14 ივნისი, 2011 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/14.06.2011.pdf

[2] „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 8; აპეკ-ი, მუხლი 6.

[3] აპეკ-ი, მუხლი 6, 1-ლი ნაწილი.

[4] „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 8, მე-2 ნაწილი.

[5] აპეკ-ი, მუხლი 6, „ბ“ ქვეპუნქტი.

[6] 2011 წელს ეთიკის კოდექსის ცვლილებებისა და დამატებების პროექტი შემუშავდა სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობა დამტკიცდა აღმასრულებელი საბჭოს 2011 წლის 01 აგვისტოს 82 ოქმით. სამუშაო ჯგუფში შედიოდნენ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები და პროფესიული გაერთიანებები. ეთიკის კოდექსის ცვლილებებისა და დამატებების პროექტი საერთო კრებამ მიიღო 2012 წლის 08 დეკემბერს.

დექსის მოცემული მუხლის წინა რედაქციით, როგორც ეთიკის კომისიის პრაქტიკით გამოვლინდა, ვერ იფარებოდა ინტერესთა კონფლიქტის შემცველი შემთხვევები. ეთიკის კომისიამ ჯერ კიდევ 2010 წელს მიღებული გადაწყვეტილებით, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი იმგვარად განმარტა, რომ ის არსებითად ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეებზეც გავრცელდა[7]. მოცემული გადაწყვეტილება საფუძვლად დაედო მსგავს შემთხვევებში ეთიკის კომისიის ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

ეთიკის კოდექსის ძველი რედაქციით (15.04.2006) ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით განმარტებისას, ადვოკატს უფლება არ ჰქონდა, მაგალითად, პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმოედგინა ერთი მხარე, ხოლო მეორე ინსტანციის სასამართლოში მოწინააღმდეგე მხარის ინტერესები დაეცვა ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ, თუმცა მუხლის ასეთი ფორმულირებით წარმომადგენლობა შეზღუდული ვერ ექნებოდა, როდესაც ხდებოდა სარჩელის საფუძვლის ან საგნის ცვლილება, ვინაიდან აღნიშნული სარჩელის შეცვლას გულისხმობდა ან ადგილი ჰქონდა სარჩელის ორივე ელემენტის ცვლილებას, რაც ახალი სარჩელის შეტანაში გამოიხატებოდა. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულების არსი იმაში გამოიხატება, რომ კონკრეტული საქმის წარმოებისას ადვოკატის მიერ არ მოხდეს კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება ან გამოყენება სხვა კლიენტის სასარგებლოდ და ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასრულების შემდეგაც შენარჩუნებული იყოს მათ შორის ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის მსგავსი სახით ფორმულირება და სსსკ-ის მიხედვით ზემოხსენებული განმარტება ინტერესთა კონფლიქტის ცნებას ვიწროდ აყალიბებს და ადვოკატის მიერ ყოფილი კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების შემთხვევაში, არსებული კლიენტის საქმისწარმოებისას, მაშინ როდესაც ადგილი არა აქვს ერთი და იგივე საქმის წარმოებას, შეფასდება არა ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულების დარღვევად, არამედ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებად[8].

## 6.1. „არსებითად დაკავშირებული საქმეები“ ეთიკის კომისიის პრაქტიკის მიხედვით

ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულების განმარტების შესახებ საინტერესოა ეთიკის კომისიის საქმის 092/10[9] ანალიზი, სადაც ეთიკის

---

7 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 092/10, 14 ივნისი, 2011, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/14.06.2011.pdf

8 ჟურნალი „ადვოკატი“ 2 - ეთიკის კოდექსის კომენტარები, გვ. 21-25.

9 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 092/10, 14 ივნისი, 2011, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/14.06.2011.pdf

კომისიამ გააფართოვა ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულების პოზიტიური გაგება. მოცემულ საქმეში კლიენტის პრეტენზია ადვოკატის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი წარმოადგენდა განმცხადებლის ინტერესებს სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრების თაობაზე. განმცხადებლის სარჩელი დაკმაყოფილდა და მას საკუთრებაში გადაეცა მოწინააღმდეგე მხარის კუთვნილი საცხოვრებელი სახლი. ამის შემდეგ, განმცხადებლის ადვოკატი წარმოადგენდა განმცხადებლის მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს, განმცხადებლისავე წინააღმდეგ წარმოებულ დავაში. დავის საგანს წარმოადგენდა ადრე სადავო საცხოვრებელ ბინაში, რომელიც განმცხადებელს მიეკუთვნა სასამართლო წესით, განხორციელებული მიშენების ხარჯების ანაზღაურება. ადვოკატი შემდგომ წარმოადგენდა განმცხადებლის კიდევ სხვა – მეორე მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს თავისი თავდაპირველი კლიენტის (განმცხადებლის) მიმართ აღძრულ დავაში, სადაც დავის საგანს თანხის ანაზღაურება წარმოადგენდა.

ადვოკატის პოზიციის თანახმად, მისი მონაწილეობა საქმეში მოპასუხის (ძველი კლიენტის) წინააღმდეგ იყო „სავსებით კანონიერი, რამეთუ მოცემულ შემთხვევაში მოდავე მხარეები და დავის საგანი არის სხვადასხვა“.

ეთიკის კომისიამ არ გაიზიარა ადვოკატის პოზიცია ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის თაობაზე ერთი და იმავე საქმეზე წარმომადგენლობის არარსებობის საფუძვლით, მიიჩნია რა, რომ „სამივე დავა შინაარსობრივად და საგნობრივად ურთიერთდაკავშირებულია“. ეთიკის კომისიამ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტობრივ გარემოებაზეც, რომ სამივე დავა დროში რიგითობით, უწყვეტად წარიმართა და გამორიცხული იყო სადავო ურთიერთობათა იმგვარად შემოსაზღვრა, რომ ადვოკატს ვერ დაეკავშირებინა ერთმანეთთან ყოფილი კლიენტისა და მომდევნო კლიენტების დავის ფაქტობრივი გარემოებები და შინაარსი. ეთიკის კომისიამ დისციპლინური დევნის აღძვრის გადაწყვეტილებაში[10] მიიჩნია, რომ „ადვოკატი, რომელიც ადრე წარმოადგენდა კლიენტს, შემდგომში არ უნდა მონაწილეობდეს იგივე ან საგნობრივად დაკავშირებულ დავაში სხვა პირის წარმომადგენლად, თუ ასეთ დავაში პირის ინტერესები საგნობრივად ეწინააღმდეგება ყოფილი კლიენტის ინტერესებს“[11]. ეთიკის კომისიამ ამავე გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ „ადვოკატის, რომელიც უშუალოდ ჩართული იყო კონკრეტული საქმის წარმოებაში, შემდგომში წარმომადგენლობა სხვა კლიენტისა, რომელსაც ყოფილი კლიენტისაგან განსხვავებით, არსებითად საწინააღმდეგო პოზიცია გააჩნია იმავე ან სამართლებრივად დაკავშირებულ საქმეში, აშკარად არის აკრძალული“. ეთიკის კომისიამ ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ ადვოკატის მიერ წარმოებული დავები შეაფასა ყოფილი კლიენტის საქმესთან არსებითად და სამართლებრივად დაკავშირებულად.

ეთიკის კომისია დაეყრდნო იმ ვალდებულებების დაცვის აუცილებლობას, რომელიც ადვოკატს გააჩნია ყოფილი კლიენტის მიმართ საადვოკატო მომსახურე-

---

[10] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 092/10, 04 თებერვალი, 2011 წელი.

[11] იქვე.

ბის შეწყვეტის შემდეგაც: კონფიდენციალური ინფორმაციისა და ნდობის დაცვის პრინციპებს, ვინაიდან ინტერესთა კონფლიქტი აღნიშნული პრინციპების დარღვევას უკავშირდება.

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ აღნიშნულ შემთხვევაში ადვოკატმა შექმნა ყოფილი კლიენტის მიერ გადაცემული კონფიდენციალური ინფორმაციის ხელყოფის საფრთხე. „ადვოკატს ერთი მხრივ, ყოფილი კლიენტის მიმართ გააჩნია ვალდებულება დაეცვა კონფიდენციალური ინფორმაცია და მეორე მხრივ, ამჟამად არსებული კლიენტი უნდა დაეცვა კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალებით“. ეთიკის კომისიის განმარტებით, ადვოკატმა არა მარტო კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების შესაძლო საფრთხის შექმნა უნდა აიცილოს თავიდან, არამედ ყოფილი კლიენტისაგან მიღებული ინფორმაცია შემდეგში მის წინააღმდეგ არ უნდა გამოიყენოს.

შესაბამისად, 092/10 საქმეში ყოფილი კლიენტის მიმართ ინტერესთა კონფლიქტი ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული „ერთი და იგივე საქმეზე“ წარმომადგენლობით რომ შეფასებულიყო, ადვოკატს პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევა არ დაუდგინდებოდა და დისციპლინური სახდელიც არ დაეკისრებოდა. გადაწყვეტილება სწორედ ადვოკატის მიერ „არსებითად და სამართლებრივად ურთიერთდაკავშირებულ საქმეებზე“ წარმომადგენლობის განხორციელებას დაეყრდნო, რა დროსაც საფრთხე შეექმნა ყოფილი კლიენტის მიერ მისთვის გადაცემული კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებას. გასაზიარებელია ეთიკის კომისიის მოცემული გადაწყვეტილება, რომელმაც მოცემულ საკითხზე ეთიკის კომისიის ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებას შეუწყო ხელი. ასევე, აღსანიშნავია, რომ ადვოკატმა გაასაჩივრა გადაწყვეტილება, მაგრამ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, რომელიც საქმეს არსებითად იკვლევს, უცვლელი დატოვა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება[12].

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს ასევე დისციპლინური საქმე 100/11[13]. საქმის გარემოებათა თანახმად, ადვოკატი წარმოადგენდა განმცხადებლის, როგორც მეორე რიგის იპოთეკარის ინტერესებს სააღსრულებო წარმოების ეტაპზე, ასევე, იმავე უძრავ ქონებასთან დაკავშირებით ემსახურებოდა მას საქალაქო და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოებში, ხოლო შემდეგ საქალაქო სასამართლოში იცავდა ამავე უძრავ ქონებაზე პირველი რიგის იპოთეკარის, რომელიც ამავე დროს მისი მეუღლე იყო, ინტერესებს, განმცხადებლის წინააღმდეგ (დავის საგანი – სესხის თანხის დაკისრება, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია). ეთიკის კომისიის მიერ მოცემული საქმეები შეფასდა „ურთიერთდაკავშირებულ საქმეებად“.

---

[12] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 03 ოქტომბრის გადაწყვეტილება დს-შ/11-11.

[13]ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 100/11, 08 იანვარი, 2013 წელი, http://gba.ge/axali/08.01.2013saqme10011.PDF

ადვოკატის პოზიციით ეთიკის კომისიამ ეთიკური ქცევის ბევრად მაღალი სტანდარტი განუსაზღვრა, ვიდრე ეს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსითაა დადგენილი. ეთიკის კომისიის შეფასებით, „ადვოკატს უფლება არა აქვს შეასრულოს პროფესიული ფუნქციები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იმავე საქმეზე და არა ზოგადად, უკვე განახორციელა საადვოკატო საქმიანობა მეორე მხარის სასარგებლოდ. ამასთან, მისი მეუღლის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში აღძრული სამოქალაქო სარჩელის მხარეები, დავის საგანი და საფუძველი სრულიად სხვაა, ვიდრე 2010 წელს ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ განუხილველად დატოვებული ადმინისტრაციული სარჩელისა. ეთიკის კომისიამ „ნებით თუ უნებლიეთ ერთმანეთთან გააიგივა ცნებები – „ერთი და იგივე საქმე“ და „ერთი და იგივე უძრავი ქონება“. „ერთი და იგივე“ საქმე ნიშნავს, რომ საქმეებში ერთი და იგივე მხარეები, დავის საგანი და საფუძველია, ხოლო „ერთი და იგივე უძრავი ნივთი“ კი შეიძლება იყოს სხვადასხვა დროს და სრულიად სხვადასხვა პირებს შორის მიმდინარე დავის საგანი, როგორსაც ადგილი აქვს მოცემულ შემთხვევაში. „ერთი და იგივე უძრავი ნივთის“ მიზეზით ადვოკატის საქმიდან აცილების დაწესება ნიშნავს იმას, რომ ადვოკატს, რომელმაც ერთხელ უკვე მიიღო მონაწილეობა სასამართლო დავაში რომელიმე უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, უნდა აეკრძალოს სხვა დროს და სხვა პირებს შორის იმავე უძრავ ქონებასთან დაკავშირებით მიმდინარე სასამართლო დავაში მონაწილეობის მიღება, რაც სრულიად გაუმართლებელია. სწორედ ამიტომაა, რომ კანონი და ეთიკის კოდექსი კრძალავს ერთი და იმავე საქმეზე, და არა ერთსა და იმავე უძრავ ნივთთან დაკავშირებით, საადვოკატო ფუნქციების განხორციელებას სხვადასხვა მოწინააღმდეგე მხარეების სასარგებლოდ“. მოცემულ საქმეზე კომისიის წევრის განსხვავებული აზრის მიხედვით, ის ფაქტი, რომ ადვოკატი წარმოადგენდა ამა თუ იმ პირის ადვოკატს, არ ნიშნავს, რომ მას არასდროს აქვს უფლება ამ პირის წინააღმდეგ გამოვიდეს სასამართლო დავაში[14]. „საადვოკატო ეთიკის დარღვევაზე შეიძლება ვისაუბროთ მაშინ, თუ ადვოკატი იმავე საქმეზე მონაწილეობდა სხვა მხარის სასარგებლოდ. საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდება, რომ იმ დროისათვის, როდესაც ადვოკატი მონაწილეობდა განმცხადებლის ინტერესების დამცველად, მისი მეუღლე მხარის რანგში ჩართული იყო აღნიშნულ სასამართლო დავაში. განმცხადებელსა და ადვოკატის მეუღლეს შორის დავა დაიწყო 2011 წელს და ეს დავა არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც იგივე დავა, რომელშიც ადვოკატი იცავდა განმცხადებლის ინტერესებს[15]“.

ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატს ეკრძალება საადვოკატო მომსახურების გაწევის შემდეგ იმ კლიენტისათვის სამართლებრივი დახმარება, რომელსაც ყოფილი კლიენტისაგან განსხვავებული, არსებითად საწინააღმდეგო პოზიცია გააჩნია იმავე ან სამართლებრივად დაკავშირებულ დავაში. ადვოკატის მიერ განხორციელებული მომდევნო წარმომადგენლობა მოიცავდა ყოფილი კლიენტისათვის არახელსაყრელ პოზიციას. ადვოკატმა დაარღვია ვალდებულება,

---

[14] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 100/11, 03 იანვარი, 2012 წელი, განსხვავებული აზრი.

[15] იქვე.

თავი აერიდებინა ინტერესთა კონფლიქტისათვის ყოფილ კლიენტსა და ამჟამად არსებულ კლიენტს შორის. ადვოკატი მეუღლის წარმომადგენლობას ახორციელებდა არსებითად და სამართლებრივად დაკავშირებულ დავაში ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ. კერძოდ, ადვოკატმა თავდაპირველად სამართლებრივი კონსულტაცია გაუწია საჩივრის ავტორს, შემდეგ უწევდა სამართლებრივ დახმარებას უძრავ ქონებაზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების, გამოსახლების დავაში, რის შედეგადაც ყადაღა გაუქმდა, მცხოვრებლები გამოასახლეს, მაგრამ ზეპირი შეთანხმების შემდეგ კვლავ შეასახლეს ბინაში. შემდეგ კი იმავე ბინის თაობაზე იცავდა მეუღლის, როგორც პირველი რიგის იპოთეკარის ინტერესებს, რის შედეგადაც მათი მოთხოვნა დაკმაყოფილდა და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში[16].

ეთიკის კომისიამ შეაფასა ადვოკატის გადაწყვეტილება ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის შემდეგ, მეუღლის ინტერესების წარმოდგენის თაობაზე და მიიჩნევს, რომ ადვოკატს უფლება არ ჰქონდა წარმოედგინა მეუღლის ინტერესები, რადგან მეუღლის, პირველი რიგის იპოთეკარის მიერ მოთხოვნის დაყენებამდე, ადვოკატი წარმოადგენდა საჩივრის ავტორის ინტერესებს და ფლობდა მისგან მიღებულ ინფორმაციას. შესაბამისად, ადვოკატის მიერ საკუთარი მეუღლის წარმომადგენლობა ქმნიდა ყოფილი კლიენტის ინფორმაციის კონფიდენციალურობის დარღვევის საფრთხეს და რისკის ქვეშ აყენებდა ადვოკატის მიერ არსებული კლიენტის დასაცავად ყველა კანონიერი საშუალების გამოყენების შესაძლებლობას[17].

ამავე გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ ადვოკატის მიერ კონკრეტული პირისათვის საადვოკატო მომსახურების გაწევა არ გულისხმობს იმას, რომ მას არასდროს ექნება უფლება, მოცემული პირის წინააღმდეგ გამოვიდეს სასამართლო დავაში. მსგავსი სახის შეზღუდვას არც ადვოკატის პროფესიული ეთიკის სტანდარტები და არც ეთიკის კომისიის პრაქტიკა ითვალისწინებს, ხოლო რიგ შემთხვევებში, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, დავების სამართლებრივად დაკავშირებულად შეფასება მიზნად ისახავს ყოფილი კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვას, რათა არ მოხდეს ადვოკატის მიერ მისი ახალი კლიენტის სასარგებლოდ გამჟღავნება ან თავად მის მიერ ყოფილი კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ გამოყენება. შესაბამისად, თუ ადვოკატი ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ სხვა დავას აწარმოებს, მაგრამ მოცემულ საქმეზე არ ფლობს ყოფილი კლიენტის საქმისწარმოებისას მიღებულ ისეთ ინფორმაციას, რაც ახალი კლიენტისათვის უპირატესობას შეიძლება წარმოადგენდეს, ადგილი არ ექნება ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულების დარღვევას[18] [19].

---

16 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 100/11, 08 იანვარი, 2013 წელი.

17 იქვე.

18 ეთიკის კომისიის 2013 წლის 08 იანვრის გადაწყვეტილება უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით დს-შ/3-13 დარჩა უცვლელი.

19 ინტერესთა კონფლიქტის დარღვევა მსგავსი ფაქტობრივი გარემოებებით დადგენილია ასევე ეთიკის კომისიის დისციპლინური დევნის აღძვრის გადაწყვეტილებაში 020/13, 04 აპრილი, 2013 წელი.

## 6.2. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპის მიმართება ადვოკატის პროფესიული ეთიკის სხვა პრინციპებთან

საადვოკატო საქმიანობისას კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის, კონფიდენციალური ინფორმაციისა და ნდობის დაცვა თითქმის ყველა სამართლებრივ სისტემაში ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობისათვის დამახასიათებელია, მაგრამ საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმები ინტერესთა კონფლიქტის დროს ყურადღებას ამახვილებს ადვოკატის ნდობის პრინციპზე და ინტერესთა კონფლიქტით დაცულ მთავარ ღირებულებად კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვას განსაზღვრავს. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის დაცვა დაკავშირებულია ასევე ადვოკატის მიერ საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვისა და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობასთან.

## 6.3. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი და დამოუკიდებლობა

ადვოკატის დამოუკიდებლობა გარანტირებულია როგორც „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით[20], ასევე ადვოკატის პროფესიული ეთიკის კოდექსით. ადვოკატის პროფესია თავისუფალ პროფესიათა რიცხვს მიეკუთვნება. ადვოკატი მხოლოდ კანონს და პროფესიული ეთიკის ნორმებს ემორჩილება[21]. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი დამოუკიდებლობას ერთ-ერთ ძირითად პრინციპად მიიჩნევს. საადვოკატო საქმიანობის პრინციპების ჩამოთვლისას, დამოუკიდებლობაზე მითითება ორ სხვადასხვა კონტექსტში გვხვდება: საადვოკატო საქმიანობის თავისუფლება და დამოუკიდებლობა[22] და საადვოკატო საქმიანობაში ჩაურევლობა, რომელიც ადვოკატის მიერ თავისი საქმიანობის დამოუკიდებლად და სხვისგან ჩაურევლად განხორციელებას გულისხმობს[23].

ნდობის პრინციპის დაცვის გარანტიაც ადვოკატის დამოუკიდებლობაა. კლიენტი ადვოკატს ანდობს ნებისმიერ ინფორმაციას იმ იმედით, რომ ის მისი ნების საწინააღმდეგოდ არ გახდება ცნობილი მესამე პირთათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, დარღვეული იქნება როგორც კონფიდენციალურობის, ისე დამოუკიდებლობის პრინციპები. ადვოკატის დამოუკიდებლობა გულისხმობს, რომ ერთი მხრივ, ადვოკატი ვალდებულია დაემორჩილოს კანონს და კეთილსინდისიერად დაიცვას კლიენტის ინტერესები, მეორე მხრივ, თავად იყოს დაცული, რათა ვერავინ შეძლოს მის საქმიანობაში ჩარევა და მისი თავისუფლების შეზღუდვა[24].

---

[20] „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 1, მუხლი 3, „ბ“ ქვეპუნქტი, მუხლი 38; აპეკ-ი, მუხლები 1, 2.

[21] „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 1.

[22] „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 3, „ბ“ ქვეპუნქტი.

[23] მარინე კვაჭაძე, ეკატერინე გასიტაშვილი, კობა ბოჭორიშვილი, ირაკლი კორძახია, „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის კომენტარები ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე დაყრდნობით“, ევროკავშირის პროექტი კანონის უზენაესობის მხარდაჭერა, 2011, გვ. 6.

[24] იქვე, გვ. 7.

ეთიკის კომისიამ საქმეში 057/10 ადვოკატის დამოუკიდებლობაზე ზეგავლენის მომხდენ ფაქტორებზე მსჯელობისას აღნიშნა, რომ მესამე პირების ზეგავლენისაგან დამოუკიდებლობა გულისხმობს კლიენტებისაგან დამოუკიდებლობასაც[25]. „ადვოკატს, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კლიენტის წინაშე აკისრია დამოუკიდებლობის პერსონალური განსჯის ვალდებულება. ადვოკატებმა პროფესიული განსჯა უნდა განახორციელონ თავიანთი კლიენტის სახელით, ნებისმიერი სახის გავლენის გარეშე, მათ შორის, თავიანთი პირადი ინტერესებიდან, სხვა კლიენტების ინტერესების, მესამე პირთა ინტერესების და სხვათა მხრიდან ნებისმიერი გავლენის გარეშე“[26]. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც ინტერესთა შეუთავსებლობას აწესრიგებს, კლიენტის ინტერესებზე ან ადვოკატის პირად ინტერესებზე წინ პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ადვოკატის დამოუკიდებლობას აყენებს.

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში საქმეზე 046/11, ადვოკატის მიერ პირადი ინტერესების გამო დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევის საფუძველზე ინტერესთა კონფლიქტი დადგინდა. მოცემულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ „ადვოკატებმა კლიენტის ინტერესების წარმომადგენლობისას პროფესიული ფუნქციები უნდა განახორციელონ ნებისმიერი სახის გავლენის, მათ შორის, თავიანთი პირადი ინტერესებიდან, სხვა კლიენტების და ნებისმიერი პირის გავლენის გარეშე“[27].

## 6.4. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი და ნდობა

პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, აპეკ-ის მიზანია დაამკვიდროს ქცევის შესაბამისი სტანდარტები, ადვოკატის ვალდებულება, იზრუნოს პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისათვის[28]. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ადვოკატის პირად თვისებებზე – ღირსება, პატიოსნება, შეუვალობა, კომპეტენტურობა და მიუკერძოებლობა არის დაფუძნებული[29].

ნდობის პრინციპი უშუალოდ უკავშირდება ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპს, ვინაიდან ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის საფრთხის არსებობისას, ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს კლიენტთა საქმისწარმოება[30]. პასუხისმგებლობა ადვოკატზეა, რომელმაც არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა[31].

---

[25] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 057/10, 23 აგვისტო, 2010 წელი.

[26] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 057/10, 07 მარტი, 2011 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/07.03.2011.pdf

[27] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 046/11, 26 ოქტომბერი, 2011 წელი http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/26.10.11_saqme_046_11.pdf

[28] მარინე კვაჭაძე, ეკატერინე გასიტაშვილი, კობა ბოჭორიშვილი, ირაკლი კორძახია, „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის კომენტარები ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე დაყრდნობით“, ევროკავშირის პროექტი კანონის უზენაესობის მხარდაჭერა, 2011, გვ. 7.

[29] აპეკ-ი, მუხლი 2.

[30] აპეკ-ი, მუხლი 6, ნაწილი 4.

[31] აპეკ-ი, მუხლი 2.

## 6.5. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი და პროფესიული საიდუმლოება

კონფიდენციალური ინფორმაციის ხელყოფის საფრთხის შექმნა, ინტერესთა კონფლიქტისას, გადამწყვეტი გარემოებაა, რომ ადვოკატის მიერ წარმომადგენლობის გაგრძელების შემთხვევაში მის მიერ ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულება დადგინდეს[32]. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონი, ეთიკის კოდექსისაგან განსხვავებით, იყენებს პროფესიული საიდუმლოების ცნებას და გასული დროის მიუხედავად, ადვოკატს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულებას აკისრებს, რაც გულისხმობს, რომ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასრულების შემდეგ, ადვოკატს კვლავ გააჩნია ყოფილი კლიენტისათვის პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას შეძენილი ინფორმაციის დაცვის ვალდებულება. დაცვის ვალდებულება უნდა განიმარტოს არა მხოლოდ ინფორმაციის გამჟღავნების, არამედ მისი გამოყენების აკრძალვად ახალი კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ ან თავად ადვოკატის პირადი ინტერესებიდან გამომდინარე[33].

ეთიკის კოდექსით, ადვოკატს მხოლოდ გარკვეული შემთხვევებში შეუძლია კლიენტის ინფორმაციის გამჟღავნება: კლიენტის თანხმობის არსებობისას, თუ ინფორმაციის ამგვარი გამოყენება წარმომადგენლობის ან დაცვის პროცესში გამართლებულია და აუცილებელია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე იმ პირობით, რომ ასეთი ინფორმაციის გაცემა კლიენტს ადვოკატისთვის წინასწარ არ აუკრძალავს; თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მის მიმართ წაყენებული ბრალდებისაგან ან მოთხოვნისგან თავის დასაცავად ან საკუთარი ჰონორარის მიღებისათვის[34].

ადვოკატმა მის პარტნიორებს, თანამშრომლებს და სხვა პირებს, რომლებიც მის მიერ მოწვეულნი არიან პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, უნდა მოსთხოვოს იგივე ვალდებულების შესრულება[35].

## 6.6. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა

ადვოკატის მიერ საადვოკატო საქმიანობის ამოსავალი დებულება კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობაა, რაც ინტერესთა კონფლიქტის დროს გულისხმობს ადვოკატის მიერ ისეთი მდგომარეობის თავიდან არიდებას, როდესაც კლიენტის ინტერესები ეწინააღმდეგება ადვოკატის პირად ინტერესებს ან სხვა პირის ინტერესებს, რაშიც შეიძლება მოიაზრებოდეს როგორც სხვა კლიენტები,

---

32 აპეკ-ი, მუხლი 6, ნაწილი 4.

33 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 094/11, 10 აპრილი, 2011 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2012/10.04.2012_09411.pdf

34 აპეკ-ი, მუხლი 4, ნაწილი 4.

35 აპეკ-ი, მუხლი 4, ნაწილი 5.

ისე ის მესამე პირები, ვის მიმართაც ადვოკატს მოვალეობები აკისრია[36]. შესაბამისად, საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი ინტერესთა კონფლიქტის მომწესრიგებელ ნორმებს, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპის გარდა, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპშიც აყალიბებს პირადი ან მესამე პირთა მიმართ არსებული ვალდებულებებიდან გამომდინარე ინტერესთა კონფლიქტის სახით და ადგენს ადვოკატის ვალდებულებას, რომ გადაწყვეტილება კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე მიიღოს.

კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი იცავს კლიენტის ავტონომიურობას. საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, კლიენტს ადვოკატისაგან აქვს მოლოდინი, რომ ისე მოიქცევა, როგორც თავად მოიქცეოდა, სათანადო ცოდნა, უნარები ან დრო რომ ჰქონოდა.

„ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა უნდა იყოს კლიენტზე ორიენტირებული და ინტერესთა კონფლიქტი ადვოკატის პირად ინტერესებსა და კლიენტის ინტერესებს შორის უნდა გადაწყდეს კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით“[37]. შესაბამისად, აღნიშნული პრინციპი დეტალურად იქნება განხილული ინტერესთა კონფლიქტის მქონე სიტუაციებზე მსჯელობისას პირადი ინტერესთა კონფლიქტის ქვეთავში.

ინტერესებში იგულისხმება ის სარგებელი ან უპირატესობა, რომლის მიღება ან დაცვა სურს პირს, რაც დაკავშირებულია პირად ან საქმიან ურთიერთობებთან, ფინანსურ ან ქონებრივ ინტერესებთან. რეალურ ცხოვრებაში შეუძლებელია ყველა სახის ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდება, ზოგიერთ შემთხვევაში კი, შეიძლება მათი თავიდან არიდება არც იყოს სასურველი. მაგალითად, არ არის მიზანშეწონილი, ადვოკატმა თავის მორალურ პრინციპებზე უარი თქვას კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე. როდესაც კლიენტი ადვოკატს სთხოვს ყალბი მტკიცებულების წარდგენას სასამართლოში, ამ დროს წარმოიშვება ინტერესთა კონფლიქტი ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებასა და კლიენტის ინტერესებს შორის. თავად ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეც, შეუძლებელია ერთმა პირმა იმოქმედოს მეორე პირის ინტერესების განუხრელად დაცვით, ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ადვოკატს საადვოკატო საქმიანობისას, კლიენტის ინტერესების გარდა, სხვა პირთა ინტერესების მხედველობაში მიღებაც უწევს, მაგალითად, სხვა კლიენტების ან პარტნიორების. აქედან გამომდინარე, იმის მტკიცება, რომ ადვოკატი ყოველთვის შეძლებს კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვას, რეალობას არის მოკლებული, თუმცა, სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი, ინტერესთა კონფლიქტისას ადვოკატის პროფესიული ქცევის განმსაზღვრელი ნორმები ნათლად იყოს ჩამოყალიბებული.



[36] აპეკ-ი, მუხლი 5.

[37] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 046/11, 26 ოქტომბერი, 2011 წელი.

## 6.7. ინტერესთა კონფლიქტის მქონე სიტუაციები

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი წარმოადგენს დამატებას, რომელიც მე-6 მუხლის პირველი ნაწილისაგან განსხვავებით, რომელიც ზოგადი ხასიათის ნორმაა და ადგენს ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპს, აკონკრეტებს ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევებს. მე-6 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევები არ არის ამოწურული.

მე-6 მუხლის „ა" პუნქტი განსაზღვრავს ინტერესთა კონფლიქტის არსებობას ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას, რაც გამოიხატება ადვოკატის ვალდებულებების ერთი და იმავე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთწინააღმდეგობით ან ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხის არსებობით. ამავე მუხლის „ბ" პუნქტით გათვალისწინებულია პირადი ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევა, კერძოდ, კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულების წინააღმდეგობით ან ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხის არსებობით ამ ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან.

## 6.8. არსებულ კლიენტთა შორის ინტერესთა კონფლიქტი

ხშირად ორი ან მეტი მხარისათვის მოხერხებულია, რომ ერთ სამართლებრივ დავაში მათ ინტერესებს ერთი ადვოკატი წარმოადგენდეს ან გარიგების ორივე მხარეს ერთი ადვოკატი ემსახურებოდეს, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მათი ინტერესები არ არის ბოლომდე თანმხვედრი და მათთვის ცნობილია ინტერესთა კონფლიქტის შექმნის საფრთხის ან არსებობის შესახებ. აღნიშნულის მიზეზი ბევრია, მაგალითად, როგორიცაა საადვოკატო მომსახურებისათვის გადასახდელი თანხის დაზოგვა; შესაძლებელია, იმ ადვოკატის მიერ მიღწეული შედეგი, რომელსაც არ აქვს ინტერესთა კონფლიქტი, უფრო ნაკლები იყოს, ვიდრე ადვოკატისათვის გადასახდელი ჰონორარი; შესაძლებელია, მხარეები იცნობენ და ენდობიან ადვოკატს ან ის ძალიან კვალიფიციურია. მიუხედავად ამისა, კლიენტები შესაძლებელია დათანხმდნენ ადვოკატს საადვოკატო მომსახურების გაწევაზე. არსებულ კლიენტთა შორის ინტერესთა კონფლიქტი თავს იჩენს ერთობლივი წარმომადგენლობის დროს, როდესაც ორ კლიენტს შორის ინტერესები წინააღმდეგობაში მოდის და აქედან ერთი კლიენტის ინტერესების დაცვა ზიანს მიაყენებს მეორე კლიენტს.

აპეკ-ის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე".

ეთიკის კომისიამ ერთ-ერთ საქმეზე დაადგინა მიმდინარე ინტერესთა კონფლიქტი, კერძოდ, ადვოკატი მომსახურებას ეწეოდა ორი კლიენტის სასარგებლოდ, მათივე თანხმობით და მათი ინტერესის საერთო ობიექტის – სამკვიდრო ქონების

მიღებისა და უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების თანაბარწილად რეგისტრაციის მიზნით. მოგვიანებით, ადვოკატმა „პირველ" კლიენტს უარი უთხრა საადვოკატო მომსახურების გაგრძელებაზე საქმის არაპერსპექტიულობის საფუძვლით და დაუბრუნა მომსახურების ჰონორარი და დოკუმენტაცია, რომელიც მას კლიენტისაგან ჰქონდა მიღებული, ასევე უთხრა, რომ „მეორე" კლიენტმაც უარი უთხრა მას საადვოკატო მომსახურებაზე და თავად წაიღო დოკუმენტაცია. აღმოჩნდა, რომ „მეორე" კლიენტს საკუთრების უფლება უკვე მთლიანად დარეგისტრირებული ჰქონდა საკუთარ სახელზე. „პირველმა" კლიენტმა მიიჩნია, რომ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით ადვოკატმა გამოიყენა მის მიერ გადაცემული დოკუმენტაცია და დაეხმარა „მეორე" კლიენტს საკუთრების უფლების სრულად რეგისტრაციაში, შესაბამისად, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გამოიყენა „პირველი" კლიენტის მიერ მიწოდებული კონფიდენციალური ინფორმაცია. ადვოკატის პოზიციით, მას „პირველ" კლიენტთან არ წარმოეშვა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, ვინაიდან ის მოვიდა „მეორე" კლიენტთან ერთად, სულ რამდენიმე შეკითხვა დაუსვა, გარკვეული საბუთები დაიტოვა, მაგრამ მას შემდეგ, რაც გაარკვია, რომ საქმე პერსპექტიული არ იყო, „პირველ" კლიენტს უკან დაუბრუნა გადახდილ ჰონორართან ერთად. ეთიკის კომისიამ არ გაიზიარა ადვოკატის პოზიცია და მიიჩნია, რომ განმცხადებელსა და ადვოკატს შორის წარმოიშვა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. აქედან გამომდინარე, ინტერესთა კონფლიქტის არსებობის დასადგენად, ყოველთვის მნიშვნელოვანია გაირკვეს, თუ ვინ ითვლება კლიენტად.

### 6.9. ვინ არის კლიენტი?

ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხის განხილვისას ხშირად ხდება საკამათო, შეიძლება თუ არა კონკრეტული პირი ჩაითვალოს კლიენტად და ადვოკატს წარმოეშვა თუ არა მის მიმართ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებები. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა მიიჩნევა საადვოკატო საქმიანობად, უთითებს: „ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემა იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი)"; ასევე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილიც უთითებს: „ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე საქმეზე...".

შესაძლებელია ადვოკატსა და პირს შორის კონსულტაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ არ მოხდეს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების დადება, მაგრამ ადვოკატმა კონსულტაციის შემდეგ მიიღო რა კონფიდენციალური ინფორმაცია, ეკისრება მისი დაცვის ვალდებულება[38]. შეუძლია თუ არა ამ ადვოკატს ამის შემდეგ ამ პირის პროცესუალური მოწინააღმდეგის ინტერესების დაცვა?

[38] აპეკ-ი, მუხლი 4.

ინტერესთა კონფლიქტის მიზნებისათვის, შესაძლებელია კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა წარმოშობილად ჩაითვალოს. ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ „ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა იწყება ჯერ კიდევ პოტენციური კლიენტისათვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევის მომენტიდან"[39]. საქმის დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, ადვოკატმა მხარეებს გაუწია სამართლებრივი კონსულტაცია და წარმოადგენდა საადვოკატო საქმიანობის ფარგლებში, ვინაიდან კლიენტთა ინტერესების დასაცავად მოაწესრიგა დოკუმენტაცია, საჯარო რეესტრიდან ამოიღო საინვენტარიზაციო გეგმა, ცნობა-დახასიათება, გააკეთებინა აზომვითი ნახაზები და ა.შ. ნაკლებად გასაზიარებელია ადვოკატის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ მათ შორის არ წარმოშობილა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, რადგან მან მხარეს ჰონორარის თანხა სრულად დაუბრუნა, ვინაიდან კონსულტაციის გაწევისა და საქმის მასალების დატოვების შემდეგ კლიენტს ჩამოუყალიბდა ნდობა ადვოკატის მიმართ, რომ კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად განახორციელებდა წარმომადგენლობას და დაიცავდა ეთიკის ნორმებს. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის წარმოშობისათვის მნიშვნელობას იძენს კლიენტის დამოკიდებულება, რომელიც ადვოკატს აღიქვამს მისი ინტერესების დამცველ პირად. ადვოკატ-კლიენტის ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა კი გულისხმობს, რომ კლიენტს აქვს ადვოკატისაგან დამოუკიდებელი რჩევის მიღების მოლოდინი და როდესაც ადვოკატი პირს სამართლებრივ მომსახურებას სთავაზობს, სამართლებრივი კონსულტაციის გაწევის მომენტიდანვე მათ შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა წარმოშობილად ითვლება და ადვოკატს პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით მოქმედება ევალება.

ეთიკის კომისიამ გადაწყვეტილებაში 046/12 იმსჯელა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობაზე, კერძოდ: ადვოკატი იყო ამხანაგობის წევრი და, ამასთანავე, ახორციელებდა საადვოკატო მომსახურებას, იცავდა ამხანაგობის ინტერესებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულების თავისებურებას წარმოადგენს მხარეთა სურვილი, საკუთარი ქონების, გამოცდილებისა თუ პროფესიული უნარ-ჩვევების გაერთიანებით, ერთობლივად იმოქმედონ გარკვეული მიზნების მისაღწევად. „გასათვალისწინებელია, რომ ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების მონაწილის ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს გარკვეული შენატანის განხორციელება. სამოქალაქო კოდექსი აღნიშნული ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებულ შენატანად დასაშვებად მიიჩნევს ყველა სახის აქტივს, რომელიც ამხანაგობის წევრს შეაქვს საერთო საქმეში, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს საერთო მიზნის სწრაფ და ეფექტურ მიღწევას"; ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ „მოცემულ შემთხვევაში ადვოკატის შენატანს ამხანაგობაში წარმოადგენდა იურიდიული მომსახურების გაწევა, რაც თავის მხრივ, გულისხმობს, რომ ადვოკატს თავისი პროფესიული მოვალეობის განხორციელებით უნდა უზრუნველეყო ამხანაგობის წინაშე აღებული ვალდებულებების, წარმომადგენლობის განხორციელება. ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანო-

[39]ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 027/11, 20 აგვისტო, 2011 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/20.08.11.pdf

ნის პირველი მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობას საქართველოში ახორციელებს ადვოკატი და იგი ვალდებულია პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას იმოქმედოს კანონის, პროფესიული ეთიკის კოდექსის ფარგლებში და ვალდებულია შეასრულოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ნორმები. ეთიკის კომისიამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თავად პროფესიული საქმიანობის განხორციელების ვალდებულებას და არა აქვს მნიშვნელობა, ადვოკატმა საადვოკატო მომსახურება განახორციელა ამხანაგობაში შენატანის სახით, თუ ფულადი საზღაურის სანაცვლოდ ემსახურებოდა მას. ადვოკატი, საადვოკატო მომსახურების დროს წარმოადგენს პირს, რომელიც ასრულებს პროფესიულ ვალდებულებას, მოცემულ შემთხვევაში, ასევე არა აქვს მნიშვნელობა, საკუთარი ოჯახის წევრს უწევს მომსახურებას თუ ამხანაგობას, ყველა მათგანი მის კლიენტებს წარმოადგენენ და, შესაბამისად, ადვოკატმა უნდა იმოქმედოს პროფესიული ვალდებულებების და კანონის ფარგლებში“. ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ამხანაგობასა და ადვოკატს შორის ურთიერთობა კლიენტის და ადვოკატის ურთიერთობას წარმოადგენდა. ეთიკის კომისიამ, სხვა მტკიცებულებათა შორის, მიუთითა ამხანაგობის კრების ოქმზე, რომლის მიხედვით, ადვოკატმა აიღო ვალდებულება, დაეცვა ამხანაგობის ინტერესები ადმინისტრაციულ ორგანოებთან, სასამართლოსა და მესამე პირებთან ურთიერთობაში. „შესაბამისად, ამხანაგობა წარმოადგენდა კლიენტს, რადგან ადვოკატმა თავის თავზე აიღო ვალდებულება, მისი პროფესიის საშუალებით განეხორციელებინა შენატანი ამხანაგობაში და დაეცვა კლიენტის ინტერესები“[40].

საქმე 078/11 საინტერესოა იმ მხრივ, რომ ადვოკატი ურთიერთდაკავშირებულ საქმეებში ერთ კლიენტს მომსახურებას უწევდა, როგორც შეთანხმებით აყვანილი ადვოკატი, ხოლო მეორე კლიენტს, როგორც საზოგადოებრივი ადვოკატი[41]. ადვოკატი სისხლის სამართლის საქმეზე იცავდა A-ს ინტერესებს თბილისის საქალაქო სასამართლოში და სააპელაციო სასამართლოში. 2010 წლის 17 ივნისს მოწმე B-მ წინასწარ გამოძიებას A-ს სისხლის სამართლის საქმეზე A-ს ინტერესების საწინააღმდეგო ჩვენება მისცა და დანაშაულის ჩადენაში ამხილა. მოწმე B სასამართლო პროცესზე არ ცხადდებოდა A-ს სისხლის სამართლის საქმეზე ჩვენების მისაცემად. B-ს A-ს სისხლის სამართლის საქმის გამო, დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის შეეფარდა აღკვეთის ღონისძიება – გირაო. სასამართლომ A-ს სისხლის სამართლის საქმის გამო დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის B-ს აღკვეთის ღონისძიება – გირაო შეუცვალა პატიმრობით. ადვოკატი, როგორც სავალდებულო დაცვის ფარგლებში დანიშნული დამცველი, იცავდა B-ს ინტერესებს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის თაობაზე გამართულ სისხლის სასამართლო პროცესზე და, ამავდროულად, აგრძელებდა A-ს ინტერესების

[40] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 046/12, 12 დეკემბერი, 2012 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2012/12_12_2012_saqme_046_12.pdf

[41] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 078/11, 24 იანვარი, 2012 წელი.

დაცვას. ადვოკატმა არ გაასაჩივრა სასამართლოს დადგენილება B-სთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თაობაზე[42].

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა დაარღვია ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულება, მას შემდეგ რაც სისხლის სამართლის საქმეზე განახორციელა B-ს ინტერესების დაცვა და მონაწილეობა მიიღო აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თაობაზე გამართულ სასამართლო პროცესში, რა დროსაც განაგრძობდა A-ს ინტერესების დაცვასაც (A-ს სისხლის სამართლის საქმეზე დანაშაულის შეუტყობინებლობის თაობაზე). შესაბამისად, ადვოკატი ახორციელებდა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების მქონე კლიენტის დაცვას ერთდროულად. მოწმის ინტერესს წარმოადგენდა, რომ წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენება დაედასტურებინა და მისი პოზიცია უცვლელი ყოფილიყო, ხოლო A-ს ინტერესი იყო, B-ს შეეცვალა ჩვენება და მოეთხოვა მისი ჩვენების გადასინჯვა[43].

ეთიკის კომისიამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ადვოკატს თავიდანვე – B-ს ინტერესების დაცვის დაწყების ეტაპიდან, არ შეეძლო წარმოედგინა მისი ინტერესები, რადგან იმთავითვე – A-ს სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების ეტაპიდან, ცნობილი იყო, რომ B-მ A-ს ინტერესების საწინააღმდეგო ჩვენება მისცა. შესაბამისად, ადვოკატმა განზრახ შექმნა ისეთი მდგომარეობა, როდესაც მას წარმოეშვა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების მქონე კლიენტის – A-სა და B-ს დაცვის ვალდებულება[44].

ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატის განმარტება: „B-ს ინტერესების დაცვა განხორციელდა, რათა B-ს არ მიეცა A-ს ინტერესების საწინააღმდეგო ჩვენება", არ შეესაბამებოდა „ადვოკატთა შესახებ" კანონით და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მიერ დადგენილ ფარგლებს. „ადვოკატთა შესახებ" კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, ადვოკატი წარმოადგენს და იცავს კლიენტის უფლებებს საერთო სასამართლოებში. ამავე კანონის მე-5 მუხლის „ე" ქვეპუნქტის თანახმად, ადვოკატი ვალდებული იყო სისხლის სამართლის საქმეზე სათანადოდ განეხორციელებინა B-ს ინტერესების დაცვა, იმგვარად, როგორც უნდა დაეცვა A-ს ინტერესები, ორივე პირი ადვოკატის კლიენტს წარმოადგენდა. ადვოკატს B-ს დასაცავად ისევე უნდა ემოქმედა, როგორც ნებისმიერი სხვა კლიენტის ინტერესების დაცვისას, გამოეყენებინა საპროცესო კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალება, რის განხორციელების შემთხვევაშიც ადვოკატი A-ს ინტერესებს სათანადოდ და გულმოდგინედ ვერ დაიცავდა, რადგან B ამხელდა დანაშაულის ჩადენაში A-ს და კლიენტების ინტერესები ურთიერთსაწინააღმდეგო იყო[45].

---

[42] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 078/11, 24 იანვარი, 2012 წელი.

[43] იქვე.

[44] იქვე.

[45] იქვე.

## 6.10. ინტერესთა კონფლიქტი არსებულ და ყოფილ კლიენტებს შორის

ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასრულების შემდეგ, ადვოკატს ყოფილი კლიენტის მიმართ გარკვეული ვალდებულებები რჩება კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვისა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების სახით, რაც ახალი კლიენტის მიღებისას უნდა გაითვალისწინოს.

ყოფილი კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობას ეხება „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად, „ადვოკატს უფლება არა აქვს შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, თუ იმავე საქმეზე უკვე განახორციელა საადვოკატო საქმიანობა მეორე მხარის სასარგებლოდ"[46].

## 6.11. პირადი ინტერესთა კონფლიქტი

ინტერესთა კონფლიქტის მომწესრიგებელი ნორმები ითვალისწინებს თავად ადვოკატისა და კლიენტის ინტერესების დაპირისპირებასაც. ადვოკატის პროფესიული ვალდებულებების შესრულებას შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას კლიენტთან საქმიანმა გარიგებამ, ადვოკატის ფინანსურმა ინტერესმა, ახლო ნათესაურმა კავშირმა, ჰონორარის გადამხდელის ინტერესმა და ნებისმიერი მესამე პირის ინტერესმა, რომლის მიმართაც ადვოკატს ვალდებულებები გააჩნია.

პირად ინტერესთა კონფლიქტს აპეკ-ის 2006 წლის რედაქცია პირდაპირ არ აწესრიგებდა მე-6 მუხლით, მაგრამ ამ მუხლში შესული დამატებით, „ბ" ქვეპუნქტით განისაზღვრა, რომ ინტერესთა კონფლიქტი არსებობს იმ შემთხვევებშიც, როდესაც „კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება ეწინააღმდეგება, ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე ამ ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან".

პირად ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით, საინტერესოა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება საქმეზე 046/11. ადვოკატმა, რომელიც თავად იყო ამხანაგობის წევრი და ამხანაგობაში საწევრო შენატანი განახორციელა საადვოკატო მომსახურების სახით, შეისყიდა და საკუთრების უფლებით დაირეგისტრირა ამხანაგობის კუთვნილი მიწის ნაკვეთის მომიჯნავე მიწის ნაკვეთი მოქ. A-სგან. საჯარო რეესტრის ამონაწერით დადგინდა ამხანაგობისა და მომიჯნავე მიწის ნაკვეთის ნაწილის ზედდება; ეთიკის კომისიამ გადაწყვეტილებაში ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ადვოკატი ამ პერიოდისათვის ჯერ კიდევ წარმოადგენდა ამხანაგობას და რწმუნებულება მხარეებს შორის ძალაში იყო. შესაბამისად, ადვოკატს შეეძლო გაეთვალისწინებინა ის რისკი, რაც ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებას ახლდა თან, რადგან A-ს უძრავი ქონების ზედდება მოხდა ამხანაგობის უძრავ ქონებაზე და ამხანაგობის მიწის ნაკვეთის ნაწილი A-ს საკუთრებაში აღმოჩნდა. ეთიკის კომისიამ ისიც გაითვალისწინა, რომ A-ს საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე წარმომადგენლობას თავად ადვოკატი ახორციელებ-

[46] აღნიშნული საკითხი პირდაპირ არის დაკავშირებული „არსებითად დაკავშირებული საქმეების" თემატიკასთან და ეთიკის კომისიის პრაქტიკის გასაცნობად იხილეთ 6.1 ქვეთავი.

და და მისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო აზომვითი ნახაზის მიხედვით, მიწის ნაკვეთის გადაფარვის თაობაზე[47].

ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ საადვოკატო მომსახურების გაწევის ფარგლებში, ადვოკატს ევალებოდა დაეცვა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი დამოუკიდებლობის პრინციპი, რომლის დროსაც ადვოკატი დამოუკიდებელია ყოველგვარი გარეშე გავლენისგან ან სხვა ზეწოლისაგან და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის და პროფესიული ეთიკის ნორმებს. ადვოკატის მიერ მოქ. A-ს უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, წარმოიშვა მხარეებს შორის ინტერესთა კონფლიქტი. კერძოდ, ადვოკატის პირადი ინტერესები დაუპირისპირდა ამხანაგობის ინტერესებს, რადგან ადვოკატი გახდა სადავო მიწის ნაკვეთის ნაწილის მესაკუთრე. ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ადვოკატს წარმოეშვა საკუთრების უფლება, რომელიც დაუპირისპირდა ამხანაგობის საკუთრების უფლების დაცვას. ადვოკატმა თავად დააყენა რისკის ქვეშ კლიენტის ინტერესების დაცვა და არჩევანი პირად ინტერესებსა და ამხანაგობის ინტერესებს შორის, საკუთარი ინტერესების პრიორიტეტულობაზე გააკეთა, როდესაც შეიძინა სადავო მიწის ნაკვეთი. შესაბამისად, ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ „ჯერ კიდევ წარმომადგენლობის განხორციელების პროცესში, ადვოკატმა საფრთხე შეუქმნა კლიენტის ინტერესების დაცვას, კანონის ყველა საშუალების გამოყენებით დაეცვა კლიენტი“. ეთიკის კომისიამ გადაწყვეტილებაში მიუთითა: „ადვოკატებმა კლიენტის ინტერესების წარმომადგენლობისას, პროფესიული ფუნქციები უნდა განახორციელონ ნებისმიერი სახის გავლენის გარეშე, მათ შორის, თავიანთი პირადი ინტერესებიდან, სხვა კლიენტების და ნებისმიერი პირის გავლენის გარეშე. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა უნდა იყოს კლიენტზე ორიენტირებული და ინტერესთა კონფლიქტი ადვოკატის პირად ინტერესებსა და კლიენტის ინტერესებს შორის უნდა გადაწყდეს კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით“[48].

## 6.12. ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის საფრთხე

ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულება ვრცელდება ასევე ინტერესთა კონფლიქტის წარმოქნის საფრთხეზეც, ვინაიდან ადვოკატი ახალი კლიენტისათვის საადვოკატო მომსახურების გაწევამდე ვალდებულია შეაფასოს, არსებობს თუ არა ინტერესთა კონფლიქტის წარმოქნის საფრთხე[49]. აპეკ-ის მე-6 მუხლში ცვლილებათა შეტანის შედეგად, გასწორდა მე-6 მუხლის ხარვეზი იმ კუთხით, რომ ძველი რედაქციის მიხედვით, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპის გავრცელება ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხის შექმნის შემთხვევაში, გათვალისწინებული იყო მხოლოდ

[47] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 046/12, 12 დეკემბერი, 2012 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2012/12_12_2012_saqme_046_12.pdf

[48] იქვე.

[49] აპეკ-ი, მუხლი 6.

მე-6 მუხლის მე-2-მე-3 ნაწილებით, ხოლო მოქმედი რედაქციით, მე-6 მუხლის პირველი ნაწილიც ითვალისწინებს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების აკრძალვას ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხის არსებობის შემთხვევაში.

ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის საფრთხის არსებობისას ადვოკატის მიერ ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის დარღვევის თაობაზე იმსჯელა კომისიამ შემდეგ გადაწყვეტილებაში: ადვოკატი სისხლის სამართლის საქმეში იცავდა A-ს, სადაც თაღლითობის ფაქტთან დაკავშირებით, B მონაწილეობდა მოწმის სტატუსით. ადვოკატს აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია გააჩნდა A-სთან იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების დროს, თუმცა, არ იყო დადასტურებული B-ს ბრალეულობა თაღლითობის ფაქტთან დაკავშირებით და მიმდინარეობდა გამოძიება. ადვოკატმა იმავე წელს B-სთან გააფორმა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება სამოქალაქო საქმეზე, რომელიც არსებითად უკავშირდებოდა A-ს სისხლის სამართლის საქმეს. ეთიკის კომისიამ მოცემულ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ „ადვოკატის მიერ კლიენტის წარმომადგენლობის განხორციელებისას იმ გარემოებებში, როდესაც აღნიშნული კლიენტი მისი სხვა კლიენტის საწინააღმდეგოდ არსებითად დაკავშირებულ საქმეში წარმოადგენს პროცესუალურ მონაწილეს, მოწმის სტატუსით, ადვოკატს წარმოეშობა ინტერესთა კონფლიქტი. ადვოკატმა კლიენტის წარმომადგენლობის დაწყებისას უნდა გაითვალისწინოს ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის საფრთხე და თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს არსებულ და მომავალ კლიენტებს შორის“[50].

განსახილველ შემთხვევაში, B-ს წარმომადგენლობის დაწყებისას, ადვოკატისათვის ცნობილი იყო B-სა და A-ს ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების არსებობის თაობაზე. ადვოკატის განმარტება იმის თაობაზე, რომ მის მიერ B-ს წარმომადგენლობის დაწყებისას არ იყო დადასტურებული B-ს ბრალეულობა A-ს სისხლის სამართლის საქმეში, არ ათავისუფლებს მას ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების ვალდებულებისაგან. ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატს არ უნდა გაეფორმებინა იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება B-სთან, თავი უნდა აერიდებინა მისთვის კონსულტაციის გაცემისთვის სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით და შემდგომში არ უნდა განეხორციელებინა მისი ინტერესების დაცვასთან დაკავშირებული ქმედებები, ვინაიდან B მოწმის სტატუსით მონაწილეობდა A-ს სისხლის სამართლის საქმეში, რომელიც ურთიერთდაკავშირებული იყო[51].

ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის საფრთხესთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ეთიკის კომისიის რეკომენდაცია, რომელიც ეხება ადვოკატის მოქმედების წინააღმდეგობას საკუთარ ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან. მოცემული რეკომენდაციით განიმარტა, რომ „ადვოკატის ნათესავი

[50] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 058/12, 02 იანვარი, 2013 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2013/02.01.2013_058_12.PDF

[51] იქვე.

შესაძლოა ჩაითვალოს მასთან დაკავშირებულ პირად. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დაკავშირებული პირი განიმარტება, როგორც ნათესაური კავშირის მქონე პირი, რომელიც შედის პირველი და მეორე რიგის მემკვიდრეთა წრეში („გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ", 2007 წლის 28 მარტი, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონი 1998 წლის 24 დეკემბერი). ახლო ნათესავი შეიძლება ჩაითვალოს დაკავშირებულ პირად". შესაბამისად, ადვოკატმა თავი უნდა შეიკავოს ერთი და იმავე საქმეზე საწინააღმდეგო ინტერესების მქონე ნათესავებიდან ერთ-ერთის წარმომადგენლობაზე, ვინაიდან არსებობს ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის საფრთხე[52].

## 6.13. ინტერესთა კონფლიქტი და არაკვალიფიციური მომსახურების ალბათობა

ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას არსებობს ობიექტური საფრთხე, რომ ადვოკატი ვერ შეძლებს კლიენტს კვალიფიციური მომსახურება გაუწიოს და მისი საუკეთესო ინტერესების დასაცავად კანონით გათვალისწინებულ ყველა საშუალებას არ გამოიყენებს.

ადვოკატი იცავდა ორი ბრალდებულის ინტერესებს: თავდაპირველად ადვოკატი ახორციელებდა A-ს ინტერესების დაცვას, ხოლო შემდეგ პარალელურად დაიწყო A-ს მამის, B-ს ინტერესების დაცვა, რომელიც ბრალდებული იყო მისი შვილის საქმესთან დაკავშირებით მოწმის დაყოლიების ფაქტზე ცრუ ჩვენების მიცემის მიზნით. A შერაცხულ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობდა და დაინტერესებული იყო მის მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოტანილიყო, ხოლო მეორე პირი – B, თავს დამნაშავედ ცნობდა და მის ინტერესს წარმოადგენდა, თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებულ სასჯელზე მსუბუქი სასჯელი გამოყენებულიყო მის მიმართ[53].

ეთიკის კომისიამ ადვოკატის მიერ ნაწარმოები სისხლის სამართლის საქმეები, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად სისხლის სამართლის ორ სხვადასხვა საქმეს წარმოადგენდა, ადვოკატის პროფესიული ეთიკის თვალსაზრისით, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულებისთვის მიიჩნია არსებითად ურთიერთდაკავშირებულ საქმეებად. A-ს სისხლის სამართლის საქმიდან გამოიყო ახალი სისხლის სამართლის საქმე B-ს მიმართ, რომელიც შეეხებოდა A-ს სისხლის სამართლის საქმეზე მოწმეთა დაყოლიებას ცრუ ჩვენების მიცემისათვის, A-ს „ალიბის" შესაქმნელად, რამაც შექმნა ობიექტური საფრთხე იმისა, რომ ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში, ადვოკატი დაარღვევდა ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ვალდებულებას, დაკარგავდა ერთ-ერთი კლიენტის ნდობას ან რისკის ქვეშ დადგებოდა მის მიერ ერთ-ერთი

---

[52] ეთიკის კომისიის ზეპირი რეკომენდაცია 001/13, 18 მარტი, 2013 წელი.

[53] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 019/12, 02 აგვისტო, 2012 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2012/02.08.2012_019_12.pdf

კლიენტის დასაცავად ყველა კანონიერი საშუალების გამოყენების შესაძლებლობა[54].

ეთიკის კომისიის შეფასებით, ინტერესთა კონფლიქტის შექმნის საფრთხე წარმოიშვა იმ დროიდან, როდესაც ადვოკატის მეორე კლიენტმა, B-მ მისცა აღიარებითი ჩვენება, რაც შემდგომ A-ს მიმართ განაჩენის გამოტანისას ერთ-ერთი მტკიცებულების სახით გამოიყენეს. ადვოკატი ვალდებული იყო, შეეწყვიტა ორივე კლიენტის დაცვის განხორციელება ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის საფრთხის არსებობის გამო, რადგან B-ს მიერ ბრალის აღიარებამდე, წარმოადგენდა ორივე კლიენტის ინტერესებს და ფლობდა ორივე მათგანისგან მიღებულ ინფორმაციას. შესაბამისად, ორივე კლიენტის ადვოკატად დარჩენა ქმნიდა ერთ-ერთი კლიენტის ინფორმაციის კონფიდენციალურობის დარღვევის ობიექტურ საფრთხეს და რისკის ქვეშ აყენებდა ადვოკატის მიერ მეორე კლიენტის დასაცავად ყველა კანონიერი საშუალების გამოყენების შესაძლებლობას[55].

„ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, შესაძლოა ერთ-ერთ კლიენტს წარმოეშვას საფუძვლიანი ეჭვი, რომ ადვოკატი კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალების გამოყენებით არ იცავს მას, როგორც მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორს გაუჩნდა და მიიჩნია, რომ ადვოკატმა ბრალდებულ A-ს ინტერესების დაცვის დაწყების შემდეგ, აღარ დაიცვა სათანადოდ B, რომელმაც შერაცხულ ბრალდებაში თავი დამნაშავედ ცნო. A თავს დამნაშავედ არ ცნობდა, არ სურდა საპროცესო შეთანხმების დადება და მის იურიდიულ ინტერესს წარმოადგენდა, ადვოკატს მისი გამამართლებელი მტკიცებულებები მოეპოვებინა და სასამართლოში წარედგინა, შესაბამისი შუამდგომლობები დაეყენებინა, ხოლო B-მ წაყენებული ბრალდება აღიარა, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მხარეთა წინასასამართლო სხდომაზე შეთანხმების მიხედვით, მტკიცებულებები მის საქმესთან დაკავშირებით სადავო არ გამხდარა, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, მის იურიდიულ ინტერესს წარმოადგენდა, ადვოკატს წარედგინა მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი მტკიცებულებები“[56].

ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედიოდა ადვოკატის სტრატეგიის შეფასება B-სათვის დანაშაულის აღიარების რჩევის თაობაზე, მაგრამ ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დასაცავად უნდა გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალება, რათა სათანადოდ იყოს კლიენტი წარმოდგენილი და ადვოკატისთვის მინდობილი საქმის თაობაზე მიიღოს კვალიფიციური და სრული მომსახურება. ადვოკატი ვალდებულია, დაცვის განხორციელების პროცესში, კლიენტის დავალებით და მისი სახელით, შეასრულოს კლიენტის ინტერესების დასაცავად საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო საპროცესო მოქმედება. ადვოკატი ვალდებულია, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულებები სასამარ-

---

[54] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 019/12, 02 აგვისტო, 2012 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2012/02.08.2012_019_12.pdf.

[55] იქვე.

[56] იქვე.

თლოში, დააყენოს შუამდგომლობები. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „იმ გარემოებათა გამოსავლენად, რომლებიც ამართლებს ბრალდებულს ან/და ამსუბუქებს მის პასუხისმგებლობას, ადვოკატმა დაცვის ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი უნდა გამოიყენოს. ადვოკატს უფლება არა აქვს, იმოქმედოს ბრალდებულის მითითებისა და ინტერესების საწინააღმდეგოდ“[57].

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა ვერ უზრუნველყო ბრალდებულთა ეფექტური დაცვა, ვინაიდან A-ს ინტერესების დაცვის პროცესში, მან არ დააყენა არცერთი შუამდგომლობა, რომელთა დაყენებასაც მხარე მოითხოვდა, რის შედეგადაც კლიენტს შეუზღუდა სხვა ინსტანციებში სამართლებრივი ბრძოლის საშუალება. B-ს დაცვისას ადვოკატის არაეფექტური საადვოკატო მომსახურება გამოიხატა ბრალდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი მტკიცებულების წარუდგენლობაში, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე[58].

## 6.14. ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულების შეზღუდვა

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „დაუშვებელია ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულება იმ საქმეზე, რომელზედაც მან უკვე განახორციელა მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის, მომკვლევის, სასამართლო სხდომის მდივნის, თარჯიმნის, დამსწრის, მოწმის, ექსპერტის, სპეციალისტის, საჯარო მოსამსახურის ან ნოტარიუსის სტატუსით და საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი“.

ეთიკის კომისიამ გადაწყვეტილებით ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულების შეზღუდვა გაავრცელა იმ შემთხვევაზეც, როდესაც ადვოკატი ასრულებდა არბიტრაჟის თავმჯდომარის მოვალეობას საქმის განხილვაში და შემდეგ ამავე საქმეზე გადაწყვეტილების აღსრულებისას განაგრძო საადვოკატო მომსახურების განხორციელება, რადგან „საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე, არბიტრაჟის მიერ კერძო სამოქალაქო დავის განხილვა და გადაწყვეტა, სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს და, შესაბამისად, საარბიტრაჟო დავის განმხილველი არბიტრი „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტში მოხსენიებულ მოსამართლესთან უნდა იქნეს გათანაბრებული“. საქმის მასალათა მიხედვით, სააღსრულებო ფურცლის გამოწერის დღეს არბიტრაჟის თავმჯდომარის სახელზე გაცემულია რწმუნებულება. „სააღსრულებო ფურცლის გაცემისა და ამავე დღეს ადვოკატის სახელზე რწმუნებულების გაცემა, მიუხედავად იმისა, რომ როგორც ადვოკატი ამბობს, ეს რწუნებულება არ გამოუყენებიათ, სააღსრულებო ბიუროში წასვლა გამოხატავს ადვოკატის

[57] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 019/12, 02 აგვისტო, 2012 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2012/02.08.2012_019_12.pdf.

[58] იქვე.

მზაობას განახორციელოს იურიდიული ქმედებები და საკმარისია ეთიკის კომისიისათვის დასაბუთებული ვარაუდის შესაქმნელად, რომ ადვოკატი საჭიროების შემთხვევაში სამართლებრივ მომსახურებას გაუწევდა საჩივრის ავტორს სააღსრულებო წარმოების პროცესში“[59].

ეთიკის კომისიამ დისციპლინურ საქმეზე 026/11, 2011 წლის 07 აპრილის გადაწყვეტილებით დაადგინა: „ადვოკატმა უნდა შეწყვიტოს პროფესიული ფუნქციების შესრულება იმ საქმეზე, რომელსაც უკავშირდება მის მიერ კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება (მოსამართლის, პროკურორის და ა.შ) და კლიენტს მიაწოდოს ინფორმაცია ინტერესთა შეუთავსებლობის თაობაზე“.

## 6.15. „გავრცელებული“ ინტერესთა კონფლიქტი

ინტერესთა კონფლიქტის ბიუროზე გავრცელება გულისხმობს, რომ ერთი ადვოკატის ინტერესთა კონფლიქტი ვრცელდება მთელ საადვოკატო ბიუროზე, ვინაიდან ივარაუდება, რომ ერთ საადვოკატო ბიუროში მომუშავე ადვოკატებისთვის ერთმანეთის საქმეებზე ინფორმაცია ადვილად ხელმისაწვდომია და როდესაც ერთი საადვოკატო ბიურო წარმოადგენს საწინააღმდეგო ინტერესის მქონე კლიენტებს, არსებობს ადვოკატთა მიერ კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების ან კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის მოვალეობის დარღვევის საფრთხე. ერთი ადვოკატის ინტერესთა კონფლიქტის მთლიან ბიუროზე გავრცელება გამოწვეულია იმ გარემოებითაც, რომ კოლეგები ინაწილებენ შემოსავალს, რეპუტაციასა და სამომავლო პერსპექტივებს.

საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „ერთ საადვოკატო ბიუროში (ოფისში, კანტორაში, იურიდიულ ფორმაში და ა.შ.) მომუშავე ადვოკატებს უფლება არა აქვთ მისცენ პროფესიული რჩევა ან წარმოადგინონ რამდენიმე პირი (კლიენტი) ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნულ კლიენტებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე“. აქედან გამომდინარე, აღნიშნული შეზღუდვა ადვოკატებზე გავრცელდება კლიენტებს შორის ინტერესთა კონფლიქტის ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხის არსებობისას და არა როდესაც ადვოკატს პირადი ინტერესთა კონფლიქტი აქვს.

ეთიკის კომისიამ საადვოკატო ბიუროზე ინტერესთა კონფლიქტის გავრცელების შესახებ იმსჯელა გადაწყვეტილებაში საქმეზე 016/11[60], სადაც ინტერესთა კონფლიქტის არსებობა არ დადგინდა, მაგრამ აღნიშნულია: „იმისათვის, რომ დადასტურდეს კონფიდენციალობის პრინციპის დარღვევა ადვოკატის მიერ, მხარემ მინიმუმ უნდა დაადასტუროს ასეთი სახის ინფორმაციის და/ან დოკუმენტის გადაცემა ან განდობა მისი ადვოკატისათვის. რაც შეეხება საჩივრის ავ-

[59] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 100/11, 08 იანვარი, 2013 წელი. აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით დს-შ/3-13 უცვლელი დარჩა, http://gba.ge/axali/08.01.2013saqme10011.PDF

[60] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 016/11, 22 მარტი, 2011 წელი.

ტორის მითითებას ადვოკატებს შორის კონფიდენციალური ინფორმაციის და საქმის მასალების ხელმისაწვდომობაზე, განვმარტავთ: მომჩივან მხარეს არ წარმოუდგენია რაიმე სახის მტკიცებულება, რომ საქმეში ჩართულ ადვოკატებს ჰქონდათ რაიმე სახის ინფორმაცია ან დოკუმენტი, რომელიც მოწინააღმდეგე მხარეს არ მოუპოვებია, ადვოკატები მუშაობდნენ სხვადასხვა ოთახებში, რომლებსაც გააჩნდათ დამოუკიდებელი შესასვლელები, რომელიც იკეტება და მათი სამუშაო დოკუმენტაცია ერთმანეთისგან განცალკევებით ინახებოდა“. „გავრცელებული“ ინტერესთა კონფლიქტის თვალსაზრისით, აღნიშნული გადაწყვეტილება იმ მხრივ არის მნიშვნელოვანი, რომ ერთ საადვოკატო ბიუროში მომუშავე ადვოკატებზე ინტერესთა კონფლიქტის გასავრცელებლად საკმარისად მიიჩნევს არა ადვოკატთა ერთ ბიუროში მუშაობას, არამედ მტკიცების ტვირთს განმცხადებელს აკისრებს, რომელმაც უნდა დაადასტუროს, რომ მან თავის ადვოკატს გადასცა ისეთი სახის ინფორმაცია ან მტკიცებულება, რაც დაფარული იყო მეორე მხარისათვის და ამ ინფორმაციის მიღება ან მოპოვება მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატს შეეძლო მხოლოდ კლიენტის წარმომადგენლის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის გაცემით.

ევროგაერთიანების ეთიკის კოდექსი ზოგადად ეხება მოცემულ საკითხს და ინტერესთა კონფლიქტის მომწესრიგებელ ნორმებს, რომელიც კონკრეტულ ადვოკატს ეხება, ავრცელებს მთელ საადვოკატო ბიუროზე და მის წევრებზე[61]“.

## 6.16. ადვოკატის მოვალეობანი ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპის დასაცავად

საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმები, ისევე როგორც ევროგაერთიანების ეთიკის კოდექსი, არ ითვალისწინებს ადვოკატის უფლებას, ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას ან მისი წარმოქმნის საფრთხის შექმნისას გააგრძელოს საადვოკატო საქმიანობა კლიენტთათვის ინფორმაციის გამჟღავნებისა და ინფორმირებული თანხმობის მიღების გზით. ასეთ დროს ადვოკატი ვალდებულია კლიენტს აცნობოს ინტერესთა კონფლიქტის შესახებ და მოშალოს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება.

## 6.17. კლიენტის ინფორმირების მოვალეობა

ინტერესთა კონფლიქტის არსებობის ან მისი წარმოქმნის საფრთხის შემთხვევაში, ადვოკატი არ უნდა დათანხმდეს კლიენტს საადვოკატო მომსახურების გაწევაზე ან თუ კონფლიქტი წარმოიშვა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყების შემდეგ, ადვოკატმა უნდა აცნობოს ამის შესახებ კლიენტს. ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლი მხოლოდ ხელშეკრულების მოშლაზე მიუთითებს, ხოლო კლიენტის ინფორმირების მოვალეობას „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5

[61] ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი, 3.2.4, http://new.gba.ge/uploads/files/regulaciebi/evrogaertianebis_qcevis_kodeqsi.pdf

მუხლის „ე“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს. კლიენტის ინფორმირება უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ. ეთიკის კომისიის პრაქტიკაში არსებული საქმის 027/11[62] ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას, ადვოკატის მიერ კლიენტის ინფორმირება არ მოხდა დაუყოვნებლივ და აღმოჩნდა, რომ მეორე კლიენტს (თავდაპირველად ერთად მიმართეს მოცემულ ადვოკატს თანასაკუთრების თანაბარწილად რეგისტრაციის მიზნით), საადვოკატო ხელშეკრულების მოშლისას, უკვე მთლიან უძრავ ქონებაზე ჰქონდა საკუთრების უფლება რეგისტრირებული.

## 6.18. ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში წარმომადგენლობის შეწყვეტა

ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის ან წარმოშობის საფრთხის შექმნისას, ადვოკატი ვალდებულია მოცემულ საქმეზე ყველა კლიენტთან შეწყვიტოს ხელშეკრულება. ერთობლივი წარმომადგენლობისას, კლიენტის თანხმობის შემთხვევაშიც კი, ადვოკატი არ არის უფლებამოსილი კლიენტებიდან ერთ-ერთის ინტერესების დაცვა გააგრძელოს[63]. აღნიშნული აკრძალვა სავარაუდოდ გამომდინარეობს იქიდან, რომ ადვოკატისათვის ცნობილია მოცემულ საქმეზე თითოეული კლიენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია და მათ შორის ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის შემდეგ ერთ-ერთი კლიენტის წარმომადგენლობის გაგრძელებამ შესაძლებელია ზიანი მიაყენოს სხვა კლიენტებს აღნიშნული კონფიდენციალური ინფორმაციის მის სასარგებლოდ გამოყენებით.

ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის მე-5 ნაწილის ცვლილება გამოიხატა ერთი და იმავე საქმესთან ერთად ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულების გავრცელებით.

ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობისას, კლიენტთა წარმომადგენლობის შეწყვეტის ვალდებულების თაობაზე საინტერესო გადაწყვეტილებას წარმოადგენს ეთიკის კომისიის მიერ განხილული საქმე 015/10[64]. განმცხადებლის პრეტენზია ადვოკატისადმი გამოიხატა იმაში, რომ ადვოკატი ერთსა და იმავე სისხლის სამართლის საქმეზე იცავდა სამი განსასჯელის ინტერესებს. ერთ-ერთმა განსასჯელმა, გამოძიებას მისცა აღიარებითი ჩვენება, რომლითაც დაადანაშაულა ორი სხვა განსასჯელი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში. ადვოკატმა უარი თქვა ორი განსასჯელის ინტერესების დაცვაზე და მხოლოდ ერთის ინტერესების დაცვა გააგრძელა. დაცვის გარეშე დარჩენილ განსასჯელებს დაენიშნათ საზოგადოებრივი ადვოკატი[65].

---

[62] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 027/11, 20 აგვისტო, 2011 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/20.08.11.pdf

[63] აპეკ-ი, მუხლი 6, ნაწილი 5.

[64] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 015/10, 20 აპრილი, 2011 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/20.04.2011.pdf

[65] იქვე.

ეთიკის კომისიამ შეაფასა ადვოკატის გადაწყვეტილება ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის შემდეგ სამიდან ერთი კლიენტისათვის საადვოკატო მომსახურების გაგრძელების თაობაზე და გადაწყვეტილებაში განმარტა: „...სისხლის სამართლის საქმეში, კლიენტების ინტერესებს შორის კონფლიქტი წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი კლიენტი საქმის მსვლელობის პროცესში ადანაშაულებს სხვა კლიენტს ან მის მიერ ადვოკატისათვის მიწოდებული ინფორმაცია არ შეესაბამება სხვა კლიენტების მიერ წარმოდგენილ გარემოებებს. შესაბამისად, აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეში ადვოკატს წარმოეშვა ინტერესთა კონფლიქტი იმ მომენტიდან, როდესაც მისი კლიენტების ჩვენებები ერთმანეთს არ დაემთხვა და მათ ერთმანეთი დაადანაშაულეს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში“[66].

კომისიის შეფასებით, ადვოკატს გააჩნდა ვალდებულება, შეეწყვიტა სამივე კლიენტის წარმომადგენლობა, „...რადგან მათ მიერ განსხვავებული ჩვენებების მიცემამდე, იგი წარმოადგენდა სამივე კლიენტის ინტერესებს და ფლობდა სამივე მათგანისაგან მიღებულ ინფორმაციას. ...მოცემულ შემთხვევაში წარმოიშვა ადვოკატის მიერ კლიენტებისაგან მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობის პრინციპის ხელყოფის საფრთხე და შესაძლებლობა, რომ აღნიშნული ინფორმაცია ადვოკატს გამოეყენებინა დარჩენილი კლიენტის სასარგებლოდ ან სხვების საზიანოდ“. ეთიკის კომისიამ ასევე შეაფასა ის გარემოება, თუ რამდენად შეძლებდა ადვოკატი დარჩენილი კლიენტის დასაცავად ყველა კანონიერი საშუალების გამოყენებას, ვინაიდან „ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობისას, ადვოკატის მიერ ერთ-ერთი კლიენტის ინტერესების დაცვის გაგრძელება, ადვოკატს აკისრებს ვალდებულებას, ერთი მხრივ, დაიცვას ყოფილი კლიენტების მიერ მისთვის მოწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა, ხოლო მეორე მხრივ, დარჩენილი კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალება. ადვოკატის აღნიშნული ვალდებულებების შესრულება, ერთმანეთის კონკურენტულია და წარმოიშვება ადვოკატის მიერ ერთ-ერთი ვალდებულების დარღვევის საფრთხე, რაც შესაძლოა უარყოფითად აისახოს ყოფილი კლიენტის ან არსებული კლიენტის ინტერესებზე“[67].

ეთიკის კომისიამ არ გაიზიარა ადვოკატის პოზიცია დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკაზე მითითებით და განმარტა, რომ ადვოკატმა უნდა იხელმძღვანელოს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით[68].

---

[66]ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 015/10, 20 აპრილი, 2011 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/20.04.2011.pdf.

[67] იქვე.

[68] იქვე.

## 7. კოლეგიალობის პრინციპი

***ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები. (08.12.2012)***

კოლეგიალობის პრინციპის არსი აპეკ-ის მე-7 და მე-10 მუხლების ერთობლივი გააზრებით უნდა მოხდეს. კოლეგიალობის პრინციპი ერთ-ერთია იმ უმნიშვნელოვანეს სახელმძღვანელო პრინციპთაგან, რომლის დაცვის ვალდებულება ეკისრება ადვოკატს და არა მხოლოდ პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში.

კოლეგიალობის პრინციპს ასევე ეხება „გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატის როლის შესახებ", რომლის მიხედვით, ადვოკატებმა, როგორც მართლმსაჯულების წარმომადგენლებმა, ყოველთვის უნდა იზრუნონ მათი პროფესიის პატივისა და ღირსების შესანარჩუნებლად[1].

„ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსით" პროფესიის კორპორტიული არსი მოითხოვს ადვოკატთა შორის ურთიერთობაში ნდობასა და თანამშრომლობას, მათი კლიენტების სასარგებლოდ და არასაჭირო სასამართლო გარჩევისა და სხვა საქციელის თავიდან აცილების მიზნით, რომელიც პროფესიის რეპუტაციისათვის საზიანოა, თუმცა, ზემოაღნიშნული არ ამართლებს კლიენტის ინტერესებზე მაღლა პროფესიის ინტერესების დაყენებას. ადვოკატმა წევრი სახელმწიფოების ყველა ადვოკატი პროფესიულ კოლეგებად უნდა აღიაროს და მათ მიმართ სამართლიანად და პატივისცემით უნდა იმოქმედოს[2].

ადვოკატთა ეთიკის კოდექსის პრეამბულაში, საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, საუბარია ადვოკატის ვალდებულებაზე, შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისათვის.

„ეთიკის კოდექსი მოცულობით ლაკონიურია და სტრუქტურულად პირველ თავში აერთიანებს ძირითად პრინციპებს, რომლებიც არა მხოლოდ საადვოკატო საქმიანობის სახელმძღვანელო საწყისებია, არამედ ადვოკატს, როგორც სტატუსის მქონე პირს, ავალდებულებს თავისი ქმედებებით დაადასტუროს პროფესიული ღირებულებებისადმი პატივისცემა. სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებამ „პროფესიული ღირებულებების" ცნება შემოეტანა კოდექსში, ადვოკატთა საერთო კრებაზე მხარდაჭერა მოიპოვა და ერთმანეთთან კონცეპტუალურად დააკავშირა კოდექსის პირველ თავში (მოიცავს მუხლებს 1-7) ჩამოყალიბებული ძირითადი პრინციპები. ხსენებულმა ცვლილებამ კიდევ ერთხელ ასახა პროფესიული ვალდებულებების დაცვის „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი ვალდებულება[3]. თითოეული ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქ-

[1] გაეროს ძირითადი პრინციპები „ადვოკატის როლის შესახებ".

[2] იხ. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი.

[3] „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონი, მუხ. 3, ქვეპუნქტი „თ".

ციების კეთილსინდისიერად შესრულება მაღალზნეობრივი ეთიკური ვალდებულებების დაცვით[4] უზრუნველყოფს პროფესიისადმი ერთგულ ადვოკატთა კოლეგიალურ თანაარსებობას და საზოგადოების რწმენის გაძლიერებას ამ პროფესიისადმი. „თითოეული ადვოკატურის ან იურიდიული საზოგადოების ცალკეული წესები წარმოიქმნება მისი ტრადიციებიდან“[5].

[4] „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 5, ქვეპუნქტები „ა“, „ბ“.

[5] ჟურნალი „ადვოკატი“ 3 - აპეკ-ის კომენტარები, გვ. 26.

## 8. ურთიერთობა ადვოკატსა და კლიენტს შორის

1. *ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ურთიერთობას უთანაბრდება, როდესაც ადვოკატს შეეძლო ევარაუდა, რომ შეთანხმებას დებდა კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი, გარდა სავალდებულო (იძულებითი) დაცვის შემთხვევისა.*

2. *ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით, სავალდებულო დაცვის შემთხვევაში.*

3. *ადვოკატს უფლება არა აქვს კლიენტს მისცეს გარანტიები მისგან აღებული საქმის შედეგებთან დაკავშირებით.*

4. *ადვოკატმა შეიძლება შეზღუდოს საკუთარი სამოქალაქო პასუხისმგებლობა კლიენტის წინაშე ადვოკატის უხეში გაუფრთხილებლობისთვის. ვალდებულების ამგვარი შეზღუდვა ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კლიენტი წერილობით დათანხმდება ამგვარ შეზღუდვაზე. (08.12.2012)*

5. *ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.*

6. *ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.*

7. *ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით.*

8. *ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის. (08.12.2012)*

9. *ჰონორარის გადაუხდელობის შემთხვევაში, ადვოკატი უფლებამოსილია უარი თქვას საქმეზე ან მის წარმოებაზე წინამდებარე თავის მე-7 პუნქტის გათვალისწინებით.*

10. *ადვოკატს არა აქვს უფლება გადაუხადოს გადასახადი, საკომისიო ან ნებისმიერი სხვა სახის კომპენსაცია პირს კლიენტისათვის პირადად მისი რეკომენდირებისათვის. ამ აკრძალვის დარღვევად არ ჩაითვლება, თუკი ერთ საადვოკატო ბიუროში მომუშავე ადვოკატი საკუთარი ანაზღაურების ნაწილს გადასცემს ამ ბიუროში მომუშავე სხვა ადვოკატს, პენსიაზე გასულ ადვოკატს ან ადვოკატის მემკვიდრეს.(08.12.2012)*

*11. ადვოკატი უნდა ცდილობდეს მიაღწიოს დავის მინიმალური დანახარჯებით გადაწყვეტას, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატმა კლიენტს უნდა ურჩიოს საქმის მორიგებით დასრულება ან დავის ალტერნატიული მეთოდებით გადაწყვეტა. (08.12.2012)*

*12. ადვოკატმა უნდა აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტის მიერ გადახდილ საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით.*

*13. ნებისმიერი ფულადი სახსრები ან ქონება, რომელსაც კლიენტი მიანდობს ადვოკატს, უნდა ინახებოდეს დამოუკიდებლად ადვოკატის პირადი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან და იმართებოდეს კეთილსინდისიერად. ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ანგარიშგება.(08.12.2012)*

*14. ადვოკატმა პატიოსნად და უშიშრად უნდა დაიცვას კლიენტის ინტერესები, მიუხედავად მისი პირადი ინტერესებისა ან მისთვის ან ნებისმიერი სხვა პირისათვის შესაძლო შედეგებისა.*

*15. კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი. (08.12.2012)*

### 1. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყება

**8.1. ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ურთიერთობას უთანაბრდება, როდესაც ადვოკატს შეეძლო ევარაუდა, რომ შეთანხმებას დებდა კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი, გარდა სავალდებულო (იძულებითი) დაცვის შემთხვევებისა.**

ადვოკატს პროფესიული ეთიკის ძირითადი ვალებულებები კლიენტის მიმართ ეკისრება მას შემდეგ, რაც მასსა და კლიენტს შორის იწყება ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. ამიტომ მნიშვნელოვანია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობების დასაწყისის ზუსტი დროის განსაზღვრა.

ეთიკის კოდექსის 8.1 მუხლის თანახმად, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობები შეიძლება დაიწყოს კლიენტთან ან მისი ნდობით აღჭურვილ პირთან შეთანხმებით ან სავალდებულო დაცვის შემთხვევაში, ადვოკატის დანიშვნით.

### *1.1. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყება ურთიერთშეთანხმებით*

შეთანხმება საადვოკატო მომსახურებაზე შეიძლება მოხდეს უშუალოდ ადვოკატსა და კლიენტს შორის, ასევე, კლიენტის სახელით შეთანხმების/ხელშეკრულების გაფორმებისთვის უფლებამოსილ პირსა და ადვოკატს შორის. მნიშვნელოვანი საკითხებია, რა ფორმით შეიძლება დაიდოს შეთანხმება და ვინ შეიძლება იყოს უფლებამოსილი პირი.

### *1.2. შეთანხმების ფორმა და შეთანხმების დადებაზე უფლებამოსილი პირი*

შეთანხმება/ხელშეკრულება, სამოქალაქო კოდექსის თანახმად, შეიძლება იყოს როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი.

ნებისმიერ შემთხვევაში ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა დაწყებულად ჩაითვლება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლის მიხედვით, აღნიშნული შეთანხმება განიხილება, როგორც დავალების ხელშეკრულება, ვინაიდან ადვოკატი რწმუნებულებით ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელით და ხარჯზე.

ეთიკის კომისია 24/04/2013 წლის 008/13 რეკომენდაციაში[1] შეეხო დავალების ხელშეკრულების არსს და ხელშეკრულების შინაარსს. კომისიამ ხაზი გაუსვა, რომ ხელშეკრულების თავისუფლების მნიშვნელოვანი მომენტია ხელშეკრულების შინაარსის თავისუფალი განსაზღვრა მხარეების მიერ. მათ შეუძლიათ თავად შეთანხმდნენ ნებისმიერ საკითხზე, თუმცა, მხოლოდ კანონის ფარგლებში.

მნიშვნელოვანი საკითხია ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტი. ეთიკის კომისიამ ზემოაღნიშნულ რეკომენდაციაში ხაზი გაუსვა: „დავალების ხელშეკრულების გაფორმებისას მარწმუნებელს უფლება აქვს შეწყვიტოს ურთიერთობა ნებისმიერ დროს. აღნიშნული ხელშეკრულება შესაძლოა შეწყდეს ცალმხრივად და ეს არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ვალდებულების დარღვევა. ასეთი უფლება იმით არის განპირობებული, რომ ჩვეულებრივ, მარწმუნებელსა და რწმუნებულს შორის უნდა არსებობდეს განსაკუთრებული ნდობა და, თუ ეს ნდობა დაიკარგა, ორივე მხარეს ნებისმიერ მომენტში უნდა შეეძლოს უარი თქვას დავალების ხელშეკრულებაზე“[2].

რაც შეეხება შეთანხმებაზე უფლებამოსილ პირს. ასეთი პირი შეიძლება იყოს კლიენტის ოჯახის წევრი, ახლო ნათესავი, მეგობარი ან ნებისმიერი სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირი, რომელიც სარგებლობს კლიენტის ნდობით და უფლებამოსილია დადოს შეთანხმება ადვოკატთან. კლიენტისგან ადვოკატის აყვანის უფლებამოსილების არსებობისთვის არ არის აუცილებელი, მესამე პირს გააჩნდეს ადვოკატის აყვანის მინდობილობა. საკმარისია, როცა სახეზეა, რომ

---

[1] http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/rekomendaciebi/cerilobiti/06.06.2013_008.13.pdf

[2] http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/rekomendaciebi/cerilobiti/06.06.2013_008.13.pdf

მესამე პირი ნამდვილად მოქმედებს კლიენტის ნების გათვალისწინებით და მისთვის დებს შეთანხმებას ადვოკატთან. ამაზე მიუთითებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლი, რომლის თანახმად, „ადვოკატს ირჩევს და იყვანს ბრალდებული ან, ბრალდებულის ნების გათვალისწინებით, მისი ახლო ნათესავი ან სხვა პირი“. სამოქალაქო სამართალი იცნობს მესამე პირთა სასარგებლოდ დადებულ გარიგებებს და კლიენტის სასარგებლოდ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაც სწორედ ამ ტიპის ხელშეკრულებად ჩაითვლება. თუ მესამე პირთან შეთანხმების გაფორმების შემდეგ ადვოკატი აღმოაჩენს, რომ კლიენტს არ სურდა მისი მომსახურება, მან უნდა გააუქმოს შეთანხმება საადვოკატო მომსახურების შესახებ.

ეთიკის კომისიის მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეში[3] ადვოკატი საქმეში ჩაერთო ბრალდების მხარის მიწვევით. კერძოდ, ადვოკატმა ბრალდების მხარის მიწვევით მონაწილეობა მიიღო საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში. თუმცა, ადვოკატის განმარტებით, მან კლიენტს, შემთხვევის ადგილზე მისვლისას, აცნობა, რომ იყო მისი ადვოკატი და მონაწილეობას მიიღებდა შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში. ეთიკის კომისიის აზრით, „ეს ვითარება არ შეიძლება მიჩნეული იქნეს დაცვის განხორციელებაზე კლიენტთან შეთანხმებად. ადვოკატმა აღნიშნული ინფორმაცია კლიენტს მიაწოდა მას შემდეგ, რაც უკვე ჩაერთო საქმეში ბრალდების მხარის თხოვნით, ადვოკატმა კლიენტის ნებართვის გარეშე გამოწერა ორდერი სისხლის სამართლის საქმეზე. შესაბამისად, ადვოკატის მიერ უფლებამოსილების მიღებაზე ინფორმაციის მიწოდება კლიენტისთვის დაგვიანებული იყო. „გასათვალისწინებელია, რომ პირი დაკავებისას ხშირად იმყოფება მძიმე სტრესულ მდგომარეობაში და ასეთ დროს კლიენტთან გასაუბრების უფლება და შესაძლებლობა აქვს ადვოკატს, რომელსაც მიანდობს კლიენტი მისი უფლებების დაცვას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია, ადვოკატი კლიენტის ნებით არ ჩაერთო სისხლის სამართლის საქმეზე“[4]. ბრალდების მხარის მოწვევის საფუძველზე მოცემულ საქმეში ჩართვა არღვევს აპეკ-ის 8.1 მუხლით დადგენილ ვალდებულებას.

ეთიკის კომისიის მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეში ადვოკატმა გამოწერა ორდერი და შევიდა ციხეში მსჯავრდებულის მოსანახულებლად. თუმცა, ამ დროს იგი მიზნად ისახავდა არა ამ მსჯავრდებულის ინტერესების დაცვას, არამედ თავისი სხვა კლიენტის ინტერესების დაცვას და სხვის კლიენტთან შესვლით გარკვეული ინფორმაციის მოპოვება სურდა. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების თანახმად, „საქართველოს კანონმდებლობა არ ცნობს უფლებამოსილი პირების მიერ ადვოკატთან ხელშეკრულების გაფორმებას სხვა მიზნით (სხვა კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით), გარდა ორდერში მითითებული პირის ინტერესების დაცვისა. განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატის სახელზე ორდერის გამოწერა უნდა განხორციელდეს ორდერის საფუძველზე განსაზღვრული პირის

---

[3] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 112/11, 25 მაისი, 2012 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_ komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2012/25.05.12_112_11.pdf

[4] იქვე.

ინტერესების დასაცავად და არა სხვა პირის, თუნდაც ის ადვოკატის კლიენტი იყოს, დავალების შესასრულებლად“[5].

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საადვოკატო საქმიანობა, სხვა აქტივობებთან ერთად, მოიცავს იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, ვისაც ადვოკატმა დახმარებისთვის მიმართა. ამ კანონისმიერი დებულების გათვალისწინებით, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა იწყება პოტენციური კლიენტისათვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევის მომენტიდან. აღნიშნულ საკითხზე ეთიკის კომისიამ იმსჯელა კიდეც ერთ-ერთ საქმეში[6].

საინტერესოა, იწყება თუ არა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა სოციალურ ქსელში განთავსებულ შეკითხვაზე ადვოკატის მიერ საკუთარი ინიციატივით პასუხის გაცემისას. ასეთი საქმე ეთიკის კომისიას არ განუხილავს, თუმცა, ამ საკითხზე კომისიას მოუხდა მსჯელობა რეკომენდაციის გაცემისას. მიუხედავად იმისა, რომ კომისიის რეკომენდაციას არ აქვს სავალდებულო ხასიათი, მნიშვნელოვანია, ვნახოთ, როგორია კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაციის დასაბუთება. კერძოდ, ეთიკის კომისიამ რეკომენდაციაში განმარტა:

„განსახილველ შემთხვევაში, სოციალურ ქსელში სამართლებრივი შეკითხვის განთავსებით ივარაუდება, რომ შეკითხვის ავტორს სურს მიიღოს კვალიფიციური პასუხი. მიუხედავად იმისა, რომ შეკითხვის ავტორის სამართლებრივი შეკითხვა კონკრეტულად არ იყო მიმართული რომელიმე ადვოკატის მიმართ, ეს არ ათავისუფლებს ადვოკატს დაიცვას პროფესიული სტანდარტები იმ შემთხვევაშიც, როდესაც ის თავისი ინიციატივით გასცემს პასუხს სოციალურ ქსელში დასმულ შეკითხვას. ეთიკის კომისია რეკომენდაციის გაცემისას აღნიშნავს, რომ ადვოკატის მიერ აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხის გაცემისას ადვოკატი ახორციელებს საადვოკატო საქმიანობას და, შესაბამისად, სამართლებრივი კონსულტაციის გაწევის მომენტიდან იწყება ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა და ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა შეკითხვაზე პასუხის გაცემისას იმოქმედოს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა დაცვით“[7].

### *1.3. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყება სავალდებულო დაცვის შემთხვევებში*

ბუნებრივია, სავალდებულო დაცვის შემთხვევებში ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყება განსხვავდება ურთიერთშეთანხმებით საადვოკატო მომსახურების დაწყებისაგან. აქ შეიძლება არც კი არსებობდეს კლიენტის ნება, მისი ინტერესები დაიცვას ამა თუ იმ საზოგადოებრივმა ადვოკატმა. თუმცა, ადვო-

---

[5] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 044/10, 22 ნოემბერი, 2011 წელი.

[6] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 027/11, 20 აგვისტო, 2011 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_ komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/20.08.11.pdf,

[7] ეთიკის კომისიის წერილობითი რეკომენდაცია 011/13, 07 აგვისტო, 2013 წელი, http://gba.ge/axali/07.08.2013rekomendacia01113.pdf

კატ-კლიენტის ურთიერთობა მაინც იწყება, სახელმწიფოს კანონისმიერი ვალდებულების – უზრუნველყოს ადვოკატის მონაწილეობა სავალდებულო დაცვის შემთხვევებში – საფუძველზე.

სავალდებულო დაცვის შემთხვევებს ჩამოთვლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში სსსკ) 45-ე მუხლი. ასევე, „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი. კანონით განსაზღვრულ ვითარებაში მყოფ პირთათვის იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა სახელმწიფოს ვალდებულებაა. ამ ვალდებულებას სახელმწიფო ახორციელებს იურიდიული დახმარების სამსახურის მეშვეობით. უშუალოდ საადვოკატო მომსახურებას ახორციელებს საზოგადოებრივი ადვოკატი.

სისხლის სამართლის პროცესში საზოგადოებრივი ადვოკატის საქმეში ჩართვას უზრუნველყოფს იურიდიული დახმარების ბიურო, მიმწოდებელი ან საკონსულტაციო ცენტრი. ადვოკატი საქმეში შეიძლება ჩაერთოს

ა) ბრალდებულის ან/და მსჯავრდებულის ან მისი წარმომადგენლის ან/და ახლო ნათესავის მიმართვის საფუძველზე;

ბ) პროცესის მწარმოებელი ორგანოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართვის საფუძველზე[8].

ბრალდებულს ან მსჯავრდებულს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, დაუკავშირდეს საზოგადოებრივ ადვოკატს და მოიწვიოს იგი. პროცესის მწარმოებელი ორგანო ვალდებულია, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, უზრუნველყოს საზოგადოებრივი ადვოკატის საქმეში ჩართვა და მის მიერ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელება[9].

ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით იურიდიული დახმარების ბიურო, მიმწოდებელი ან საკონსულტაციო ცენტრი განიხილავს პირის მიმართვას, არკვევს, აკმაყოფილებს თუ არა იგი ამ კანონით და სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილ კრიტერიუმებს და იღებს გადაწყვეტილებას საზოგადოებრივი ადვოკატის დანიშვნის ან დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ[10].

საზოგადოებრივი ადვოკატები საქმეში ჩართვის შემდეგ მოქმედებენ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაბამისად[11].

ეთიკის კომისიის მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეში, ადვოკატი, რომელიც ამავდროულად იყო არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი, აცხადებდა, რომ იგი კლიენტის ინტერესების დაცვას ახორციელებდა სავალდებულო წესით, რომლის შესახებაც მას მიმართა პროკურატურამ. ეთიკის კომისიამ გადაწყვეტილებაში იმსჯელა სავალდებულო დაცვის არსზე და პროცედურებზე, გაითვალისწინა,

---

[8] „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 21.1.

[9] იქვე, მუხლი 21.2.

[10] იქვე, მუხლი 21.3.

[11] იქვე, მუხლი 16.6.

რომ „იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონის 21-ე მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესში საზოგადოებრივი ადვოკატის საქმეში ჩართვას უზრუნველყოფს იურიდიული დახმარების ბიურო, პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიმართვის საფუძველზე და დაადგინა, რომ ადვოკატის მიერ დარღვეული იქნა ეთიკის კოდექსის 8.1 მუხლით განსაზღვრული ვალდებულება[12].

## 2. ადვოკატის მიერ საქმის წარმოების თავისებურებანი – კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს კომპეტენტური პირის მითითებები

### 8.2. ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით, სავალდებულო დაცვის შემთხვევებში.

მოცემული ნორმა ავალდებულებს ადვოკატს, იმოქმედოს კლიენტის მითითებების შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ ნორმაში ასევე საუბარია კლიენტის უფლებამოსილი წარმომადგენლის და კომპეტენტური პირის მითითებებზეც (სავალდებულო დაცვის შემთხვევებში), შეუძლებელია პროფესიული ეთიკის თვალსაზრისით გამართლებულად ჩაითვალოს, თუ ადვოკატი იმოქმედებს კლიენტის უფლებამოსილი წარმომადგენლის და კომპეტენტური პირის მითითებების საფუძველზე, კლიენტის მითითებების საწინააღმდეგოდ. ასეთი ვითარება შეუთავსებელი იქნებოდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის არსთან და პროფესიული ეთიკის სხვა პრინციპებთან. ლოგიკურად, ეს ნორმა გულისხმობს და აღწერს იმ შემთხვევებს, როცა ადვოკატი ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობებში შედის არა თავად კლიენტთან შეთანხმებით, არამედ მის უფლებამოსილ წარმომადგენელთან შეთანხმებით, ხოლო სავალდებულო დაცვის შემთხვევაში, კომპეტენტური პირის გადაწყვეტილებით. ამ დროს, ბუნებრივია, ადვოკატმა უნდა შეასრულოს კლიენტის ინტერესების დაცვის დაწყებისათვის ამ პირების მითითება. სიტყვა „მითითება“ სწორედ ამ კონტექსტში უნდა იქნას გაგებული. თუმცა, სავალდებულო დაცვის შემთხვევაში, ადვოკატი ვალდებულია განახორციელოს დაცვა (შეასრულოს კომპეტენტური პირის მითითება სავალდებულო დაცვის განხორციელების შესახებ) იმის მიუხედავად, კლიენტი თანახმაა თუ არა. ეს გამომდინარეობს თავად სავალდებულო დაცვის არსიდან.

ცხადია, რომ ადვოკატს აქვს კლიენტის მხოლოდ კანონიერი მითითებების შესრულების ვალდებულება. ამის შესახებ პირდაპირ არ არის ამ ნორმაში აღნიშნული, თუმცა, ეს გამომდინარეობს პროფესიული ეთიკის სხვა ნორმებიდან და კანონმდებლობის მოთხოვნებიდან. კერძოდ, აპეკ-ის მე-5 მუხლის თანახმად, კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და პროფესიული ეთიკის კოდექსს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადვოკატ-

[12] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 078/11, 24 იანვარი, 2012 წელი.

მა დაცვის ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი უნდა გამოიყენოს. ადვოკატს უფლება არ აქვს, იმოქმედოს ბრალდებულის მითითებებისა და ინტერესების საწინააღმდეგოდ.

ეთიკის კომისიის პრაქტიკაც ცხადყოფს, რომ ის დასაშვებად მიიჩნევს კლიენტის ინტერესების დაცვას მხოლოდ კანონიერი საშუალებების გამოყენებით[13]. ეთიკის კომისია თავის გადაწყვეტილებებში იზიარებს და ეყრდნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმეზე Brandstetter v. Austria[14]. კომისიამ ერთ-ერთ საქმეში დასაბუთებისას გამოიყენა ამონარიდი ამ გადაწყვეტილებიდან. კერძოდ, „დაცვის უფლების განხორციელება ნებადართულია მხოლოდ კანონიერი ქმედებების ფარგლებში. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი არ უზრუნველყოფს პირის შეუზღუდავ უფლებას, განახორციელოს ნებისმიერი სახის დაცვითი მოქმედებები და დაუშვებლად მიიჩნევს, არაკანონიერი ქმედებები გამართლებულ იქნას ამ უფლების განხორციელების საფუძვლით. ის გარემოება, რომ პირი მოქმედებს თავისი ან თავისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის ინტერესებიდან გამომდინარე, არ ამართლებს მას არაკანონიერი ქმედებების განხორციელების შემთხვევაში“[15].

შეიძლება ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობებში კლიენტის მითითება არ იყოს პირდაპირ კანონსაწინააღმდეგო, თუმცა, წინააღმდეგობაში მოდიოდეს ადვოკატის პროფესიულ პრინციპებთან. დაცვის უფლება არ ავალდებულებს ადვოკატს (და არც უფლება აქვს), შეასრულოს ისეთი მითითებები, რომელიც ხელყოფს ადვოკატის პროფესიული საქმიანობის პრინციპებს. ამ საკითხის შეფასების დროსაც ეთიკის კომისია დაეყრდნო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას[16].

### 3. გარანტიის მიცემის დაუშვებლობა

### 8.3. ადვოკატს უფლება არა აქვს კლიენტს მისცეს გარანტიები მისგან აღებული საქმის შედეგთან დაკავშირებით.

ეთიკის კოდექსი კრძალავს ადვოკატის მიერ კლიენტისათვის გარანტიის მიცემას საქმის შედეგთან დაკავშირებით. იმ სიტუაციაში, როდესაც ადვოკატი იძლევა დაპირებას შედეგთან დაკავშირებით და ეს შეპირება არ სრულდება, ირღვევა ნდობა ადვოკატის პროფესიისადმი და ასევე, ხდება სასამართლო სისტემის დისკრედიტაციც. გარანტიის მიცემის აკრძალვა არ გულისხმობს, რომ ადვოკატებმა არ აცნობონ კლიენტს საქმესთან დაკავშირებული რისკების დონის და

---

13 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 010.10, 22 ივლისი, 2010 წელი.

14 განაცხადი 11170/84; 12876/87,13468/87; 1991 წლის 28 აგვისტოს გადაწყვეტილება.

15 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 057/10, 07 მარტი, 2011 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/07.03.2011.pdf

16 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 057/10, 07 მარტი, 2011 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/07.03.2011.pdf

იურიდიული მომსახურების სავარაუდო დასრულების შესახებ მათი შეფასების თაობაზე.

ამასთან, ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ დაპირება საქმის წარმატებით დასრულების შესახებ (რაც აკრძალულია აპეკ-ით) და დაპირება კვალიფიციურ წარმომადგენლობაზე. კვალიფიციური წარმომადგენლობის შესახებ დაპირება არ წარმოადგენს საქმის შედეგის შესახებ გარანტიის მიცემას და ასეთი დაპირება დასაშვებია. ამ საკითხზე იხილეთ ეთიკის კომისიის 16.09.2011 037/11 გადაწყვეტილება[17].

სხვა საქმეში კომისიამ გარანტიის მიცემად ჩათვალა ადვოკატის შემდეგი განცხადება: „მან მკითხა, დარწმუნებული თუ ვიყავი იმაში, რომ თანხას მიიღებდა. მე ვუპასუხე, რომ 100%-ით დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ თანხას არც ერთი თეთრი არ დააკლდებოდა, ისე მივიღებდით“[18].

## 4. ადვოკატის პასუხისმგებლობის შეზღუდვა

### 8.4. ადვოკატმა შეიძლება შეზღუდოს საკუთარი სამოქალაქო პასუხისმგებლობა კლიენტის წინაშე ადვოკატის უხეში გაუფრთხილებლობისთვის. ვალდებულების ამგვარი შეზღუდვა ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კლიენტი წერილობით დათანხმდება ამგვარ შეზღუდვაზე. (08.12.2012)

ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ 2012 წლის 08 დეკემბერს აპეკ-ში შინაარსობრივად შეიცვალა მითითებული პუნქტი და სრულიად ახალი რეგულირება დააწესა. „აღნიშნული ნორმა ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის (შემდგომში CCBE კოდექსი) რეგულირების რეცეფციის შედეგია[19]. აღნიშნული რეგულირება CCBE კოდექსში ძირითად პრინციპებს შორის არის მოქცეული იმ დათქმით, რომ ეს პრინციპი გამოსაყენებელია შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში. როგორც ეს CCBE კოდექსის განმარტებით მემორანდუმშია მითითებული, პასუხისმგებლობის შეზღუდვა დასაშვებია როგორც ხელშეკრულებით, ასევე საადვოკატო ბიუროს სამართლებრივ ფორმად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის არჩევით, სადაც პასუხისმგებლობა შეზღუდულია[20].

საქართველოს შემთხვევაში გამოსაყენებელ კანონმდებლობას წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსი, რომლის თანახმადაც, ვალდებულების დარღვევის გამო

---

[17] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 037/11, 19 სექტემბერი, 2011 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/16.09.2011_037_11.pdf

[18] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 054/11, 21 ოქტომბერი, 2011 წელი. http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_ komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/21_10_2011_05411.pdf

[19] CCBE-ს კოდექსის 2.8 მუხლი (2006 წლის 19 მაისის რედაქციით, ქართული თარგმანი ხელმისაწვდომია ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდზე www.gba.ge).

[20] განმარტებითი მემორანდუმი (Explanatory Memorandum), 2.8 მუხლის კომენტარი, გვ. 23 გამოქვეყნებულია www.ccbe.eu

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმა დაიშვება, თუ ეს გათვალისწინებულია კანონით ან მხარეთა შეთანხმებით[21]. ამასთან, კანონი კრძალავს წინასწარ შეთანხმებას განზრახი მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისგან გათავისუფლების შესახებ[22] [23].

აპეკ-ის მე-5 მუხლით დაუშვებელია კლიენტის ინტერესთა საწინააღმდეგოდ მოქმედება, ამასთან, „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონით ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის მექანიზმი ჯერჯერობით არ მუშაობს, შესაბამისად, „დაცვის ღირსია ადვოკატების ლეგიტიმური მიზანი, რომ შეამცირონ განსაზღვრული ჰონორარის სანაცვლოდ გასაწევი რისკი, რომელიც თან ახლავს ნებისმიერ საქმიანობას, იმ პირობით, რომ კლიენტი თანხმობას აცხადებს აღნიშნულზე. შესაბამისად, ადვოკატის მიერ სამოქალაქო პასუხისმგებლობის ეთიკის კოდექსით დადგენილი წესით შეზღუდვა ცალსახად აღარ ჩაითვლება პროფესიული ეთიკის ნორმათა დარღვევად"[24].

დასახელებული პუნქტი ახალია და ჯერჯერობით ცოტა ფრთხილია მისდამი დამოკიდებულება ადვოკატთა მხრიდან. ამ ეტაპისათვის, ეთიკის კომისიას არც საქმე განუხილავს მითითებული ნორმის პუნქტის შესაძლო დარღვევაზე და არც რეკომენდაცია გაუცია ამ საკითხზე. ცხადია, საინტერესო იქნება, ეთიკის კომისიის პრაქტიკაში როგორ სიცოცხლეს შეიძენს ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობის შეზღუდვა.

## 5. კეთილსინდისიერების და კვალიფიციურობის ვალდებულება

### 8.5. ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.

ადვოკატის კვალიფიციურობა და კეთილსინდისიერება ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობების ცენტრალური ფაქტორია. კლიენტს სჭირდება კეთილსინდისიერი ადვოკატის სპეციალური ცოდნა და უნარები, რამდენადაც თავად არ შეუძლია გაერკვეს რთულ სამართლებრივ საკითხებში. ასევე, დამატებით, ადვოკატთა კეთილსინდისიერება და კვალიფიციურობა აუცილებელი პირობაა ადვოკატთა პროფესიისადმი საზოგადოების ნდობის შენარჩუნებისა და ამაღლებისათვის.

ადვოკატის ვალდებულებაა განახორციელოს შესაბამისი და კვალიფიციური საადვოკატო მომსახურება. კლიენტის მიერ სასურველი სამართლებრივი შედეგის მიუღწევლობა, თავისთავად არ მიიჩნევა არაკვალიფიციურ წარმომადგენლობად.

---

[21] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 410 მუხლი.

[22] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 395.2 მუხლი.

[23] ჟურნალი „ადვოკატი" 3 - ეთიკის კოდექსის კომენტარები, გვ. 27.

[24] იქვე, გვ. 28.

### *5.1. კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის არსი*

კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის არსი ეთიკის კომისიას განმარტებული აქვს თავის არაერთ გადაწყვეტილებაში.

„ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დასაცავად უნდა გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალება, რათა სათანადოდ იყოს კლიენტი წარმოდგენილი და ადვოკატისთვის მინდობილი საქმის თაობაზე მიიღოს კვალიფიციური და სრული მომსახურება“[25].

კლიენტის ინტერესების დაცვა არ ნიშნავს მხოლოდ ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში. ადვოკატი ვალდებულია, გამოიყენოს კლიენტის დასაცავად ყველა საშუალება, რაც აკრძალული არ არის კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით. მათ შორის, ადვოკატის ეს ვალდებულება მოიცავს საქმის მომზადების ეტაპსაც. ადვოკატს ევალება „მოამზადოს საქმე სასამართლოში წარსადგენად და მოიპოვოს საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებანი, განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ქმედება ამ სახის მტკიცებულების მოპოვებისა და სასამართლში წარდგენისთვის“[26].

კვალიფიციური და კეთილსინდისიერი დაცვის ვალდებულების დარღვევად ჩაითვლება საქმის მასალების ფორმალური გაცნობა, თუმცა, თავად გაცნობის ხარისხი არ ექვემდებარება ეთიკის კოდექსით რეგულირებას[27].

### *5.2. ადვოკატის მიერ მტკიცებულებათა გაცვლის წესების დარღვევა*

ეთიკის კომისიის მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეში ამ ნორმის დარღვევად ჩაითვალა ვითარება, როდესაც ადვოკატმა ბრალდების მხარეს და სასამართლოს წინასასამართლო სხდომამდე 5 დღით ადრე არ გადასცა ინფორმაცია, რომ მას წარდგენილი ჰქონდა ექსპერტიზის ბიუროში მოთხოვნა ექსპერტიზის ჩატარებაზე. ამ პროცესუალური შეცდომის გამო დაცვის მხარეს წაერთვა სასამართლო პროცესზე ექსპერტიზის დასკვნის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობა. კომისიამ აღნიშნა: „ადვოკატმა უნდა განახორციელოს საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული ქმედებები, რათა ექსპერტიზის ბიუროს მიერ მომზადებული ექპერტიზის დასკვნა მტკიცებულების სახით წარადგინოს სასამართლოში და დაურთოს საქმეს“[28].

---

[25] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 030/11, 26 აგვისტო, 2011 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/26.08.2011.pdf

[26] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 035/10, 23 სექტემბერი, 2010 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_ komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/23.09.2010_saqme_03510.PDF

[27] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 096/11, 25 ივლისი, 2012 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis _komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2012/25.07.2012_096_11.pdf

[28] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 024/12, 19 ოქტომბერი, 2012 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis _komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2012/19.10.2012_024_12.pdf

### *5.3. ადვოკატის მიერ მოწმეების ხელთ არსებული ინფორმაციის შეუფასებლობა*

ეთიკის კომისიამ ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო იმ ვითარებაში, როცა ადვოკატმა არ შეაფასა მოწმეების ხელთ არსებული ინფორმაციის მნიშვნელობა კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ. ამავე გადაწყვეტილებით, ადვოკატის ვალდებულებაა სამართლებრივად შეაფასოს და კლიენტთან ერთად გადაწყვიტოს სხდომაზე წარსადგენ მოწმეთა განმარტებების მნიშვნელობა. ამ კონკრეტულ საქმეზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, ეთიკის კომისიის შეფასებით, სწორედ მოწმეთა ჩვენებების მნიშვნელობის განმარტებას კლიენტისათვის (საკითხი ეხებოდა სამემკვიდრეო ქონების ფაქტობრივ ფლობას). ამიტომ, თუ დადგინდება, რომ ადვოკატმა წინასწარ არ მიაწოდა კლიენტს იურიდიული რჩევა, თუ კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების დასადასტურებლად, რომელი მოწმის განმარტებას ექნებოდა მნიშვნელობა, ადვოკატის მიერ დარღვეული იქნება კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულება[29].

### *5.4. საზოგადოებრივი ადვოკატის განსაკუთრებული გულისხმიერების ვალდებულება*

ეთიკის კომისიის პრაქტიკის თანახმად, კლიენტთა მიმართ განსაკუთრებული გულისხმიერების ვალდებულება ეკისრება საზოგადოებრივ ადვოკატს, რადგან სავალდებულო დაცვისას სახეზე არ არის „კლასიკური" ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. ეთიკის კომისიის პრაქტიკის თანახმად, „სავალდებულო წესით დანიშნული ადვოკატები ვალდებულნი არიან, ჯეროვნად განახორციელონ დაცვის უფლება და გაამართლონ დასაცავი პირის მოლოდინი, რომ მისი უფლებები კანონით დადგენილი წესით სათანადოდ იქნება დაცული"[30].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი ადვოკატის მიერ განხორციელებული მომსახურებაც განსაკუთრებულ კონტროლს უნდა დაექვემდებაროს. საზოგადოებრივი ადვოკატის მიერ გაწეული მომსახურების კონტროლი შეიძლება განხორციელდეს თავად იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ მათი კომპეტენციის ფარგლებში და დადგენილი წესით, ასევე, ეთიკის კომისიის მიერ პროფესიული ეთიკის საკითხებზე. ეთიკის კომისიამ ერთ-ერთ საქმეში დაადგინა: „საზოგადოებრივი ადვოკატის მიერ სავალდებულო დაცვის განხორციელება აღნიშნული ინსტიტუტის სპეციფიკიდან გამომდინარე უნდა დაექვემდებაროს განსაკუთრებულ ზედამხედველობას, რათა უზრუნველყოფილ იქნას ადვოკატის მიერ ეფექტური წარმომადგენლობის განხორციელება და კლიენტის ინტერესების დაცვა"[31].

---

[29] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 061/12, 11 მარტი, 2013 წელი.

[30] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 078/11, 24 იანვარი, 2012 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_ komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2012/24.01.2012_078_11.pdf

[31] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 096/11, 25 ივლისი, 2012 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis _komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2012/25.07.2012_096_11.pdf,

ამდენად, ეთიკის კომისია აპეკ-ის 8.5 მუხლით გათვალისწინებული პრინციპის ფარგლებში განსაკუთრებულ გულისხმიერებას ითხოვს საზოგადოებრივი ადვოკატისგან.

## *5.5. კვალიფიციური და კეთილსინდისიერი მომსახურების კომპონენტები ეთიკის კომისიის პრაქტიკის თანახმად*

ეთიკის კომისიის პრაქტიკა ადგენს იმ კომპონენტებს, რაც უნდა ახასიათებდეს კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ მომსახურებას. აღნიშნული ეხება როგორც შეთანხმებით აყვანილ, ისე დანიშნულ ადვოკატსაც. ადვოკატმა დაცვის სტრატეგია უნდა შეუთანხმოს კლიენტს; მიაწოდოს ინფორმაცია საქმის მიმდინარეობის თაობაზე; გაითვალისწინოს კლიენტის რჩევები სამართალწარმოებასთან დაკავშირებით; უზრუნველყოს კლიენტის პოზიციის დაფიქსირება სასამართლო პროცესზე მოწმეების დაკითხვისას და სხვა მტკიცებულებების გამოკვლევის დროს; მიიღოს კლიენტისგან უფლებამოსილება შემდგომი ქმედებების განხორციელების შესახებ. ყველა გადაწყვეტილება, რომელმაც შესაძლოა მოახდინოს ან არ მოახდინოს კლიენტის ინტერესებზე გავლენა, მოწონებული უნდა იქნეს კლიენტის მიერ. გადაწყვეტილება ბრალის აღიარების, უდანაშაულოდ ცნობის თუ საპროცესო შეთანხმების გაფორმების თაობაზე, მიღებული უნდა იქნეს თავად კლიენტის მიერ. ადვოკატი მხოლოდ ახმოვანებს კლიენტის პოზიციას და იცავს მის ინტერესებს კანონმდებლობის ფარგლებში[32].

## *5.6. კლიენტის კანონიერი მითითებების მიხედვით მოქმედება*

ადვოკატი ვალდებულია იმოქმედოს კლიენტის კანონიერი მითითებების შესაბამისად. ეს ვალდებულება მნიშვნელოვანია აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის კონტექსტში და აქაც, როდესაც საუბარია კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ წარმომადგენლობაზე. წარმოიშობა საკითხი, როგორ უნდა მოიქცეს ადვოკატი, როცა კლიენტის მითითება არ არის უკანონო ხასიათის, თუმცა, მისმა შესრულებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს თავად კლიენტის სამართლებრივ პოზიციას. ეთიკის კომისია ამ საკითხს შეეხო ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის არ აღძვრის შესახებ გადაწყვეტილებაში[33]. კომისიის აზრით, კლიენტის მითითებების შესრულება ადვოკატის ეთიკურ ვალდებულებას წარმოადგენს, თუ არ არსებობს ამ მითითების შეუსრულებლობის მნიშვნელოვანი საფუძველი. ასეთი საფუძველიც, პირველ რიგში, შეიძლება გამოიხატებოდეს კლიენტის სამართლებრივი პოზიციისთვის ზიანის მიყენებაში, თუმცა, კომისიის საბოლოო დასკვნით, „აქაც ძირითად გადაწყვეტილებას კერძო ავტონომიის ფარგლებში იღებს კლიენტი ადვოკატისაგან მიღებული კვალიფიციური რჩევის შემდეგ“.

---

[32] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 096/11, 25 ივლისი, 2012 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis _komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2012/25.07.2012_096_11.pdf,

[33] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 027/12, 01 აპრილი, 2012 წელი, დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ.

### *5.7. რწმუნებულების მიუხედავად ინფორმირებული თანხმობის ვალდებულება*

ხშირ შემთხვევაში კლიენტი ადვოკატს რწმუნებულებით ანიჭებს ფართო უფლებამოსილებას, იმოქმედოს მისი ინტერესებისათვის. რწმუნებულებით ასეთი უფლებამოსილების მინიჭება არ გულისხმობს, რომ ადვოკატი თავისუფლდება ამ მოქმედებების განხორციელებისთვის კლიენტის ინფორმირებული თანხმობის მიღების ვალდებულებისაგან. ამ შემთხვევაშიც, ნებისმიერი გადაწყვეტილება, რამაც შეიძლება მოახდინოს ან არ მოახდინოს გავლენა კლიენტის ინტერესებზე, კლიენტის მიერ უნდა იქნას წინასწარ მოწონებული. ეს საკითხი ეთიკის კომისიამ კიდევ ერთხელ განმარტა თავის 2011 წლის 21 ოქტომბრის 054/11 გადაწყვეტილებაში[34].

აღნიშნულ საქმეში საკითხი ეხებოდა მორიგების აქტის გაფორმებას ადვოკატის მიერ ისე, რომ წინასწარ არ გააცნო მისი ტექსტი კლიენტს. ადვოკატს რწმუნებულებით გააჩნდა მორიგების დადების უფლებამოსილება. თუმცა, ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ეს არ მოიცავს იმ უფლებამოსილებას, რომ ადვოკატმა მორიგების დადება და მისი განხორციელება კლიენტთან დეტალური შეთანხმების გარეშე დაიწყოს.

ერთ-ერთ საქმეში ეთიკის კომისიამ უფრო კონკრეტული დამატებითი განმარტება გააკეთა, რწმუნებულებაში მინიჭებული უფლებამოსილების მიუხედავად, ინფორმირებული თანხმობის ვალდებულებაზე. ადვოკატმა მიმართა სასამართლოს სარჩელის გამოხმობის შუამდგომლობით, მაშინ როდესაც ამაზე თანხმობა კლიენტს არ განუცხადებია. ეთიკის კომისიის მოსაზრებით, ადვოკატი ვალდებულია, წინასწარ მიიღოს ნებართვა კლიენტისგან, „თუნდაც რწმუნებულებით კლიენტს თავის დროზე გაცემული ჰქონდეს თანხმობა სარჩელის უკან გამოხმობის თაობაზე, სასარჩელო მოთხოვნის გაზრდის/შემცირების და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლით დადგენილი რწმუნებულისთვის გადაცემული სხვა უფლებამოსილების თაობაზე“[35].

### *5.8. კლიენტის მოთხოვნის მიუხედავად სსსკ-ით გათვალისწინებულ მოქმედებათა შეუსრულებლობა*

კეთილსინდისიერ და კვალიფიციურ წარმომადგენლობად არ ჩაითვლება, თუ ადვოკატი სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით კლიენტის ინტერესებს სასამართლო სხდომაზე წარმოადგენს და კლიენტის მოთხოვნის მიუხედავად, არ ახორციელებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მოქმედებებს, როგორიცაა შუამდგომლობათა დაყენება, მტკიცებულებათა მოპოვება და სასამართლოში წარდგენა. შესაძლებელია, ადვოკატი თვლიდეს, რომ შუამდგომლობას შედეგი მაინც არ მოჰყვება და ეს იყოს მიზეზი

---

[34] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 054/11, 21 ოქტომბერი, 2011 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis _komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/21_10_2011_05411.pdf

[35] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 092/11, 22 მარტი, 2012 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis _komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2012/22.03.2012_092-11.pdf

მის მიერ შუამდგომლობის წარუდგენლობის. ადვოკატის ასეთი შინაგანი რწმენა არ იქნება გამამართლებელი არგუმენტი იმ ვითარებაში, როცა კლიენტი სთხოვს ადვოკატს შუამდგომლობათა დაყენებას[36].

შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს ვითარებას, როდესაც თავად კლიენტია წინააღმდეგი, შეხვდეს ადვოკატს დაცვის სტრატეგიასთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევებს ჰქონია კიდეც ადგილი, სავალდებულო დაცვის ვითარებაში. ამ შემთხვევაში, კეთილსინდისიერი და კვალიფიციური დაცვის ვალდებულება მოითხოვს, ადვოკატს ჰქონდეს კლიენტთან კომუნიკაციის მცდელობა მაინც[37].

### *5.9. ადვოკატის მიერ შერჩეული ტაქტიკის და სტრატეგიის, ასევე საპროცესო მოქმედებათა ხარისხის არსებითი შეფასება*

ადვოკატის მიერ შერჩეული ტაქტიკის და საპროცესო მოქმედებების არსებითი შეფასება, მათი ხარისხის შემოწმების საკითხი არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში. ეთიკის კომისია ეყრდნობა და იზიარებს მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2002 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებას[38], რომლის მიხედვით: „ადვოკატთა ასოციაციას არ შეუძლია დაადგინოს წესები ადვოკატებისათვის, რომელიც მათ მიერ გაწეული სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი რჩევის ხარისხს შეაფასებს. ადვოკატები საადვოკატო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად აბარებენ გამოცდებს და მუდმივად გადიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებს. გარდა ამისა, იურიდიული მომსახურების ბაზარზე კლიენტი აკეთებს არჩევანს, თუ რომელი ადვოკატის მომსახურება მიიღოს და, შესაბამისად, წინასწარ უნდა ითვალისწინებს მისი კვალიფიკაციის ხარისხს“.

ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის შეაფასოს, რამდენად საფუძვლიანი იყო ადვოკატის მიერ პროცესზე წარმოთქმული სიტყვა ან მომზადებული დოკუმენტი. ეს ჩაითვლება სწორედ მომსახურების ხარისხის არსებით შეფასებად, რასაც ეთიკის კომისია არ აკეთებს.

ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ შერჩეული დაცვის სტრატეგიის შეფასება კლიენტისთვის აღიარების რჩევისას[39].

---

[36] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 019/12, 02 აგვისტო, 2012 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis _komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2012/02.08.2012_019_12.pdf

[37] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 096/11, 25 ივლისი, 2012 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis _komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2012/25.07.2012_096_11.pdf

[38] განაცხადი #C-309/99; J.C.J. Wounters and others v. Algemene Raad van de Nederlandse Orde van Advocaten

[39] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 019/12, 02 აგვისტო, 2012 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis _komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2012/02.08.2012_019_12.pdf

### *5.10. მომსახურების ხარისხის „კონტროლი“ სავალდებულო დაცვის შემთხვევებში*

თუმცა, იმ შემთხვევაში, როცა ხდება დაცვა დანიშვნით, აქ „კონტროლის“ ფარგლები უფრო ფართოა. დანიშვნით დაცვის შემთხვევებში, ადვოკატის სტრატეგიის არსობრივი კრიტიკა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განხორციელებული დაცვა მოჩვენებითი ხასიათისაა და იგი კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის და უშიშრად დაცვის ვალდებულებების უგულებელყოფით ხორციელდება[40].

### *5.11. ადვოკატის მიერ მომსახურების გაწევა იმ სფეროში, რომელშიც მას სპეციალიზაცია არ აქვს*

არაკვალიფიციური წარმომადგენლობის კიდევ ერთი მაგალითია ვითარება, როდესაც ერთი სპეციალიზაციის ადვოკატი კლიენტს მომსახურებას უწევს სხვა სპეციალიზაციით. ამ საკითხზე ეთიკის კომისიას აქვს მყარი პრაქტიკა. კომისიის პოზიციით, ასეთ შემთხვევაში, ადვოკატმა „რისკის ქვეშ დააყენა კლიენტის ინტერესების დაცვა. კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მომსახურება გაუწიოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ გაცემული კვალიფიკაციის დამადასტურებელ მოწმობაში მითითებული სპეციალიზაციის მიხედვით“[41].

კეთილსინდისიერების ვალდებულების უხეში დარღვევაა, როცა ადვოკატი არ აცნობებს კლიენტს, რომ მას არ აქვს უფლებამოსილება, გამოვიდეს მის წარმომადგენლად სასამართლო პროცესზე, რის გამოც კლიენტი რჩება ადვოკატის მომსახურების გარეშე სასამართლო პროცესზე[42].

## 6. კლიენტის ინფორმირების ვალდებულება

### 8.6. ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.

კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობებისთვის დამახასიათებელი, ადვოკატის ერთ-ერთი ძირითადი ვალდებულებაა. აღსანიშნავია, რომ ეს ვალდებულება მჭიდროდაა დაკავშირებული კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულებასთან. ეთიკის კოდექსის თანახმად, ადვოკატმა კლიენტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია საქმის მსვლელობის და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ. ეთიკის კოდექსი არ მოიცავს ნორმას, თუ როგორი უნდა იყოს ინფორმაციის მი-

---

40 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 096/11. 25 ივლისი, 2012 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis _komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2012/25.07.2012_096_11.pdf

41 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 046/12, 12 დეკემბერი, 2012 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/06.07.2011.pdf

42 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 055/12, 20 თებერვალი, 2013 წელი.

წოდების ფორმა და პერიოდულობა, ასევე ინფორმაციის მოცულობა. კოდექსი ასევე არ ადგენს, რა ხდება მაშინ, როცა ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობის დაწყებისას, შეთანხმებაში/ხელშეკრულებაში არ მომხდარა ინფორმაციის მიწოდების წესზე სპეციალური შეთანხმება. თუმცა, ბუნებრივია, ეთიკის კომისიას მოუწია მსჯელობა ზემოაღნიშნულ საკითხებზე და კომისიის გადაწყვეტილებებში მოცემულია ამ ეთიკური ვალდებულების დეტალური შინაარსი.

### *6.1. საადვოკატო მომსახურების შესახებ წერილობითი ხელშეკრულების კლიენტისთვის გადაცემის ვალდებულება*

ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, როგორც ცნობილია, იწყება ადვოკატთან შეთანხმებით ან ადვოკატის დანიშვნით სავალდებულო დაცვის შემთხვევებში. შეთანხმება, თავის მხრივ, შესაძლოა იყოს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი. იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა იწყება წერილობითი შეთანხმების/ხელშეკრულების საფუძველზე, პროფესიული ეთიკა ავალდებულებს ადვოკატს, უპირობოდ გადასცეს მხარეს საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა კლიენტისგან ხელშეკრულების გადაცემის მოთხოვნა. ეს ვალდებულება კლიენტის ინფორმირების ვალდებულების შემადგენელი ელემენტია[43].

### *6.2. სარჩელის შინაარსის და საქმის მსვლელობის გაცნობის ვალდებულება*

ადვოკატის მოვალეობაა, კლიენტს მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას. მათ შორის, უნდა გააცნოს სარჩელი და გააცნოს, თუ რა ფაქტობრივი გარემოებების მითითებას აპირებს მასში. ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის მიერ განხილულ საქმეში[44] ადვოკატმა არ მიაწოდა კლიენტს სრული და სწორი ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით და არ გააცნო სარჩელის შინაარსი სასამართლოში შეტანამდე. ასევე, ადვოკატმა კლიენტს არ მიაწოდა ინფორმაცია, თუ რა ფაქტობრივი გარემოებების მითითებას აპირებდა სარჩელში. ასევე, ადვოკატმა, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა სადავო ფართის გარდაცვლილი მესაკუთრის მემკვიდრის არსებობის შესახებ, სავარაუდოდ, არ განუმარტა კლიენტს ამ ფაქტის გავლენა სასარჩელო მოთხოვნაზე. ეს ფაქტები, საპროცესო კოლეგიის აზრით, წარმოადგენს კლიენტის ინფორმირების ვალდებულების დარღვევას.

კლიენტს, როგორც დაინტერესებულ პირს, უნდა ჰქონდეს ინფორმაცია მისი საქმის მსვლელობის შესახებ. ინფორმაცია უნდა იყოს სწორი. ასევე, კლიენტს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია სათანადოდ.

[43] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 066/11, 23 სექტემბერი, 2010 წელი.

[44] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 090/13, 26 აგვისტო, 2013 წელი, დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

### *6.3. ინფორმაციის „სათანადოდ“ მიწოდების ვალდებულება*

ეთიკის კომისია განამარტავს, თუ რა ჩაითვლება ინფორმაციის სათანადოდ მიწოდებად. „ადვოკატმა კლიენტს უნდა მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია, რაც უთუოდ გულისხმობს ინფორმაციის მიწოდებას სრულფასოვნად, გასაგებ ენაზე და დროულად“[45].

თავის მხრივ, ინფორმაციის დროული მიწოდება გულისხმობს, რომ „ადვოკატი მუდმივად უნდა უკავშირდებოდეს კლიენტს საქმესთან დაკავშირებით ახალი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ასევე, კლიენტს არ უნდა უზღუდავდეს მასთან დაკავშირების შესაძლებლობას“[46].

ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მოიცავს არა მხოლოდ ცნობების მიწოდებას საქმის თაობაზე, არამედ საქმესთან დაკავშირებით მიღებული დოკუმენტაციის მიწოდების ვალდებულებასაც[47].

ამასთან, ადვოკატი და კლიენტი შეიძლება შეთანხმდნენ კომუნიკაციის ისეთ ფორმაზე, რაც უზრუნველყოფს კლიენტისათვის ინფორმაციის სათანადოდ მიწოდებას. ასეთი ფორმა შეიძლება გულისხმობდეს ადვოკატის მიერ თანამოსარჩელეების ან თანამოპასუხეების ინტერესების დაცვისას, ერთ-ერთი კლიენტის ინფორმირებას და მის მიერ ამ გზით სხვა კლიენტების ინფორმირებას. ბუნებრივია, კომუნიკაციის შეთანხმებული ფორმა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ პრინციპებს[48].

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კლიენტის დროული ინფორმირება საქმის უპერსპექტივობის შესახებ. მით უფრო იმ ვითარებაში, როცა ადვოკატისთვის წარდგენილი დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ „სამართლებრივი მოქმედების განხორციელება შეზღუდულია კონკრეტული ვადით და არსებობს იმის საფრთხე, რომ ამ ვადის გასვლის შემდეგ კლიენტი ვეღარ მოახდენს საკუთარი უფლების რეალიზაციას“[49].

ეთიკის კომისიამ განიხილა ადვოკატის წინააღმდეგ შემოსული საჩივარი იმ საფუძვლით, რომ ადვოკატმა ვერ უზრუნველყო კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპის დაცვა, რადგან აირიდა სასამართლოს ჯარიმა. კერძოდ, ადვოკატი იცავდა ავტოავარიისათვის ბრალდებულ პირს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი წესით, ბრალდებისა და დაცვის მხარეებს წინასასამართლო სხდომამდე ევალებათ მტკიცებუ-

---

[45] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 074/10, 28 იანვარი, 2013 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/28.01.2011.PDF

[46] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 074/10, 28 იანვარი, 2013 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis _komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/28.01.2011.PDF

[47] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 074/11, 09 იანვარი, 2012 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis _komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2012/09.01.2012_074_11.pdf

[48] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 030/12, 07 ნოემბერი, 2012 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis _komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2012/07_11_2012_saqme_030_12.pdf

[49] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 027/11, 20 აგვისტო, 2011 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/20.08.11.pdf

ლებათა გაცვლა, მათ შორის, იმ მტკიცებულებათა შესახებ ინფორმაციის გადაცემაც, რომელთა წარდგენასაც ისინი აპირებენ. ადვოკატმა წინასასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ მზადდებოდა და ის აპირებდა ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის წარდგენას, თუმცა, ზეპირი განცხადების გარდა, ამის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი არ წარუდგენია.

ადვოკატმა ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა ჩაიბარა 29 სექტემბერს, თუმცა, 05 სექტემბერს სასამართლო სხდომაზე არ წარადგინა. ადვოკატმა კლიენტს არ განუმარტა სსსკ-ის 84-ე მუხლით დადგენილი საგამონაკლისო უფლების გამოყენების შესაძლებლობა, რომელიც ერთადერთი საპროცესო საშუალება იყო საექსპერტო დასკვნის წარსადგენად, თუმცა, საპროცესო კოდექსი ასეთ შემთხვევაში ფულადი სახის ჯარიმას დააკისრებდა კლიენტს[50]. შედეგად, მოხდა ისე, რომ სასამართლოზე არ იქნა წარდგენილი მტკიცებულება, რომელიც შესაძლოა მნიშვნელოვანი ყოფილიყო კლიენტის საქმეზე სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს, რადგან ექსპერტიზით დადგენილი იყო ავტოავარიის გამომწვევი ისეთი მიზეზები, რომლებიც ობიექტურად ვერ იქნებოდა არიდებული ბრალდებულის (ადვოკატის კლიენტის) მიერ.

### *6.4. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება რწმუნებულების ვადის ამოწურვისას*

რწმუნებულების ვადის ამოწურვა არ წარმოადგენს ადვოკატის კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებისაგან განთავისუფლების საფუძველს, იმ ვითარებაში, როცა თავად ადვოკატმა, რწმუნებულების ვადის ამოწურვის მიუხედავად, ჩაიბარა სასამართლოს განჩინება ხარვეზის დადგენის თაობაზე[51].

### *6.5. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების მხარისთვის (რომელიც არ არის კლიენტი)*

როგორც ცნობილია, საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების მხარე შეიძლება იყოს როგორც კლიენტი, ასევე კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი. იმ შემთხვევაში, როცა მხარეს წარმოადგენს არა კლიენტი, არამედ კლიენტის ნდობით აღჭურვილი პირი, ადვოკატს აქვს ინფორმაციის მისთვის მიწოდების ვალდებულებაც, თუ კლიენტი ამაზე თანახმაა. ამოსავალი წერტილი, ცხადია, კლიენტის თანხმობაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადვოკატი დგება კონფიდენციალურობის ვალდებულების დარღვევის საფრთხის წინაშე. ამ საკითხებს ეხება ეთიკის კომისიის მიერ განხილული საქმე[52].

---

[50] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 024/12, 19 ოქტომბერი, 2012 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2012/19.10.2012_024_12.pdf

[51] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 074/10, 28 იანვარი, 2011 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/28.01.2011.PDF

[52] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 074/11, 09 იანვარი, 2012 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis _komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2012/09.01.2012_074_11.pdf

იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული ძებნილია და ადვოკატს მასთან არ აქვს კავშირი, ადვოკატი ვალდებულია ეცადოს, კავშირი დაამყაროს ბრალდებულთან მისი ოჯახის წევრების მეშვეობით. თუ ესეც შეუძლებელია, ადვოკატს არ დაეკისრება ამ მუხლიდან გამომდინარე პასუხისმგებლობა[53].

### *6.6. ადვოკატის მონაწილეობა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებაში და კლიენტის ინფორმირების ვალდებულება*

ეთიკის კომისიამ იმსჯელა შემთხვევაზე, როდესაც ადვოკატი კლიენტის ინფორმირების გარეშე მონაწილეობდა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებაში. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს წინაშე ეკისრებოდა კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება და შედეგად, ვეღარ მიაწოდა თავის კლიენტს სრული ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ. ეთიკის კომისიამ 2011 წლის 07 მარტის გადაწყვეტილებაში საქმეზე 057/10 დაადგინა, რომ: „ადვოკატმა უნდა გამოიყენოს ყველა გონივრული შესაძლებლობა კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით და უნდა მიიღოს მისგან უფლებამოსილება შემდგომი ქმედებების განხორციელების თაობაზე. ყველა სახის გადაწყვეტილება, რომელმაც შესაძლოა მოახდინოს ან არ მოახდინოს კლიენტის ინტერესებზე ზეგავლენა, უნდა იქნეს მოწონებული კლიენტის მიერ. კლიენტი ენდობა ადვოკატს და ადვოკატმა უნდა გაამართლოს ეს ნდობა... ადვოკატს, მას შემდეგ, რაც ის დათანხმდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებაში მონაწილეობაზე, შესაბამისი კანონმდებლობით დაეკისრება ასეთი ღონისძიების თაობაზე კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება, მათ შორის, კლიენტისგან, თუმცა რადგან ამავდროულად ის აგრძელებდა კლიენტის წარმომადგენლობას, მას კვლავაც ჰქონდა კლიენტისთვის მისი საქმიდან გამომდინარე ყველა სახის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება. შესაბამისად, ადვოკატმა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებაში მონაწილეობაზე თანხმობის გაცემით, იმ პირობებში, როცა კლიენტი ამის თაობაზე არ იყო ინფორმირებული, თავი ჩაიყენა კანონმდებლობის ურთიერთგამომრიცხავი რომელიმე მოთხოვნის დარღვევის რეალობის წინაშე“.

ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა არ უნდა ჩაიყენოს თავი ისეთ მდგომარეობაში, როდესაც ის ვერ შეასრულებს კლიენტის ინფორმირებულობის ვალდებულებას:

„...ზოგადად ადვოკატის მონაწილეობა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებაში არ წარმოადგენს კანონის დარღვევას, თუ დაცულია ორი წინაპირობა: 1. ასეთი მონაწილეობა არ უნდა ხდებოდეს კონტრაქტის საფუძველზე (იხ. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შესახებ კანონის მე-16 მუხლის მე-3 ნაწილი), 2. თუ ასეთი ღონისძიების განხორციელებასთან ამავდროულად ხდება კლიენტის დაცვა ან წარმომადგენლობა, ეს უნდა განხორციელდეს კლიენტის ინფორმირებით, კანონით დადგენილი წესით და ადვოკატი ასეთ ღონისძიებაში მონაწილეობას უნ-

---

[53] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 128/12, 16 მაისი, 2013 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2013/16_05_2013_128_12.pdf

და დათანხმდეს კლიენტის თანხმობის მიღების შემდეგ ან შეწყვიტოს კლიენტის დაცვა, თუ ამის ეთიკის კოდექსით განსაზღვრული წინაპირობები არსებობს და მიიღოს მონაწილეობა მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, გარდაუვალი იქნება „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის მეორე ნაწილის დარღვევა (ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება), რაც მოხდა კონკრეტულ შემთხვევაში[54].

### *6.7. კლიენტის ინფორმირება საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ ხარჯებზე*

კლიენტის ინფორმირების ვალდებულება მოიცავს მისთვის საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ყველა ფინანსური ხარჯის შესახებ ინფორმაციის მიწოდებასაც. კლიენტი წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული იმ ყველა შესაძლო ფინანსურ დანახარჯზე, რომლის გაღებაც მას შეიძლება მოუხდეს. ადვოკატმა, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, დარწმუნებულიც რომ იყოს საქმის წარმატებულ შედეგში, უნდა განჭვრიტოს ყველა ის გარემოება, რომელიც შეიძლება შეფასებული იქნეს, როგორც ფინანსური რისკი.

ეთიკის კომისიის მიერ პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევად იქნა მიჩნეული, როცა კლიენტი წინასწარ არ იყო ინფორმირებული სააპელაციო საჩივრისთვის გადასახდელი ბაჟის ოდენობის თაობაზე[55].

## 7. ადვოკატის მიერ საქმის წარმოებაზე უარის თქმა და კლიენტის ინტერესები

### 8.7. ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით.

აპეკ-ი ითვალისწინებს საქმის წარმოებაზე უარის თქმის უფლებას, თუმცა, ასეთ შემთხვევაში რამდენიმე მნიშვნელოვანი პირობა უნდა გაითვალისწინოს ადვოკატმა:

ა. კონკრეტული გარემოებების არსებობა, როდესაც ადვოკატი უარს ამბობს საქმეზე, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეფასების საგანია;

ბ. კლიენტს რეალურად უნდა შეეძლოს სხვა ადვოკატის დახმარებით სარგებლობა და ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია როდის, საქმის წარმოების რომელ ეტაპზე ხდება ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მომსახურებაზე უარის თქმა;

---

[54] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 057/10, 07 მარტი, 2010 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/07.03.2011.pdf

[55] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 034/11, 27 აგვისტო, 2011 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis _komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/27.08.2011_03411.pdf

გ. ადვოკატის მიერ საქმეზე უარის თქმისას აცილებული უნდა იქნეს კლიენტისათვის ზიანის მიყენება.

სამივე კომპონენტი კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობითაა გაჯერებული და მე-8 მუხლის მე-7 პუნქტი ადვოკატს პირდაპირ ბოჭავს საქმეზე უარის თქმის დროს ასეთი ნების ცალმხრივად გამოვლენის შემთხვევაში.

საგულისხმოა ეთიკის კომისიის პრაქტიკაში როგორ გამოვლინდა აპეკ-ის ხსენებული ნორმის მოქმედება.

ეთიკის კომისიამ განიხილა ერთ-ერთი საქმე, სადაც ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტის შეფასებისას, მნიშვნელოვანია ლაკონიურად მივუთითოთ რამდენიმე ფაქტობრივი გარემოება, კერძოდ, ადვოკატი ზეპირი გარიგების შესაბამისად ემსახურებოდა კლიენტს და სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე მოქმედებდა. ადვოკატმა კლიენტთან წარმომადგენლობის შესაძლო შეწყვეტის თაობაზე მოლაპარაკება დაიწყო 2011 წლის 19 მაისს, თუმცა, კლიენტის თანხმობა ურთიერთობის შეწყვეტაზე არ არსებობდა, ადვოკატმა კონკრეტული პირობა წაუყენა კლიენტს და 07 ივნისს განუცხადა, რომ წერილობით დაედოთ ხელშეკრულება, წინააღმდეგ შემთხვევაში, 09 ივნისს დანიშნულ სასამართლო სხდომაზე იგი არ გამოცხადდებოდა.

ადვოკატს კლიენტისათვის ცალსახად არ განუმარტავს, რომ იგი წყვეტდა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებას, რადგან სასამართლო სხდომამდე ორი დღით ადრე შესთავაზა კლიენტს წერილობითი ხელშეკრულების დადება. ადვოკატი 09 ივნისს არ გამოცხადდა სასამართლოს სხდომაზე. ეთიკის კომისიამ ადვოკატის ქმედება – 07 ივნისს კლიენტისათვის წერილობითი ფორმით ხელშეკრულების დადების შეთავაზება და შემდეგ, 09 ივნისს სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა, რასაც შედეგად მოჰყვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა – შეაფასა, როგორც საქმეზე უარის თქმა ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლური იყო ესარგებლა სხვა ადვოკატის მომსახურებით და კლიენტს ზიანი მიადგა, რადგან სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანა.

„ადვოკატის მიერ კლიენტის საქმეზე საადვოკატო საქმიანობის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტა უნდა მოხდეს იმ პირობებსა და გარემოებებში, როდესაც ადვოკატმა აღნიშნულის თაობაზე ნათლად განუმარტა კლიენტს და შეწყვიტა მასთან ყველა სახის სამართლებრივი ურთიერთობა, მათ შორის, კლიენტთან შეთანხმებით ან მისი მეშვეობით უნდა გაუქმდეს ყველა სამართლებრივი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება ადვოკატის ვალდებულებები კლიენტის მიმართ“[56]. ადვოკატმა ისეთ დროს და ვითარებაში უნდა თქვას უარი საქმეზე, როდესაც კლიენტს შეეძლება მიმართოს სხვა ადვოკატს იურიდიული დახმარების გაწევის მოთხოვნით, ამასთან მნიშვნელოვანია, რომ რეალურად იყოს გონივრუ-

[56] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებები 047/12, 13 დეკემბერი, 2012 წელი, 048/12, 13 დეკემბერი, 2012 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2012/13.12.2012_047_12.PDF http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2012/13.12.2012_048_12.PDF.

ლი ვადა საიმისოდ, რომ ახალი ადვოკატი სათანადოდ გაეცნოს საქმის მასალებს და უზრუნველყოს კლიენტის ინტერესების წარმოდგენა, „ამასთან, ადვოკატის მიერ ნათლად უნდა იქნეს გამოხატული მზაობა, საქმის ყველა მასალა გადასცეს ახალ ადვოკატს, რაც კლიენტის უფლების რეალიზაციის ხელშემწყობი იქნება“[57].

ეთიკის კომისიამ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტა: „მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება, მართალია, არ ითვალისწინებდა კლიენტების უზენაეს სასამართლოში წარმომადგენლობას, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ადვოკატმა მოიძია საქმის მასალები, და ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დასკვნის (ზეპირი ფორმით) კლიენტებისათვის წარდგენიდან საკასაციო საჩივრის წარდგენის ზღვრულ ვადამდე დარჩენილი იყო ორი დღე, კლიენტებს შეიძლება შექმნოდათ გონივრული ვარაუდი, რომ ადვოკატი განახორციელებდა მათ დაცვას უზენაეს სასამართლოში, მით უმეტეს, რომ საკასაციო საჩივრის წარდგენისათვის დარჩენილი ვადის დიდი ნაწილი, ადვოკატი საქმის შესწავლით იყო დაკავებული“[58].

საადვოკატო საქმიანობა, კლიენტის მოვალეობები ეთიკის კომისიის არაერთი გადაწყვეტილებით განმარტებულია, როგორც არა მხოლოდ ფორმალური წარმომადგენლობა, არამედ რეალური სწრაფვა ადვოკატისა, რომ კლიენტის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, კანონიერების პრინციპის დაცვით, მაქსიმალურად უზრუნველყოს ყველა შესაძლებლობის გამოყენება კლიენტისათვის სასურველი მიზნის მისაღწევად.

## 8. ადვოკატის ჰონორარი

### 8.8. ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის. (08.12.2012)

აპეკ-ში 08.12.2012. შესული ცვლილებით ხსენებული პუნქტის ჩანაწერს ჩამოშორდა ისეთი სუბიექტური და შეფასებითი კრიტერიუმები, როგორიც იყო ძველ რედაქციაში ჰონორარის გამოთვლა საქმის სირთულიდან, მოცულობიდან, საქმის შესრულების ხანგრძლივობიდან, კვალიფიკაციიდან, ხოლო ქონებრივი დავების შემთხვევაში – დავის საგნის (სარჩელის ფასის) ღირებულებიდან და მნიშვნელობიდან და ა.შ.[59].

ძველი რედაქციით დადგენილი არაამომწურავი კრიტერიუმები იძლეოდა თითოეული მათგანის ფართო და შემოუსაზღვრელი ინტერპრეტაციის საფუძველს; ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა კერძო ხასიათის სამართლებრივი ურთიერთობაა, რომელიც ეფუძნება მხარეთა ნების თავისუფლად გამოვლენის შედეგს.

---

[57] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებები 047/12, 13 დეკემბერი, 2012 წელი, 048/12, 13 დეკემბერი, 2012 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2012/13.12.2012_047_12.PDF http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2012/13.12.2012_048_12.PDF.

[58] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 066/10, 23 სექტემბერი, 2010 წელი.

[59] აპეკ-ი - 16.04.2006. რედაქცია - მუხლი 8, პუნქტი 8.

აპეკ-ის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. სწორედ ურთიერთშეთანხმება არის საფუძველი ორმხრივად გამოვლენილი ნებისა ადვოკატ-კლიენტს შორის საადვოკატო მომსახურების გაწევის და ამ მომსახურებისათვის ანაზღაურების გადახდის შესახებ. ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება მისი საქმის წარმოების შესახებ და[60], ბუნებრივია, ასეთი განმარტების შედეგად, თუკი მისაღებია კლიენტისათვის, საბოლოოდ შედგება თანხმობა. ეს საკითხი პირდაპირაა დაკავშირებული კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპთან[61], რადგან ყოველთვის უნდა იცოდეს კლიენტმა, რამდენად შეწვდება ის ფინანსურად სამართლებრივ მომსახურებას, რომელსაც ითხოვს ადვოკატისაგან კონკრეტული იურიდიული ინტერესის მისაღწევად.

სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული წესით, გარიგება შეიძლება იყოს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით დადებული, თუმცა, ეთიკის კომისიის პრაქტიკიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია წერილობით შედგეს ასეთი შეთანხმება ადვოკატსა და კლიენტს შორის. წერილობითი შეთანხმება ადვოკატისა და კლიენტისათვის თანაბრად უპირატესია, რადგან კონკრეტულად ჩანს, რა იყო შეთანხმების საგანი, რა ოდენობის ჰონორარის გადახდა შეთანხმდა მხარეთა შორის. დავის შემთხვევაში, მტკიცების სტანდარტის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია დადგინდეს, კლიენტს რა საკითხზე სურდა იურიდიული დახმარება და რა ოდენობის ჰონორარი უნდა გადაეხადა ადვოკატისათვის ამაში.

ეთიკის კოდექსში ცვლილება-დამატებებზე მომუშავე ჯგუფმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების წესი და ოდენობა მხარეთა შეთანხმების საგნად დარჩენილიყო და არ დაკავშირებოდა ისეთ არამდგრად და შეფასებით კრიტერიუმებს, რომლებიც ზემოთ აღვნიშნეთ და თითოეული მათგანის ობიექტურად განსაზღვრა შეუძლებელი იქნებოდა.

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, „საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება მოიცავს ინფორმაციას ხელშეკრულების საგნის, მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების, ადვოკატის ჰონორარის გადახდის გრაფიკისა და სხვა დამატებითი პირობების შესახებ, ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია კლიენტისათვის, ადვოკატის მიერ მთელი საადვოკატო მომსახურების გაწევის პერიოდში, რათა შეძლოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მუდმივი კონტროლი"[62].

ჰონორარის რეგულირების საკითხი ინტერესს იმსახურებს ადვოკატთა ასოციაციის წევრებს შორის და რეკომენდაციის სისტემის ფარგლებში რამდენიმე მოსაზრება გასცა ეთიკის კომისიამ.

ერთ-ერთი შეკითხვა ეხებოდა ასეთ ჰიპოთეტურ საკითხს: ადვოკატი ახორციელებს საადვოკატო საქმიანობას საერთო სპეციალიზაციით მეორე ადვოკატთან

---

[60] „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 6, პუნქტი 2.

[61] აპეკ-ი - მუხლი 5.

[62] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 066/10, 23 სექტემბერი, 2010 წელი.

ერთად. ხელშეკრულებას იურიდიული მომსახურების შესახებ კლიენტთან დებს ორივე ადვოკატი „A“ და „B“. ჰონორარი ირიცხება „B“ ადვოკატის ანგარიშზე და საგადასახადო ორგანოსთან ანგარიშსწორებაც ხდება კანონით დადგენილი წესით. თანხა (ჰონორარი) ადვოკატებს შორის ნაწილდება მათ შორის არსებული შეთანხმების (ხელშეკრულების) საფუძველზე. არღვევს თუ არა „A“ ადვოკატი ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმებს?[63].

მოცემულ შემთხვევაში, ეთიკის კომისიამ იმსჯელა, თუ რამდენად იქნებოდა „A“ ადვოკატის მიერ დაცული ადვოკატთა პროფესიული ვალდებულებები, თუ კლიენტის ინტერესების დაცვას განახორციელებს ორი ადვოკატი – „A“ და „B“ კლიენტთან გაფორმებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო კლიენტი ორივე ადვოკატის ჰონორარს ჩარიცხავს „B“ ადვოკატის ანგარიშზე, ჰონორარი ადვოკატთა შორის განაწილდება მათ შორის გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად.

„განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დაიწყო ორივე ადვოკატთან გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე. საადვოკატო მომსახურების დაწყების მომენტიდან ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებას წარმოადგენს კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება არა მხოლოდ მისი საქმის მიმდინარეობის შესახებ, არამედ ადვოკატმა კლიენტს წინასწარ უნდა აცნობოს საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების ოდენობა, გამოთვლის წესი, გადახდის ფორმა და ვადები“.

ეთიკის კომისიამ რეკომენდაციის გაცემისას განმარტა: „ადვოკატების მიერ ერთობლივი პასუხისმგებლობით კლიენტის საქმის წარმოების შემთხვევაში, ადვოკატთა შორის ჰონორარი შესაძლებელია განაწილდეს მათი შეთანხმების შესაბამისად, თითოეულის მიერ გაწეული მომსახურების პროპორციულად ან სხვა წესით, თუკი კლიენტი ეთანხმება ჰონორარის ადვოკატებისათვის ამგვარი წესით განაწილებას... მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატებს არ ეზღუდებათ, შეთანხმდნენ დამოუკიდებლად კლიენტის მიერ გადახდილი ჰონორარის განაწილების შესახებ“[64].

ეთიკის კომისიამ ზეპირი რეკომენდაცია გასცა ადვოკატის შემდეგ შეკითხვას: „შეთანხმებულია საადვოკატო საქმიანობის საზღაურის სრული ოდენობა და გადახდის განაწილვადების წესი: თანხის ნაწილს კლიენტი გადაიხდის სასამართლო საქმის დასრულებამდე, დარჩენილ ნაწილს კი საქმის დასრულების შემდეგ. კლიენტი არ იხდის შეთანხმებულ საზღაურს, ვინაიდან დასრულდა სასამართლო საქმის განხილვა. აქვს თუ არა ადვოკატს უფლება მოითხოვოს წინასწარ შეთანხმებული ანაზღაურება?“[65]

---

[63] ეთიკის კომისიის წერილობითი რეკომენდაცია 007/13, 06 ივნისი, 2013 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/rekomendaciebi/cerilobiti/06.06.2013_007.13.pdf

[64] იქვე.

[65] ეთიკის კომისიის ზეპირი რეკომენდაცია 002/13, 01 აპრილი, 2013 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/rekomendaciebi/zepiri/01.04.2013_002.13.pdf

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-8 ნაწილი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ ადვოკატმა წინასწარ უნდა აცნობოს კლიენტს ანაზღაურების განაკვეთი და გამოთვლის წესი. ჰონორარი მხოლოდ მაშინ იქნება განსაზღვრული და შეთანხმებული მხარეებს შორის, როდესაც ნორმის შესაბამისად წინასწარაა განსაზღვრული გამოთვლის წესი და ის მისაღებია კლიენტისათვის.

ეთიკის კომისიის რეკომენდაციით: ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებობდა შეთანხმება საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა თანხის განაწილვადებით გადახდის წესი, ანაზღაურების საერთო თანხა წინასწარ იყო ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის. შესაბამისად, ადვოკატს აქვს უფლება მოითხოვოს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების გადახდა[66].

საინტერესოა ადვოკატის შემდეგი შეკითხვაც: „იმ შემთხვევაში, თუ წინასწარ არ არის ადვოკატსა და კლიენტს შორის შეთანხმებული ჰონორარის ოდენობა და საქმის მოგების შემდეგ ადვოკატი საადვოკატო მომსახურებისთვის კლიენტს მოსთხოვს მოგებული საქმის 25 პროცენტის გადახდას, დაირღვევა თუ არა ადვოკატის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმები, მაშინ როდესაც კლიენტმა სხვა იურისტებთან კონსულტაციისას გაარკვია, რომ ასეთი საქმის მოგებისას, მხოლოდ საქმის მოგების 10 პროცენტის გადახდა ადვოკატისთვის საკმარისი იქნებოდა“[67].

ადვოკატი უფლებამოსილია კლიენტს შეუთანხმდეს პირობით ანაზღაურებაზე. განსახილველ შემთხვევაში, საქმის წარმატებით დასრულების შემდეგ, მოგებული თანხის 25 პროცენტის მოთხოვნა ადვოკატის მიერ შესაძლებელი იქნება, თუ ამის შესახებ შეუთანხმდება კლიენტს წინასწარ. რეკომენდებულია, რომ ადვოკატის მომსახურების ოდენობა კონკრეტული საქმის სპეციფიკიდან გამომდინარეობდეს, რომელიც მისაღები უნდა იყოს კლიენტისათვის[68].

## 9. საქმის წარმოებაზე უარი

### 8.9. ჰონორარის გადაუხდელობის შემთხვევაში, ადვოკატი უფლებამოსილია უარი თქვას საქმეზე ან მის წარმოებაზე წინამდებარე თავის მე-7 პუნქტის გათვალისწინებით.

კლიენტის მიერ ჰონორარის გადაუხდელობა შესაძლებელია გახდეს საადვოკატო მომსახურებაზე უარის თქმის, მომსახურების შეწყვეტის საფუძველი, თუმცა, საამისოდ საკმარისი საფუძველი არ არის მარტოოდენ ჰონორარის გადაუხ-

---

[66] ეთიკის კომისიის ზეპირი რეკომენდაცია 002/13, 01 აპრილი, 2013 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/rekomendaciebi/zepiri/01.04.2013_002.13.pdf

[67] ეთიკის კომისიის ზეპირი რეკომენდაცია 010/13, 26 ივნისი, 2013 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/rekomendaciebi/zepiri/26.06.2013-010.13.pdf

[68] იქვე.

დელობის ფაქტი. აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-9 პუნქტი იმთავითვე შეზღუდულია და უთითებს ამავე მუხლის მე-7 პუნქტზე, რომელზეც კომენტარი მოცემულია ზემოთ[69].

## 10. ადვოკატის რეკომენდირებისათვის კომპენსაციის მიღება

**8.10. ადვოკატს არა აქვს უფლება გადაუხადოს გადასახადი, საკომისიო ან ნებისმიერი სხვა სახის კომპენსაცია პირს კლიენტისათვის პირადად მისი რეკომენდირებისათვის. ამ აკრძალვის დარღვევად არ ჩაითვლება, თუკი ერთ საადვოკატო ბიუროში მომუშავე ადვოკატი საკუთარი ანაზღაურების ნაწილს გადასცემს ამ ბიუროში მომუშავე სხვა ადვოკატს, პენსიაზე გასულ ადვოკატს ან ადვოკატის მემკვიდრეს.(08.12.2012)**

*„აღნიშნული* ნორმაც CCBE-ს კოდექსის რეგულაციის რეცეფციას წარმოადგენს, თუმცა ეს გაკეთებულია გარკვეული მოდიფიკაციით[70]. CCBE-ს კოდექსის შესაბამისი ნორმა უშვებს, რომ ადვოკატებმა ჰონორარი გაუნაწილონ არაადვოკატ პირებს, რომლებთანაც ისინი ასოცირებულნი არიან და ერთობლივად საქმიანობენ, რაც დაშვებულია შესაბამისი ქვეყნის კანონით ან პროფესიული წესებით. ეთიკის კოდექსში განხორციელებულმა ცვლილებამ იმ პირთა წრე, რომლებთანაც შესაძლებელია საადვოკატო ჰონორარის განაწილება, განსაზღვრა მხოლოდ იმ ადვოკატებით, რომლებიც მუშაობენ იმავე საადვოკატო ბიუროში, ასევე პენსიაზე გასული ადვოკატებით ან ადვოკატის მემკვიდრით. სხვა პირებისთვის საადვოკატო ჰონორარის განაწილებას რეკომენდირების გადასახადის სახით ეთიკის კოდექსი არ უშვებს.

„ადვოკატთა შესახებ“ კანონში 2009 წელს განხორციელებული ცვლილების შედეგად[71], დაშვებულია საადვოკატო ბიუროს შექმნა იმ პირებთან ერთად, რომლებიც არ არიან ადვოკატები. ეს შეიძლება ითვალისწინებდეს მიღებული მოგების განაწილებას ასეთ პირებთან. ამ შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს კონფლიქტი ეთიკის კოდექსის რეგულირებასა (რომელიც კრძალავს არაადვოკატი პირებისთვის ჰონორარის განაწილებას) და კანონის იმ ნორმას შორის, რომელიც უშვებს არაადვოკატ პირებთან ერთად საადვოკატო ბიუროს შექმნას. არაადვოკატ პირებს კანონის თანახმად არა აქვთ უფლება, განახორციელონ საადვოკატო საქმიანობა, თუმცა შეუძლიათ ქონებრივად და სხვა სახით მიიღონ მონაწილეობა საადვოკატო ბიუროს საქმიანობაში. მიუხედავად კანონში შეტანილი ცვლილებისა, რომლის მომზადებისა და განხილვის პროცესში ადვოკატთა ასოციაცია არ იყო ჩართული, ჯერ სამუშაო ჯგუფმა და შემდგომ ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებამ მხარი დაუჭირა ისეთ პროფესიულ რეგულირებას, რომელიც ადვოკატებს უწესებს შეზღუდვებს, რათა მათ ვერ შეძლონ ჰონორა-

[69] ქვეთავი 7. ადვოკატის მიერ საქმის წარმოებაზე უარის თქმა და კლიენტის ინტერესები, მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის კომენტარი.

[70] CCBE კოდექსი, მუხლი 3.7.1.

[71] „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 18.1, ცვლილება 17.11.2009, 2040.

რის ნაწილი გადასცენ ბიუროში მათთან ერთად გაერთიანებულ პირებს, რომლებიც არ არიან ადვოკატები. აღნიშნულ საკითხზე ჯერ არ არსებობს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, შესაბამისად, უცნობია საქართველოს უზენაესი სასამართლოს პოზიციაც“[72].

## 11. დავის მინიმალური დანახარჯებით წარმოება

### 8.11. ადვოკატი უნდა ცდილობდეს მიაღწიოს დავის მინიმალური დანახარჯებით გადაწყვეტას, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატმა კლიენტს უნდა ურჩიოს საქმის მორიგებით დასრულება ან დავის ალტერნატიული მეთოდებით გადაწყვეტა. (08.12.2012)

აპეკ-ის მითითებული პუნქტით, ადვოკატი კლიენტს უნდა ურჩევდეს მორიგებას, და სათანადო განმარტებას აწვდიდეს, რომ მოხდეს დავის მინიმალური დანახარჯებით გადაწყვეტა, ეს პროცესის ეკონომიურობას უწყობს ხელს, ზოგავს კლიენტის სახსრებსა და დროს სასურველი შედეგის მისაღწევად. ადვოკატი ვალდებულია, კლიენტის ინტერესების უპირატესობის გათვალისწინებით და კლიენტის მითითებებით მოქმედების ფარგლებში, კანონით გათვალისწინებული წესით აწარმოოს მოლაპარაკებები პროცესუალურ მოწინააღმდეგესთან.

ეთიკის კომისიამ სხვა დარღვევებთან ერთად, დავის მინიმალური დანახარჯებით წარმოების ვალდებულების დარღვევაც დაადგინა ერთ-ერთ საქმეში, როდესაც ადვოკატმა კლიენტის ინტერესების საპირისპიროდ აწარმოა მესამე პირთან მოლაპარაკება, შემდეგ კი ადვოკატი თავად გახდა იმ ხელშეკრულების მონაწილე მხარე, რომლის სამართლებრივი შედეგი უშუალოდ იყო კლიენტის ინტერესებთან დაკავშირებული. ადვოკატმა პირადი ინტერესის გამო უგულებელყო კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი, ამან კი ინტერესთა კონფლიქტი წარმოშვა კლიენტის ინტერესთან და დავის მინიმალური დანახარჯებით წარმოების ვალდებულების ნაცვლად, საკუთარი კლიენტის წინააღმდეგ განახორციელა მთელი რიგი ქმედებები, მათ შორის, ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიის ფარგლებში კლიენტის ფინანსური მდგომარეობის შესახებ მოპოვებული ინფორმაცია მისსავე საწინააღმდეგოდ გამოიყენა[73].

ამ ნორმას 08.12.2012. ცვლილება-დამატებების შედეგად დაემატა დავის ალტერნატიული მეთოდებით გადაწყვეტის შესაძლებლობაზე დამატებითი მითითება. „საქართველოში ბოლო წლებში მიღებულ იქნა რეგულაციები მედიაციის შესახებ, მათ შორის, სასამართლო მედიაციის შესახებ. მედიაციის ინსტიტუტის განვითარების შესაბამისად, ადვოკატებმა უნდა შეაფასონ და კლიენტს მისცენ რჩევა დავის მედიაციის ფორმით განხილვის შესაძლებლობის შესახებ“[74].

---

[72] ჟურნალი „ადვოკატი“ 3 - ეთიკის კოდექსის კომენტარები, გვ. 30.

[73] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 094/12, 10 აპრილი, 2012 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2012/10.04.2012_09411.pdf

[74] ჟურნალი „ადვოკატი“ 3 - ეთიკის კოდექსის კომენტარები, გვ. 29.

## 12. კლიენტის ფინანსური სახსრების ჩანაწერი

### 8.12. ადვოკატმა უნდა აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტის მიერ გადახდილ საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით.

ხსენებული პუნქტიც, რა თქმა უნდა, კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპს ემსახურება[75] და უკავშირდება ამავე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებს, რაც ერთობლივად ადვოკატის ვალდებულებას ადგენს, რომ კეთილსინდისიერი იყოს კლიენტთან ურთიერთობისას, სრული ინფორმაცია მიაწოდოს არა მხოლოდ იმის შესახებ, თუ რა „დაუჯდება" კლიენტს საქმის წარმოება[76], არამედ საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე ხელმისაწვდომი იყოს მისთვის ნებისმიერი ინფორმაცია, მათ შორის, ფინანსურ საკითხებზე[77].

ადვოკატის მიერ „სრული და ზუსტი ჩანაწერის" წარმოების ვალდებულება მოიცავს კლიენტის საქმეზე ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი ყველა დოკუმენტის (ხელშეკრულება, საბანკო ქვითრები, საგადასახადო დავალებები, ცნობები და ა.შ.) სკრუპულოზურად წარმოებას (მაგ., საგადასახდო დავალებაში გადამხდელის შესახებ საიდენტიფიკაციო მონაცემების, ასევე, გადახდის დანიშნულებაში: მაგ., კონკრეტული ფიზიკური თუ იურიდიული პირის სარჩელისათვის სახელმწიფო ბაჟი, მართებულად მითითებას).

აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-12 პუნქტი დაკავშირებულია ამავე მუხლის მე-13 პუნქტთან, კერძოდ, კლიენტის მოთხოვნისთანავე ანგარიშგების მოწესრიგებული სახით მიწოდების ვალდებულებასთან, რაც კეთილსინდისიერი წარმომადგენლობისა და ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების განუყოფელი ნაწილია.

ეთიკის კომისიას ჯერჯერობით არ განუხილავს საქმე ადვოკატის მიერ ამ პუნქტის შესაძლო დარღვევის თაობაზე.

## 13. კლიენტის სახსრებისა და ქონების შენახვა და განკარგვა

### 8.13. ნებისმიერი ფულადი სახსრები ან ქონება, რომელსაც კლიენტი მიანდობს ადვოკატს, უნდა ინახებოდეს დამოუკიდებლად ადვოკატის პირადი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან და იმართებოდეს კეთილსინდისიერად. ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ანგარიშგება. (08.12.2012)

ეთიკის კომისიამ კლიენტისათვის კუთვნილი სახსრების არაკეთილსინდისიერი განკარგვის შესახებ იმსჯელა, საქმე ეხებოდა ადვოკატის მიერ მორიგების ფარგლებში კლიენტისათვის გადასაცემი თანხის ხელზე მიღებას პროცესუალური მოწინააღმდეგისაგან. ადვოკატმა კლიენტისათვის გადასაცემი თანხა მიიღო 02 ივნისს და 14 ივლისამდე მასთან ინახებოდა, ხოლო 14 ივლისს ადვოკატმა ისევ

---

[75] აპეკ-ი, მუხლი 5.

[76] აპეკ-ი, მუხლი 8, პუნქტი 8.

[77] „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მუხლი 6, პუნქტი 2.

პროცესუალურ მოწინააღმდეგეს დაუბრუნა თანხა, რომელიც მორიგების აქტით განსაზღვრული ერთ-ერთი ვალდებულების შესრულების მიზნით მიიღო და ეკუთვნოდა მის კლიენტს. ადვოკატს მისმა კლიენტმა 06 ივნისს გაუუქმა მინდობილობა, ამ საფუძვლით ადვოკატმა მიიჩნია, რომ მას აღარ ევალებოდა კლიენტისათვის თანხის გადაცემა[78].

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ კლიენტის მიერ ადვოკატისათვის მინდობილობის გაუქმება არ გულისხმობდა მორიგების ფარგლებში კლიენტისათვის გადასაცემი თანხის მესაკუთრის შეცვლას. ადვოკატი ვალდებული იყო, მორიგებით მიღებული თანხა, კლიენტის ანგარიშზე, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი იყო, გადაერიცხა ან, კლიენტის მიერ თანხის მიღებაზე უარის შემთხვევაში, შეეტანა ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე, რაც მას გაათავისუფლებდა კლიენტის წინაშე არსებული ვალდებულებისაგან. „ადვოკატს არცერთ შემთხვევაში არ ჰქონდა უფლებამოსილება, კლიენტის კუთვნილი თანხა, კლიენტის თანხმობის გარეშე, გადაეცა მოწინააღმდეგე მხარისათვის“[79].

ეთიკის კომისიამ გაფართოებულად განმარტა კლიენტის მიერ მინდობილი ქონების აღრიცხვისა და დამოუკიდებლად შენახვის ვალდებულება და აღნიშნა: „იგი მოიცავს მესამე პირის მიერ ადვოკატისათვის კლიენტისათვის გადასაცემი თანხის საკუთარი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან დამოუკიდებლად შენახვის, მისი კეთილსინდისიერად მართვის და კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულებასაც“[80].

## 14. კლიენტის ინტერესების დაცვა

### 8.14. ადვოკატმა პატიოსნად და უშიშრად უნდა დაიცვას კლიენტის ინტერესები, მიუხედავად მისი პირადი ინტერესებისა ან მისთვის ან ნებისმიერი სხვა პირისათვის შესაძლო შედეგებისა.

აპეკ-ის ეს პუნქტიც კლიენტის ინტერესთა უპირატესობას ემსახურება და არა მხოლოდ მე-8 მუხლის ყოველი პუნქტი, არამედ ყველა ნორმა კლიენტის საუკეთესო ინტერესზეა მორგებული, რადგან თავად ეთიკის კოდექსი ზედმიწევნით კლიენტზე ორიენტირებული მოდელია.

ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების დაცვა პატიოსნად და უშიშრად, დაკავშირებულია კლიენტის კეთილსინდისიერად წარმოდგენის ვალდებულებასთან, როდესაც ადვოკატმა უნდა აირიდოს პირადი ინტერესების ზეგავლენა, ასევე, ის საკმარისად დამოუკიდებელი უნდა იყოს გარეშე ზეგავლენის ფაქტორებისაგანაც, რომ უშიშრად შეძლოს კლიენტის წარმოდგენა, მიუხედავად მისთვის ან ნებისმიერი სხვა პირისათვის შესაძლო შედეგისა. რა თქმა უნდა, ნებისმიერი

---

78 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 054/11, 21 ოქტომბერი, 2011 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/21_10_2011_05411.pdf

79 იქვე.

80 იქვე.

სხვა პირი ვერ იქნება ადვოკატის კლიენტი, რადგან სწორედ მისი საუკეთესო ინტერესების ერთგულება ეკისრება ადვოკატს.

## 15. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტისას ადვოკატის ვალდებულებები და უფლება ჰონორარზე

**8.15. კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი. (08.12.2012)**

„აღნიშნული ნორმის პირველადი რედაქცია მომზადდა 2009 წელს, თუმცა მაშინ ცვლილების მიღება ადვოკატთა საერთო კრების მიერ ვერ მოხერხდა. ნორმის 2012 წლის რედაქციაში დაკონკრეტდა დოკუმენტებისა და ქონების წარმოშობის წყარო, რომელთა უპირობოდ გადაცემის ვალდებულება აქვს ადვოკატს კლიენტის წარმომადგენლობის შეწყვეტისას. ასევე დაემატა ახალი ნორმა ადვოკატის ჰონორარისა და გაწეული ხარჯის გამოქვითვის უფლების შესახებ.

კლიენტისთვის დოკუმენტებისა და ქონების უპირობო დაბრუნების ვალდებულება ვრცელდება იმ დოკუმენტებსა და ქონებაზე, რომლებიც ადვოკატს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას გადასცა:

ა) თავად კლიენტმა;

ბ) სასამართლომ;

გ) სხვა ორგანომ ან პირმა.

უპირობო დაბრუნების უფლება არ ვრცელდება იმ დოკუმენტებზე, რომლებიც ადვოკატმა თავად შექმნა წარმომადგენლობის განხორციელების პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ მათი ბენეფიციარი კლიენტია და კლიენტს აქვს მათი მიღების უფლება, გარკვეულ შემთხვევაში ადვოკატს აქვს მათი დაკავების უფლება“[81].

ეთიკის კომისიამ განმარტა, „ადვოკატს თავისი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გირავნობის უფლება შეუძლია გამოიყენოს მხოლოდ ადვოკატის მიერ შექმნილ დოკუმენტებზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 634-ე მუხლის შესაბამისად, ესეც იმ პირობით, რომ დოკუმენტების დაკავებით კლიენტს არ მიადგება მნიშვნელოვანი ზიანი და გირავნობის უფლების გამოყენებაზე კლიენტისგან მიღებულია წინასწარი წერილობითი თანხმობა ამავე კოდექსის 713-ე მუხლის შესაბამისად, თუ ურთიერთობა რეგულირდება დავალების წესით. ამასთან, ალ-

[81] ჟურნალი „ადვოკატი“ 3 - ეთიკის კოდექსის კომენტარები, გვ. 31.

ნიშნული უფლება ვერ გავრცელდება ზოგადად ყველა სახის დოკუმენტზე, რომელიც საქმესთან დაკავშირებით ადვოკატის განკარგულებაში მოექცევა, როგორიცაა სასამართლო გადაწყვეტილება ან განჩინება, სხდომის ოქმი და სხვ.“[82].

საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ადვოკატის მიერ კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება უნდა იყოს უპირობო, ცალსახა და დროული, რომ არ დაირღვეს უწყვეტი დაცვის პრინციპი ან კლიენტს არ დარჩეს იმედი, რომ ადვოკატი გააგრძელებს მის მომსახურებას და არ არის სხვა ადვოკატის აყვანის აუცილებლობა[83]. ეთიკის კომისია იმავე განმარტებას აყალიბებს თავის 2013 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებებში 047/12 და 048/12, რაც განხილულია ზემოთ მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის კომენტირებისას.

მე-8 მუხლისათვის მე-15 პუნქტის დამატებამდე (08.12.2012) ეთიკის კომისიამ თავის გადაწყვეტილებებში არაერთხელ მიუთითა საქმის წარმოების დამთავრებისას ადვოკატის ვალდებულებაზე, რომ გადასცეს კლიენტს, მის წარმომადგენელს საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და სხვ.

ეთიკის კომისიამ დისციპლინური დევნა აღძრა ადვოკატის მიმართ იმის გამო, რომ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყების შემდეგ, როდესაც მხარეებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, ადვოკატმა არ უზრუნველყო კლიენტისათვის ხელშეკრულების ასლის გადაცემა. ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ საადვოკატო ხელშეკრულება სწორედ ის დოკუმენტია, სადაც განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობანი და ეს არის შესაძლებლობა, ადვოკატმა და კლიენტმა ერთმანეთს მოსთხოვონ ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობების დაცვა[84].

კლიენტისათვის მის საქმესთან დაკავშირებული მასალების, მისი ქონების თუ სხვა ნივთების დაბრუნება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტისას, „ადვოკატის მიერ ნათლად უნდა იქნეს გამოხატული მზაობა, საქმის ყველა მასალა გადასცეს ახალ ადვოკატს, რაც კლიენტის უფლების რეალიზაციის ხელშემწყობი იქნება“[85]. ამ ჩანაწერის მიზანია კლიენტის ინტერესების დაცვა, რათა მას არ შეექმნას მისი უფლების შემდგომ ეტაპზე რეალიზაციისათვის რაიმე სახით დაბრკოლება ან თუნდაც დაუბრუნდეს ყველაფერი, რაც მის საქმეს უკავშირდება და კლიენტის ინტერესს არგებს ან აკმაყოფილებს.

საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, კლიენტის კუთვნილი დოკუმენტაციისა და სხვ. დაბრუნების ვალდებულება იმ მიზანსაც ემსახურება, რომ ყოფილი კლიენტის მასალების (ფულადი სახსრების) გამოყე-

---

[82] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 074/11, 09 იანვარი, 2012 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2012/09.01.2012_074_11.pdf

[83] იქვე.

[84] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის აღძვრაზე 066/10, 23 სექტემბერი, 2010 წელი.

[85] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 047/12, 13 დეკემბერი, 2012 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2012/13.12.2012_047_12.PDF

ნება არ მოხდეს ადვოკატის მიერ, რადგან ასეთ შემთხვევაში ადვოკატის მიერ კლიენტის სახელით (მაგალითად, მინდობილობის გამოყენებით, რომელიც არ გაუქმებულა სანოტარო წესით და არ აქვს ვადა გასული) განხორციელებული ქმედებები მესამე პირების მიერ მიღებული იქნება, როგორც კლიენტის ნების გამოხატულება და, ამ შემთხვევაში, როგორც წესი, ეჭვქვეშ არ დგება ადვოკატის საიმედოობა და კეთილსინდისიერება[86].

[86] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 001/12 , 27 ივნისი, 2012 წელი.

# 9. პრიმა. საადვოკატო საქმიანობის რეკლამირება

**ადვოკატი უფლებამოსილია განახორციელოს საკუთარი საქმიანობის რეკლამირება იმ პირობით, რომ გავრცელებული ინფორმაცია სწორია და არ არის შეცდომაში შემყვანი, დაცულია პროფესიის ძირითადი ფასეულობები და პირდაპირ ან ირიბად არ მიუთითებს კონკურენტზე ან მის მომსახურებაზე.**

ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების 2012 წლის 08 დეკემბრის გადაწყვეტილებით, აპეკ-ში შეტანილი იქნა ახალი ნორმა საადვოკატო საქმიანობის რეკლამირების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ დღეის მდგომარეობით, ეთიკის კომისიას არ განუხილავს საქმე ადვოკატის მიერ საკუთარი პროფესიული საქმიანობის რეკლამირებისას შესაძლო დარღვევის თაობაზე, ეთიკის კომისიაში რეკომენდაციების სისტემის ამოქმედებისთანავე, პირველი შეკითხვა სწორედ აპეკ-ის ახალ ნორმას – მე-8 პრიმა მუხლს უკავშირდება. მოგვიანებით, კიდევ რამდენჯერმე მიმართეს ეთიკის კომისიას ადვოკატთა ასოციაციის წევრებმა და ამავე საკითხზე მოითხოვეს რეკომენდაციები, რასაც ვრცლად განვიხილავთ.

თავად ახალი ნორმა უფლებას აძლევს ადვოკატს, რომ საკუთარ პროფესიულ საქმიანობას რეკლამირება გაუწიოს, თუმცა, აქაც არსებობს თვითრეგულირება აპეკ-ის ფარგლებში, რომელიც ზოგადად იზიარებს „რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონის ისეთ ძირეულ კომპონენტებს, როგორებიცაა არასათანადო რეკლამა[1], შეცდომაში შემყვანი რეკლამა[2], შედარებითი რეკლამა[3].

აპეკ-ის ნორმა რეკლამირების შესახებ გამიზნულია კონკრეტულ პირთა გამოსაყენებლად და ეხება საადვოკატო საქმიანობის განმახორციელებელ პირებს – ადვოკატებს.

### *9.1.1. რეკლამირების პირობა:*
### *რეკლამაში გადმოცემული ინფორმაცია სწორია*
### *რეკლამაში გადმოცემული ინფორმაცია არ არის შეცდომაში შემყვანი*

აპეკ-ის მე-8 პრიმა მუხლის ზემოხსენებულ ორ პირობას ერთად განვიხილავთ, რადგან მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და იურიდიული საბჭოს (CCBE) მიერ ევროპელი ადვოკატებისთვის მიღებული ქცევის კოდექსით[4], „ადვოკატი უფლებამოსილია საზოგადოებას შეატყობინოს მისი საქმიანობის შესახებ იმ პირობით, რომ ინფორმაცია სწორია და არ არის შეცდომაში შემყვანი, კონფიდენციალურობის ვალდებულებისა და სხვა ძირეული ფასეულობების გათვალისწინებით". ადვოკატს საზოგადოების წინაშე ნაკისრი მორალურ-ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, კვალიფი-

---

[1] „რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 3, პუნქტი 3.

[2] იქვე, მუხლი 3, პუნქტი 6.

[3] იქვე, მუხლი 3, პუნქტი 6 პრიმა.

[4] CCBE კოდექსი, მუხლი 2.6.1.

ციური და კეთილსინდისიერი პროფესიული საქმიანობა მოეთხოვება, რაც ბუნებრივია დაცული უნდა იქნეს საქმიანობის რეკლამირების დროსაც.

ეთიკის კომისიამ რეკომენდაცია გასცა შემდეგი შინაარსის შეკითხვაზე: „საადვოკატო ბიუროს საქმიანობა მოცულია ერთ აბრაში – წარწერით „ადვოკატურა", ხოლო მის ქვემოთ განთავსებულია დამატებითი აბრა წარწერით: „ადვოკატი, სახელი, გვარი, ყოფილი მოსამართლე"[5].

კომისიამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეაფასა თითოეულ აბრაზე დატანილი ინფორმაცია და განმარტა, რომ „პირველი აბრა წარწერით „ადვოკატურა" მკითხველს აწვდის ინფორმაციას, რომ აღნიშნულ შენობაში განთავსებულია საადვოკატო ბიურო და, შესაბამისად, აბრის წაკითხვის შემდეგ, არსებობს მოლოდინი, რომ იურიდიული კონსულტაციის მიღების მსურველს, შეუძლია მიმართოს აღნიშნულ ბიუროს, თუმცა, წარწერა „ადვოკატურა" არის ზოგადი ინფორმაციის შემცველი და რეკომენდირებულია, საადვოკატო ბიუროს ჰქონდეს შესაბამისი სახელი და საქმიანობის აღნიშვნა არ იყოს გვარეობითი ცნებით გამოხატული, როგორიცაა „ადვოკატურა", რაც საყოველთაოდ გამოიყენება და დამკვიდრებულ ტერმინს წარმოადგენს საადვოკატო ბიუროს საქმიანობისას"[6]. ასევე შეფასდა, მეორე აბრაზე განთავსებული წარწერით – „ადვოკატი (სახელი, გვარი)" და მასზე დამატებითი წარწერის აღნიშვნით „ყოფილი მოსამართლე", ხომ არ ირღვევა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 პრიმა მუხლი. რეკომენდაციაში აღინიშნა, რომ ადვოკატის სახელისა და გვარის გასწვრივ დამატებითი წარწერის მითითება „ყოფილი მოსამართლე" არის ინფორმაციის შემადგენელი ნაწილი, რომ კონკრეტულ პირს აქვს სამოსამართლო საქმიანობის გამოცდილება, თუმცა, ეს არ გულისხმობს, რომ პირი ამ აბრების წაკითხვის შემდეგ უპირატესობას აუცილებლად მიანიჭებს იმ ადვოკატს, რომელსაც მოსამართლედ მუშაობის გამოცდილება აქვს, რადგან შესაძლოა საადვოკატო მომსახურების მიღების მსურველისათვის არ იყოს მისაღები იმ ადვოკატისგან იურიდიული კონსულტაციის მიღება, რომელიც ყოფილი მოსამართლე იყო.

იმ შემთხვევაში, თუ მეორე აბრაზე გაკეთებული წარწერა არ არის მცდარი და შეცდომაში შემყვანი, რაც გულისხმობს, რომ წარწერაზე აღნიშნულ პირს აქვს მოქმედი ადვოკატის სტატუსი და წარსულში ნამდვილად იყო მოსამართლე, დაცული იქნება საადვოკატო საქმიანობის რეკლამირებისას უმთავრესი პრინციპი – გავრცელებული ინფორმაცია სწორია და არ არის შეცდომაში შემყვანი[7]. კომისიის რეკომენდაციის მიხედვით, ასეთი რეკლამა უნდა შეფასდეს იმის საფუძველზეც, თუ რამდენად არის დაცული რეკლამირების დროს პროფესიის ძირეული ფასეულობები და ხომ არ უთითებს პირდაპირ ან ირიბად კონკურენტზე ან მის მომსახურებაზე. რეკომენდაციის მიხედვით, დამატებით აბრაზე გაკეთებული წარწერა „ყოფილი მოსამართლე" „არ არის ირიბი მითითება შეკითხვაში აღნიშნულ საადვოკატო ბიუროში მომუშავე ადვოკატების იურიდიულ მომსახურე-

[5] ეთიკის კომისიის წერილობითი რეკომენდაცია 001/13, 19 აპრილი, 2013 წელი.

[6] იქვე.

[7] იქვე.

ბაზე... რეკომენდირებულია საადვოკატო ბიუროს ჰქონდეს შესაბამისი სახელი და საქმიანობის აღნიშვნა არ იყოს გვარეობითი ცნებით გამოხატული, როგორიცაა „ადვოკატურა", რაც საყოველთაოდ გამოიყენება და დამკვიდრებულ ტერმინს წარმოადგენს საადვოკატო ბიუროს საქმიანობისას"[8].

### *9.1.2. რეკლამაში გადმოცემული ინფორმაცია არ არის შეცდომაში შემყვანი და არ არღვევს პროფესიის ძირეულ ფასეულობებს*

ადვოკატის მიერ გამოყენებული ტექსტი – „გაქვთ პრობლემა უიმედო ვალების ამოღებაში? მოგვმართეთ ჩვენ და ჩვენ დაგეხმარებით მის ამოღებაში" – არის რეკლამა[9]. „ადვოკატი, რეკლამის მიხედვით, პოტენციურ კლიენტებს ჰპირდება უიმედო ვალების ამოღებაში დახმარებას. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, სარეკლამო ტექსტი მხოლოდ მაშინ იქნება შეცდომაში შემყვანი, თუ ადვოკატი არ გაუწევს კლიენტებს სამართლებრივ დახმარებას უიმედო ვალებთან დაკავშირებულ საქმეებზე, რადგან იგი სარეკლამო ტექსტში მომხმარებელს არ ჰპირდება გარანტირებულ დამაკმაყოფილებელ შედეგს"[10], რაც აკრძალულია ეთიკის კოდექსით[11].

ადვოკატი, საქმიანობის განხორციელებისას და, მათ შორის, საქმიანობის რეკლამირებისას ვალდებულია იცავდეს პროფესიის ძირეულ ფასეულობებს. შეკითხვაში მითითებული სარეკლამო ტექსტის გავრცელებით ადვოკატი არ არღვევს ამ ფასეულობებს, ვინაიდან აღნიშნული რეკლამით არ ირღვევა საადვოკატო საქმიანობის ძირითადი პრინციპები. სარეკლამო ტექსტის მიხედვით ადვოკატის მიერ არ ხდება გარანტირებული შედეგის დაპირება, მითითება ხდება მხოლოდ სამართლებრივ დახმარებაზე, რაც არ მოიცავს კლიენტისათვის დამაკმაყოფილებელი შედეგის დადგომის აუცილებლობას[12].

### *9.1.3. თვითრეკლამა თუ პირდაპირი ან ირიბი მითითება კონკურენტზე ან მის მომსახურებაზე?*

საადვოკატო საქმიანობის რეკლამირების საკითხმა დიდი ინტერესი გამოიწვია ადვოკატებში და შეკითხვა შეეხო ადვოკატის მხრიდან თვითრეკლამის დაშვებას, კერძოდ: „თუ სასამართლოს შენობის ფოიეს იმ ნაწილში, სადაც მოქალაქეთა უმრავლესობა მოძრაობს (სასამართლოს კანცელარიის სიახლოვეს) განთავსებული ეკრანიდან საინფორმაციო ან სარეკლამო რგოლებში მონაწილეობს საზოგადოების ყურადღების მისაპყრობად, სხვა ადვოკატთაგან პროფესიული

---

[8] ეთიკის კომისიის წერილობითი რეკომენდაცია 001/13, 19 აპრილი, 2013 წელი.

[9] „რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 3, პუნქტი 1.

[10] ეთიკის კომისიის წერილობითი რეკომენდაცია 016/13, 27 სექტემბერი, 2013 წელი.

[11] აპეკ-ი, მუხლი 8, პუნქტი 3.

[12] ეთიკის კომისიის წერილობითი რეკომენდაცია 016/13, 27 სექტემბერი, 2013 წელი.

უპირატესობის ხაზგასასმელად სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ერთი კონკრეტული წევრი ადვოკატი“[13].

ზემოხსენებული ჰიპოთეტური შეკითხვის შეფასებისას ეთიკის კომისიამ ორი სხვადასხვა მოცემულობა შეაფასა და გასცა რეკომენდაცია, რომ „იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს შენობის ფოიეს იმ ნაწილში, სადაც მოქალაქეთა უმრავლესობა მოძრაობს (სასამართლოს კანცელარიის სიახლოვეს) განთავსებულ ეკრანზე გავა ე.წ. სასამართლოს რეკლამა, რომელიც მიზნად ისახავს სასამართლოში დანერგილი სიახლის ან სასამართლოში სამართალწარმოების წესების მოქალაქეებისათვის გაცნობას, ამ რეკლამაში ადვოკატის მონაწილეობა არ ჩაითვლება მის რეკლამად.

თუ აღნიშნულ ეკრანებზე მოხდება კონკრეტული ადვოკატის ან საადვოკატო ბიუროს მომსახურების რეკლამირება და რეკლამა პირდაპირ ან ირიბად მიუთითებს კონკურენტზე ან მის მომსახურებაზე, შესაძლოა, დარღვეულად ჩაითვალოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 პრიმა მუხლი“[14].

### *9.1.4. შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი და ადვოკატი, რომელმაც იცის რეკლამის არაეთიკურობის შესახებ*

ცოტა უფრო ვრცელი შეკითხვა ეხებოდა იმ საკითხს, როდესაც იურიდიული ფირმა მიუთითებს სატელევიზიო რეკლამაში, ფეისბუქზე, გაზეთებსა და სავიზიტო ბარათზე, რომ მათი შპს არის საერთაშორისო იურიდიული ფირმა, რაც აბსოლუტური ტყუილია. ფირმის დამფუძნებელი არ არის ადვოკატთა ასოციაციის წევრი, მაგრამ კომპანიის სამი იურისტი არის ადვოკატთა ასოციაციის წევრი. რა სანქცია შეიძლება დაეკისროს კომპანიას ან მასში მომუშავე ადვოკატებს?

„თუ გსურთ კვალიფიციური ადვოკატების მომსახურება სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებზე, თუ გსურთ უიმედო ვალების ამოღება, მოგვმართეთ ჩვენ ტელ. XXX საერთაშორისო იურიდიული ფირმა „NNN“. აღნიშნული ტექსტის ფონზე სატელევიზიო რეკლამაში გადის დამფუძნებლის ფოტოსურათი (რომელიც ადვოკატთა ასოციაციის წევრი არ არის) და კომპანიაში მომუშავე სხვა ადვოკატების ფოტოსურათები (რომლებიც ადვოკატთა ასოციაციის წევრები არიან)“.

იურიდიული ფირმის მიერ გავრცელებული ზემოხსენებული ტექსტი არის რეკლამა[15], რადგან გავრცელებულია ინფორმაცია მომსახურებაზე, ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რომელიც გამიზნულია პირთა განუსაზღვრელი წრისათვის და ემსახურება საქონლისადმი ინტერესის ფორმირებასა და რეალიზაციის ხელშეწყობას.

ეთიკის კომისიამ კონკრეტულ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია რეკლამირებისას ისეთი კომპონენტის მითითებას, როგორიცაა „საერთა-

[13] ეთიკის კომისიის წერილობითი რეკომენდაცია 012/13, 07 აგვისტო, 2013 წელი.

[14] იქვე.

[15] „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 3, პუნქტი 1.

შორისო“ იურიდიული ფირმა. რეკომენდაციაში განმარტებულია, რომ კანონი პირდაპირ არ განსაზღვრავს საერთაშორისო იურიდიული ფირმის ცნებას, თუმცა, გონივრული განმარტებისა და არსებული პრაქტიკის მიხედვით, იურიდიული ფირმა შესაძლოა იყოს საერთაშორისო შემდეგ შემთხვევებში: „ფირმას აქვს სხვადასხვა ქვეყანაში გახსნილი ფილიალი; მისი დამფუძნებელი არის უცხოური იურიდიული ფირმა; ფირმაში უნდა მუშაობდეს ადვოკატი, რომელსაც საქართველოს ფარგლებს გარეთ აქვს იურიდიული პრაქტიკის განხორციელების უფლებამოსილება; ფირმის საქმიანობაში სხვა სახით არის მოცემული უცხოური ელემენტი, რომელიც უკავშირდება საადვოკატო მომსახურების გაწევას“[16]. ამავე რეკომენდაციაში ყურადღება არის გამახვილებული საქართველოს კანონმდებლობაში ტერმინის „საერთაშორისო“ გამოყენებაზე და მითითებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 23-ე მუხლის განმარტებაზე „საერთაშორისო ფინანსური კომპანიის“ ცნების შესახებ, როდესაც ასეთი კომპანიის შემოსავლის უმეტესი ნაწილი დაკავშირებული უნდა იყოს უცხოეთის წყაროსთან.

„აპეკ-ის მე-8 პრიმა მუხლის შესაბამისად, საადვოკატო საქმიანობასთან დაკავშირებული უცხოური ელემენტის არარსებობის შემთხვევაში, სარეკლამო ტექსტში იურიდიული ფირმის საერთაშორისო იურიდიულ ფირმად მოხსენიება შესაძლოა არღვევდეს საადვოკატო საქმიანობის რეკლამირების წესს“. ეთიკის კოდექსის ნორმის მოთხოვნა რეკლამირების შესახებ შესაძლოა, დარღვეული იქნეს იურიდიული ფირმის ხელმძღვანელი ან პარტნიორი ადვოკატების მიერ, რომელთაც საკუთარი გადაწყვეტილებით დაუშვეს შეცდომაში შემყვანი სარეკლამო ტექსტის განთავსება. „ასევე, იმ ადვოკატის მიერ, რომელიც საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს აღნიშნულ იურიდიულ ფირმაში, მიუხედავად იმისა, რომ საქმის კურსშია რეკლამის არაეთიკურობის შესახებ და არ მიუღია გონივრული ზომები აღნიშნული დარღვევის შეწყვეტისათვის, ვინაიდან იგი, პირდაპირ ან ირიბად, სარგებლობს იმ იურიდიული ფირმის სახელით, რომელიც რეკლამაში საერთაშორისო იურიდიულ ფირმად არის მითითებული. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება შესაძლოა დამოკიდებული იყოს რეკლამის შედეგად ადვოკატის მიერ მიღებულ სარგებელზე, ადვოკატის ჩართულობაზე რეკლამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ადვოკატის მიერ მიღებულ ზომებზე იურიდიული ფირმის ხელმძღვანელი პირებისათვის რეკლამის არაეთიკურობის შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად და ა.შ.[17].

ამდენად, საადვოკატო საქმიანობის რეკლამირების წესზე უკვე არსებობს ეთიკის კომისიის რამდენიმე საინტერესო რეკომენდაცია, რომლებიც შესაძლოა ეთიკის კომისიის მიერ რეკლამირების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის დროს გამოყენებული იქნეს სამართლებრივი მოტივაციის წყაროდაც. საინტერესოა, საადვოკატო პრაქტიკაში როგორ იჩენს თავს თავისუფალი პროფესიის პირის ეთიკური თვალსაზრისით მოწესრიგებული და დაბალანსებული რეკლამა, რომელიც ღირსეულად წარმოაჩენს პროფესიის ძირეულ ფასეულობებს, არ არის შეცდომაში შემყვანი, არაეთიკური და ჯანსაღი კონკურენციის სტანდარტსაც დააკმაყოფილებს.

---

[16] ეთიკის კომისიის წერილობითი რეკომენდაცია 014/13, 06 სექტემბერი, 2013 წელი.

[17] იქვე.

# 10. ადვოკატის ურთიერთობა სასამართლოსთან

**1. ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს.**

**2. ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს ან შეხვდეს მოსამართლეს კონკრეტულ საქმეზე, მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან შეთანხმების გარეშე, გარდა საპროცესო კანონმდებლობით ნებადართული შემთხვევებისა.**

**3. ადვოკატმა არ უნდა მიაწოდოს სასამართლოს წინასწარი შეცნობით ყალბი მტკიცებულება.**

**4. ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას. (08.12.2012)**

## 10.1. სასამართლოსთან კომუნიკაციის ზოგადი სტანდარტი

„ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს ადვოკატთა ქცევის წესებს სასამართლოში და სასამართლოს მსგავსი ფუნქციის ორგანოებთან. „ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს"[1]. ამავე კანონით ადვოკატი ვალდებულია – „კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები", ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები, „არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები" თავისი პროფესიული ფუნქციის, საადვოკატო მომსახურების განხორციელებისას, ადვოკატი შებოჭილია კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით ის ვალდებულია პატივი სცეს პროცესის მონაწილე სხვა პირთა უფლებებს და არ დაუშვას მათი ხელყოფა, აღნიშნული ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა[2].

ადვოკატის, როგორც მართლმსაჯულების წარმომადგენლის პროფესიული ვალდებულებები სასამართლოს მიმართ, უნდა ეფუძნებოდეს მართლმსაჯულების ინტერესს, ადვოკატის პროფესიულ თავისუფლებას და ღირსებას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, ასევე ეთიკის წესების დაცვას.

დაცვის უფლების განხორციელებისას, ადვოკატი შეზღუდულია კანონით და პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმებით. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს, რომელიც საპროცესო კანონმდებლობით არის განსაზღვრული. პროფესიული საქმია-

[1] „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 1.

[2] იქვე, მუხლი 5.

ნობის განხორციელებისას ადვოკატი ხელმძღვანელობს კანონით. დაუშვებელია კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით სასამართლოში მოქმედი წესების დარღვევა.

ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კანონი და პროფესიული ეთიკის ნორმები, თავისი პროფესიული ვალდებულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, რაც არ გულისხმობს ეთიკის ნორმების დაცვის ვალდებულებას მხოლოდ სასამართლო სხდომის დროს, პროცესის მონაწილე პირთა მიმართ. პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვის ვალდებულება ადვოკატს ეკისრება აგრეთვე სასამართლოს მსგავსი ფუნქციის მატარებელ ორგანოებში და მისი მონაწილეობით ჩატარებული საპროცესო მოქმედებების განხორციელებისას, ამ პროცესის მონაწილე სუბიექტების მიმართ.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს ადვოკატის სასამართლოსთან ურთიერთობის პროცედურას. „ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს“ – აღნიშნული გულისხმობს როგორც საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესების, ასევე პროფესიული ქცევის სტანდარტების დაცვას.

დაცვის უფლების განხორციელება არ უზრუნველყოფს პირის შეუზღუდავ უფლებას, დაცვის მოტივით, განახორციელოს ნებისმიერი სახის მოქმედებები. დაუშვებელია არაკანონიერი ქმედებები გამართლებული იქნეს დაცვის უფლების განხორციელების საფუძვლით. ადვოკატმა დაცვის განხორციელებისას პატივი უნდა სცეს სასამართლოს და სხვა პირთა უფლებებს, კანონი არ აღჭურავს ბრალდებულს უფლებით, დაცვის განხორციელების მიზნით, მოსთხოვოს ადვოკატს, დაარღვიოს კანონი ან ისეთი დაცვის სტრატეგიის შემუშავება, რომელიც წინააღმდეგობაში მოვა მის პროფესიულ პრინციპებთან და, შესაბამისად, არც ადვოკატს არ აქვს უფლება ამგვარად იმოქმედოს დაცვის განხორციელების პროცესში.

მნიშვნელოვანი რეკომენდაცია გასცა ეთიკის კომისიამ[3] სასამართლოსადმი (მოსამართლისადმი) მიმართვის ფორმასთან დაკავშირებით.

ადვოკატის შეკითხვა ეხებოდა სასამართლოში საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლისათვის როგორც წერილობითი ფორმით, ასევე საქმის ზეპირი მოსმენით სასამართლო სხდომაზე სასამართლოსთან ურთიერთობისას კონკრეტული ფრაზების, მიმართვების გამოყენების მიზანშეწონილობას, კერძოდ, რამდენად იქნებოდა ეთიკური მოსამართლისადმი მიმართვისას შემდეგი ფრაზების გამოყენება:

ა) „თქვენო განსწავლულობავ“;

---

[3] ეთიკის კომისიის წერილობითი რეკომენდაცია 003/13, 20 მაისი, 2013 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/rekomendaciebi/cerilobiti/20.05.2013_003_13.pdf

ბ) „პატივცემულო მართლმსაჯულების კორიფევ“;

გ) „ჭეშმარიტების გამოხატულებავ“;

დ) „თქვენო გამორჩეულობავ“;

ე) „თქვენი (ან „სასამართლოს“) კვალიფიციურობის იმედად“;

ვ) „თქვენი (ან „სასამართლოს“) უბადლო პროფესიონალიზმის იმედად“.

ეთიკის კომისიამ რეკომენდაციაში აღნიშნა: „საზოგადოდ, მოსამართლისადმი მიმართვის ფორმად მიღებულია ისეთი სახის ტრადიციული ფრაზები, როგორიცაა: „თქვენო ღირსებავ“, „პატივცემულო მოსამართლე“, „ბატონო/ქალბატონო მოსამართლე“. ამგვარი სახით მიმართვების გამოყენება მოსამართლისადმი, როგორც მართლმსაჯულების სისტემის წარმოჩენისთვის პატივისცემის გამოხატვაა. განსახილველ შემთხვევაში, აღნიშნული მიმართვები, როგორიცაა „თქვენო განსწავლულობავ“; „პატივცემულო მართლმსაჯულების კორიფევ“; „ჭეშმარიტების გამოხატულებავ“; „თქვენო გამორჩეულობავ“ გაზვიადებულად ჟღერს, არ წარმოადგენს ტრადიციული მიმართვის ფორმებს, გადაჭარბებულად აფასებს მოსამართლეს და ირონიული ხასიათის მქონედ შეიძლება იყოს აღქმული ადრესატის და პროცესზე დამსწრე საზოგადოების მხრიდან“. რეკომენდაციის მიხედვით, მოსამართლისადმი მიმართვის დროს, შეკითხვაში დასახელებული ფრაზების გამოყენება ვერ იქნება კლიენტის ობიექტური ინტერესი და, შესაბამისად, სცილდება კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ადვოკატის მიერ მოსამართლისადმი განცხადებების გაკეთების უფლებამოსილების საზღვრებს. დასახელებული ფრაზები ირონიის შემცველია, გაზვიადებულად ჟღერს და ირონიულ ხასიათს ატარებს, რაც შეუსაბამოა ადვოკატისათვის მინიჭებულ იმუნიტეტთან, არ წარმოადგენს მართლმსაჯულების ინტერესს და არღვევს ადვოკატის პროფესიული ეთიკის სტანდარტს. შესაბამისად, აღნიშნული ფრაზები არ შეიძლება შეფასდეს, როგორც მოსამართლისადმი პატივსაცემად აღსანიშნავი სიტყვები“[4].

სასამართლო პროცესზე ადვოკატმა უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და პროფესიული ღირებულებების დაცვითა და სასამართლოში მოქმედი ქცევის წესების შესაბამისად განახორციელოს კლიენტის ინტერესების დაცვა.

## 10.2. პროფესიული კრიტიკის ფარგლები

ადვოკატებს, პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, ხშირად უწევთ სასამართლოს მიერ მიღებული აქტების შეფასება და მათი კრიტიკა. კლიენტის ინტერესის პრიორიტეტიდან გამომდინარე, სასამართლო აქტების და მოსამართლის მოქმედებების კრიტიკა ადვოკატის ვალდებულებაა. კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, ადვოკატი ვალდებულია შეაფასოს და გააკრიტიკოს სასამარ-

[4] ეთიკის კომისიის წერილობითი რეკომენდაცია 003/13, 20 მაისი, 2013 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/rekomendaciebi/cerilobiti/20.05.2013_003_13.pdf.

თლოს მიერ მიღებული აქტები, მაგრამ ეს შეუძლია განახორციელოს მხოლოდ საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, პროფესიული კრიტიკის დასაშვები ფორმით.

ხშირად ისმის კითხვა იმის შესახებ, თუ რა შეიძლება იყოს პროფესიული კრიტიკა და მისი ფარგლები. სად გადის ზღვარი პროფესიულ კრიტიკასა და სასამართლოს შეურაცხყოფას შორის.

ძალზედ მნიშვნელოვანია ამ მხრივ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – განაცხადი 73797/01, (2005 წლის 15 დეკემბერი), რომელიც საინტერესოდ განმარტავს, თუ რა წარმოადგენს პროფესიული კრიტიკის ფარგლებს. სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენდა ადვოკატის გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში ჩარევას, ასევე ჩარევას გააჩნია ლეგიტიმური მიზანი სასამართლო ხელისუფლების დაცვის სახით. სასამართლომ იმსჯელა, იყო თუ არა აღნიშნული ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში". უფლების დაცულ სფეროში ჩარევა აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, როდესად დგას „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება".

ადვოკატის განსაკუთრებული სტატუსი ანიჭებს მას ცენტრალურ ადგილს სამართლის განხორციელების პროცესში, იგი წარმოადგენს შუამავალს ხალხსა და სასამართლოს შორის. მათ მიმართ არსებობს მოლოდინი, რომ ისინი სათანადო წვლილს შეიტანენ სასამართლო პროცესის განხორციელების პროცესში და საჯარო ნდობას გაამართლებენ. მართალია, ადვოკატებს უფლება აქვთ გააკეთონ საჯარო განცხადებები სასამართლო ხელისუფლების შესახებ, მაგრამ მათი კრიტიკა არ უნდა გასცდეს განსაზღვრულ ფარგლებს. მით უფრო, ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება სასამართლო დარბაზში არ არის შეუზღუდავი და განსაზღვრული ინტერესები, როგორიცაა სასამართლო ხელისუფლების პატივისცემა, ამართლებს ამ ტიპის შეზღუდვებს. თუმცა, დაცული უნდა იქნას სათანადო ბალანსი უფლების შეზღუდვასა და დაცულ ინტერესს შორის"[5].

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში Skalka v. Poland (განაცხადი 43425/98; 2003 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება) მიიჩნია, რომ „დემოკრატია ვერ იარსებებს, თუ ადამიანებს არ მიეცათ საშუალება თავისუფლად გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები საჯარო ინსტიტუტებზე. მოსამართლეები, როგორც მნიშვნელოვანი ფიგურები საზოგადოებაში, წარმოადგენენ კრიტიკის ობიექტებს, რომელიც ყოველთვის არ იქნება სასიამოვნო მოსასმენი. ზოგიერთი შენიშვნა შეიძლება საფუძვლიანი აღმოჩნდეს, ზოგიც არაფრის მომცემი, მაგრამ მოსამართლეები არ არიან ნაზი ყვავილები, რომ დაჭკნენ მწვავე და ცხარე კრიტიკისგან"[6].

---

[5] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე – განაცხადი 73797/01, 2005 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება.

[6] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეში Skalka v. Poland, განაცხადი 43425/98; 2003 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში Kyprianou v. Cyprus (განაცხადი 73797/01, 2005 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება) დაადგინა, რომ „ადვოკატებს უფლება აქვთ გააკეთონ საჯარო განცხადებები სასამართლო ხელისუფლების შესახებ, მაგრამ მათი კრიტიკა არ უნდა გასცდეს განსაზღვრულ ფარგლებს. ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება არ არის შეუზღუდავი და განსაზღვრული ინტერესები, როგორიცაა სასამართლო ხელისუფლების პატივისცემა, ამართლებს ამ ტიპის შეზღუდვებს. თუმცა დაცული უნდა იქნეს სათანადო ბალანსი უფლების შეზღუდვასა და დაცულ ინტერესს შორის. ადვოკატზე დაკისრებული სანქცია უნდა იყოს შეზღუდვის პროპორციული, რადგან ადვოკატის მიმართ განხორციელებულ ზემოქმედების ღონისძიებებს შესაძლოა მომავალში ჰქონდეს „შემზღუდველი ეფექტი“ ადვოკატების მიერ თავიანთი მოვალეობის განხორციელებისას“[7].

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (საქმე 1/3/421,422; 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება) იმსჯელა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლების თაობაზე და დაადგინა: „გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შედარებით ფართო დისკრეცია სახელმწიფოს შეიძლება მიენიჭოს მაშინ, როდესაც შეზღუდვას დაქვემდებარებული გამოხატვა უხამსი შინაარსისაა. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას დასაშვებია მაშინაც, თუ გამოხატვა ეწინააღმდეგება დამკვიდრებულ მორალურ ნორმებს“[8].

## 10.3. სასამართლოსადმი უპატივცემულობა და მოქმედი წესების დარღვევა

ეთიკის კომისიამ 2011 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებით 010/10, დაადგინა, რომ ადვოკატმა უგულებელყო და პატივი არ სცა სასამართლოში მოქმედი ქცევის წესებს, რითაც მის მიერ დარღვეულ იქნა ადვოკატთა ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი, ასევე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

ადვოკატის განმარტებით, მისი მოქმედება განპირობებული იყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მოთხოვნებით, აღნიშნული მუხლი ეხება ადვოკატის დაცვის გარანტიებს, რომლის საფუძველზეც „ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებებისათვის, რომელიც მან ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე“.

---

[7] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეში Kyprianou v. Cyprus, განაცხადი 73797/01; 2005 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება.

[8] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე 1/3/421,422; 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება.

საქმე ეხებოდა სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას ადვოკატის მოთხოვნას, მოსამართლის ქმედებათა გამო პრეტენზია დაფიქსირებულიყო სასამართლოს სხდომის ოქმში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 437-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე. სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას მოსამართლე ადვოკატს აძლევდა შენიშვნებს, ეს უკანასკნელი კი არ ემორჩილებოდა მის მითითებებს, ადვოკატი მანდატურის დახმარებით იქნა გაძევებული სხდომის დარბაზიდან. სასამართლო დარბაზიდან გაძევების შემდეგ, ადვოკატმა არ გაასაჩივრა სასამართლო სხდომის ოქმი. ადვოკატის განმარტებით, სასამართლოზე მისი შენიშვნები მიზნად ისახავდა უშუალოდ დაცვის ქვეშ მყოფი პირის ინტერესების დაცვას.

მოცემულ სადავო გარემოებასთან დაკავშირებით ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ „ობიექტურად ადვოკატის მიერ გამოთქმულ შენიშვნებს და მოსამართლის მითითებებისადმი დაუმორჩილებლობას, შესაძლოა გამოეწვია პროცესის მიმდინარეობისადმი სირთულის შექმნა, თუმცა, ადვოკატის მიერ კონკრეტულ საპროცესო ნორმაზე დაყრდნობისა და ადვოკატის მიერ გამოთქმული შენიშვნების შინაარსის გათვალისწინებით, მიიჩნია, რომ ადვოკატი სუბიექტურად მოქმედებდა იმ რწმენით, რომ იცავდა დაცვის ქვეშ მყოფი პირის ინტერესებს“.

კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ დაირღვა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, „ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და სხვა პროცესის მონაწილე პირთა უფლებები“. ასევე, ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც ადვოკატს ავალებს „დაიცვას და პატივი სცეს სასამართლოში მოქმედ ქცევის წესებს“[9].

მოცემულ საქმეზე კოლეგიამ იმსჯელა, ერთი მხრივ, ადვოკატის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ სასამართლო დარბაზში და, მეორე მხრივ, სასამართლო ხელისუფლებისა და მართლმსაჯულების ინტერესების დაცვის თაობაზე. ეთიკის კომისიამ იმსჯელა ასევე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის თაობაზე, რომელიც შეეხება ადვოკატის დაცვის გარანტიებს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე გაკეთებულ განცხადებებზე, კერძოდ: „ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებებისათვის, რომელიც მან ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე“.

ეთიკის კომისიამ მიიჩნია: „...მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა არ დაიცვა სასამართლო დარბაზში წესრიგი და არ დაემორჩილა მოსამართლის მითითებებს. ადვოკატის მსგავსი ქმედებები მაშინაც კი არ არის გამართლებული, როდესაც იგი ადვოკატისათვის მინიჭებული საპროცესო უფლების განხორციელებას ისახავს მიზნად. კანონით მინიჭებული საპროცესო უფლების განხორციელება არ წარმოადგენს ადვოკატის მიერ სასამართლო დარბაზში მოსამართლის მითითებისადმი დაუმორჩილებლობის გამართლების საფუძველს. ადვოკატი ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დაემორჩილოს სასამართლოს გადაწყვეტილებას მის მიერ წარდგენილი შუ-

---

[9] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 010/10, 22 ივლისი, 2010 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/22.07.2010.pdf.

ამდგომლობის თაობაზე და თუ გადაწყვეტილება უკანონოდ მიაჩნია, გამოიყენოს კანონით დადგენილი საპროცესო საშუალებები (გადაწყვეტილების გასაჩივრების, მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაყენების და სხვა კანონიერი მექანიზმი). კომისიამ მიიჩნია, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლი ექვემდებარება ამავე კანონის მე-6 მუხლით განსაზღვრულ შეზღუდვას, რადგან ეს მუხლი განსაზღვრავს ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების დაცვის აუცილებლობას და ადგენს, რომ „ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით“. კომისიის აზრით, კლიენტის ინტერესებში ობიექტურად შედის საქმის მიუკერძოებლად და სამართლიანად გადაწყვეტა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საპროცესო წესების დაცვით.

კლიენტის ინტერესების დაცვა ადვოკატმა უნდა განახორციელოს კანონით დადგენილი წესების შესაბამისად და ამ მიზნით სასამართლო დარბაზში არ დაარღვიოს წესრიგი. სასამართლო დარბაზში წესრიგის დარღვევა და სასამართლოს მითითებებისადმი დაუმორჩილებლობა არ შეიძლება გამართლებული იქნეს კლიენტის ინტერესების დაცვით. თუნდაც ადვოკატი დარწმუნებული იყოს, რომ მისი ქმედება შესაბამისობაშია საპროცესო კანონმდებლობასთან. განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევა და მისი ქმედებები არ შეიძლება გამართლებული იქნეს კლიენტის ინტერესების დაცვიდან გამომდინარე. თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ ადვოკატის სუბიექტური განცდა, რომ ის პროცესზე მოქმედებდა კლიენტის ინტერესების დასაცავად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, როგორც შემამსუბუქებელი გარემოება“[10].

გადაწყვეტილების გამოტანისას, ეთიკის კომისია დაეყრდნო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, კერძოდ, მოცემულ საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს: Kyprianou v. Cyprus; Brandstetter v. Austria; Claudel v. Austria; X v. The United Kingdom; X v. Switzerland.

მოცემულ საქმეზე ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კლიენტი და წარმოადგინოს მისი კანონიერი ინტერესები, მხოლოდ მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. კლიენტის ინტერესი არ არის აბსოლუტური და ის არ გულისხმობს მისი დაცვისას კანონის მოთხოვნათა უგულებელყოფას და იგნორირებას, ასევე პროცესის მონაწილე სხვა სუბიექტთა უფლებების შეზღუდვის ხარჯზე ადვოკატის მიერ.

მართალია, ადვოკატმა ყველა ღონე უნდა იხმაროს კლიენტის ინტერესების დასაცავად სასამართლოში, მაგრამ ეს მოქმედებები სასამართლოში დადგენილი ქცევის წესებით და პროცესუალური კანონმდებლობით არის განსაზღვრული, რისი დაცვის ვალდებულება ასევე ეკისრება ადვოკატს[11].

[10] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 010/10, 22 ივლისი, 2010 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/22.07.2010.pdf.

[11] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება: Kyprianou v. Cyprus; Brandstetter v. Austria; Claudel v. Austria; X v. The United Kingdom; X v. Switzerland.

## 10. 4. გამოხატვის თავისუფლება თუ სასამართლოს შეურაცხყოფა

საქმის წარმოებას საფუძვლად დაედო ადვოკატის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში ადვოკატის მიერ წერილობით წარდგენილი რამდენიმე განცხადება, სადაც გამოყენებული იყო შემდეგი გამონათქვამები: „გთხოვთ ჩამაბაროთ გადაწყვეტილება, რომელიც ემყარება ბოდვით და ავადმყოფურ მოსაზრებებს“, „თქვენ პრობლემები გაქვთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, რასაც სასამართლო სხდომაზე ავლენთ ნერვული გამოხტომებით“, „თქვენ ბრძანდებით აგრესიული და თავშეუკავებელი, რომელიც თავს ვერ აკონტროლებს და იმის გამო, რომ საფრთხეს ვგრძნობ თქვენგან, სასამართლო სხდომაზე გამოცხადებას არ ვიკადრებ“, „გაკვირვებული ვარ თქვენი უცნაური და ავადმყოფური ტონით ჩემდამი, რაც აშკარა უპატივცემულობაა“, „ჩემი ღრმა რწმენით, გადაწყვეტილება ეფუძნება ალოგიკურ, ავადმყოფურ და ბოდვით მოსაზრებებს, რაც დაკვეთით არის მიღებული“[12].

ადვოკატმა დაადასტურა, რომ მას ეკუთვნოდა ხსენებული განცხადებები, ამასთან განმარტა, რომ მათში გამოხატული მოსაზრებები იყო მისი სუბიექტური შეხედულება, რომელიც ემსახურებოდა მხოლოდ იმას, რომ კონკრეტულმა მოსამართლემ გაიგოს, ადვოკატის, როგორც საზოგადოების ერთი წევრის აზრი სასამართლოზე. განცხადებებში დაფიქსირებული მოსაზრება „არანაირ შემხებლობაში არ იყო მის კლიენტთან და ემსახურებოდა ადვოკატის ღირსებას და პროფესიის დაცვას“[13].

მოგვიანებით ადვოკატმა შეცვალა თავისი პოზიცია და განმარტა, რომ სასამართლოს მიმართ მის მიერ დაფიქსირებული მოსაზრებები, სიტყვის, აზრის და გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში იყო მოქცეული და ემსახურებოდა კლიენტის ინტერესების დაცვას სასამართლოში, და შეთანხმებული იყო მასთან. მისი მოსაზრებით, წარდგენილი განცხადება „არის კლასიკური ნიმუში აზრის გამოხატვის თავისუფლებისა“, ამავე დროს, ადვოკატის მიერ გაკეთებული განცხადების საფუძველი იყო მოსამართლის მიერ ადვოკატის შეურაცხყოფა.

კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ დაირღვა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტები, ამავე კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი. სასამართლოსადმი წარდგენილ განცხადებებში ადვოკატის მიერ აშკარა უპატივცემულობა არის გამოხატული, კერძოდ: მათში გამოთქმულია აშკარად შეურაცხმყოფელი და არაეთიკური შეფასებები, ასევე, მიუღებელი ფორმით არის მოთხოვნილი სასამართლო გადაწყვეტილებები. ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატის პოზიციის ამგვარი სახით დაფიქსირება ეწინააღმდეგება პროფესიული ეთიკის კოდექსს, კერძოდ, ადვოკატის ვალდებულებას, შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას. კომისიამ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ სასამართლოს მიმართ გამოთქმული მოსაზრებები არ იყო კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობიდან გამომდი-

---

12 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 043/10, 03 ნოემბერი, 2010 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/03.11.2010.pdf.

13 იქვე.

ნარე ქმედება და არ წარმოადგენდა კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, განხორციელებულ დაცვის პროცესუალურ საშუალებას.

კომისიამ განმარტა: სასამართლო პროცესზე ადვოკატის გამოუცხადებლობა საკუთარი, პირადი შეხედულებებისა და მოსაზრების გამო მოსამართლეთა მიმართ, წარმოადგენს დაცვის უფლების განუხორციელებლობას და მასზე უარის თქმას. მხარეს და მხარესთან შეთანხმებით, მის წარმომადგენელს უფლება აქვს სასამართლო განხილვაში მონაწილეობა მიიღოს იმ ფარგლებში, რაც მას მიზანშეწონილად მიაჩნია, მაგრამ ამ უფლების რეალიზება ადვოკატს შეუძლია განახორციელოს სასამართლოს მიმართ შეურაცხმყოფელი განცხადებების გარეშე, ადვოკატს უფლება აქვს და მოცემულ შემთხვევაში შეეძლო მოეპოვებინა პროცესუალური დოკუმენტები განცხადებაში მოყვანილი არაეთიკური გამონათქვამების გარეშეც [14].

ეთიკის კომისიამ გადაწყვეტილებაში აღნიშნა: „ადვოკატის მიერ დაირღვა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლი... სიტყვის თავისუფლება არ არის უსაზმნო და აბსოლუტური", კომისიამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ადვოკატის განცხადებები უკავშირდებოდა არა მხოლოდ საზოგადოების ერთი წევრის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, არამედ ადვოკატის, როგორც კონკრეტული პროფესიის წარმომადგენლის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, სუბიექტურ შეხედულებას, რაც არ გამომდინარეობდა კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპიდან და გაჯერებული იყო სასამართლოსადმი არაეთიკური და მიუღებელი გამონათქვამებით, ვითარების შეუსაბამო და არაადეკვატური ფორმით გამოხატული მოსაზრებებით. კომისიამ შესაძლებლად მიიჩნია, რომ „ადვოკატს მოეთხოვოს სასამართლოსთან ურთიერთობის უფრო მაღალი და დახვეწილი სტანდარტი, მით უფრო იმ ვითარებაში, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილებისა და მოსამართლის ქმედებისადმი პროტესტის გამოხატვა შესაძლებელია კანონით დადგენილი წესით – ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში გასაჩივრებით, მოსამართლის წინააღმდეგ დისციპლინური საკითხის განხილვის ინიცირებით, მკაცრი და დაუნდობელი კრიტიკით, თუმცა, არა არაადეკვატური, პროფესიული სტანდარტის უგულებელმყოფელი გამონათქვამებით".

ამავე გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ „თუ მოსამართლის მხრიდან სახეზე იყო პროცესუალური პაექრობის ფარგლების გაცდენა და ადვოკატის არაეთიკური შეფასება, ადვოკატს შეეძლო მოსამართლის შესაძლო არაეთიკურ ქცევასთან დაკავშირებით მიემართა შესაბამისი სადისციპლინო ორგანოსათვის, კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმების გამოყენებით... ადვოკატის განცხადებებს არავითარი კავშირი ჰქონდა მისი კლიენტის ინტერესებთან და ამ შინაარსის განცხადებების მიზანი იყო მისი, როგორც საზოგადოების ერთი

[14] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 043/10, 03 ნოემბერი, 2010 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/03.11.2010.pdf.

წევრის პირადი მოსაზრებებისა და შეხედულებების დაფიქსირება კონკრეტული მოსამართლისადმი“[15].

ეთიკის კომისია გადაწყვეტილებაში უთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, კერძოდ, მსგავს საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს: Kyprianou v. Cyprus; Nikulina v. Finland; Muller v. Switzerland; R.S. and Z. v. Switzerland.

„მხარეს და მხარესთან შეთანხმებით მის წარმომადგენელს უფლება აქვს სასამართლო განხილვაში მონაწილეობა მიიღოს იმ ფარგლებში, რაც მას მიზანშეწონილად მიაჩნია, მაგრამ ამ უფლების რეალიზება ადვოკატს შეუძლია განახორციელოს სასამართლოს მიმართ შეურაცხმყოფელი განცხადებების გარეშე, ადვოკატს უფლება აქვს და მოცემულ შემთხვევაში შეეძლო მოეპოვებინა პროცესუალური დოკუმენტები განცხადებაში მოყვანილი არაეთიკური გამონათქვამების გარეშეც. როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილებისა და მოსამართლის ქმედებისადმი პროტესტის გამოხატვა შესაძლებელია კანონით დადგენილი წესით – ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში გასაჩივრებით, მოსამართლის წინააღმდეგ დისციპლინური საკითხის განხილვის ინიცირებით, მკაცრი და დაუნდობელი კრიტიკით, თუმცა, არა არაადეკვატური, პროფესიული სტანდარტის უგულებელმყოფელი გამონათქვამებით“[16].

მოცემულ შემთხვევაში ეთიკის კომისიამ ადვოკატის ქმედება შეაფასა არაეთიკურად რამდენიმე თვალსაზრისით და განმარტა, რომ ადვოკატის ურთიერთობა სასამართლოსთან რეგულირდება პროცესუალური კანონმდებლობით, „ადვოკატთა შესახებ“ კანონითა და ეთიკის კოდექსით, რომლის თანახმად, ადვოკატს უფლება აქვს გაასაჩივროს სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება კანონით დადგენილი წესით და საქმის წარმოებისას, მათ შორის, სასამართლოს მიმართ პროტესტის გამოხატვისას, მიუხედავად იმისა, აკმაყოფილებს თუ არა მას მოსამართლის შეფასება და დამოკიდებულება მის მიმართ და საქმეზე მიღებული კონკრეტული შედეგი, საქმის წარმოებისას ვალდებულია გამოიყენოს მხოლოდ კანონით დადგენილი პროცესუალური საშუალებები. ნებისმიერ შემთხვევაში ადვოკატის მიერ შერჩეული მიმართვის ფორმა სასამართლოსადმი (მოსამართლისადმი) ამ დროს უნდა იყოს ეთიკური და მისი გამოხატვის ფორმა არ უნდა იყოს შეურაცხმყოფელი.

„ეთიკის კომისიის განმარტებით, სიტყვის, აზრის, გამოხატვის თავისუფლება არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც პირის აბსოლუტური უფლება და აღნიშნული უფლება არ აძლევს პირს საშუალებას უგულებელყოს სხვა პირთა პატივი და ღირსება. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს მიმართ ადვოკატს აქვს პროცესუალური კრიტიკის განხორციელების უფლება, ეს კრიტიკა უნდა იყოს ზომიერი და არა შეურაცხმყოფელი.

---

[15] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 043/10, 03 ნოემბერი, 2010 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/03.11.2010.pdf.

[16] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები: Kyprianou v. Cyprus; Nikulina v. Finland; Muller v. Switzerland; R.S. and Z. v. Switzerland.

ადვოკატი სასამართლოში ყოფნისას ვალდებულია დაემორჩილოს სასამართლოში დადგენილ ქცევის წესებს და მოქმედება დაუქვემდებაროს კანონის და ეთიკის ნორმებს. ადვოკატმა კანონით განსაზღვრული ფუნქციის შესრულებისას არ უნდა გამოხატოს უპატივცემულობა მოსამართლის მიმართ. ადვოკატის მიერ შეურაცხმყოფელი ფორმით განხორციელებული პროცესუალური მოქმედება სასამართლოს (მოსამართლის) მიმართ, ასევე არ უნდა იქნას გამართლებული და შეფასებული, როგორც კლიენტის ინტერესი, რადგან კანონით და ეთიკის ნორმებით ადვოკატის ვალდებულებაა დაიცვას კლიენტის კანონიერი ინტერესი, რაც არ შეიძლება იყოს პროცესის მონაწილე სხვა პირთა შეურაცხყოფა. კლიენტის ინტერესის დაცვა არ გულისხმობს არაკანონიერი მექანიზმის გამოყენებას, შესაძლოა კლიენტმა არ იცოდეს საქმის სასამართლოში წარმართვის პროცედურა და მისი მოთხოვნები არ შეესატყვისებოდეს კანონის მოთხოვნებს, ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს მას დავის პროცესუალური, კანონისმიერი გადაწყვეტის გზები. საქმის წარმოებისას, ადვოკატი ვალდებულია შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება და პატივი სცეს სასამართლოში მოქმედ ქცევის წესებს და საკუთარი შეხედულებებისა და მოსაზრებების გამო, უარი არ უნდა თქვას პროცესში მონაწილეობაზე – პროცესუალური ფუნქციის განხორციელებაზე. აღნიშნული წარმოადგენს კლიენტის ინტერესების უგულებელყოფას და დაცვის უფლების განხორციელებაზე უარის თქმას. სასამართლოს და მოსამართლის შეურაცხყოფა არ წარმოადგენს კანონით დადგენილი წესით დაცვის განხორციელების პროცესუალურ საშუალებას“[17].

ერთ-ერთმა ადვოკატმა წერილობითი რეკომენდაცია სთხოვა ეთიკის კომისიას შემდეგ საკითხზე: „იმ შემთხვევაში, თუ პროცესის მიმდინარეობისას ადვოკატი ხედავს, რომ მოსამართლე აშკარად ცდილობს მოწმის შეცდომაში შეყვანას (მაგ.: მოსამართლე მიმართავს მოწმეს, რომ მის მიერ მიცემული ჩვენება ეწინააღმდეგება ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ჩვენებას, მაშინ როდესაც წინააღმდეგობა სახეზე არ არის), შეუძლია თუ არა ადვოკატს მიმართოს მოსამართლეს შემდეგი სიტყვებით: „პატივცემულო მოსამართლევ, თქვენ შეცდომაში შეგყავთ მოწმე“. ასეთი გამონათქვამი ჩაითვლება თუ არა ეთიკურად?“[18]

ეთიკის კომისიამ რეკომენდაციაში განმარტა: „ფრაზა: „პატივცემულო მოსამართლევ, თქვენ შეცდომაში შეგყავთ მოწმე“. შეკითხვა ეხება აღნიშნული განცხადების შესაბამისობას ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსთან. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-4 ნაწილი ადგენს ადვოკატის დაცვის გარანტიებს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, კერძოდ: „ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებისათვის, რომელიც მან ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე“. აღნიშნული ნორმა კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპიდან გამომდინარეობს, ვინაიდან

[17] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 043/10, 03 ნოემბერი, 2010 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/03.11.2010.pdf.

[18] ეთიკის კომისიის წერილობითი რეკომენდაცია 010/13, 26 ივნისი, 2013 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/rekomendaciebi/cerilobiti/26.06.2013_010.13.pdf.

„ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენის ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა“. (აპეკ-ი – მუხლი 5) გამოხატვის თავისუფლებას ყოველთვის აქვს გამოყენების ლეგიტიმური მიზანი. მოცემულ შემთხვევაში, არ ჩანს, რომ ადვოკატის გამოხატვის მიზანი იყო საქმის განმხილველი მოსამართლის დისკრედიტაცია“. რეკომენდაციაში მითითებულია, რომ ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება ემსახურება სამართალწარმოებაში კონკრეტული ადვოკატის აზრით არსებულ შესაძლო ხარვეზზე აქცენტის გაკეთებას („პატივცემულო მოსამართლევ, თქვენ შეცდომაში შეგყავთ მოწმე“) და კლიენტის ინტერესების დაცვას. აღნიშნულ შემთხვევაში, ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა ზიანს მიაყენებს მის ინტერესს, თავისუფლად მიიღოს მონაწილეობა სამართალწარმოების პროცესში და შეაფასოს იგი, რასაც ექნება „შემზღუდველი ეფექტი“. ადვოკატს შეუძლია გააკრიტიკოს მოსამართლე ისე, რომ არ გასცდეს პროფესიულ საკითხებზე კრიტიკის ფარგლებს, „ამ შემთხვევაში, კლიენტის ინტერესების უპირატესობიდან გამომდინარე, ადვოკატს უფლება აქვს მიმართოს მოსამართლეს და მიუთითოს იმის შესახებ, რომ ის არასწორად (არაზუსტად) წარმოადგენს ან ციტირებს ისეთ ფაქტებზე და გარემოებებზე, რაც არ ფიქსირდება სხვა საქმეში. ადვოკატს ასევე უფლება აქვს მიუთითოს მოსამართლეს მიკერძოების ან შეჯიბრობითობისა და თანასწორობის პრინციპის დარღვევის შესახებ, კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით, როგორც სხდომაზე, ასევე წერილობით საჩივარში, მისი კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე“[19]. რეკომენდაციაში მითითებულია, რომ ადვოკატის ფრაზა არ არის შეურაცხმყოფელი ხასიათის და მიზნად არ ისახავს მოსამართლის ღირსების შელახვას, შესაბამისად, დაცულია გამოხატვის თავისუფლება და აღნიშნული არ სცილდება კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე განცხადებების გაკეთების უფლებამოსილების საზღვრებს.

## 10.5. სასამართლოსადმი გამოთქმული კრიტიკის დასაშვები ფარგლები

ადვოკატის მიერ მოსამართლის მიმართ წარდგენილ შუამდგომლობაში გამოყენებული იყო შემდეგი სახის მიმართვები: „თქვენ არღვევთ ადამიანის უფლებების ფიცს და სასამართლო გგონიათ სავაჭრო დაწესებულება“, „არ გაითვალისწინეთ მხარის მატერიალური მდგომარეობა და ყველა თქვენსავით მდიდარი გგონიათ“ და ა.შ.

ადვოკატის განმარტებით, მის მიერ წარდგენილი შუამდგომლობის მიზანი არ იყო სასამართლო ხელისუფლებისა და კონკრეტული მოსამართლის შეურაცხყოფა. ადვოკატის განმარტებით, მის მიერ მოსამართლის კრიტიკა გამომდინარეობდა მისი მარწმუნებლის ინტერესებიდან, რადგან მოსამართლის მიერ გამოტანილი განჩინება მისი კლიენტისათვის ფინანსურად ძალიან მძიმე იყო. ადვოკატი აღნიშნავს, რომ მის კლიენტს არ ჰქონდა ჯარიმის გადახდის ან განჩინების გასაჩივრების ფინანსური შესაძლებლობა, ხოლო სასამართლოსადმი მიმართვის

---

[19] ეთიკის კომისიის წერილობითი რეკომენდაცია 010/13, 26 ივნისი, 2013 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/rekomendaciebi/cerilobiti/26.06.2013_010.13.pdf.

უფლების ხელმისაწვდომობის პრინციპიდან გამომდინარე, აღნიშნული არ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ფინანსურ სირთულეებთან.

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით: „ადვოკატის შუამდგომლობაში მოცემული მიმართვები ხვდება ადვოკატის გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში და არ წარმოადგენს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის შესაძლო დარღვევას, რომლის თანახმად ადვოკატმა პატივი უნდა სცეს სასამართლოში მოქმედ ქცევის წესებს... ადვოკატები სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით. მათ უფლება აქვთ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და შეხედულებები მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის თაობაზე იმ „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების“ გათვალისწინებით, რომელსაც მათი პროფესია აკისრებთ[20].

კომისიამ განმარტა: „მოცემულ შემთხვევაში, შუამდგომლობის მიხედვით, ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება ემსახურებოდა სამართალწარმოებაში კონკრეტული ადვოკატის აზრით არსებულ პრობლემებზე აქცენტის გაკეთებას და კლიენტის ინტერესების დაცვას. აღნიშნულ შემთხვევაში, ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა ზიანს მიაყენებს ადვოკატის ინტერესს, თავისუფლად მიიღოს მონაწილეობა სამართალწარმოების პროცესში და გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები სამართალწარმოების შესაძლო ხარვეზების თაობაზე, რასაც შესაბამისად ექნება „შემზღუდველი ეფექტი“. მიუხედავად იმისა, რომ შუამდგომლობაში მოცემული იყო მწვავე და კრიტიკული განცხადებები, რომელიც შესაძლოა არ არის მოსაწონი და მისაღები სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის, ის არ არის შეურაცხმყოფელი ხასიათის და მიზნად არ ისახავს მოსამართლის ღირსების შელახვას, ადვოკატის მიერ შუამდგომლობაში გაკეთებული განცხადებები სარგებლობდა სამართლებრივი დაცვით, გამოხატვის თავისუფლებიდან გამომდინარე“[21].

ეთიკის კომისიამ მიუთითა: „სასამართლო სისტემა წარმოადგენს ხელისუფლების ერთ-ერთ რგოლს, რომელიც თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე ექცევა საჯარო ინტერესების სფეროში და რომელსაც მისი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი დატვირთვის გამო, განსაკუთრებული თმენის ვალდებულება გააჩნია საზოგადოების წევრებისა და, მათ შორის, ადვოკატების მიერ გამოთქმული მოსაზრებების მიმართ. საზოგადოებრივი აზრის შეზღუდვისათვის უნდა არსებობდეს მნიშვნელოვანი და არსებითი საფუძველი, რაც არ შეიძლება იყოს ცალკეული მოსამართლის გრძნობების შეურაცხყოფა. სასამართლო შეზღუდვას საფუძვლად შეიძლება დაედოს სასამართლო სისტემის დისკრედიტაცია განზრახ არასწორი ცნობების გამოქვეყნებით“[22].

---

[20] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 076/10, 29 ოქტომბერი, 2010 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/saproceso_kolegia/29.10.2010.pdf

[21] იქვე.

[22] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 2317/12/06, 03 დეკემბერი, 2006 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/03.12.2006.pdf

## 10.6. სასამართლო შენობის გარეთ ადვოკატის ქცევა

„...ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით შეუძლებელია დადგენილი იყოს ადვოკატის ყოველი კონკრეტული ქცევის წესი, შესაბამისად, კოლეგიამ გაითვალისწინა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-11 მუხლის მე-3 ნაწილი და გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელა შინაგანი რწმენით, ზნეობრივი და მორალური პრინციპებისა და წეს-ჩვეულებების გათვალისწინებით. შესაბამისად, კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ პროცესის მონაწილისათვის შეურაცხყოფის მიყენება არ შეესაბამება საზოგადოებაში დამკვიდრებულ ზნეობრივ ნორმებს და არღვევს ადვოკატის პროფესიული ეთიკის სტანდარტებს. კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის ამგვარი ქმედება ეწინააღმდეგება ადვოკატის ვალდებულებას ნებისმიერ სიტუაციაში შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, მოთმინება და არ უპასუხოს მისი მისამართით გაკეთებულ პროვოკაციულ შეფასებებს და პატივი სცეს თავის საქმიანობას“[23].

მოცემულ შემთხვევაში ეთიკის კომისიამ განსაზღვრა, რომ ადვოკატს ვალდებულება, დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები, ეკისრება როგორც სასამართლო შენობაში, ასევე მის გარეთაც, ის პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას და გარკვეული ქმედებების შეფასებისას, ვალდებულია პატივი სცეს მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელს და ღირსეულად დაიცვას კანონი და პროფესიული ეთიკის ნორმები[24].

## 10.7. *EX PARTE* – კომუნიკაციის სტანდარტი

აპეკ-ის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილით, „ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს ან შეხვდეს მოსამართლეს კონკრეტულ საქმეზე, მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან შეთანხმების გარეშე, გარდა საპროცესო კანონმდებლობით ნებადართული შემთხვევებისა“[25]. აღნიშნული მოთხოვნა გამომდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპიდან და მიზნად ისახავს სასამართლოზე უკანონო ზეწოლის განხორციელების აკრძალვას, მხარეთა არათანაბარ პირობებში ჩაყენების დაუშვებლობას და გარკვეული უპირატესობის მოპოვების აკრძალვას. მოსამართლესთან კომუნიკაციის წესს არეგულირებს კანონი.

აღნიშნული აკრძალვის მიზანია, ეჭვქვეშ არ დადგეს სასამართლოს მიუკერძოებლობა, რაც თავის მხრივ ეჭვქვეშ დააყენებს შეჯიბრებითობის პრინციპზე აგებულ მართლმსაჯულების სისტემის სანდოობას. მოცემულ შემთხვევაში, თუ არ იქნება დაცული აღნიშნული აკრძალვა, ადვოკატს შეეძლება საქმესთან დაკავშირებით ესაუბროს სასამართლოს მეორე მხარის დასწრებისა და მისი საპირისპირო შეხედულებების გამოთქმის გარეშე. აღნიშნული კი არღვევს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის არსს. ასეთი ტიპის შეხვედრები იძლევა

---

[23] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 075/11, 24 იანვარი, 2011 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/24.01.2011_075_11.pdf

[24] იქვე.

[25] აპეკ-ი, მუხლი 9, პუნქტი 2.

მოსამართლის მხრიდან კონკრეტული მხარის სასარგებლოდ, მიკერძოების შესაძლებლობას და ეჭვქვეშ აყენებს სასამართლოს სანდოობას.

საუბარია არა მარტო საქმიან შეხვედრებზე, არამედ მეგობრულ და არასაქმიან გარემოში შეხვედრებზე, რომლის დროსაც ადვოკატმა თავი უნდა შეიკავოს მოსამართლესთან კონკრეტული საქმის განხილვისა და მასზე საუბრისგან.

აღნიშნული პრინციპის უგულებელყოფამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის ობიექტურობას და საქმის რეალურ შედეგს.

## 10.8. სასამართლოსათვის ყალბი მტკიცებულებების წარდგენის აკრძალვა

აპეკ-ის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „ადვოკატმა არ უნდა მიაწოდოს სასამართლოს წინასწარი შეცნობით ყალბი მტკიცებულება“.

არ მისცე საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენება, ეს მხარის კონსტიტუციური უფლებაა, მაგრამ აღნიშნული პრინციპი არ აძლევს მხარეს უფლებას, ტყუილი თქვას სასამართლოს წინაშე. პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, ადვოკატი თავისუფალია და ემორჩილება მხოლოდ კანონს და პროფესიული ეთიკის ნორმებს, პროფესიული დამოუკიდებლობის პრინციპი კი აძლევს ადვოკატს უფლებას, არ მიიღოს მონაწილეობა კლიენტის უკანონო ქმედებებში და, კლიენტის ინტერესების დაცვის მიზეზით, არ დაარღვიოს სასამართლოში მოქმედი წესები, წინასწარ შეცნობით არ მიაწოდოს სასამართლოს ყალბი მტკიცებულება, არ მიიღოს მონაწილეობა ასეთი ტიპის მტკიცებულების შექმნაში. აღნიშნული წესის დაუცველობა ეწინააღმდეგება მართლმსაჯულების ინტერესებს და არ ემსახურება კლიენტის კანონიერი ინტერესების რეალიზებას, ამ შემთხვევაში ადვოკატი წარმოადგენს დამრღვევ მხარეს, რომელიც კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებით  ცდილობს დააკმაყოფილოს კლიენტის არაკანონიერი ინტერესები.

ამერიკის იურისტთა ასოციაციის მოდელური წესების მიხედვით, „ადვოკატს არათუ ეკრძალება ყალბი მტკიცებულების წარდგენა, არამედ ასევე ევალება, არ დააყოვნოს იმ არსებითი ასპექტისა და ფაქტების შესახებ ყალბი განცხადების გასწორება, რომელიც სასამართლოს ადვოკატმა მანამდე მისცა, გარდა ამისა, ადვოკატს ეკრძალება პირადი აზრის გამოთქმა საქმესთან დაკავშირებული ფაქტების შესახებ, მათ ასევე ეკრძალებათ ზედაპირული განცხადებების გაკეთება. ეს აკრძალვა თანაბრად ვრცელდება პროცესის მონაწილე ორივე მხარეზე, რომლის დარღვევა საადვოკატო საქმიანობის აკრძალვის საფუძველს წარმოადგენს“[26].

[26] იურიდიულ პროფესიათა ეთიკის საკითხები, ამერიკის იურისტთა ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატივა, 2009 წელი.

ეთიკის კომისიას ადვოკატმა ზეპირი რეკომენდაცია[27] სთხოვა შემდეგ საკითხზე: „იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი სასამართლოს წარუდგენს ყალბ მტკიცებულებებს და მისთვის ცნობილია ამ მტკიცებულებების სიყალბის შესახებ, არღვევს თუ არა იგი კანონისა და ეთიკის ნორმებს?“

ეთიკის კომისიის რეკომენდაციის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ადვოკატმა სასამართლოს მიაწოდა წინასწარი შეცნობით ყალბი მტკიცებულება, მის ქმედებაში შესაძლოა დადგინდეს კანონიერების პრინციპის დარღვევა.

## 10.9. კომუნიკაციის სტანდარტი სასამართლო პროცესის სხვა მონაწილეებთან

ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები, ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას[28].

აპეკ-ის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული სასამართლო კომუნიკაციის სტანდარტი თანაბრად ეხება პროფესიული საქმიანობის განხორციელების ყველა ასპექტს.

ისევე, როგორც აპეკის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ორგანოები, ეთიკის კომისია წარმოადგენს კვაზისასამართლოს ფუნქციის მატარებელ ორგანოს და ამ თავით განხილული ყველა პრინციპის დაცვა ადვოკატს თანაბრად ევალება დისციპლინურ სამართალწარმოებაში მონაწილეობისას.

---

[27] ეთიკის კომისიის ზეპირი რეკომენდაცია 015/13, 23 ოქტომბერი, 2013 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/rekomendaciebi/zepiri/23.10.2013rekomendacia015.13.pdf

[28] აპეკ-ი, მუხლი 9, პუნქტი 4.

## 11. ურთიერთობა ადვოკატსა და სხვა ადვოკატს შორის

*1. ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას.*

*2. პროფესიის კორპორატიული არსი მოითხოვს ადვოკატთა შორის ნდობასა და თანამშრომლობაზე დამყარებულ ურთიერთობას მათი კლიენტების სასარგებლოდ სასამართლო პროცესების და სხვა კლიენტისთვის საზიანო ქმედებების თავიდან აცილების მიზნით. თუმცა დაუშვებელია კლიენტის ინტერესებზე წინ პროფესიის ინტერესების დაყენება.*

*3. ადვოკატმა სხვა ადვოკატისაგან ან ნებისმიერი სხვა პირისაგან არ უნდა მოითხოვოს ან მიიღოს გადასახადი, საკომისიო ან ნებისმიერი სხვა სახის კომპენსაცია კლიენტისათვის სხვა ადვოკატის რეკომენდირების ან რჩევისათვის.*

*4. ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის ადვოკატი დათანხმდება ასეთ კომუნიკაციაზე ან ობიექტურად შეუძლებელია ადვოკატთან დაკავშირება. (08.12.2012)*[1]

### 11.1. კოლეგიალობის პრინციპის არსი და მისი მნიშვნელობა

ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები.

ადვოკატის მიერ კოლეგიალობის პრინციპის დაცვის ვალდებულება გულისხმობს კოლეგებისადმი ღირსეული დამოკიდებულების შენარჩუნებას და პატივისცემას, არა მხოლოდ პროფესიული საქმიანობის განხორციელების ეტაპზე, არამედ ზოგადად, როგორც ადვოკატებს შორის ურთიერთობისას, ასევე კლიენტებთან და სხვა მესამე პირებთან პროფესიული თუ ყოფითი ურთიერთობებისას.

კოლეგიალობის მიზანია ადვოკატებს შორის ნდობის, თანამშრომლობისა და პატივისცემის დამკვიდრება, კანონის უზენაესობის, პროფესიული ღირებულებებისა და კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ. კოლეგიალობის პრინციპი ავალდებულებს ადვოკატებს, შეინარჩუნონ კეთილსინდისიერება კოლეგების მიმართ და არ დაუშვან მათ მიმართ უხეში და შეურაცხმყოფელი მოქცევა.

კოლეგებისადმი გამოხატული თავაზიანობა და პატივისცემა არის ცივილიზებული იურიდიული პროფესიის ნიშანი, რაც ხელს უწყობს მართლმსაჯულების განხორციელებას, იურიდიული პროფესიის დამოუკიდებლობას, საზოგადოებაში მაღალი ნდობის მოპოვებას და სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებას.

[1] აპეკ-ი, მუხლი 10.

კოლეგიალობის პრინციპით განსაზღვრული – ადვოკატის მიერ პროფესიული ღირებულებების დაცვა გულისხმობს მათ მიერ ეთიკის კოდექსით განსაზღვრული პირადი ღირსების, პატიოსნების, შეუვალობის, კომპეტენტურობის, კანონიერების დაცვას, ასევე, პროფესიული პრინციპების – დამოუკიდებლობის, ნდობის, კონფიდენციალობის, კლიენტის ინტერესების უპირატესობის, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპის დაცვის ვალდებულებას.

აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს ადვოკატთა კორპორატიული ერთობის და მათი საერთო კორპორატიული ინტერესებიდან, იზრუნონ ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისათვის, რაც მოიცავს ადვოკატის ვალდებულებას, შეინარჩუნოს და დაიცვას პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას.

### *11.1.1. კოლეგიალობის პრინციპის დაცვის ფარგლები*

აპეკ-ის დამტკიცებიდან (2006 წლის 15 აპრილი) კოლეგიალობის პრინციპმა გარკვეული ცვლილება განიცადა; ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებაზე 2012 წლის 08 დეკემბერს მიღებული ცვლილებებითა და დამატებებით, მე-7 მუხლიდან ამოღებულ იქნა შემდეგი სიტყვები: „პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას“, რამაც გააფართოვა აღნიშნული პრინციპის მოქმედებისა და დაცვის არეალი და ადვოკატს კოლეგიალობის პრინციპის დაცვა, საზოგადოების წინაშე დაკისრებული მაღალი ზნეობრივი პასუხისმგებლობისა და კორპორაციული ინტერესებიდან გამომდინარე, დააკისრა საზოგადოდ ყოველთვის. ადვოკატი ვალდებულია, იზრუნოს მისი პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისათვის, ამასთან, კოლეგიალობის პრინციპის დაცვის ფარგლებში მას არა აქვს უფლება უგულებელყოს აღნიშნული პრინციპის დაცვის ვალდებულება და უპატივცემულოდ მოეპყრას კოლეგას, რაც ხელს შეუშლის საზოგადოების მხრიდან ნდობის მოპოვებას და, რეალურად, უარყოფითად აისახება მთელ კორპორაციაზე – ადვოკატებისადმი საზოგადოების შეფასებაზე.

## 11.2. კლიენტის ინტერესების უპირატესობისა და კოლეგიალობის პრინციპების თანხვედრა

კოლეგიალობის პრინციპის დაცვამ არ უნდა შეიწიროს კლიენტის კანონიერი ინტერესი და მისი დაცვის ვალდებულება, რომელიც უპირატესია კოლეგიალობის პრინციპზე და პროფესიულ ინტერესზე.

რიგ შემთხვევებში, პროფესიის კორპორაციული არსი მოითხოვს ადვოკატთა შორის ნდობასა და თანამშრომლობაზე დამყარებულ ურთიერთობას, მათი კლიენტების სასარგებლოდ, სასამართლო პროცესების და სხვა კლიენტისთვის საზიანო ქმედებების თავიდან აცილების მიზნით.

კლიენტის უფლებების დაცვისა და მათი ინტერესების უპირატესად რეალიზებისათვის, ადვოკატების კოორდინირებული მოქმედება მიმართული უნდა იყოს

კლიენტის ინტერესების დაცვისაკენ. საქმის წარმოების პროცესში, კლიენტთან შეთანხმებით, შესაძლებელია ადვოკატებმა გაცვალონ გარკვეული სახის ინფორმაცია, მიაწოდონ ერთმანეთს მტკიცებულებები, საქმესთან დაკავშირებით გააკეთონ განმარტებები, რაც მიზნად ისახავს მათ შორის თანამშრომლობის დამყარებას, როგორც კოლეგიალობის პრინციპის სასარგებლოდ, აგრეთვე, კლიენტის ინტერესების სასარგებლოდაც. მოცემულ შემთხვევაში, კოლეგიალობის პრინციპი კლიენტის ინტერესებს ემსახურება, მაგრამ თუ ინფორმაციის ამგვარად გამჟღავნება ეწინააღმდეგება კლიენტის ინტერესებს, მაშინ უპირატესობა ენიჭება კლიენტის ინტერესებს, კლიენტის საქმეების კონფიდენციალურად შენახვის ვალდებულებას.

კლიენტის ინტერესების უპირატესობა კოლეგიალობის პრინციპთან შედარებით, არ გულისხმობს ერთი პრინციპის უგულებელყოფას მეორის უპირატესობის ხარჯზე, კლიენტის ინტერესების უპირატესად დაცვა არ ავალდებულებს ადვოკატს, დაარღვიოს კოლეგიალობის პრინციპი, მაშინაც კი, როდესაც კლიენტი, მისი ინტერესიდან გამომდინარე, მოითხოვს ამგვარი „დაცვის" განხორციელებას და კოლეგის მიმართ უხეშ და შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებას.

„ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს"[2], კანონის და პროფესიული ეთიკის კოდექსიდან გამომდინარე, ადვოკატი არაა ვალდებული, დაემორჩილოს კლიენტის არაკანონიერ მოთხოვნებს და მისი ინტერესების დაცვის მიზნით დაარღვიოს კანონი და პროფესიული ეთიკის კოდექსი.

ეთიკის კომისიამ განიხილა ადვოკატ „A"-ს საჩივარი კოლეგის – „B"-ს წინააღმდეგ, პრეტენზია გამოიხატა იმაში, რომ ადვოკატმა „B"-მ მხარი არ დაუჭირა ადვოკატ „A"-ს დასაცავი პირის შუამდგომლობებს ადვოკატის სასამართლოს სხდომის დარბაზში დაბრუნების, მოსამართლის აცილებისა და სასამართლო სხდომის აუდიოჩანაწერის გაკეთების თაობაზე.

ეთიკის კომისიამ განმარტა: „საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, ადვოკატმა უნდა იმოქმედოს იმგვარად, რომ პატივი სცეს სხვა ადვოკატებს და კლიენტის ინტერესების დაცვის პროცესში არ მიაყენოს შეურაცხყოფა კოლეგას. ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ქმედებების განხორციელება და გადაწყვეტილებების მიღება არ მიიჩნევა კოლეგისადმი უპატივცემულობად, თუ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადვოკატებს განსხვავებული მოსაზრებები გააჩნიათ და ადვოკატის გადაწყვეტილება მიზნად ისახავს საკუთარი კლიენტის ინტერესების დაცვას და არა კოლეგა ადვოკატის შეურაცხყოფას.

ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპიდან გამომდინარე, როდესაც კლიენტის ინტერესების წარმოდგენისას იღებს გადაწყვეტილებას სხვა ადვოკატის პოზიციის გაზიარების ან მხარდაჭე-

[2] „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 1.

რის თაობაზე. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატებს შორის ურთიერთთანამშრომლობამ ზიანი არ უნდა მიაყენოს კლიენტის ინტერესების დაცვას“[3].

განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატ „B“-ს ქმედებები და გადაწყვეტილებები მოტივირებული იყო კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და მიზნად არ ისახავდა კოლეგის შეურაცხყოფას. ადვოკატ „B“-ს მიერ ადვოკატ „A“-ს კლიენტის მიერ სასამართლოს წინაშე წარდგენილი შუამდგომლობებისათვის მხარის არდაჭერა, არ შეიძლება შეფასდეს ადვოკატ „A“-ს მიმართ უპატივცემულობის გამოხატვად, რადგან განსახილველ შემთხვევაში ადვოკატი „B“ მოქმედებდა მის მიერ შემუშავებული დაცვის სტრატეგიის შესაბამისად და არ ეთანხმებოდა კოლეგის პოზიციას ამ უკანასკნელის კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე.

ეთიკის კომისიამ განმარტა: „კლიენტის შესახებ არსებული ინფორმაციის დაცვის ვალდებულება, ყოველთვის უპირატესია ადვოკატებს შორის ურთიერთთანამშრომლობიდან გამომდინარე ვალდებულებებზე. ეს დასკვნა გამომდინარეობს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის მეორე წინადადებიდან, რომლის თანახმადაც, დაუშვებელია კლიენტის ინტერესებზე წინ პროფესიის ინტერესების დაყენება“[4].

### *11.2.1. კოლეგიალობის პრინციპი და პროფესიის კორპორაციული მიზანი*

ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ განიხილა ადვოკატთა ჯგუფის პრეტენზია კოლეგის წინააღმდეგ, სადაც ადვოკატები უთითებდნენ, რომ ადვოკატმა „N“-მ დაარღვია პროფესიული ეთიკის კოდექსი, რადგან გარიგებაში შევიდა კლიენტთან და თანხა გამოართვა იმ მიზნით, რომ მიუტანდა პროკურორს და მოსამართლეს.

ადვოკატთა განცხადებით, აღნიშნული ქმედება არის ეთიკის კოდექსის დარღვევა და სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული, ადვოკატ „N“-ის ქმედებით შელახულია მათი ღირსება, რაც დაუშვებელია და ისინი ყველა ზომას მიმართავენ, რათა არ შეილახოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ღირსება.

ადვოკატთა ჯგუფის განმარტებით, ადვოკატი „N“ დაუკავშირდა პროკურორს და მოსამართლეს და უკანონო გარიგებაში შევიდა მათთან, ვითომდა კლიენტის ინტერესებისათვის, რაც აკრძალულია აპეკ-ის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კერძოდ: „ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს ან შეხვდეს მოსამართლეს კონკრეტულ საქმეზე, მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან შეთანხმების გარეშე, გარდა საპროცესო კანონმდებლობით ნებადართული შემთხვევებისა“.

---

[3] ეთიკის კომისიის 088/12 გადაწყვეტილება, 20 აგვისტო, 2012 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/saproceso_kolegia/2012/20.08.2012_088_12.pdf

[4] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 044/10, 22 ნოემბერი, 2010 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/22.11.2011_044_10.pdf

ეთიკის კომისიამ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ „ის მხედველობაში იღებს არა მარტო კლიენტისათვის ზიანის მიყენების რეალურ შემთხვევას, არამედ ასევე ასეთი ზიანის მიყენების რისკს, რომელიც არა მარტო კონკრეტული კლიენტის ინტერესებს შეეხება, არამედ საფრთხე ექმნება ადვოკატის, როგორც მართლმსაჯულების სისტემის არსებითი ნაწილის მიმართ კლიენტისა და საზოგადოების სხვა წევრთა ნდობას, რადგან საზოგადოებას ასეთ შემთხვევებში ექმნება წარმოდგენა ადვოკატთა მიმართ, რომლებიც კანონსაწინააღმდეგო საშუალებებით ცდილობენ კლიენტისათვის წარმომადგენლობის განხორციელებას.

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატის საქმიანობა შეზღუდულია კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით გათვალისწინებული მოქმედებებით. შესაბამისად, ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კანონითა და ეთიკის კოდექსის სტანდარტებით, რომ მისი პროფესიისადმი ნდობას საფრთხე არ შეუქმნას“[5].

## 11.3. კომპენსაციის მიღების აკრძალვა რეკომენდირებისას

**11.3. ადვოკატმა სხვა ადვოკატისაგან ან ნებისმიერი სხვა პირისაგან არ უნდა მოითხოვოს ან მიიღოს გადასახადი, საკომისიო ან ნებისმიერი სხვა სახის კომპენსაცია კლიენტისათვის სხვა ადვოკატის რეკომენდირების ან რჩევისათვის.**

ხშირ შემთხვევაში აღნიშნული მუხლის დათქმას უკავშირებენ რეკომენდირების აკრძალვას, არადა, აპეკ-ის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი კრძალავს არა რეკომენდირებას, არამედ ადვოკატის მიერ სარგებლის (კომპენსაციის) მიღებას სხვა ადვოკატის რეკომენდირების ან რჩევისათვის.

მნიშვნელოვანია სწორი შეფასება მიეცეს აღნიშნული მუხლის დეფინიციას, რათა მართებულად იქნას გააზრებული ადვოკატების მიერ აპეკ-ის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, „საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას“.

მოცემული მუხლი სრულად მოიცავს საადვოკატო საქმიანობის ჩამონათვალს, რომელშიც ადვოკატის მიერ სხვა ადვოკატის რეკომენდირება, როგორც საქმიანობა, მით უმეტეს ანაზღაურებადი, მითითებული არ არის.

[5] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 057/ 10, 07 მარტი, 2010 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/07.03.2011.pdf

პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ადვოკატის პასუხისმგებლობა კლიენტის წინაშე უშუალოა, და ის კანონის ფარგლებში უშუალოდ თავადაა პასუხისმგებელი მის მიერ განხორციელებული პროცესუალური მოქმედების მართებულობასა და მის საფუძველზე მიღებულ შედეგებზე.

სხვა ადვოკატის რეკომენდირების შემთხვევაში, თუ რეკომენდატორი ადვოკატი მიიღებს სარგებელს, ის უშუალოდ მაინც არ იქნება პასუხისმგებელი რეკომენდირებული ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებით დამდგარ შედეგზე, იმავდროულად, დაზარალებულ კლიენტს არ აქვს პროცესუალური შესაძლებლობა, პასუხი მოსთხოვოს და მოედავოს რეკომენდატორს, მით უმეტეს, როდესაც ის უშუალოდ არ წარმოადგენს ადვოკატ-კლიენტის სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე სუბიექტს და უშუალოდ არ ახორციელებს საადვოკატო საქმიანობას.

მსგავს შემთხვევებში, ადვოკატები დაემსგავსებოდნენ მაკლერებს, რომლებიც დაკავებული იქნებოდნენ მხოლოდ მომსახურების შეთავაზებით, ხოლო მომსახურებაზე და მის სათანადოობაზე აირიდებდნენ პასუხისმგებლობას.

## 11.4. ადვოკატით წარმოდგენილ პირთან კომუნიკაციის წესი

**11.4. ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის ადვოკატი დათანხმდება ასეთ კომუნიკაციაზე ან ობიექტურად შეუძლებელია ადვოკატთან დაკავშირება. (08.12.2012)**

აღნიშნული დათქმით ყურადღება ექცევა არა მარტო პროფესიის რეპუტაციას და, ზოგადად, კორპორაციის ინტერესებს, არამედ პროცესის სამართლიანად წარმოების საკითხსაც. შესაბამისად, ადვოკატს მოეთხოვება კარგად გაითვალისწინოს სასამართლო პროცესის სამართლიანად წარმართვის ვალდებულება. აღნიშნული მოქმედების განუხორციელებლობა არღვევს შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპებს და, გარკვეულწილად, კანონით გაუთვალისწინებელ, უპირატეს მდგომარეობაში აყენებს ადვოკატს. მოცემულ შემთხვევაში, თუ პირი წარმოდგენილია ადვოკატით და პროცესუალური მოწინააღმდეგის ადვოკატი მისი გვერდის ავლით ცდილობს მოლაპარაკებების წარმოებას, იმის გამო, რომ ადვოკატი აღჭურვილია საქმის წარმოებისათვის საჭირო ცოდნითა და შესაბამისი უნარებით, მას მოწინააღმდეგე მხარეზე პროცესუალური უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობა ობიექტურად აქვს. ადვოკატს უფლება არა აქვს, ისარგებლოს მხარის გამოუცდელობით და კანონის არასათანადო ცოდნით, არათანაბარ პირობებში, უპირატესობა მოიპოვოს მასზე. აღნიშნული ქმედება წარმოადგენს კოლეგიალობის პრინციპის უგულებელყოფას, რაც ადვოკატებს შორის ნდობის, თანამშრომლობისა და პატივისცემის დამკვიდრებას ეთიკურად უქმნის პრობლემას, კანონის უზენაესობის, პროფესიული ღირებულებებისა და კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ.

საკმაოდ საინტერესოა ამ მხრივ ამერიკის იურისტთა ასოციაციის პროფესიული ეთიკის მოდალური კოდექსით გათვალისწინებული ადვოკატის კომუნიკაციის საკითხი იმ პირებთან, რომლებსაც ადვოკატი არ ჰყავთ. „ამერიკელ ადვოკატებს არ ეკრძალებათ კომუნიკაცია იმ პირებთან, რომლებიც მონაწილეობენ და ჩართულნი არიან კლიენტის საქმეში და არ ჰყავთ ადვოკატი, მაგრამ კოდექსით დაწესებულია ასეთ პირებთან ურთიერთობის ფარგლები. პირველ რიგში, ადვოკატს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, თავი შეიკავოს პირდაპირი ან ირიბი განცხადებისაგან. ადვოკატი ვალდებულია განაცხადოს, რომ მას არ აინტერესებს საკითხი, რომელსაც მას ატყობინებენ. აშშ-ში ადვოკატის მიერ წარმომადგენლობის არმქონე პირისათვის განზრახ არასწორი ინფორმაციის მიწოდება იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას, მეტიც, თუ ადვოკატმა იცის, რომ წარმომადგენლობის არმქონე პირი არასწორად აღიქვამს საქმეში ადვოკატის ინტერესს, იგი ვალდებულია მკაფიო განმარტება მისცეს პირს ადვოკატის როლის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ამერიკელ ადვოკატებს ეკრძალებათ, სამართლებრივი ხასიათის რჩევები მისცენ წარმომადგენლობის არმქონე პირებს, რომლებთანაც მათ გარდაუვლად უხდებათ კონტაქტის დამყარება, ერთადერთი გამონაკლისი გახლავთ რჩევა ადვოკატის (წარმომადგენლის) აყვანის თაობაზე. ადვოკატებს უფლება აქვთ მხოლოდ წარმომადგენლობის არმქონე პირებისაგან შეკრიბონ ინფორმაცია, აღნიშნული საკითხი ეხება მოწმეებთან გასაუბრებას, მათგან ინფორმაციის მოპოვებას ფაქტების შეკრებისა და გამოძიების მიზნით“[6].

### *11.4.1. შეტყობინების ვალდებულება*

აპეკ-ის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულმა „შეტყობინების ვალდებულებამ“, ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებაზე 2012 წლის 08 დეკემბერს მიღებული ცვლილებებისა და დამატებების საფუძველზე ცვლილება განიცადა და ამოღებული იქნა.

აპეკ-ის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული „შეტყობინების ვალდებულება“ ეწინააღმდეგებოდა აპეკ-ით განსაზღვრულ ნდობის, კონფიდენციალურობისა და კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპებს.

აპეკ-ის თანახმად, ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა და მათი შეთანხმება კონფიდენციალურია, ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობის წარმოშობა – ადვოკატ-კლიენტის შეთანხმების საფუძველზე ხდება, ხოლო ადვოკატთან ურთიერთობის შეწყვეტა, კლიენტის ექსკლუზიურ და შეუზღუდავ უფლებას წარმოადგენს. კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების უფლება ადვოკატს კლიენტის თანხმობის გარეშე არა აქვს, ხოლო მისი გამჟღავნება იწვევს ნდობის, კონფიდენციალურობის და კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპების დარღვევას.

---

[6] იურიდიულ პროფესიათა ეთიკის საკითხები, ამერიკის იურისტთა ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატივა, 2009 წელი.

კოლეგიალობის არსიდან გამომდინარე, ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა მიმართული უნდა იყოს კლიენტის ინტერესების პრიორიტეტისაკენ და კანონის ფარგლებში მათი რეალიზებისაკენ. კოლეგიალობა ხელს უწყობს კლიენტების პრობლემების სწრაფ გადაწყვეტას. კოლეგიალობა, საერთო ჯამში, კლიენტის კანონიერ ინტერესს ემსახურება და მართლმსაჯულების ეფექტური აღსრულების მექანიზმიცაა.

## 11.5. კოლეგიალობის პრინციპი და პროფესიული კრიტიკის ფარგლები

### *11.5.1. ადვოკატის მიერ სატელევიზიო გადაცემაში კოლეგების მიმართ გაკეთებული შეფასება*

ეთიკის კომისიის მიერ განხილული საკითხი ეხებოდა სატელევიზიო ინტერვიუში ადვოკატების მიერ გაკეთებულ განცხადებას საკუთარი კოლეგების მიმართ, კერძოდ: ადვოკატებს არ მოეწონათ კოლეგების გადაწყვეტილება, ამ უკანასკნელთა კლიენტის საქმეზე ხელი არ მოეწერათ საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე შუამდგომლობისათვის იმ მოტივით, რომ საპროცესო შეთანხმება დადებული იყო ზეწოლით და იძულებით. ადვოკატების ეს საქციელი კოლეგიამ შეაფასა, როგორც „პოლიტიკური საქმიანობა და მოღვაწეობა“[7]. ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ პრეტენზიაში მითითებული იყო, რომ ადვოკატის მიერ საჯაროდ, სატელევიზიო ეთერით გაკეთებული კომენტარები, კოლეგების მიმართ არაეთიკური იყო, განსაკუთრებით კი, პოლიტიკური მოტივაციის დაბრალება იყო სერიოზული დარღვევა.

ეთიკის კომისიაში საჩივრის ავტორები ყურადღებას ამახვილებდნენ, რომ საჯარო განცხადებების გაკეთების დროს ადვოკატი ვალდებულია დაიცვას ინფორმაციის სისწორე. კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი არ ნიშნავს ვალდებულებას, იძულებით დადებული საპროცესო გარიგების მონაწილე გახდეს ადვოკატი. აღნიშნული აშკარად უკანონო ქმედებას წარმოადგენს. საჩივრის ავტორთა განმარტებით, ადვოკატმა „N“-მ ისე გააკრიტიკა კოლეგების გადაწყვეტილება კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეში, რომ მას ამ საქმესთან არ ჰქონია არანაირი შეხება, გარდა ტელევიზიით გადაცემული ინფორმაციებისა, არ მონაწილეობდა როგორც ადვოკატი, არ იცნობდა მოცემულ ვითარებას, რა ვითარებაშიც მიიღებოდა გადაწყვეტილება და არ უსაუბრია არცერთ მათგანთან საკითხში გარკვევის მიზნით. ადვოკატთა განმარტებით, მათი მოქმედება მიმართული იყო სწორედ კლიენტის ინტერესების დასაცავად, რადგან მათი დაცვის ქვეშ მყოფი ამბობდა, რომ მას არ ჩაუდენია წარდგენილი დანაშაული და ისინი თავად ხედავდნენ როგორ აიძულებდნენ მას, დათანხმებულიყო საპროცესო შეთანხმებაზე. ამდენად, კონკრეტულ ვითარებაში ადვოკატ „N“-ს არ შეიძლებოდა სცოდნოდა ეს გარემოებები და ამის ცოდნის გარეშე არაკორექტული და არაეთიკური გახლდათ, მას შეფასებები გაეკეთებინა და ფაქტობრივად ბრალი დაედო კლეგებისათვის კლიენტის ინტერესების დარღვევაში.

---

[7] ეთიკის კომისიის 069/11 გადაწყვეტილება, 05 სექტემბერი, 2011 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/saproceso_kolegia/05.09.2011_saqme_069_11.pdf

ადვოკატმა „N"-მ მოგვიანებით გაკეთებულ სატელეფონო კომენტარში ასევე გაიმეორა სიტყვები „პოლიტიკური ინტერესი" და კიდევ უფრო დაამძიმა არაეთიკური გამონათქვამებით მოსაზრება, როდესაც განაცხადა – „ვთვლი, რომ თვითონ ის ფაქტი, რომ ეთიკის კომისიაში შეიტანს საჩივარს ანუ ზუსტად იგივე ტენდენციის გამომხატველია, ანუ რომ მისთვის ეს არის პოლიტიკური და სხვა ინტერესების პრიორიტეტი და არა საადვოკატო საქმიანობის პრიორიტეტი". ეს კომენტარი კიდევ ერთხელ გამოხატავდა, თუ რა არაკორექტული და შეურაცხმყოფელი იყო „N"-ის მიერ კოლეგების მიმართ საკუთარი აზრის გამოხატვის ფორმა.

საგულისხმოა, რომ ადვოკატებმა ეთიკის კომისიაში საჩივრის შეტანის მიზანი განმარტეს, როგორც ადვოკატის პროფესიული ღირსების დაცვა, რომელიც ყველა ადვოკატის უპირველესი ამოცანა უნდა იყოს.

ადვოკატ „N"-ის პოზიციით განმარტებით, აღნიშნულ საკითხზე კომენტარის გაკეთება მისი ინიციატივა არ ყოფილა. მას დაუკავშირდნენ ჟურნალისტები და სთხოვეს ინტერვიუს ჩაწერა, ამასთან, კომენტარის გაკეთებისას მისი მიზანი არ იყო კოლეგების შეურაცხყოფა ან მათი დამოძღვრა.

ეთიკის კომისიამ გადაწყვეტილებაში განმარტა: „ნდობისა და დამოუკიდებლობის პრინციპების დაცვის ვალდებულება ადვოკატს გააჩნია კლიენტთან ურთიერთობისას და ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას, ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლის დარღვევის თაობაზე: „პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს და არ შელახოს მათი ღირსება"[8].

ადამიანის უფლებათა შორის, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება ერთ-ერთი უმთავრესი უფლებაა. აღნიშნული უფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი ნაწილისა და 24-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუმცა, იგი ექვემდებარება ამავე მუხლებით დადგენილი უფლების შეზღუდვის საფუძვლებს. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ „ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის... თავისუფლება". საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით აღიარებულია ყველა ადამიანის უფლება, „თავისუფლად გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით და სხვა საშუალებით". საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მესამე ნაწილისა და 24-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, სიტყვისა და გამოხატვის უფლება შეიძლება შეიზღუდოს თუ იგი ლახავს სხვათა უფლებებს ან ღირსებას[9].

ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატები სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით იმ „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის" გათვალისწინებით, რომელთაც მათი პროფესია აკისრებთ.

[8] ეთიკის კომისიის 069/11 გადაწყვეტილება, 05 სექტემბერი, 2011 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/saproceso_kolegia/05.09.2011_saqme_069_11.pdf.

[9] იქვე.

„გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ“ 23-ე მუხლის თანახმად, „ადვოკატები, სხვა მოქალაქეების მსგავსად, სარგებლობენ აზრის გამოხატვის, რწმენის, გაერთიანებისა და შეკრების თავისუფლებით. მათ უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ დისკუსიებში, რომლებიც დაკავშირებულია იურიდიულ, მართლმსაჯულების განხორციელების, ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის საკითხებთან... ამ უფლების რეალიზაციისას, ადვოკატებმა უნდა იმოქმედონ კანონის, იურიდიული პროფესიისა და ეთიკის აღიარებული ნორმების შესაბამისად“[10].

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის კომენტარები – „ადვოკატები, რომლებიც საქმიანობას აწარმოებენ, როგორც ადვოკატები, რეალურად აკეთებენ განცხადებებს ან აკეთებენ ისეთ ქმედებებს, რომლებიც უფრო შეიძლება შეფასდეს პოლიტიკური საქმიანობისა და მოღვაწეობის ჭრილში. ადვოკატების ეთიკის კოდექსის მთავარი ფუძემდებლური პრინციპი არის კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა, რაც ჩემი მოკრძალებული აზრით, კონკრეტულ შემთხვევაში რამოდენიმე ადვოკატმა დაარღვია“; „ვთვლი, რომ ის ფაქტი, რომ ის ეთიკის კომისიაში შეიტანს საჩივარს და წინასწარ ახმაურებს ამ ფაქტს, ზუსტად იგივე ტენდენციის გამომხატველია, რომ მისთვის ეს არის პოლიტიკური და სხვა ინტერესების პრიორიტეტი და არა კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა“ – მოიცავს მოსაზრებებს კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით ადვოკატთა ქმედებების შესახებ[11].

ეთიკის კომისიამ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინა თავად იმ სიუჟეტთა შინაარსი, რომლითაც გავრცელდა ადვოკატ „N“-ის კომენტარები და აღნიშნა, რომ იმ დროს, როდესაც ზოგიერთი ტელემედიასაშუალება არ არის თავისუფალი, სიუჟეტებიც ატარებდა მიკერძოებულ ხასიათს. ამ მხრივ, ეთიკის კომისიამ გაიზიარა საჩივრის ავტორ ადვოკატთა პოზიცია, რომ ადვოკატ „N“-ის საჯარო განცხადებები ეხმიანებოდა „იმ სიუჟეტების პათოსს, რომელიც მომზადდა ნაციონალურ არხებზე და აშკარად ატარებდა ხელისუფლების მხრიდან მათი კრიტიკის და გაკიცხვის სურვილს“. თუმცა, ეთიკის კომისიის მიერ ადვოკატ „N“-ის კომენტარები შეფასდა სიუჟეტებისაგან დამოუკიდებლად, ვინაიდან ადვოკატი პასუხისმგებელია მის მიერ გაკეთებულ საჯარო განცხადებებზე და არა იმ სიუჟეტების შინაარსზე, რომლითაც გავრცელდა მისი კომენტარები[12].

ადვოკატმა საჯარო განცხადებების გაკეთების დროს უნდა დაიცვას ინფორმაციის სისწორე, თუმცა ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის მხრიდან ადგილი არ ჰქონია არასწორი ინფორმაციის გავრცელებას, ვინაიდან მისი კომენტარები წარმოადგენდა შეფასებით მსჯელობას კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით და, შესაბამისად, მისი შინაარსის სისწორე-მცდარობა მთლიანად დამოკიდებულია ავტორის შეხედულებებზე.

---

10 ეთიკის კომისიის 069/11 გადაწყვეტილება, 05 სექტემბერი, 2011 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/saproceso_kolegia/05.09.2011_saqme_069_11.pdf.

11 იქვე.

12 იქვე.

ეთიკის კომისიამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ საქმე ეხებოდა გახმაურებულ საქმესთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებებს და აღნიშნავს, რომ როდესაც საქმე ეხება საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესის საგანს, აზრის თავისუფლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ხოლო მისი შეზღუდვისთვის უნდა არსებობდეს მნიშვნელოვანი და არსებითი საფუძველი[13].

ეთიკის კომისია თავისი პრაქტიკით ადვოკატთა გამოხატვის თავისუფლების მაღალ სტანდარტს ადგენს, რომელიც ვრცელდება არა მხოლოდ მოსამართლეების, არამედ იურიდიული პროფესიის მქონე სხვა პირების მიმართაც. ეთიკის კომისიამ 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში 076/10 აღნიშნა, რომ: „გამოხატვის თავისუფლების ძირითადი სიკეთე მოსაზრებების დაცვის მაღალ სტანდარტში მდგომარეობს, მიუხედავად იმისა, ვის მიმართ არის გამოთქმული მოსაზრებები და რამდენად კრიტიკულია მათი შინაარსი“.

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ სატელევიზიო კომენტარებში მოცემული განცხადებები შესაძლოა არ იყოს მოსაწონი და მისაღები იმ ადვოკატთათვის, ვის მიმართაც არის მიმართული, მაგრამ ეს კომენტარები არ არის შეურაცხმყოფელი ხასიათის და მიზნად არ ისახავს ადვოკატის ღირსების შელახვას. რაც შეეხება საჩივრის ავტორის მიერ კომენტარების შეურაცხმყოფელ ხასიათზე ხაზგასმას იმ საფუძვლით, რომ ადვოკატ „N“-ის საჯარო კომენტარების შედეგად, „საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა აღიქვა ისე, თითქოს ბრალდებულის ადვოკატები მოქმედებდნენ არა ადვოკატის მოვალეობის შეგნებით, არამედ პოლიტიკური მიზნების გამო“, ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ერთი ადვოკატის მიერ გამოთქმული მოსაზრების საფუძველზე, აღნიშნული შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატ „N“-ის მიერ გაკეთებული კომენტარებით შესაძლებელი იქნებოდა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება, რაც მოცემულ შემთხვევაში შეუძლებელი იყო[14].

ეთიკის კომისიამ განმარტა: „ადვოკატებს აკისრიათ უმნიშვნელოვანესი როლი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში და მათ მიერ გაკეთებული განცხადებები და კრიტიკული გამონათქვამები არ უნდა გახდეს მათ წინააღმდეგ დევნის დაწყების საფუძველი“[15].

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში Handyside v. UK (განაცხადი 5493/72; 1976 წლის 07 დეკემბრის გადაწყვეტილება) დაადგინა, რომ „გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად საფუძველსა და თითოეული ადამიანის განვითარების მნიშვნელოვან პირობას. გამოხატვის თავისუფლება გამოიყენება არა მხოლოდ ისეთი ინფორმაციისა და იდეების მიმართ, რომელიც სასურველია საზოგადოებისათვის, არ მიიჩნევიან შეურაცხმყოფლად ან რომელთა შეფასებაც საზოგადოების

---

13 ეთიკის კომისიის 069/11 გადაწყვეტილება, 05 სექტემბერი, 2011 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/saproceso_kolegia/05.09.2011_saqme_069_11.pdf.

14 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 069/11, 05 სექტემბერი, 2011 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/saproceso_kolegia/05.09.2011_saqme_069_11.pdf

15 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 2317/12/06, 03 დეკემბერი, 2006 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/03.12.2006.pdf

მიერ ხდება გულგრილად, არამედ ასევე იმათ მიმართაც, რომლებიც შეურაცხ-ყოფენ, შოკში აგდებენ და აწუხებენ სახელმწიფოს ან მოსახლეობის რომელიმე სექტორს. ასეთია პლურალიზმის, ტოლერანტობისა და ფართო თვალსაწიერის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში საქართველოს მოქალა-ქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წი-ნააღმდეგ (საქმე 1/3/421,422; 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება), იმსჯე-ლა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლების თაობაზე და დაად-გინა: „გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შედარებით ფართო დისკრეცია სახელმწიფოს შეიძლება მიენიჭოს მაშინ, როდესაც შეზღუდვას დაქვემდებარე-ბული გამოხატვა უხამსი შინაარსისაა. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მაშინაც, თუ გამოხატვა ეწინააღმდეგება დამკვიდრებულ მორალურ ნორმებს“[16].

ეთიკის კომისიის პრაქტიკა ადასტურებს ადვოკატის გამოხატვის თავისუფლე-ბის მაღალი სტანდარტისადმი სწრაფვას, რაც, ბუნებრივია, ნაკარნახევია დე-მოკრატიულ საზოგადოებაში ადვოკატთა განსაკუთრებული როლით მართლმ-საჯულების სისტემაში.

---

[16] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება. საქმე – საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმ-დეგ (1/3/421, 422; 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება).

## 12. კოდექსის მოქმედების ფარგლები

**1. ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება ადვოკატებზე. ადვოკატი პასუხისმგებელია იმ პირთა ეთიკურ ქცევაზე, ვინც მოქმედებს ადვოკატის დავალებით ან მისი სახელით ახორციელებს ქმედებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ადვოკატმა მიიღო ყველა გონივრული ზომა იმისთვის, რომ ამ პირების ქცევა შესაბამისობაში ყოფილიყო ეთიკის კოდექსის მოთხოვნებთან. (08.12.2012)**

**2. ეთიკის კოდექსი და მასში ცვლილებები ძალაში შედის საერთო კრების მიერ დამტკიცებისთანავე და არ გააჩნია უკუქცევითი ძალა. (08.12.2012)**

**3. (ამოღებულია 08.12.2012)[1].**

აპეკ-ის მე-11 მუხლის საფუძველზე ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება ადვოკატებზე. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. შესაბამისად, პირს არ დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა იმ ქმედებისათვის, რომელიც შეიძლება შეიცავდეს დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, მაგრამ ჩადენილია პირის მიერ ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებამდე; მაგალითად, მაშინ, როდესაც იგი ახორციელებდა წარმომადგენლობით უფლებამოსილებას. ასევე არ დაეკისრება პირს პასუხისმგებლობა, თუ სახდელის განსაზღვრის მომენტისათვის, ის აღარ არის ადვოკატთა ასოციაციის წევრი და მას საკუთარი განცხადებით ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლით შეუწყდა ასოციაციის წევრობა.

ყურადსაღებია აპეკ-ის მე-11 მუხლის დათქმა, რომელიც მიუთითებს ადვოკატის პასუხისმგებლობაზე იმ პირთა ეთიკური ქცევის გამო, ვინც მოქმედებს ადვოკატის დავალებით ან მისი სახელით ახორციელებს ასეთ ქმედებას.

აღნიშნული მუხლის მოთხოვნები გამომდინარეობს აპეკ-ის მე-4 მუხლის პირველი და მე-5 ნაწილებიდან, რომლის თანახმად, ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეთ. კონფიდენციალურობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით. ამავე მუხლის მე-5 ნაწილით, ადვოკატმა მის პარტნიორებს, თანამშრომლებს და სხვა პირებს, რომლებიც მის მიერ მოწვეულნი არიან პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, უნდა მოსთხოვოს კონფიდენციალურობის დაცვა იმავე სტანდარტით.

[1] იხ. აპეკ-ი, მუხლი 11.

აპეკ-ის მე-11 მუხლით გათვალისწინებული დათქმა ეხება ადვოკატის ოფისში მომუშავე არაადვოკატ პირებს, ადვოკატის თანაშემწეს, სტაჟიორს, იურისტს, რომელიც არ არის ადვოკატთა ასოციაციის წევრი, მაგრამ ხელი მიუწვდება იმ მასალებზე და ინფორმაციაზე, რომლის კონფიდენციალურად შენახვა და დაცვა ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა.

როგორ უნდა დაიცვას ამ შემთხვევაში თავი ადვოკატმა და კანონით განსაზღვრული წესით აირიდოს დისციპლინური პასუხისმგებლობა, თუ თანაშემწის, იურისტის მიერ მოხდა კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება.

ადვოკატი ვალდებულია, იმ პირებს, ვინც მოქმედებს ადვოკატის დავალებით, ან მისი სახელით ახორციელებს ქმედებას, საქმიანობის დაწყებისთანავე გაუფორმოს ხელშეკრულება კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ, რომლითაც განსაზღვრული იქნება პირის ვალდებულება კონფიდენციალურობის დაცვასთან დაკავშირებით და ასევე მისი სამოქალაქო პასუხისმგებლობა (მაგ., ფინანსური სანქციის სახით) მის მიერ კონფიდენციალურობის დარღვევის შემთხვევაში.

წერილობითი სახით გაფორმებული ხელშეკრულება, კონფიდენციალურობის დარღვევის შემთხვევაში, საშუალებას მისცემს ადვოკატს, აუნაზღაუროს კლიენტს კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებით მიყენებული ზიანი, ამასთან, ადვოკატი კანონით განსაზღვრული წესით, თავიდან აირიდებს დისციპლინურ პასუხისმგებლობას, რომელიც მას დაეკისრება იმ შემთხვევაში, თუ წინასწარ არ მიიღებს კონფიდენციალურობის დაცვისათვის აუცილებელ ზომებს იმ პირების მიმართ, ვინც მოქმედებს ადვოკატის დავალებით, ან მისი სახელით ახორციელებს ქმედებას.

რაც შეეხება აპეკ-ის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილს, რომლითაც განსაზღვრული იყო ადვოკატის პასუხისმგებლობა ზნეობრივი პრინციპის დარღვევის შემთხვევაში, ის ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებაზე 2012 წლის 08 დეკემბერს მიღებული ცვლილებებითა და დამატებებით, გაუქმებულ იქნა.

ადვოკატთა ასოციაციამ უარი თქვა ზოგადი ზნეობრივი პრინციპების გამო ადვოკატისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებაზე და აპეკ-ის მე-7 მუხლით (კოლეგიალობის პრინციპი) განსაზღვრა პროფესიული ღირებულებების დაცვის ვალდებულება, რომელიც თავის მხრივ საკმარისად იძლევა განმარტებისა და შეფასების საშუალებას[2].

---

[2] ჟურნალი „ადვოკატი“ 3, ეთიკის კოდექსის კომენტარები, გვ. 26-27.

*დანართი 1*

# საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ

## თავი I
## ზოგადი დებულებანი

### მუხლი 1. ადვოკატი

1. საქართველოში საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ადვოკატი.
2. ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. *(29.12.2004 N 970)*

**მუხლი 2. საადვოკატო საქმიანობა** *(24.09.2010. N3619 ამოქმედდეს 2010 წლის 1 ოქტომბრიდან)*

საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას.

**მუხლი 3. საადვოკატო საქმიანობის პრინციპები**

საადვოკატო საქმიანობის პრინციპებია:

ა) კანონიერება;

ბ) საადვოკატო საქმიანობის თავისუფლება და დამოუკიდებლობა;

გ) ადვოკატთა თანასწორობა და მათი დისკრიმინაციის დაუშვებლობა;

დ) საადვოკატო საქმიანობაში ჩაურევლობა;

ე) ადვოკატის მიერ კლიენტის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა და დაცვა;

ვ) ადვოკატის მიერ დაცვის უფლების განხორციელებაზე უარის თქმის დაუშვებლობა, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ზ) ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვა;

თ) ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა.

## თავი II
## ადვოკატის ზოგადი უფლებები და მოვალეობები

**მუხლი 4. ადვოკატის უფლებები**

1. ადვოკატს უფლება აქვს:

ა) წარმოადგინოს და დაიცვას კლიენტი, მისი უფლებები და თავისუფლებები საკონსტიტუციო, უზენაეს და საერთო სასამართლოებში, არბიტრაჟში და გამოძიების ორგანოებში, სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან; (24.09.2010 N3619 ამოქმედდეს 2010 წლის 1 ოქტომბრიდან)

ბ) კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, კანონმდებლობით დადგენილი წესით მოითხოვოს და მიიღოს საადვოკატო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო დოკუმენტები, ცნობები და სხვა ფაქტობრივი მონაცემები;

გ) დაუბრკოლებლად, ნებისმიერ დროს და კონტროლის გარეშე, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, პირისპირ შეხვდეს დაკავებულ, დაპატიმრებულ ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის ადგილებში მოთავსებულ პირს, იქონიოს მასთან მიმოწერა;

დ) ისარგებლოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

2. ადვოკატის საქმიანობა შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით.

**მუხლი 5. ადვოკატის მოვალეობები** *(17.11.2009 N 2040)*

ადვოკატი ვალდებულია:

ა) კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები;

ბ) ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები;

გ) არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები;

დ) დაიცვას პროფესიული საიდუმლოება;

ე) შეასრულოს საპროცესო კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობები და ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევაში კლიენტს დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ;

ვ) მონაწილეობა მიიღოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებულ განგრძობადი სავალდებულო იურიდიული განათლების პროგრამაში.

**მუხლი 6. კლიენტის ინტერესების დაცვა**

1. ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით.

2. ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.

**მუხლი 7. პროფესიული საიდუმლოება**

1. ადვოკატი ვალდებულია:

ა) დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად;

ბ) კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაავრცელოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ინფორმა-ცია.

2. ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დარღვევა იწვევს ამ კანონით და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

**მუხლი 8. ინტერესთა შეუთავსებლობა**

1. ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას.

2. ადვოკატს უფლება არა აქვს შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, თუ იმავე საქმეზე უკვე განახორციელა საადვოკატო საქმიანობა მეორე მხარის სასარგებლოდ.

3. დაუშვებელია ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულება იმ საქმეზე, რომელზედაც მან უკვე განახორციელა მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის, მომკვლევის, სასამართლო სხდომის მდივნის, თარჯიმნის, დამსწრის, მოწმის, ექსპერტის, სპეციალისტის, საჯარო მოსამსახურის ან ნოტარიუსის სტატუსით და საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.

**მუხლი 9. ადვოკატის დაზღვევა**

ადვოკატი ვალდებულია კლიენტისათვის შესაძლო მატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით, კანონით დადგენილი წესით და გათვალისწინებულ შემთხვევებში დააზღვიოს თავისი პროფესიული პასუხისმგებლობა.

## თავი III
## ადვოკატი

**მუხლი 10. მოთხოვნები ადვოკატისადმი** *(29.12.2004 N 970)*

1. ადვოკატი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც:

ა) აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება;

ბ) გავლილი აქვს ადვოკატთა ტესტირება ამ კანონით დადგენილი წესით ან ჩაბარებული აქვს მოსამართლეთა (პროკურატურის მუშაკთა) საკვალიფიკაციო გამოცდა; *(22.06.2007 N 5029)*

გ) აქვს იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი.

2. ადვოკატი არ შეიძლება იყოს განზრახი მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლევი პირი, თუ ნასამართლობა არა აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ადვოკატი არ შეიძლება იმავდროულად იყოს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი და სხვა პირი, რომელსაც კანონმდებლობით ეკრძალება საადვოკატო საქმიანობის განხორციელება.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა არ ვრცელდება პირზე, რომელსაც ეკავა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის თანამდებობა. *(13.09.2011 N5036)*

**მუხლი 11. ადვოკატთა ტესტირება**

1. ტესტირების გავლის უფლება აქვს უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე ნებისმიერ პირს.

2. ტესტირება ტარდება წელიწადში ორჯერ. ტესტირების ჩატარების წესს, პროგრამას ამტკიცებს და თარიღს განსაზღვრავს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო, ხოლო ადვოკატთა საკვალიფიკაციო კომისიის დებულებას – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება. *(25.11.2005 N 2155)*

3. ტესტირება არის საერთო ან სპეციალიზაციის მიხედვით.

4. ადვოკატების სპეციალიზაცია ხდება სამოქალაქო სამართლისა და სისხლის სამართლის დარგებში.

5. საერთო ტესტირება ტარდება შემდეგ საგნებში:

ა) საკონსტიტუციო სამართალი;

ბ) ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი;

გ) ადმინისტრაციული სამართალი;

დ) ადმინისტრაციული სამართლის პროცესი;

ე) სისხლის სამართალი;

ვ) სისხლის სამართლის პროცესი;

ზ) სამოქალაქო სამართალი;

თ) სამოქალაქო სამართლის პროცესი.

6. სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატთა ტესტირება ტარდება შემდეგ საგნებში:

ა) საკონსტიტუციო სამართალი;

ბ) ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი;

გ) ადმინისტრაციული სამართალი;

დ) ადმინისტრაციული სამართლის პროცესი;

ე) სამოქალაქო სამართალი;

ვ) სამოქალაქო სამართლის პროცესი.

7. სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატთა ტესტირება ტარდება შემდეგ საგნებში:

ა) საკონსტიტუციო სამართალი;

ბ) ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი;

გ) ადმინისტრაციული სამართალი;

დ) ადმინისტრაციული სამართლის პროცესი;

ე) სისხლის სამართალი;

ვ) სისხლის სამართლის პროცესი.

8. ადვოკატს, რომელსაც ტესტირება გავლილი აქვს სპეციალიზაციის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება ეძლევა შესაბამის დარგში. საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში ადვოკატად მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ ადვოკატს.

9. ტესტირება ტარდება სახელმწიფო ენაზე.

10. ტესტირების წარმატებით გავლის შემთხვევაში პირი იღებს ადვოკატთა ტესტირების გავლის დამადასტურებელ მოწმობას.

11. ადვოკატთა ტესტირების გავლის დამადასტურებელი მოწმობა ძალას კარგავს, თუ პირი ტესტირების გავლიდან 7 წლის განმავლობაში არ დაიწყებს საადვოკატო საქმიანობას.

**მუხლი 12. ამოღებულია** *(29.12.2004 N 970)*
**მუხლი 13. ამოღებულია** *(29.12.2004 N 970)*
**მუხლი 14. ამოღებულია** *(29.12.2004 N 970)*
**მუხლი 15. ამოღებულია** *(29.12.2004 N 970)*

## თავი IV
## ადვოკატის სტაჟიორი. ადვოკატის თანაშემწე

**მუხლი 16. ადვოკატის სტაჟიორი**

1. ამ კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტში აღნიშნულმა პირმა, რომელსაც სურს გაიაროს სტაჟირება ადვოკატთან ან საადვოკატო ბიუროში, განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის ადვოკატს ან საადვოკატო ბიუროს. ადვოკატი ან საადვოკატო ბიურო იღებს გადაწყვეტილებას პირის სტაჟიორად გამწესების შესახებ და ამ გადაწყვეტილებას არა უგვიანეს 5 დღისა აცნობებს შესაბამის ადვოკატთა ასოციაციას. *(22.06.2007 N 5029)*

2. საადვოკატო სტაჟირების პერიოდი შედის შრომის საერთო და პროფესიული საქმიანობის სტაჟში.

3. სტაჟიორი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაბამისი ადვოკატის დავალებით ახორციელებს მის უფლებამოსილებებს.

4. სტაჟიორი არ შეიძლება დაიკითხოს მოწმედ იმ საკითხზე, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში. მასზე ვრცელდება ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები.

**მუხლი 17. ადვოკატის თანაშემწე**

1. საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ტექნიკური ან სხვა სახის დახმარების მიღების მიზნით ადვოკატმა შეიძლება აიყვანოს თანაშემწე. იგი არ სარგებლობს ადვოკატის უფლებებით და არ დაიშვება სამართალწარმოებაში, სასამართლოში, არბიტრაჟში და გამოძიების ორგანოებში, სხვა სახელმწიფო ორგანოებსა და ორგანიზაციებში, საზოგადოებრივ გაერთიანებებში, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. *(24.09.2010. N3619 ამოქმედდეს 2010 წლის 1 ოქტომბრიდან)*

2. ადვოკატის თანაშემწეს უფლება აქვს, შესაბამისი ადვოკატის თანდასწრებით ან მისი დავალებით, ადვოკატის მიერ ხელმოწერილი და დამოწმებული ნებართვის საფუძველზე გაეცნოს მის წარმოებაში არსებული საქმის მასალებს სასამართლოში, არბიტრაჟში და გამოძიების ორგანოებში, სხვა სახელმწიფო ორ-

განოებსა და ორგანიზაციებში, საზოგადოებრივ გაერთიანებებში. *(24.09.2010. N3619 ამოქმედდეს 2010 წლის 1 ოქტომბრიდან)*

3. ადვოკატის თანაშემწე არ შეიძლება დაიკითხოს მოწმედ იმ საკითხზე, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში. მასზე ვრცელდება ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები.

## თავი V
## საადვოკატო საქმიანობის ორგანიზება

**მუხლი 18. საადვოკატო საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა**

1. ადვოკატს უფლება აქვს, საადვოკატო საქმიანობის განსახორციელებლად ინდივიდუალურად, სხვა ადვოკატებთან ან სხვა პირებთან ერთად შექმნას საადვოკატო ბიურო ამხანაგობის ან „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული სამეწარმეო იურიდიული პირის სახით. *(17.11.2009 N 2040)*

2. საადვოკატო ბიუროს შექმნის შესახებ ინფორმაცია მისი შექმნიდან 10 დღის ვადაში უნდა წარედგინოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს. ინფორმაციაში მითითებული უნდა იყოს საადვოკატო ბიუროს მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ბიუროში გაერთიანებული ადვოკატის (ადვოკატების) ვინაობა და სამართლის ის დარგი, რომელშიც ადვოკატი (ადვოკატები) ახორციელებს (ახორციელებენ) საადვოკატო საქმიანობას.

3. საადვოკატო ბიუროს ორგანიზებისა და მუშაობის წესს და სტრუქტურას განსაზღვრავს ბიურო.

**მუხლი 19. საადვოკატო საქმიანობის განხორციელების საფუძველი**

1. ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ხელშეკრულების საფუძველზე.

2. გამოძიების ორგანოებში ან საქმის სასამართლოში განხილვისას ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ მოწმობასთან ერთად წარადგინოს დადგენილი წესით კლიენტის მიერ მასზე გაცემული დოკუმენტი – მინდობილობა ან ორდერი. *(24.09.2010. N3619 ამოქმედდეს 2010 წლის 1 ოქტომბრიდან)*

$2^1$. იმ შემთხვევაში, თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი თავისი საწესდებო მიზნების მისაღწევად ახორციელებს უფასო იურიდიული დახმარების საგრანტო ან სახელმწიფო პროგრამას, მას უფლება აქვს ადვოკატთან ხელშეკრულების საფუძველზე გასცეს ორდერი. *(29.12.2006 N4332)*

3. ადვოკატის ორდერის ნიმუშს შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო.

## თავი VI
## ადვოკატთა ასოციაცია *(29.12.2004 N 970)*

**მუხლი 20. ადვოკატთა ასოციაციის სტატუსი** *(29.12.2004 N 970)*

1. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია არის პირთა წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

2. ადვოკატთა ასოციაციის საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები განისაზღვრება ასოციაციის წესდებით.

3. ადვოკატთა ასოციაციაზე არ ვრცელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ბოლო წინადადება და მე-11 მუხლი. *(17.11.2009 N 2040)*

**მუხლი 21. ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანება** *(29.12.2004 N 970)*

1. ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებისათვის პირი განცხადებით მიმართავს ადვოკატთა ასოციაციას. ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო განცხადების მიღებიდან 1 თვის ვადაში ასოციაციის წესდებით დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებას პირის ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების ან გაწევრიანებაზე უარის თქმის შესახებ. *(17.11.2009 N 2040)*

2. პირმა ასოციაციას უნდა წარუდგინოს შემდეგი მონაცემები:

ა) სახელი, გვარი, დაბადების თარიღი;

ბ) საცხოვრებელი ადგილის და საადვოკატო ბიუროს მისამართები, საკონტაქტო ტელეფონი;

გ) სპეციალიზაცია, თუ მას ტესტირება გავლილი აქვს სპეციალიზაციის მიხედვით.

$2^{1}$. ადვოკატთა ასოციაციას უნდა წარედგინოს ინფორმაცია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების ცვლილების შესახებ მისი წარმოშობიდან 2 კვირის ვადაში. *(17.11.2009 N 2040)*

$2^{2}$. ადვოკატთა ასოციაციის წევრების საერთო სიის ორგანიზების ინტერესიდან გამომდინარე, დამატებითი მონაცემების (მათ შორის, მონაცემების ცვლილებების) წარდგენის წესი და პირობები განისაზღვრება ასოციაციის წესდებით. *(17.11.2009 N 2040)*

3. ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებაზე პირისთვის უარის თქმის საფუძვლებია:

ა) იგი ვერ აკმაყოფილებს ამ კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

ბ) მის მიერ ტესტირების გავლიდან გასულია 7 წელი;

გ) მას შეწყვეტილი აქვს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა ამ კანონის $21^{3}$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „ვ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და წევრობის შეწყვეტიდან არ გასულა 3 წელი.

$3^{1}$. ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებისათვის ამ კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები არ ვრცელდება პირზე, რომელსაც ეკავა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის თანამდებობა. *(13.09.2011. N5036)*

4. ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს უარი ასოციაციაში გაწევრიანებაზე შეიძლება უარის მიღებიდან 1 თვის განმავლობაში გასაჩივრდეს სასამართლოში.

5. ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო ადვოკატთა ასოციაციის წევრების საერთო სიას აქვეყნებს ასოციაციის წესდებით დადგენილი წესით. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემები საჯაროა ყველა დაინტერესებული პირისათვის. *(17.11.2009 N 2040)*

**მუხლი $21^1$. ადვოკატის ფიცი** *(29.12.2004 N 970)*

1. ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებისათვის პირი ვალდებულია დადოს შემდეგი ფიცი:

„ვფიცავ, ვიყო სამართლიანობის იდეების ერთგული, კეთილსინდისიერად და პირნათლად შევასრულო ადვოკატის მოვალეობები, დავიცვა საქართველოს კონსტიტუცია და კანონები, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები!“. *(17.11.2009 N 2040)*

2. თუ პირი თავისი მსოფლმხედველობიდან გამომდინარე უარს ამბობს ფიცის დადებაზე, იგი ფიცის ნაცვლად წერს განცხადებას, რომლითაც ადასტურებს, რომ კეთილსინდისიერად შეასრულებს ამ კანონით დადგენილ ადვოკატის მოვალეობებს.

3. ფიცის (განცხადების) ტექსტს ხელს აწერს პირი და იგი ინახება მის პირად საქმეში.

4. ფიცის დადების (განცხადების დაწერის) შემდეგ პირი იძენს ადვოკატის სტატუსს და იღებს საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ მოწმობას, რომლითაც იგი ახორციელებს საადვოკატო საქმიანობას.

**მუხლი $21^2$. ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეჩერება** *(29.12.2004 N 970)*

1. ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის $21^3$ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ) ამ კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

გ) ამ კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად წევრობის შეჩერების შემთხვევაში ადვოკატი თავისუფლდება ადვოკატთა ასოციაციის საწევრო გადასახადის გადახდისგან და ეკრძალება ასოციაციის საქმიანობაში მონაწილეობა.

3. ადვოკატს წევრობა აღუდგება შესაბამისი განცხადების შეტანის ანდა ამ კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ ან ამ კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების აღმოფხვრის შემთხვევაში.

4. პირს, რომელსაც ამ კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად არ შეუძლია გახდეს ადვოკატი და აკმაყოფილებს მე-10 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს, უფლება აქვს მიმართოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ

საბჭოს გაწევრიანების თაობაზე. ასეთ პირს გაწევრიანებისთანავე შეუჩერდება წევრობა.

5. პირს, რომელსაც შეჩერებული აქვს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა, ეკრძალება საადვოკატო საქმიანობის განხორციელება.

**მუხლი 21[3]. ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა** *(29.12.2004 N 970)*

1. ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ) ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ან/და სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე;

გ) თუ სასამართლომ ცნო შეზღუდულქმედუნარიანად ან ქმედუ-უნაროდ, აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდა-ცვლილად;

დ) თუ მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი განზრახი მძიმე დანაშაულისათვის;

ე) ამოღებულია *(4.07.2007 N5209)*

ვ) თუ ცნობილი გახდა, რომ იგი არ აკმაყოფილებდა ამ კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რისი დროულად აღმოჩენაც გამოიწვევდა ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებაზე მისთვის უარის თქმას;

ზ) თუ არ იხდის საწევრო გადასახადს;

თ) გარდაცვალების შემთხვევაში.

2. ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით იღებს გადაწყვეტილებას ადვოკატისათვის ასოციაციის წევრობის შეწყვეტის შესახებ, ხოლო „ა“, „გ“, „დ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ პირობებს იღებს ცნობად. *(4.07.2007 N5209)*

3. გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და გამოცხადებიდან 5 დღის ვადაში უნდა ჩაბარდეს ადვოკატს პირადად ან იმავე ვადაში უნდა გაეგზავნოს მას, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე შეჩერდება ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება ადვოკატისათვის ასოციაციის წევრობის შეწყვეტის შესახებ.

**მუხლი 22. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სიმბოლიკა**

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სიმბოლიკას ამტკიცებს ასოციაციის საერთო კრება აღმასრულებელი საბჭოს წარდგინებით.

**მუხლი 23. ადვოკატთა ასოციაციის ორგანიზაციული სტრუქტურა**

1. ადვოკატთა ასოციაციაში ამ კანონით განსაზღვრულ ფუნქციათა შესასრულებლად იქმნება:

ა) აღმასრულებელი საბჭო;

ბ) ეთიკის კომისია;

გ) სარევიზიო კომისია.

2. ადვოკატთა ასოციაცია უფლებამოსილია თავისი ფუნქციების შესასრულებლად შექმნას სხვა სტრუქტურული დანაყოფებიც, რომელთა საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება შესაბამის დანაყოფთა დებულებებით. თითოეულ დანაყოფს ხელმძღვანელობს აღმასრულებელი საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

3. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან იქმნება ადვოკატთა სასწავლო ცენტრი, რომელიც ახორციელებს ადვოკატთა პროფესიულ გადამზადებას. ადვოკატთა სასწავლო ცენტრის საქმიანობის წესი განისაზღვრება ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით. *(17.11.2009 N 2040)*

**მუხლი 24. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება** *(17.11.2009 N 2040)*

1. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის უმაღლესი ორგანოა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება. საერთო კრება იმართება სულ მცირე წელიწადში ერთხელ და იგი უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ასოციაციის არანაკლებ 800 წევრისა. კვორუმის არარსებობის შემთხვევაში 2 კვირის ვადაში მოიწვევა განმეორებითი საერთო კრება, რომელიც უფლებამოსილია, მიუხედავად დამსწრე წევრთა რაოდენობისა.

2. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

3. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით:

ა) ამტკიცებს ასოციაციის წესდებას და შეაქვს მასში ცვლილებები და დამატებები;

ბ) ირჩევს და ათავისუფლებს ასოციაციის თავმჯდომარეს, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის წევრებს ასოციაციის წესდებით დადგენილი წესით;

გ) ამტკიცებს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსსა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებას;

დ) ისმენს აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეთა ანგარიშებს გაწეული საქმიანობის შესახებ;

ე) აწესებს საწევრო გადასახადის ფიქსირებულ ოდენობას.

**მუხლი 25. ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებაზე გადაწყვეტილების მიღებისა და რიგგარეშე კრების მოწვევის წესი** *(29.12.2004 N 970)*

ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებაზე გადაწყვეტილების მიღებისა და რიგგარეშე კრების მოწვევის წესი განისაზღვრება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდებით.

**მუხლი 26. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო** *(17.11.2009 N 2040)*

1. ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი ორგანოა აღმასრულებელი საბჭო, რომლის სხდომა იმართება სულ მცირე თვეში ერთხელ.

2. აღმასრულებელი საბჭოს წევრისთვის საბჭოს სხდომაზე დასწრება სავალდებულოა.

3. აღმასრულებელი საბჭო შედგება 12 წევრისაგან, რომელთაგან 11 წევრს 4 წლის ვადით ირჩევს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სიითი შემადგენლობიდან, ასოციაციის წესდებით დადგენილი წესით.

4. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე თანამდებობრივად შედის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოში.

5. აღმასრულებელი საბჭოს წევრებად არჩეულად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას.

6. აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია, თუ მის სხდომას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

7. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო:

ა) კოლეგიურად ახორციელებს ასოციაციის ხელმძღვანელობას;

ბ) სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს ასოციაციის ბიუჯეტს;

გ) ამტკიცებს ადვოკატთა საკვალიფიკაციო კომისიის დებულებას;

დ) ამტკიცებს ადვოკატთა სასწავლო ცენტრის საქმიანობის წესს;

ე) განსაზღვრავს ადვოკატთა განგრძობადი სავალდებულო იურიდიული განათლების პროგრამას და მისი შესრულების წესს;

ვ) ამტკიცებს ასოციაციის მომდევნო წლის ხარჯთაღრიცხვას;

ზ) გამოყოფს სახსრებს ასოციაციის საჭიროებისათვის, ადგენს სამივლინებო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯების ოდენობებს;

თ) წელიწადში ერთხელ საჯაროდ აქვეყნებს ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ;

ი) არსებული მონაცემების საფუძველზე, ამ კანონით დადგენილი წესით ორგანიზებას უწევს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრების საერთო სიის შედგენას, მასში ცვლილებების შეტანას და მის გამოქვეყნებას;

კ) კოორდინაციას უწევს ადვოკატთა ტესტირების ჩატარებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ამტკიცებს ადვოკატთა ტესტირების ჩატარების წესსა და პროგრამას, განსაზღვრავს ტესტირების ჩატარების თარიღს;

ლ) ორგანიზებას უწევს ადვოკატთა მიერ ფიცის დადებას;

მ) აღასრულებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის გადაწყვეტილებებს;

ნ) ამტკიცებს ასოციაციის საშტატო განრიგს, ასოციაციის თავმჯდომარისა და სხვა დაქირავებულ პირთა შრომის ანაზღაურების ოდენობებს;

ო) ამტკიცებს საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობისა და ადვოკატის ორდერის ნიმუშს;

პ) ამყარებს საერთაშორისო კავშირებს და ამ ურთიერთობებში არის ასოციაციის წარმომადგენელი;

ჟ) აწარმოებს ადვოკატთა და მათ სტაჟიორთა პირად საქმეებს;

რ) ორმხრივი თხოვნის საფუძველზე არის ასოციაციის მოდავე წევრების ან წევრებისა და მათი კლიენტების მომრიგებელი;

ს) გამოსცემს ადვოკატთა საინფორმაციო ბიულეტენს ან სხვა პერიოდულ გამოცემას;

ტ) ასოციაციის თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილებების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს თავმჯდომარის უფლებამოსილებების დროებით განსახორციელებლად;

უ) ახორციელებს ამ კანონითა და ასოციაციის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს, რომლებიც არ განეკუთვნება ასოციაციის სხვა ორგანოების კომპეტენციას.

**მუხლი 27. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე**

1. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს ადვოკატთა ასოციაციის წევრთაგან ირჩევს ასოციაციის საერთო კრება 4 წლის ვადით, კანდიდატის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე. *(17.11.2009 N 2040)*

2. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე იმავდროულად არის აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე და წარმოადგენს ასოციაციას.

3. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე შრომის ანაზღაურებას იღებს ასოციაციის სახსრებიდან და მას თავისი უფლებამოსილებების განხორციელების პერიოდში ეკრძალება საადვოკატო საქმიანობა. *(17.11.2009 N 2040)*

**მუხლი 28. ეთიკის კომისია** *(17.11.2009 N 2040)*

1. ეთიკის კომისია შედგება 15 წევრისაგან, რომელთაგან არანაკლებ 12 ადვოკატია. ეთიკის კომისიის წევრებს 4 წლის ვადით ირჩევს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება ასოციაციის წესდებით დადგენილი წესით.

2. ეთიკის კომისიის წევრებად არჩეულად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას.

3. ეთიკის კომისიის ადვოკატი წევრი უნდა იყოს 30 წელს მიღწეული პირი არანაკლებ 5 წლის პროფესიული გამოცდილებით.

4. ეთიკის კომისია დამოუკიდებელია და თავის საქმიანობას ახორციელებს ამ კანონის შესაბამისად და პროფესიული ეთიკის ნორმების საფუძველზე.

5. ეთიკის კომისიის წევრის ხელახლა არჩევა შეიძლება მხოლოდ ერთხელ.

6. ეთიკის კომისია თავისი შემადგენლობიდან ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც იმავდროულად უნდა იყოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი.

7. ეთიკის კომისია ამოწმებს ადვოკატზე შემოსულ ინფორმაციას, სწავლობს მის საფუძვლიანობას და წყვეტს ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს.

8. ანონიმური წერილები და შეტყობინებები არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის განხილვას.

9. ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების წესი განისაზღვრება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ დამტკიცებული დებულებით.

**მუხლი 29. სარევიზიო კომისია** *(17.11.2009 N 2040)*

1. სარევიზიო კომისია იქმნება ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, აღმასრულებელი მდივნისა და მათ მიერ დანიშნული (დამტკიცებული) პირების მიერ ამ კანონისა და ასოციაციის წესდების შესრულებისა და ფინანსური სახსრების თუ სხვა ქონების საწესდებო მიზნების შესაბამისად გამოყენებაზე კონტროლის განხორციელების მიზნით.

2. სარევიზიო კომისია შედგება ასოციაციის საერთო კრების მიერ 4 წლის ვადით არჩეული 5 წევრისაგან.

3. სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას.

4. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს კომისიის წევრთაგან სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 4 წლის ვადით ირჩევს თავად კომისია.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფინანსო საქმიანობის შემოწმების მიზნით სარევიზიო კომისია ვალდებულია კონკურსის წესით ყოველწლიურად შეარჩიოს და მოიწვიოს დამოუკიდებელი აუდიტორი.

**მუხლი 30. აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის წევრად ადვოკატის არჩევის შეზღუდვა**

1. ადვოკატი არ შეიძლება არჩეულ იქნეს აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის ან სარევიზიო კომისიის წევრად, თუ:

ა) შეუსრულებელი აქვს სასამართლო წესით დაკისრებული ქონებრივი ვალდებულება;

ბ) ბრალდებულის სახით მიცემულია სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში;

გ) უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში დადებული ჰქონდა დისციპლინური სახდელი ან უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში შეჩერებული ჰქონდა ასოციაციის წევრობა. *(29.12.2004 N 970)*

2. ასოციაციის თავმჯდომარის ანდა აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის ან სარევიზიო კომისიის წევრის ზედიზედ არჩევა შეიძლება მხოლოდ ორჯერ.

**მუხლი 31. ადვოკატისთვის აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის წევრის უფლება-მოსილების შეწყვეტა**

1. ადვოკატს აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის ან სარევიზიო კომისიის წევრის უფლებამოსილება უწყდება:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ) საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერების შემთხვევაში;

გ) უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდეგ, ახალი წევრის არჩევისთანავე; *(17.11.2009 N 2040)*

დ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტის შემთხვევაში. *(29.12.2004 N 970)*

2. თუ ადვოკატს ვადაზე ადრე უწყდება აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის ან სარევიზიო კომისიის წევრის უფლებამოსილება, მაშინ უახლოეს საერთო კრებაზე, უფლებამოსილების დარჩენილი ვადით აირჩევა ახალი წევრი. თუ აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის ან სარევიზიო კომისიის წევრთა რაოდენობა ნახევარზე ნაკლები აღმოჩნდა, დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მოწვეული საერთო კრება ახალი წევრების ასარჩევად.

## თავი VII
## ადვოკატის პასუხისმგებლობა

**მუხლი 32. ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლები**

1. ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება:

ა) ამ კანონის მე-5–მე-9 მუხლებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის;

ბ) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის.

2. ადვოკატს არ დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 5 წელი. *(17.11.2009 N 2040)*

**მუხლი 33. ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრა**

ადვოკატის მიმართ დისციპლინურ დევნას აღძრავს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია. ეთიკის კომისია ინფორმაციის შემოსვლიდან 1 თვის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას დევნის აღძვრის ან დევნის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ.

**მუხლი 34. ადვოკატის დისციპლინური სახდელის სახეები. ადვოკატზე დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებები**

1. ადვოკატის დისციპლინური სახდელის სახეებია:

ა) გაფრთხილება;

ბ) საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 თვიდან 3 წლამდე ვადით;

გ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა. *(29.12.2004 N 970)*

2. ადვოკატზე დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებებია:

ა) კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა;

ბ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის, სარევიზიო კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა. *(29.12.2004 N 970)*

**მუხლი 35. ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დადების წესი**

1. ადვოკატისათვის დისციპლინური სახდელის დადების საკითხი ეთიკის კომისიის სხდომაზე განიხილება კოლეგიურად, კომისიის 3 წევრის შემადგენლობით, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. ადვოკატისათვის საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევის ან ასოციაციის წევრობის შეწყვეტის საკითხს განიხილავს ეთიკის კომისია არანაკლებ 12 წევრის შემადგენლობით. აღნიშნულ საკითხებზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭი-

როა ეთიკის კომისიის არანაკლებ 10 წევრის ხმა. განსხვავებული აზრის არსებობის შემთხვევაში იგი დაერთვის გადაწყვეტილებას. *(17.11.2009 N 2040)*

2. ეთიკის კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე ადვოკატს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, გამოთქვას აზრი ზეპირად ან წერილობით, გამოითხოვოს და წარმოადგინოს მტკიცებულებები და სრულად ისარგებლოს დაცვის უფლებით. *(17.11.2009 N 2040)*

3. ეთიკის კომისიის სხდომა დახურულია, ხოლო გადაწყვეტილება ცხადდება საჯაროდ.

4. ეთიკის კომისიის სხდომაზე ადვოკატის გამოუცხადებლობის შემთხვევაში საკითხის განხილვა გადაიდება 10 დღით. ამასთან, ადვოკატის არასაპატიო მიზეზით, ხელმეორედ გამოუცხადებლობა არ აზრკოლებს საკითხის განხილვას.

5. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და გამოცხადებიდან 5 დღის ვადაში უნდა ჩაბარდეს ადვოკატს პირადად, ხოლო მისი გამოუცხადებლობის შემთხვევაში იმავე ვადაში უნდა გაეგზავნოს მას.

6. ადვოკატს უფლება აქვს მისთვის გადაწყვეტილების გადაცემის დღიდან 1 თვის ვადაში გაასაჩივროს იგი უზენაეს სასამართლოში.

**მუხლი 35[1]. სახელმწიფოს ხარჯზე დანიშნული ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობა** *(29.12.2006 N4332)*

სასამართლო უფლებამოსილია სახელმწიფოს ხარჯზე მოწვეული ადვოკატის არასაპატიო მიზეზით სასამართლოში გამოუცხადებლობის ან დაცვის განხორციელებაზე უარის თქმის შემთხვევაში წარდგინებით მიმართოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გატარების მოთხოვნით.

**მუხლი 36. ადვოკატის პასუხისმგებლობა**

ადვოკატს სამართალდარღვევის ჩადენისათვის დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საერთო წესით.

**მუხლი 37. ადვოკატის წახალისება**

ადვოკატის წარმატებული საქმიანობისათვის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წარდგინებით ასოციაციის საერთო კრებამ შეიძლება დაადგინოს ადვოკატთა წახალისების ფორმები და წესი.

## თავი VIII
## ადვოკატის სამართლებრივი დაცვა

**მუხლი 38. ადვოკატის სამართლებრივი დაცვა**

1. ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს დამოუკიდებლად და მასში ჩარევა დაუშვებელია.

2. ადვოკატები თანასწორნი არიან კანონის წინაშე.

3. არ შეიძლება ადვოკატი დაიკითხოს მოწმედ იმ საქმეზე, რომელშიც იგი მონაწილეობდა, როგორც ადვოკატი (დამცველი ან წარმომადგენელი).

4. ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებისა-თვის, რომელიც მან ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე.

5. ამოღებულია *(20.04.2005 N 1364)*

6. კონფიდენციალურია ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ადვოკატმა მიიღო კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან.

7. ადვოკატსა და კლიენტს შორის წარმოებული საუბრის მიყურადება და ჩაწერა დაუშვებელია, ხოლო მათ შორის მიმოწერა –ხელშეუხებელი.

8. ადვოკატის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის საქმე განხილულ უნდა იქნეს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ განსჯადობის მიხედვით. *(20.04.2005 N 1364)*

## თავი IX
## ადვოკატის მანტია

**მუხლი 39. ადვოკატის მანტია**

1. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო და საერთო იურისდიქციის სასამართლოებში საქმის განხილვისას ადვოკატისათვის შეიძლება შემოღებულ იქნეს განსაკუთრებული ჩაცმულობა – მანტია.

2. ადვოკატის მანტიის ფორმას ამტკიცებს საქართველოს ადვო-კატთა ასოციაციის საერთო კრება აღმასრულებელი საბჭოს წარდგინებით.

## თავი X
## გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

**მუხლი 40. ადვოკატთა ტესტირება გარდამავალ პერიოდში**

1. ადვოკატთა ასოციაციის შექმნამდე ადვოკატთა ტესტირების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. *(29.12.2004 N 970)*

2. ადვოკატთა საკვალიფიკაციო კომისიის არანაკლებ ნახევარს შეადგენენ საქართველოს ადვოკატთა და იურისტთა სხვა გაერთიანებების (საადვოკატო ფირმა, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და ა.შ.) წარმომადგენლები. *(14.12.2006 N3980)*

3. ადვოკატთა საკვალიფიკაციო კომისიის შექმნის წესს, ტესტირების პროგრამას, აგრეთვე ტესტირების ჩატარების წესსა და ვადებს საქართველოს იუსტიციის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

4. პირებს, რომლებსაც გავლილი არა აქვთ ადვოკატთა ტესტირება და მიღებული არა აქვთ ტესტირების გავლის დამადასტურებელი მოწმობები, ეკრძალებათ წარმომადგენლის უფლებამოსილების განხორციელება სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებში, გარდა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს და ორგანიზაციების თანამშრომლებისა – ამ ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმეებზე. *(29.12.2006 N4332)*

**მუხლი 41. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანება ადვოკატთა ასოციაციის შექმნამდე** *(29.12.2004 N 970)*

1. ადვოკატთა ასოციაციის შექმნამდე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების მსურველებმა განცხადებით უნდა მიმართონ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

2. ტესტირებაგავლილ პირთა სიას ადგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

**მუხლი 42. ადვოკატთა ასოციაციის პირველი საერთო კრება და ადვოკატთა ტესტირება** *(29.12.2004 N 970)*

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო პირველი ორი ტესტირების ჩატარების შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს 2005 წლის 1 მარტისა მოიწვევს ადვოკატთა ასოციაციის დამფუძნებელ კრებას. დამფუძნებელ კრებაში მონაწილეობის უფლება აქვს პირს, რომელიც:

ა) წერილობით გამოთქვამს სურვილს, გაწევრიანდეს ადვოკატთა ასოციაციაში, და შესაბამისად წარადგენს განცხადებას საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არა უგვიანეს 2005 წლის 31 იანვრისა;

ბ) აკმაყოფილებს ამ კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

2. იუსტიციის უმაღლესი საბჭო შემოსული განცხადებების საფუძველზე ადგენს და 2005 წლის 15 თებერვლამდე აქვეყნებს დამფუძნებელ კრებაში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა სიას. განმცხადებელი, რომელიც არ იქნება შეყვანილი დამფუძნებელ კრებაში მონაწილეთა სიაში, უფლებამოსილია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 5 დღის ვადაში გაასაჩივროს სასამართლოში.

3. დამფუძნებელი კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება იმ პირთა ნახევარზე მეტი, რომლებსაც უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ დამფუძნებელ კრებაში და რომლებმაც ადვოკატის ფიცი დადეს კანონით განსაზღვრული წესით. დამფუძნებელ კრებაზე გადაწყვეტილებები, გარდა ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. დამსწრე წევრთა რაოდენობა დაითვლება ყოველი კენჭისყრის წინ. *(25.11.2005 N 2155)*

4. დამფუძნებელ კრებას ხსნის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი. დამფუძნებელ კრებას თავმჯდომარის არჩევამდე უძღვება დამსწრე უხუცესი წევრი.

5. უხუცესი წევრი კითხულობს ადვოკატის ფიცს. ტექსტის წაკითხვის შემდეგ დამსწრე წევრები წარმოთქვამენ „ვფიცავ“ და ხელს აწერენ ფიცის ტექსტს. პირი, რომელიც თავისი მსოფლმხედველობიდან გამომდინარე უარს ამბობს ფიცის დადებაზე, წერს განცხადებას.

6. დამფუძნებელი კრება ირჩევს ხმის დამთვლელ კომისიას 11 წევრის შემადგენლობით. კომისიის თავმჯდომარეს ირჩევს კომისია თავისი შემადგენლობიდან. ხმის დამთვლელი კომისია უზრუნველყოფს დამფუძნებელ კრებაზე ასარჩევი ხელმძღვანელი პირებისა და ორგანოების წევრობის კანდიდატთა დასახელებული კანდიდატურების ბიულეტენებში შეტანას და საერთო კრების წევრთათვის ბიულეტენების დარიგებას.

7. დამფუძნებელი კრების ნებისმიერ მონაწილეს აქვს უფლება, დაასახელოს ასოციაციის თავმჯდომარეობის, აღმასრულებელი საბჭოს წევრობის, ეთიკის

კომისიის წევრობის, სარევიზიო კომისიის წევრობის კანდიდატთა კანდიდატურები.

8. ერთი და იგივე კანდიდატურა შეიძლება დასახელებული იქნეს როგორც აღმასრულებელი საბჭოს, ისე ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის წევრობის კანდიდატად.

9. ასარჩევ ორგანოში დასახელებული ყოველი კანდიდატი საჯაროდ, საკითხის კენჭისყრაზე დაყენებამდე აცხადებს თავის თანხმობას კანდიდატად კენჭისყრაზე. თუ რომელიმე პირი დასახელებული იქნება ერთდროულად ორივე ან სამივე ორგანოს წევრობის კანდიდატად, მაშინ იგი განაცხადებს საკუთარ სურვილს და თანხმობას მხოლოდ ერთი ორგანოს წევრობის კანდიდატად კენჭისყრაზე და შესაბამისად საკითხის კენჭისყრაზე დაყენებამდე მისი კანდიდატურა შეიტანება მხოლოდ ერთ ბიულეტენში.

10. არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს კენჭისყრაში მონაწილე წევრთა მეტ ხმას, მაგრამ არანაკლებ 35 ხმისა. თანაბარი რაოდენობის ხმათა მიმღებ კანდიდატებს შორის, თუ მათი რაოდენობა აღემატება ასარჩევ წევრთა რაოდენობას, ტარდება განმეორებითი კენჭისყრა. თუ კენჭისყრის შედეგად არ შეივსო კანონით გათვალისწინებული ორგანოს წევრთა რაოდენობა, კენჭი განმეორებით ეყრება უკეთესი შედეგის მქონე, მაგრამ 35 ხმაზე ნაკლების მიმღებ იმდენ კანდიდატს, რამდენი წევრიცაა ასარჩევი. თუ ასარჩევ კანდიდატთა რაოდენობაზე მეტ კანდიდატს აღმოაჩნდა თანაბარი საუკეთესო შედეგი ან ერთი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატის მომდევნო რამდენიმე კანდიდატმა ხმათა თანაბარი რაოდენობა დააგროვა, განმეორებით კენჭი ეყრება ყველა ზემოაღნიშნულ კანდიდატს. იმ შემთხვევაში, თუ ორი კენჭისყრის შედეგად კანდიდატებმა ვერ დააგროვეს ხმათა მინიმალური რაოდენობა კანონით გათვალისწინებული ორგანოს დარჩენილ წევრთა რაოდენობის შესავსებად, ტარდება ხელახალი არჩევნები. *(25.11.2005 N 2155)*

11. ხმის დამთვლელი კომისია ჩატარებული არჩევნების შედეგებს აფორმებს ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და ყველა წევრი. საბოლოო შედეგებს საერთო კრებაზე აცხადებს ხმის დამთვლელი კომისიის თამჯდომარე.

**მუხლი 43. საადვოკატო ბიუროების რეგისტრაცია გარდამავალ პერიოდში**

1. საერთო სასამართლოებმა სამეწარმეო იურიდიული პირის სახით შექმნილი საადვოკატო ბიუროების რეგისტრაცია 2005 წლის 1 თებერვლიდან მოახდინონ ამ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად.

2. სამეწარმეო იურიდიული პირის სახით 2005 წლის 1 თებერვლამდე შექმნილი საადვოკატო ბიუროების სარეგისტრაციო დოკუმენტები 2006 წლის 1 ივნისამდე შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ამ კანონის მე-18 მუხლის მოთხოვნებთან. *(02.06.2003 N 2303)*

**მუხლი 44. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დამტკიცება**

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია პირველი საერთო კრების მოწვევიდან 3 თვის ვადაში ამტკიცებს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.

**მუხლი 45. ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით ძალადაკარგული და მისაღები ნორმატიული აქტები**

1. ამ კანონით დადგენილი წესით ადვოკატთა ასოციაციის ამოქმედებიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ 1980 წლის 12 ნოემბრის კანონით დამტკიცებული დებულება „საქართველოს სსრ ადვოკატურის შესახებ“.

2. 2002 წლის 1 ივნისამდე მიღებულ იქნეს საქართველოს კანონები „ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის შესახებ“ და „საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის შესახებ“.

3. პარლამენტის იურიდიულ საკითხთა, კანონიერებისა და ადმინისტრაციული რეფორმების კომიტეტმა ამ კანონის მიღებიდან 3 თვის ვადაში აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის დაწესებულებებთან ერთად შეიმუშაოს საკანონმდებლო წინადადებები ადვოკატთა დაბეგვრის განსაკუთრებულ რეჟიმთან დაკავშირებით.

4. „საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე საზოგადოებრივ (სახაზინო) მომსახურებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის სამსახური, რომელსაც „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ქმნის საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

**მუხლი 46. კანონის ამოქმედება**

1. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის მე-9 მუხლი და 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ნაწილში ამოქმედდეს „ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან ერთად.

საქართველოს პრეზიდენტი *ედუარდ შევარდნაძე.*

თბილისი,
2001 წლის 20 ივნისი.
N 976 - IIს

*დანართი 2*

# ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი

*დამტკიცებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ 15 აპრილი, 2006 თბილისი*

*ცვლილებები და დამატებები მიღებულია 2012 წლის 8 დეკემბრის საერთო კრებაზე*

**ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმებს და ქცევის წესებს.**

**ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მიზანია საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე განსაზღვროს პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი ქცევის წესები და დაამკვიდროს ადვოკატის ვალდებულება შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის.**

## თავი I
## ადვოკატის პროფესიული საქმიანობის პრინციპები

**მუხლი 1. პროფესიული საქმიანობის ძირითადი პრინციპები**
ადვოკატი ვალდებულია, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, იხელმძღვანელოს შემდეგი ძირითადი პრინციპებით: დამოუკიდებლობა, ნდობა, კონფიდენციალობა, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა, კოლეგიალობა.

**მუხლი 2. დამოუკიდებლობის პრინციპი**
1. ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გავლენისგან ან სხვა ზეწოლისაგან, მათ შორის მისი პირადი ინტერესებიდან და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის და პროფესიული ეთიკის ნორმებს. (08.12.2012.)

2. ადვოკატი ვალდებულია არ დაუშვას კომპრომისი საკუთარი პროფესიული ვალდებულებების შესრულებისას კლიენტის, სასამართლოს ან სახელმწიფოს სხვა ორგანოს ან სხვა პირის ინტერესების სასარგებლოდ. (08.12.2012.)

**მუხლი 3. ნდობის პრინციპი**
კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი

კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა. (08.12.2012)

**მუხლი 4. კონფიდენციალობის პრინციპი**

1. ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით. (08.12.2012)

2. კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში.

3. ადვოკატმა განზრახ არ უნდა გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია:
   ა) კლიენტის წინააღმდეგ;
   ბ) საკუთარი ან მესამე პირის მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი შესაბამის თანხმობას განაცხადებს. (08.12.2012)

4. ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია:
   ა) კლიენტის თანხმობის საფუძველზე;
   ბ) თუ ინფორმაციის ამგვარი გამოყენება წარმომადგენლობის ან დაცვის პროცესში გამართლებულია და აუცილებელია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე იმ პირობით, რომ ასეთი ინფორმაციის გაცემა კლიენტს ადვოკატისთვის წინასწარ არ აუკრძალავს;
   გ) თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მის მიმართ წაყენებული ბრალდებისაგან ან მოთხოვნისგან თავის დასაცავად ან საკუთარი ჰონორარის მიღებისათვის. (08.12.2012)

5. ადვოკატმა მის პარტნიორებს, თანამშრომლებს და სხვა პირებს, რომლებიც მის მიერ მოწვეულნი არიან პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, უნდა მოსთხოვოს კონფიდენციალობის დაცვა. (08.12.2012)

**მუხლი 5. კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი**

ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს. (08.12.2012)

**მუხლი 6. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი**

1. ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე,

თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე. (08.12.2012)

2. ინტერესთა კონფლიქტი არსებობს იმ შემთხვევებშიც, როდესაც:
ა) ადვოკატის ვალდებულებები ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთსაწინააღმდეგოა ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე.
ბ) კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება ეწინააღმდეგება, ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე ამ ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან. (08.12.2012)

3. ერთ საადვოკატო ბიუროში (ოფისში, კანტორაში, იურიდიულ ფირმაში და ა.შ.) მომუშავე ადვოკატებს უფლება არა აქვთ მისცენ პროფესიული რჩევა ან წარმოადგინონ რამდენიმე პირი (კლიენტი) ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნულ კლიენტებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე. (08.12.2012)

4. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის საფრთხე წარმოიშობა საქმის წარმოების პროცესში. (08.12.2012)

5 ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ ან დაკავშირებულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე. (08.12.2012)

**მუხლი 7. კოლეგიალობის პრინციპი**
ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები. (08.12.2012)

## თავი II
## ადვოკატის ურთიერთობა სხვა პირებთან და ინსტიტუტებთან

**მუხლი 8. ურთიერთობა ადვოკატსა და კლიენტს შორის**
1. ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ურთიერთობას უთანაბრდება, როდესაც ადვოკატს შეეძლო ევარაუდა, რომ შეთანხმებას დებდა კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი, გარდა სავალდებულო (იძულებითი) დაცვის შემთხვევისა.

2. ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით, სავალდებულო დაცვის შემთხვევაში.

3. ადვოკატს უფლება არა აქვს კლიენტს მისცეს გარანტიები მისგან აღებული საქმის შედეგებთან დაკავშირებით.

4. ადვოკატმა შეიძლება შეზღუდოს საკუთარი სამოქალაქო პასუხისმგებლობა კლიენტის წინაშე ადვოკატის უხეში გაუფრთხილებლობისთვის. ვალდებულების ამგვარი შეზღუდვა ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კლიენტი წერილობით დათანხმდება ამგვარ შეზღუდვაზე. (08.12.2012)

5. ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.

6. ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.

7. ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით.

8. ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის. (08.12.2012)

9. ჰონორარის გადაუხდელობის შემთხვევაში, ადვოკატი უფლებამოსილია უარი თქვას საქმეზე ან მის წარმოებაზე წინამდებარე თავის მე-7 პუნქტის გათვალისწინებით.

10. ადვოკატს არა აქვს უფლება გადაუხადოს გადასახადი, საკომისიო ან ნებისმიერი სხვა სახის კომპენსაცია პირს კლიენტისათვის პირადად მისი რეკომენდირებისათვის. ამ აკრძალვის დარღვევად არ ჩაითვლება, თუკი ერთ საადვოკატო ბიუროში მომუშავე ადვოკატი საკუთარი ანაზღაურების ნაწილს გადასცემს ამ ბიუროში მომუშავე სხვა ადვოკატს, პენსიაზე გასულ ადვოკატს ან ადვოკატის მემკვიდრეს. (08.12.2012)

11. ადვოკატი უნდა ცდილობდეს მიაღწიოს დავის მინიმალური დანახარჯებით გადაწყვეტას, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატმა კლიენტს უნდა ურჩიოს საქმის მორიგებით დასრულება ან დავის ალტერნატიული მეთოდებით გადაწყვეტა. (08.12.2012)

12. ადვოკატმა უნდა აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტის მიერ გადახდილ საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით.

13. ნებისმიერი ფულადი სახსრები ან ქონება, რომელსაც კლიენტი მიანდობს ადვოკატს, უნდა ინახებოდეს დამოუკიდებლად ადვოკატის პირადი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან და იმართებოდეს კეთილსინდისიერად. ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ანგარიშგება. (08.12.2012)

14. ადვოკატმა პატიოსნად და უშიშრად უნდა დაიცვას კლიენტის ინტერესები, მიუხედავად მისი პირადი ინტერესებისა ან მისთვის ან ნებისმიერი სხვა პირისათვის შესაძლო შედეგებისა.

15. კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი. (08.12.2012)

**მუხლი 8 პრიმა. საადვოკატო საქმიანობის რეკლამირება (08.12.2012)**
ადვოკატი უფლებამოსილია განახორციელოს საკუთარი საქმიანობის რეკლამირება იმ პირობით, რომ გავრცელებული ინფორმაცია სწორია და არ არის შეცდომაში შემყვანი, დაცულია პროფესიის ძირეული ფასეულობები და პირდაპირ ან ირიბად არ მიუთითებს კონკურენტზე ან მის მომსახურებაზე.

**მუხლი 9. ადვოკატის ურთიერთობა სასამართლოსთან**
1. ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს.

2. ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს ან შეხვდეს მოსამართლეს კონკრეტულ საქმეზე, მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან შეთანხმების გარეშე, გარდა საპროცესო კანონმდებლობით ნებადართული შემთხვევებისა.

3. ადვოკატმა არ უნდა მიაწოდოს სასამართლოს წინასწარი შეცნობით ყალბი მტკიცებულება.

4. ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას. (08.12.2012)

**მუხლი 10. ურთიერთობა ადვოკატსა და სხვა ადვოკატს შორის**
1. ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას.

2. პროფესიის კორპორატიული არსი მოითხოვს ადვოკატთა შორის ნდობასა და თანამშრომლობაზე დამყარებულ ურთიერთობას მათი კლიენტების სასარგებლოდ სასამართლო პროცესების და სხვა კლიენტისთვის საზიანო ქმედებების თავიდან აცილების მიზნით. თუმცა დაუშვებელია კლიენტის ინტერესებზე წინ პროფესიის ინტერესების დაყენება.

3. ადვოკატმა სხვა ადვოკატისაგან ან ნებისმიერი სხვა პირისაგან არ უნდა მოითხოვოს ან მიიღოს გადასახადი, საკომისიო ან ნებისმიერი სხვა სახის კომპენსაცია კლიენტისათვის სხვა ადვოკატის რეკომენდირების ან რჩევისათვის.

4. ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის

ადვოკატი დათანხმდება ასეთ კომუნიკაციაზე ან ობიექტურად შეუძლებელია ადვოკატთან დაკავშირება. (08.12.2012)

## თავი III
## დასკვნითი დებულებები

**მუხლი 11. კოდექსის მოქმედების ფარგლები**

1. ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება ადვოკატებზე. ადვოკატი პასუხისმგებელია იმ პირთა ეთიკურ ქცევაზე, ვინც მოქმედებს ადვოკატის დავალებით ან მისი სახელით ახორციელებს ქმედებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ადვოკატმა მიიღო ყველა გონივრული ზომა იმისთვის, რომ ამ პირების ქცევა შესაბამისობაში ყოფილიყო ეთიკის კოდექსის მოთხოვნებთან. (08.12.2012)

2. ეთიკის კოდექსი და მასში ცვლილებები ძალაში შედის საერთო კრების მიერ დამტკიცებისთანავე და არ გააჩნია უკუქცევითი ძალა. (08.12.2012)

3. (ამოღებულია 08.12.2012).